# კვირის პალიტრა

№ 43 (453) ◆ 27 ოქტომბერი – 2 ნოემბერი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


გვ.3



## ხელისუფლებას ცინიზმსა და აბუჩად აგდებას არ ვაპატიებენ

სიების უზუსტობა აშკარა იყო. საინტერესოა, რატომ არავინ აღმოაჩინა ეს უზუსტობები და დარღვევები უფრო ადრე. ამ შემთხვევაში მე პრეტენზია ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ჩინოვნიკებთან მაქვს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ რომელიმე არასახელისუფლებო ძალის წარმომადგენელსაც სურდა ამ სიებში ქაოსის შეტანა.

## „ნოუ-ჰაუ“ — ქურდობის ახალი ხერხი საქართველოში

### ტვირთს პირდაპირ „ნახადუ“ გპარავენ

თქვენ გგონიათ, რომ ბაზარში რუსულ შაქარს ყიდულობთ?! მაგარი აფერა მიდის — საქართველოში შაქარს ტომრებში ყრიან და სატვირთო მანქანებით ორჯონიკიძეში გადააქვთ. იქ „ცეხებში“ ახალ ტომრებში აფასოებენ... რუსულ დამღას ადებენ და უკან, საქართველოში გადმოგვაქვს. გვ.5

## სენსაციური აღმოჩენა გვ.11,13

## ლენტეხის მთებში

### როგორ დაიკარგა ქვემო სვანეთიდან ორმოცამდე უძვირფასესი წმინდა ხატი



— გვიან მივხვდით ხელისუფლების ზრახვებს, მაგრამ უძლურები ვიყავით. კარგად მახსოვს, ხატების უმრავლესობას შეფასების გრაფაში სიტყვა „შეუფასებელია“ ეწერა. დღეს ყველა მათგანის ფოტოებიც გამქრალია და აღწერილობაც. ზუსტად ვერავინ გეტყვით, რომელი ეკლესიიდან რა ხატი გაიტანეს.

როდესაც კომისიის თავმჯდომარემ ექსპედიციის შემდეგ ქვემო სვანეთის ხატების გზა-კვალს ველარ მიაგნო, მიხვდა, რომ მოატყუეს...

# არჩევნები მოდის!

გვ.6,7



„დედაქალაქში სამოქალაქო დაპირისპირებებს, შეიძლება, საქართველოს ტერიტორიის კიდევ ერთი ნაწილი გადაჰყვეს(?!).“

„ყველაფრის მიუხედავად, ვერ შეგვაშინებენ...

რეპრესიებს ხალხის გააქტიურება მოჰყვება, რაც აბაშიძის რეჟიმს ბოლოს მოუღებს.“





„არ ჩაუვა ფეხი მაგ კალოშში. დედას გვაგინებდნენ და სულში გვაფურთხებდნენ...“

„შესაძლოა, პოლიციის ფორმაში გადაცმულმა პირებმა მძიმე ტრავმა მიაყენონ მომიტინგეებს...“





„ჩვენ მაზოხისტები არ ვართ, რომ თვითდაწვის გეგმებს ვაწყობდეთ...“

## პატივცემულო მეანაბრეებო!

გთხოვთ გამოცხადდეთ რეგისტრაციისათვის საქართველოს მეანაბრეთა ინტერესების დაცვის კავშირ „ანაბარის“ ოფისში. თან იქონიეთ შემნახველი სალაროს წიგნაკი.

*მის: ალ. ყაზბეგის (ყოფილი პავლოვის) გამზ. №44, მეორე სართული, ტელ: 39-46-70, ყოველდღე 10-18 სთ-მდე*

### სამხედრო თემაზე:

## „კვირის პალიტრას“ ერაყიდან შეეხმიანნენ...

გამოჯანმრთელებული ქართველი მენაღმეები თიქრიტში დაბრუნდნენ.

### ცხაკაიიდან გატაცებული „მიგი“

როგორ მოაგებინა ცხაკაიიდან გაქცეულმა რუსმა პილოტმა ამერიკელებს „უდაბნოს ქარიშხალი“. გვ.8,9

### არმია და არჩევნები

## ფოტოები „ჩარჩოს“ გარეშე

**ირაკლი წერეთელი: — მომხდურსაც მოვიგერიებ და იქითაც შევაშინებ ბევრს!..** გვ.4




გააკეთეთ პროგნოზი და... გვ.5



მოიგეთ ფერადი ტელევიზორი

არჩევნები-2003



ელექტროენერგიის არასტაბილური მიწოდება ასეულ ათასობით ლარის ზარალს აყენებს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას.

R გვ.26


### რას წერენ ჩვენზე:

## თურქები ვართ, მაგრამ საქართველოში უნდა დაგვაბრუნოთ

... საქართველოს ტერიტორია, ყოფილი ახალქალაქის უეზდია, ჩვენი ისტორიული სამშობლო... ჩვენს ტერიტორიაზე ამჟამად 95% სომეხი ცხოვრობს... რა შუაშია აზერბაიჯანი და თურქეთი, ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა დაგვაბრუნონ საქართველოში. გვ.14

**გაზეთში ჩანართია „მეგზური ამომრჩევლისთვის“**

# მშვიდობიან არჩევნებს გისურვებთ!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## თუ ამბობს, თქვას!..

გაურკვეველი რჩება, რა უთხრა სახელისუფლებო ბლოკის ლიდერმა, ირინა სარიშვილმა საქართველოს ეროვნული უშიშროების სამინისტროს გამომძიებელს შეხვედრაზე, სადაც მას პარლამენტის თავმჯდომარისთვის წაყენებული ბრალდებები უნდა დაედასტურებინა. სარიშვილი მიცემული ჩვენების შინაარსს ისევე ასაიდუმლოებს, როგორც ამ უწყებისთვის გადაცემული მაკომპრომეტირებელი მასალებისას, რითაც თითქოსდა „ბურჯანაძე-დემოკრატების“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის რუსეთთან აგენტურული კავშირი მტკიცდება.

სარიშვილი ჟურნალისტებს ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ურჩევს ვალერი ხაბურძანიას მიმართონ და აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში მასმედიის წარმომადგენლების შეკითხვებს სწორედ უშიშროების სამინისტრომ უნდა უპასუხოს. ხაბურძანიას უწყება კი ორაზროვნად დუმს. კულუარული ინფორმაციით, დუმილი მანამდე გასტანს, სანამ სარიშვილის ბრალდება საზოგადოებას არ დაავიწყდება.

## რუსებმა საზღვარი დაარღვიეს

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქართველმა მესაზღვრეებმა საქართველო-რუსეთის საზღვრის მონაკვეთზე, დიკლოს სასაზღვრო საგუშაგოსთან დაღესტანში მცხოვრები რუსეთის ორი მოქალაქე დააკავეს. საზღვრის დამრღვევებს თან ჰქონდათ კალაშნიკოვის სისტემის ერთი ავტომატი, სამი ხელყუმბარა, ნიღბები, ჭოგრიტი და 20 გ მარიხუანა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის განცხადებით, წინასწარი მოკვლევის თანახმად, დაკავებულები რუსეთის ფედერალური სამსახურის მიერ იძებნებოდნენ და მათი საქმის გამოძიება, შესაბამისად, უშიშროების სამინისტრომ უნდა განაგრძოს.

## ბაქო თბილისში?

„ბათუმში განვითარებული მოვლენები თბილისში მომასწავებელი ბაქოს სცენარის გენერალური რეპეტიციაა“, — ასე აფასებს სახელისუფლებო ბლოკის ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი „ნაციონალებისა“ და „აღორძინების“ ბათუმურ შერკინებას და მომხდარს „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიას უწოდებს. „სააკაშვილი განგებ ჩადის იმ რაიონებში, სადაც მისი გამოჩენა ხმაურიან შეჯახებას გამოიწვევს. ოპოზიციურ პარტიებს შორის დაპირისპირება კი იმის ბრალია, რომ ოპოზიცია დღემდე ვერ გაერთიანდა და ერთმანეთს მთავარი ოპოზიციონერის ტიტულისა და ამომრჩევლისათვის ებრძვიან. 2 ნოემბრის არჩევნებში წაგებული პარტია აუცილებლად დაიწყებს მასობრივ გამოსვლებს და არჩევნებს გაყალბებულად გამოაცხადებს. ასე რომ, ბაქოს თბილისში „გადმოტანის“ საფრთხე აშკარაა, რასაც წინ უნდა აღვუდგეთ“, — აცხადებს მთავარი სოციალისტი.

## მე-9 ბლოკი აღორძინდა?!

1-ელი ნოემბრიდან საქართველოს ენერგოსისტემა მე-9 ენერგობლოკის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ გერმანიიდან ჩამოსული კომპანია „სიმენსის“ წარმომადგენლები მე-9 ბლოკის ტესტირებისას დადებით დასკვნებს გააკეთებენ. „თელასის“ ახალი მეპატრონის, „რაო ეეს როსიის“ წარმომადგენლების განცხადებით, უკვე გადაწყვეტილია მე-9 ენერგობლოკის „გაზპრომის“ მიერ მოწოდებული აირით უზრუნველყოფის საკითხიც. თუმცა, რუსული კომპანია აირის ღირებულებას, ჯერჯერობით, არ ამხელს.

## სატენდერო განაჩენი

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ მეცხრე მეტრული არხის დროებით მფლობელობაზე ლიცენზია არ გასცა. არხზე, რომელზეც თავის დროზე OPT მაუწყებლობდა, პრეტენზიას ორი ტელეკომპანია, „რუსთავი-2“ და შპს „ტექნომედია („იმედი“) აცხადებდა. ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, კონკურსის ჩატარება და გამარჯვებულის გამოვლენა თითქოსდა სერიოზულ გავლენას იქონიებს საპარლამენტო არჩევნების მსვლელობაზე. „ხელისუფლება მესამედ უშვებს შეცდომას „რუსთავი-2“-ის მიმართ“, თქვა ვახტანგ აბაშიძემ და კომისიაზე ზეწოლაში დაადანაშაულა სამთავრობო სტრუქტურები, რომლებიც მოითხოვდნენ თუნდაც რაიმე ფორმით არ გამართულიყო ან გადადებულიყო კომისიის სხდომა. ვახტანგ აბაშიძე პროტესტის ნიშნად თანამდებობიდან გადადგა.

## ნუ ენდობით თაღლითებს

როგორც ჩანს, ზოგიერთები დროს უქმად არ კარგავენ და ფულის კეთების ახალ-ახალ მეთოდებზე მუშაობენ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ნანა დევდარიანის განცხადებით, მაღაზიებში 25 ლარად იყიდება ვითომდა მარკირების მოსაცილებელი სითხე. საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ნანა დევდარიანმა როგორც მარკირების, ასევე ე. წ. მარკირების მოსაცილებელი ნივთიერების დემონსტრირება მოახდინა. დეტექტორმა მარკირების ნიშანი მაინც დააფიქსირა. პარლამენტმა მარკირების მეთოდის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება აგვისტოში მიიღო. „როგორც ჩანს, აფერისტებმა მაშინვე დაიჭირეს თადარიგი მოსახლეობის გასაბრიყვებლად და ფულის საკეთებლად“, — თქვა ცესკოს თავმჯდომარემ და ხალხს მოუწოდა სიფრთხილისკენ.

## სიების გადამოწმება გადაიდო

ცესკომ ამომრჩეველთა სიების გადამოწმების საბოლოო ვადად 30 ოქტომბრის 18 საათი დაასახელა. ამასთან დაკავშირებით 26 ოქტომბერს გამართულ კომისიის სხდომას რამდენიმე პოლიტიკური პარტიის ლიდერი დაესწრო. კომისიაში სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელი სიების გამოქვეყნების გადავადების წინააღმდეგი იყო, თუმცა დიდი ვნებათაღელვის მიუხედავად, კენჭისყრის შემდეგ ეს საკითხი მაინც გადაწყდა.

## „საგანგაშო მდგომარეობაა...“

პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი იაშვილის განცხადებით, შს სამინისტროს მიერ გადამოწმებულ ამომრჩეველთა სიებში კვლავ საგანგაშო მდგომარეობაა. როგორც მან საგანგებოდ გამართულ პრესკონფრენციაზე განაცხადა, შს სამინისტრომ გადამოწმებული სიები უკვე გადასცა ცესკოს, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა წინა სიებთან შედარებით მექანიკურადაა შემცირებული და რაოდენობრივად დაახლოებულია ამომრჩეველთა რეალურ რიცხვს, თუმცა ახალ სიებშიც უამრავი მკვდარი სულია, რეალური ამომრჩეველი კი კვლავ გამოტოვებულია. იაშვილის განცხადებით, „ახალი მემარჯვენეები“ ოფიციალურად მიმართავენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ამომრჩეველთა სიების დასაზუსტებლად, რათა არჩევნებამდე დარჩენილი დღეები გამოიყენონ საუბნო კომისიებში რეალური ამომრჩევლის სიებში შეყვანის კონკრეტული მექანიზმის შესამუშავებლად. მისივე თქმით, საარჩევნო საუბნო კომისიებში რეალური ამომრჩეველი უკვე ხელწერით უნდა შეიყვანონ, რადგან ელექტრონული ვერსიებით გადასამოწმებლად ძალზე ცოტა დროა დარჩენილი.

## არჩევნები ჯანმრთელობისათვის სახიფათოა(!)

ვაკის საოლქო კომისიის თავმჯდომარე მარლენ შენგელია ინფარქტით საავადმყოფოში მოათავსეს. ნანა დევდარიანის თქმით, შენგელია „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ვაკის საოლქო კომისიაში შექმნილ სკანდალს ემსხვერპლა. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა აქციები გამართეს ვაკის, საბურთალოსა და ისნის რაიონების საოლქო კომისიებთან. ისინი შსს-ს მიერ შედგენილ ამომრჩეველთა ერთიანი სიების მიღებას ითხოვდნენ თავიანთ სიებთან შესადარებლად. „მათ უბრალოდ სკანდალი სჭირდებოდათ, რათა ხმაურიანი კადრები გასულიყო ტელევიზიით, — თქვა ცესკოს თავმჯდომარემ ნანა დევდარიანმა და დასძინა, — თუ საოლქო კომისიებზე ზეწოლა მოხდება და არჩევნებს ადამიანების ჯანმრთელობისათვის სახიფათოს გახდიან, იმ ოლქებში არჩევნები არ ჩატარდება.“

## აჭარის პოლიცია ყაზარმულ რეჟიმზე გადავიდა

23 ოქტომბერს, ბათუმში, „ნაციონალური მოძრაობის“ და „აღორძინების“ წარმომადგენლების ჩხუბისა და ურთიერთდაპირისპირების შედეგად მომხდარი ინციდენტის გამო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის, ილია წულუკიძის თქმით, უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, აჭარის პოლიცია ყაზარმულ რეჟიმზე გადავიდა. მისივე თქმით, გასულ კვირას მომხდარი ინციდენტი უშიშროების საბჭომ შეაფასა, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების დამხობის მცდელობა და მომხდარ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ილია წულუკიძის განცხადებით, კონფლიქტის ინსპირირება დავით ბერძენიშვილის მხრიდან მოხდა და არ არის გამორიცხული მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას. სისხლის სამართლის საქმე ასევე აღძრულია ბათუმსა და ქობულეთში „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისების დარბევასთან დაკავშირებით. წულუკიძის თქმით, მასობრივი არეულობის დროს კონკრეტული დამნაშავეების დადგენა ძნელია და აქედან გამომდინარე, არეულობის ინიციატორთა ვინაობა მას შემდეგ დადგინდება, რაც მასმედიის საშუალებები პროკურატურას ვიდეოკადრებს უჩვენებენ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ ინციდენტის შედეგად არიან დაზარალებულები, მათ შორის პოლიციის თანამშრომლები და რომ ბათუმის საავადმყოფოებს 10-მდე კაცმა მიმართა.

ჩოლოქთან დავით ბერძენიშვილზე თავდასხმასა და მასში პოლიციის გადაცმული თანამშრომლების მონაწილეობას აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრი კატეგორიულად უარყოფს. რაც შეეხება ბერძენიშვილის ცემასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, წულუკიძის თქმით, პროკურატურას განცხადებით თავად დავით ბერძენიშვილმა უნდა მიმართოს.

## შიმონ პერესი ებრაული დიპლომატიით

ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მოწვევით ორდღიანი ვიზიტით თბილისში მყოფი ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრი შიმონ პერესი საქართველოდან საუკეთესო შთაბეჭდილებებით გაემგზავრა. პერესმა მადლობა გადაუხადა ქართველ ხალხს ებრაელების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო. მას არ უსაუბრია საპარლამენტო არჩევნებზე, რადგან მიაჩნია, რომ ეს ქვეყნის საშინაო საქმეა. რაც შეეხება საქართველოში ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებაში ისრაელის გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობებს, პერესის თქმით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „საქართველო სხვა სივრცეში ცხოვრობს და საკუთარი სიბრძნე აქვს“ და ქართველებს სამი რჩევა მოგვცა. კერძოდ, ტერორიზმთან ბრძოლა, ქვეყანაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად მეცნიერული საშუალებებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და მდიდარი კულტურის დაცვა-შენარჩუნება.

## ცირკი დაბრუნდა, გაუმარჯოს ცირკს!

შიმონ პერესის მასპინძლობასთან ერთად, ბადრი პატარკაციშვილმა განახლებული ცირკიც გახსნა. პრეზიდენტმა შევარდნაძემ საზეიმო ზარების რეკვით მიულოცა ბავშვებს ცირკის გახსნა და შექებასთან ერთად, ბადრი პატარკაციშვილი „დაანამუსა“ — მჯერა, რომ მომავალში ქართულ ცირკს ბევრი სტუმარი ეყოლება და ბილეთის ფასიც ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნებაო.

როგორც საზეიმო ცერემონიალზე გაირკვა, საქართველოს პრეზიდენტი უკანასკნელად 25 წლის წინ ყოფილა ცირკში და ამიერიდან თუ დრო ექნება, თავის პატარა თანამემამულეებთან ერთად დროდადრო საცირკო ხელოვნებით დატკბება.

## წიგნად გამოცემული პროტესტი

პოლიტიკური მოძრაობის, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ლიდერმა გოგი თოფაძემ ბლოკის ეკონომიკური პროგრამის პრეზენტაციასთან ერთად საკუთარი წიგნის — „საქართველო ნეოკოლონიალიზმის ყულფში“ — პრეზენტაცია გამართა. თოფაძე თავის ნაშრომს წიგნად გამოცემულ პროტესტს უწოდებს. „მრეწველთა“ ლიდერის თქმით, იგი ცდილობს მოსახლეობას აჩვენოს, თუ რა დამანგრეველი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ განვითარებად ქვეყნებზე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, სოროსის ფონდს. თავის ნაშრომში თოფაძე არც ისეთ მოვლენას ტოვებს უყურადღებოდ, როგორიცაა კორუფცია სახელმწიფო და სამთავრობო სტრუქტურებში.

## ფრანგები რუსებს „ჰბაძავენ“?

საქართველოში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მირეი მიუსომ დიპლომატიური მისია დაასრულა და საქართველოს პრეზიდენტთან გამოსამშვიდობებელ შეხვედრაზე გულისამაჩუყებელი განცხადებებიც გააკეთა. თურმე საქართველოში გატარებული ექვსი წელი მისი ცხოვრების უძვირფასესი ხანა ყოფილა. მას საფრანგეთში მიჰყვება ოცნება — საქართველო აყვავებული და განვითარებული იხილოს. პრეზიდენტმა შევარდნაძემ მეოცნებე ელჩს საქართველოსა და საფრანგეთის დაახლოების საქმეში გაწეული სამსახურისთვის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო — ღირსების ორდენი გადასცა.

ქალბატონმა მიუსომ მადლიერების ნიშნად პრეზიდენტს აღუთქვა, რომ აუცილებლად ისწავლის ქართულ ენას, რომელიც მისთვის დღემდე ჩინურივით იყო. ელჩმა დანანებით აღნიშნა, რომ მისმა აქტიურმა მუშაობამ გაეროს მეგობართა ჯგუფის კოორდინატორად აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების მიზნით სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფრანგები რუსების მაგალითს მიბაძავენ და საქართველოში ქართულ გვარ-სახელიან ქალბატონს მოავლინებენ ელჩად.

## პოლიციასაც „გაუმართლა“ და დაზარალებულებსაც

საზოგადოებრივ-სამგზავრო ტრანსპორტზე თავდასხმების სერია გრძელდება. სამტრედიის რაიონის სოფელ ვაზისუბანში ცენტრალურ ავტომაგისტრალზე ბათუმი-საჩხერის რეისით მომავალი „იკარუსის“ მარკის ავტობუსს თავს დაესხა გადაჭრილი თოფებითა და პისტოლეტებით შეიარაღებული შვიდი ბოროტმოქმედი, რომელთაც მგზავრებს ძვირფასეულობა და ფული წაართვეს. სამტრედიის პოლიციამ ოთხი დამნაშავის დაკავება რეკორდულად უმოკლეს დროში შეძლო. დაზარალებულთა საბედნიეროდ დაკავებულთა ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა ნაძარცვი. პოლიცია სამი თავდამსხმელის ძებნას განაგრძობს. დაკავებულები კი ქუთაისის შინაგან საქმეთა იმერეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში არიან მოთავსებულნი.

## გაიხსნა ჟურნალისტთა ხსოვნის მემორიალი

ჟურნალისტთა სახლის ეზოში აფხაზეთის ომში დაღუპულ ჟურნალისტთა ხსოვნის მემორიალი გაიხსნა. აქ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპული 17 ჟურნალისტის გვარიცაა მოხსენიებული, მათგან ორი უცხოელია. მემორიალის გვერდით დაიდგა აფხაზეთის ომში დაღუპული ჟურნალისტ საშა იოსელიანის ძეგლიც.

## წყალდიდობა კოდორის ხეობაში

კოდორის ხეობაში წვიმებისა და წყალდიდობის შედეგად დაიტბორა ხეობის თითქმის ყველა სოფელი. ხაიშსა და მესტიას შორის კვირას, გამთენიისას, მეწყერი ჩამოწვა. მოსახლეობა ხეობის უსაფრთხო ნაწილში გადასვლას ცდილობს. კოკისპირული წვიმების გამო ჯერჯერობით ვერ ხერხდება ხეობაში მაშველთა შესვლა. წყალმა წაიღო პირუტყვი, დაზიანდა რამდენიმე სოფელთან დამაკავშირებელი გზაც. ხეობა, ფაქტობრივად, ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. დაახლოებით ანალოგიური სიტუაციაა რაჭაშიც.

## ქართულ-ამერიკული მეგობრობის ასოციაცია

ტეხასის შტატში მცხოვრებმა, დალასელმა ნანა ანდრონიკაშვილმა დააფუძნა ქართულ-ამერიკული მეგობრობის ასოციაცია, რომელიც მისი თქმით ხელს შეუწყობს კულტურისა და ბიზნესის განვითარებას ორ ქვეყანას შორის. ორგანიზაციის კარი ღიაა ყველა მსურველისთვის.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ნანა ანდრონიკაშვილს ინტერნეტით: nana_andr@yahoo.com.

უცხოეთი

## „ალ-ქაიდას“ საწყობები ერაყშიც აქვს

ერაყის სამხრეთით, ბასრას პროვინციაში, იარაღის სამალავი აღმოაჩინეს, რომელიც საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის, „ალ-ქაიდას“ საკუთრება აღმოჩნდა. გაზეთ „გარდიანის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, იარაღით სავსე ასობით ყუთი ერთ-ერთ შენობაში ინახებოდა. შენობის პატრონმა აღიარა, რომ მას „ალ-ქაიდას“ არსენალის შენახვა ჰქონდა დავალებული.

## ბუში არც ბალიზე მოსწონთ

აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ინდონეზიის კუნძულ ბალის ესტუმრა. შარშან ბომბის აფეთქების შედეგად ბალიზე 202 კაცი დაიღუპა. ბუში ტერორისტებთან ბრძოლაში მხარდაჭერის დემონსტრირებისათვის ინდონეზიის პრეზიდენტს შეხვდა. მან ასევე მოინახულა იქაური მუსლიმანების სულიერი ლიდერები. ამის პარალელურად კი ჯაკარტის ცენტრში, აშშ-ის საელჩოსთან ასობით სტუდენტი შეიკრიბა საპროტესტო აქციაზე და ბუშის ბალიზე ჩასვლა აშშ-ის დროშის დაწვით გააპროტესტეს.

## ავღანელი მზეთუნახავი მსოფლიოს წინაშე

ფილიპინების დედაქალაქში სილამაზის კონკურსში „მის მსოფლიოს“ ტიტულის მოსაპოვებლად 25 წლის ავღანელი ვიდა სამაძაიც მიიღებს მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, გახდება თუ არა იგი პლანეტის ულამაზესი ქალბატონი, ავღანეთის ისტორიაში მაინც დიდ ადგილს დაიჭერს. ქვეყანაში თალიბთა 30-წლიანი ბატონობის შემდეგ იგი პირველი ავღანელი ქალია, ვინც სილამაზის კონკურსზე წარდგება. მანამდე 1974 წელს ქვეყნის ყველაზე ლამაზი ქალის ტიტული ზოჰრა დაუდას ჰქონდა. თალიბთა მმართველობის პერიოდში ავღანელ ქალს ჩადრისა და გრძელი კაბის გარეშე საზოგადოებაში გამოჩენა ეკრძალებოდა. ვიდა სამაძაი კი „მის მსოფლიოს“ კონკურსზე საცურაო კოსტიუმით წარდგება.

## მაგნიტური ქარიშხალიდა გვაკლდა

150 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერი მაგნიტური ქარიშხალი ამ დღეებში იწყება. ამერიკელი მეცნიერების თქმით, შტორმის მიზეზი მზის ზედაპირიდან 10 მლნ ტონა იონიზებული გაზის გამოფრქვევაა. ასტრონომების განცხადებით, ასეთი ქარიშხალი 1859 წლის შემდეგ არ ყოფილა. მაშინ მზის ანომალიური აქტივობის გამო ტელეგრაფის მუშაობა შეფერხებულა. მეცნიერთა თქმით, მაგნიტური ქარიშხლები ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანთა ჯანმრთელობის გაუარესებას გამოიწვევს. გარდა ამისა, მოსალოდნელია გართულებები ელექტროგადამცემი ხაზებისა და სატელიტური კავშირების მუშაობაში. ერთ-ერთმა მაგნიტურმა ქარიშხალმა 1989 წელს კანადაში ელექტროსადგურის გაჩერება, ხოლო 1997 წელს კი სატელეკომუნიკაციო თანამგზავრის პარალიზება გამოიწვია.

## მიწისძვრა ჩინეთში

კვირას, გამთენიისას, ჩინეთში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. დაიღუპა 5 და დაშავდა 50 კაცი. სეისმოლოგები 6,8 ბალის სიძლიერის ბიძგებს განსხვავებული ინტენსივობით 7 წუთის განმავლობაში აფიქსირებდნენ. ეპიცენტრში მიწისძვრის სიმძლავრემ 7 ბალს მიაღწია.

# ხელისუფლებას ცინიზმსა და აბუჩად აგდებას არ აპატიებენ



სიების უზუსტობა აშკარა იყო. საინტერესოა, რატომ არავინ აღმოაჩინა ეს უზუსტობები და დარღვევები უფრო ადრე. ამ შემთხვევაში მე პრეტენზია ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ჩინოვნიკებთან მაქვს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ რომელიმე არასახელისუფლებო ძალის წარმომადგენელსაც სურდა ამ სიებში ქაოსის შეტანა.

## — 2 ნოემბერს, მოსახლეობასთან ერთად, რადიკალური პოლიტიკური ძალებიც მშვიდობიან რეჟიმზე გადავლენ

დემოკრატია ცუდია, მაგრამ კაცობრიობას ამაზე კარგი ჯერ არაფერი მოუფიქრებიაო, — ამბობდა ჩერჩილი. ჩვენ აქამდე ვფიქრობდით, რომ ეს „ცუდი და კარგი“ დემოკრატია „თავაწეული დააბიჯებდა“ საქართველოში და თავი მოგვქონდა დემოკრატიული ქვეყნის დემოკრატი მოქალაქეობით... დღეს ჩვენი „დემოკრატობით ცნობილი“ პრეზიდენტი საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება და ქვეყანასაც ამზადებს, მაგრამ რამდენად დემოკრატიულად დამთავრდება ეს საქმე, ცოტა არ იყოს, ძნელი სათქმელია.

უკვე იმის წარმოდგენაც ჭირს, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია ოდესმე თანამშრომლობას მაინც შეძლებენ. ერთმანეთისადმი მიმართული ბრალდების ნიაღვარი უკვე ერთსაც ახრჩობს და მეორესაც, მაგრამ ლანძღვა-გინების კორიანტელს ბოლო მაინც არ უჩანს. როგორც ჩანს, ამ ბრძოლაში ურთიერთდანდობას არ უნდა ველოდოთ (ჩვენდა სამწუხაროდ) და არც იმის იმედად ყოფნა ეგების, ვინმეს თუ ფეხი დაუცდა, მოწინააღმდეგე ჯენტლმენურად შეაშველებს ხელს. ეს ბრძოლა არანაირ წესებს, კანონებს არ ცნობს და არ ემორჩილება — აქ ყველა თავისას ცდილობს. ხელისუფლება საკუთარ მდგომარეობას მთელი მონდომებით და ძალისხმევით ებღაუჭება, ოპოზიცია კი გამალებით ცდილობს იმ მოჯადოებული წრის გარღვევას, რომელიც ხელისუფლებაში მისასვლელ გზას უკეტავს.

დღეს, როდესაც ოპოზიციამ და ხელისუფლებამ ერთმანეთს „ნიღბები ჩამოჰგლიჯეს“, როდესაც ქვეყანაში ამდენი უცხოეთის სპეცსამსახურების აგენტი „აღმოვაჩინეთ“ და ისიც გავიგეთ, რამდენი სეპარატისტი, ქურდი, ჭკუას და გზას (გად)აცდენილი გვყოლია, ისღა დაგვრჩენია, ამ შთამბეჭდავ კონტინგენტს ხელში ნდობის (დეპუტატის) მანდატი მივცეთ და პარლამენტის გზა დავულოცოთ (იმის ღირსიც კი არ გაგვხადეს, რომ საარჩევნო სიებში დავეფიქსირებინეთ)...

წინასაარჩევნო ვითარების ანალიზი და მოვლენების სავარაუდო განვითარების შესახებ პროგნოზირება იურისტ **დავით უსუფაშვილს** ვთხოვეთ:

— წინასაარჩევნო კამპანიები საქართველოში არასოდეს ყოფილა უინტერესო და მდორე. ვინაიდან დემოკრატიული ტრადიციების არმქონე ქვეყანაში არჩევნები იმაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება, ვიდრე სინამდვილეში უნდა იყოს — არჩევნებისგან ხალხი ფუნდამენტურ ცვლილებებს ელის. ეს პოსტკომუნისტური, გარდამავალი ეპოქის თანამდევი მოვლენაა. ჩვენ დავინახეთ და დავრწმუნდით, რომ კომუნისტურ წარსულთან გამკლავება ისე მარტივი არ ყოფილა, რომ ერთი არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა სხვა ტიპის ხალხმა ძირფესვიანად შეცვალოს ქვეყანაც და საზოგადოებაც.

სამწუხაროდ, საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყოველი არჩევნები სულ უფრო და უფრო მეტი დარღვევით ტარდებოდა. თავი იჩინა არჩევნებში სახელისუფლებო ბერკეტის, ადმინისტრაციული რესურსის ჩართვამ ხელისუფლებაში მყოფი ძალებისა და პოლიტიკური ლიდერების სასარგებლოდ. ჩვენმა პოლიტიკურმა ელიტამ ამ საკითხებში საბედისწერო შეცდომა დაუშვა, სამართლებრივი სახელმწიფოს და დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი საყრდენი პოსტულატის (სახელმწიფო აპარატი პოლიტიკურად ნეიტრალური უნდა იყოს და რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარეს არ უნდა იკავებდეს) დამკვიდრების ნაცვლად, მთელი ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენეს პოლიტიკური ლიდერების სასარგებლოდ; ანუ გაგრძელდა კომუნისტური ტრადიცია, როდესაც პარტია უდრიდა ხელისუფლებას, ხელისუფლება კი უდრიდა სახელმწიფოს. აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბდა ზოგადად ოპოზიციისადმი დამოკიდებულება, რომელიც ხელისუფლების თვალში „აუცილებელ ბოროტებად“ აღიქმება, ანუ რაკი დემოკრატიულობა გამოვაცხადეთ, ოპოზიციური პარტიები უნდა არსებობდნენ, ისინი უნდა ავიტანოთო. არადა დემოკრატიულ ქვეყანაში ოპოზიცია აუცილებელ სიკეთედ უნდა აღიქმებოდეს. რადგან მისი არსებობა, როგორც წესი, პროგრესისკენ უბიძგებს პოლიტიკურ ელიტას და საზოგადოებას. დღეს ოპოზიციისადმი დაახლოებით ისეთი დამოკიდებულებაა, როგორიც ექნებოდა სტალინს ტროცკისტებისადმი — ანუ ისინი არიან საზოგადოების მტრები, რომელთა ხელისუფლებაში მიშვება არ შეიძლება (ყველა ოპოზიციონერის ხელისუფლებაში მიშვება, ალბათ მართლაც არ შეიძლება). ამიტომაც ხელისუფლება მმართველი გუნდის ხელისუფლებაში ყოფნისთვის საფრთხის შექმნას დესტაბილიზაციად აღიქვამს, ვინაიდან ხელისუფლებას საკუთარი თავი სახელმწიფოსთან და ქვეყანასთან აქვს გაიგივებული, ეს განაპირობებს ყველა იმ უბედურებას, რაც საარჩევნო პროცესში იჩენს ხოლმე თავს.

სამწუხაროდ, მოქალაქეთა კავშირის ე.წ. რეფორმატორულ გუნდს, რომელმაც, ობიექტურად რომ ვთქვათ, ბევრი კარგიც გააკეთა, სახელისუფლებო ურთიერთობების, არჩევნების და პარტიული სისტემის ჩამოყალიბების საკითხში არანაკლები ბრალი მიუძღვის, ვიდრე მოქალაქეთა კავშირის დღევანდელ ხელმძღვანელობას. რაღაც მომენტში ისინიც მოიხიბლნენ ასეთი ცხოვრებით — სჯობს, თუ სახელისუფლებო ბერკეტს იმისათვის გამოვიყენებთ, რომ გარანტირებული გვქონდეს ხელისუფლებაში ყოფნაო. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ არსებობდეს სისტემა, კანონმდებლობა და საზოგადოებრივი ტრადიციები, რომელიც ამა თუ იმ მმართველს, დღევანდელს თუ მომავალს, ასეთი მსჯელობისა და ქმედების საშუალებას არ მისცემს.

**— სამაგიეროდ, „რეფორმატორებს“ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ უკან მოუბრუნდათ თავიანთი ნამოქმედარი.**

— გეთანხმებით. სახელმწიფოებრივი ცხოვრება ადამიანებს შორის კერძო ურთიერთობებისაგან განსხვავებულია. შესაძლოა მეგობარს გაებუტო, მაგრამ მოქალაქესა და პოლიტიკოსს შორის გაბუტვა დაუშვებელია. მოქალაქე ყოველთვის ფხიზლად უნდა იყოს — თუ პოლიტიკოსმა შეცდომა გულწრფელად აღიარა და თავისი ქმედებით ადასტურებს, რომ გაიაზრა ის შეცდომა, აუცილებლად უნდა მიუტევოს იმისათვის, რომ სახელმწიფო ფუნქციონირებდეს. ჩვენ კომუნისტებს მივუტევეთ ჩადენილი საშინელებები(?!). პირადად მე, მზად ვარ ასევე მივუტევო იმ პოლიტიკურ ლიდერებს, რომელთაც გუშინ დაუშვეს შეცდომა, თუკი დავინახავ, რომ მათ გულწრფელად აღიარეს და ცდილობენ ამ შეცდომის გამოსწორებას. სახელისუფლებო გუნდს რომ მოვუსმინოთ, დღეს ოპოზიციაში გადასული ადამიანები სჩადიოდნენ რაღაც საშინელებებს, რომლებიც თავად (არც პრეზიდენტმა და არც მინისტრებმა) არ იცოდნენ, ამის თქმა უზნეობაა. ასევე უზნეობად მიმაჩნია ზოგიერთი დღევანდელი ოპოზიციონერის დისტანცირება ჩადენილი ქმედებებისაგან — მაშინ ხელისუფლებაში კი ვიყავი, მაგრამ არაფერი გამიფუჭებიაო... მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ვილაცას (პრეზიდენტით დაწყებული უბრალო მოქალაქით დამთავრებული) სიცოცხლის ბოლომდე ვუძახოთ — გუშინ ეს რომ ჩაიდინეთ, აღარ გაქვთ პოლიტიკაში ყოფნის შანსიო. ჩვენ ყველას უნდა მივცეთ შანსი, თუკი დავინახავთ, დღეს ცუდს აღარ სჩადის და მიხვდა, რაც წარსულში შეეშალა.

**— ოპოზიცია ხშირად აპელირებს საკითხით — რაკი პრეზიდენტი სახელისუფლებო პარტიის ლიდერია, ნეიტრალური ვერ იქნება და აქედან გამომდინარე, არჩევნების ობიექტურობაც სათუოაო.**

— არცთუ იშვიათად ხდება, რომ ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ჯგუფის ლიდერი პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრია და ამ ქვეყნებში ობიექტური არჩევნები ტარდება. არ არის აუცილებელი პრეზიდენტის დისტანცირება პოლიტიკური ჯგუფებისაგან, მაგრამ მას კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული თავისი, როგორც პრეზიდენტის, როლი და პასუხისმგებლობა. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში ასეა. როდესაც პრეზიდენტი ღიზიანდება რომელიმე პოლიტიკური ოპონენტის განცხადებებითა და ქმედებებით, მან უნდა გაიხსენოს, რომ ქვეყანაში პრეზიდენტი, უპირველესად ადამიანის უფლებების დაცვის გარანტია, რომ მას ევალება თითოეული მოქალაქის კონსტიტუციური უფლების დაცვა, რაც გულისხმობს სიტყვის, გადაადგილებისა და შეკრებების თავისუფლებას. ეს ყველაფერი უნდა უზრუნველყოს პრეზიდენტმა და ამის შემდეგ შეუძლია, გამოთქვას საკუთარი შეხედულება (როგორც პოლიტიკოსმა) ოპონენტის მიმართ.

**— დღეს ხელისუფლება წინასაარჩევნო დესტაბილიზაციასა და სახალხო მღელვარებებს წინასწარმეტყველებს. ხომ არ არის ეს მისი მხრიდან გამიზნული ინტრიგა, მოუწესრიგებელი საარჩევნო სიების და კიდევ სხვა არაერთი დარღვევის ფონზე, რაც ნამდვილად შეუშლის ხელს არჩევნების ნორმალურად ჩატარებას და ბუნებრივად პოლიტიკური პარტიების უკმაყოფილებასაც გამოიწვევს?**

— თავის დროზე ასევე წინასწარმეტყველებდა ზვიად გამსახურდია. ფაქტობრივად, შემდგომში მისი წინასწარმეტყველება გამართლდა კიდეც, მაგრამ მან ვერ გაიაზრა ერთი რამ — ის, რომ თავისი ქმედებებით ხელს უწყობდა არეულობასა და დესტაბილიზაციას. ანალოგიურ მდგომარეობაშია დღევანდელი ხელისუფლებაც. თუ ის წინასაარჩევნოდ აბსოლუტურად ობიექტურ გარემოს არ შექმნის და კანონების მანიპულაციით შეეცდება ოპოზიციის შეზღუდვას, უთუოდ გამოიწვევს დესტაბილიზაციას. ხელისუფლების გარდა არჩევნებში კიდევ 20 პოლიტიკური სუბიექტი მონაწილეობს. არავინ იცის პოლიტიკური ბრძოლის როგორ მეთოდებს აირჩევენ ისინი. ხელისუფლების უკანონო ქმედება შესაძლოა ერთმა ძალამ მხოლოდ პრესაში გაკეთებული განცხადებით გააპროტესტოს, მეორე პოლიტიკური ორგანიზაცია კი ქუჩაში გამოვიდეს და არ აპატიოს ხელისუფლებას ცინიზმი და აბუჩად აგდება. დესტაბილიზაციას გამოიწვევს ის ფაქტი, თუ რომელიმე სერიოზულმა ძალამ თავი დაჩაგრულად, მოტყუებულად და დამცირებულად იგრძნო საარჩევნო კამპანიის დროს. პრეზიდენტის მითითებით, წინასაარჩევნოდ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონი, ოღონდ დაიბეჭდა მისი ძველი ვარიანტი, რომლის ზოგიერთი მუხლი საკონსტიტუციო სასამართლომ ერთი წლის წინ გააუქმა. ეს, არა მგონია, შემთხვევითი ფაქტი იყოს. ოპოზიციური პარტია ამას ხედავს და ღიზიანდება.

საარჩევნო კოდექსის თანახმად, პოლიტიკური ძალა იმ შემთხვევაშია ვალდებული გააფრთხილოს ადგილობრივი ორგანოები მიტინგის ჩატარების თაობაზე, თუ ეს აქცია ხელს შეუშლის ქუჩაში ტრანსპორტისა და ხალხის გადაადგილებას (ანუ თუ 200-კაციან მიტინგს ატარებ და გზას არ კეტავ, ეს გაფრთხილება საჭირო არ არის). ამ დროს კი პოლიციის თანამშრომლებს ეუბნებიან, — უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, წინასაარჩევნო პერიოდში ყოველგვარი აქცია და საპროტესტო გამოსვლა აკრძალულიაო. ასეთი დეზინფორმაციის მიწოდება ადამიანებისთვის, რომლებიც უშუალოდ მოქალაქეებთან არიან შეხებაში, დაუშვებელია. პოლიციელი, როგორც წესი, თავისი უშუალო უფროსის მითითებებს ასრულებს (სამწუხაროდ, ისინი კანონებს ნაკლებად კითხულობენ), ამიტომ, თუ სადმე 200 კაცი შეიკრიბება და პოლიციელს ეტყვიან, — მათ მიტინგის ჩატარების ნებართვა არა აქვთ, აქცია დაშალეთო, ამით პოლიცია წინააღმდეგობაში მოვა კანონთან და ხალხთან. საბოლოოდ, თუ ვინმემ ამის გამო პროტესტი გამოთქვა, კანცელარიის ჩინოვნიკები და პოლიტიკური ლიდერები იტყვიან, ეს ჩვენი ბრალი არ არის, ეტყობა, ადგილზე მოხდა გაუგებრობაო. ამით გაექცევიან პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, პოლიციას კი ხალხთან დააპირისპირებენ (რაც არ უნდა დავუშვათ). ბუნებრივია, ხელისუფლება ასეთი ქმედებებით დესტაბილიზაციის აღკვეთისთვის არ არის დაინტერესებული, პირიქით, ამისკენ უბიძგებს პოლიტიკოსებს.

სახელმწიფოს მოვალეობაა არჩევნების უზრუნველყოფა — ბიულეტენის დაბეჭდვაც, ურნის დადგმაც და სიების შედგენა-გასწორებაც. დღეს ხელისუფლების რიტორიკა, რომ დაქირავებულმა ამერიკულმა ორგანიზაციამ სიების დამუშავებას თავი ვერ გაართვაო, მიუღებელია. არავინ დაინტერესებულა, ივნისიდან ოქტომბრამდე როგორ მუშაობდა ეს ორგანიზაცია, არადა ხელისუფლებას ყოველდღიურად უნდა გაეკონტროლებინა ეს პროცესი. ოქტომბრის შუა რიცხვებში გამოქვეყნებული სიების უზუსტობა აშკარა იყო. საინტერესოა, რატომ არავინ აღმოაჩინა ეს უზუსტობები და დარღვევები უფრო ადრე. ამ შემთხვევაში მე პრეტენზია ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ჩინოვნიკებთან მაქვს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ რომელიმე არასახელისუფლებო ძალის წარმომადგენელსაც სურდა ამ სიებში ქაოსის შეტანა (რაც, შესაძლოა, პოლიტიკური მიზნითაც იყოს განპირობებული და უფრო სხვა სერიოზული და დასაგმობი მიზნებითაც — ვგულისხმობ საბოტაჟსა და სახელმწიფოს დასუსტებას), მაგრამ ეს ხელისუფლებას არ ამართლებს, ის ფრთხილად უნდა ყოფილიყო. ვფიქრობ, ეს შემთხვევა სერიოზული განსჯისა და გამოძიების საგანი უნდა გახდეს.

**— რამდენად მნიშვნელოვანი და ობიექტური იქნება არჩევნების შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები და ამ პროცესში მათი მონაწილეობა რამდენად განაპირობებს არჩევნების სამართლიანობას?**

— სამთავრობოთაშორისო, ოფიციალური საერთაშორისო ორგანიზაციების (ეუთო, ევროსაბჭო, ევროკავშირი) რეაქცია ყოველთვის პოლიტიკური და გეოპოლიტიკური კონიუნქტურით არის ხოლმე განპირობებული. თუმც არიან ისეთი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც პოლიტიკური კონიუნქტურისაგან შორს დგანან და უფრო პრინციპულები, მართლისმთქმელები არიან, მაგრამ ეს არანაირად არ ნიშნავს, რომ ეუთო ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია საკუთარ თავს მისცემს იმის უფლებას — შავზე თქვას თეთრიაო. არის საკითხები, რასაც ისინიც ვერ მიიღებენ, ვერ გადაყლაპავენ. ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციების როლი არც უნდა გავაზვიადოთ და არც დავაკნინოთ. ამ ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია, ადგილობრივი სუბიექტები (მოსახლეობა, მედია, არასამთავრობო სექტორი, ოპოზიცია) როგორ რეაგირებენ დარღვევებზე. მათთვის უმთავრესია, საკუთარი ქმედებით არ გააუარესონ ქვეყნის მდგომარეობა. ზოგჯერ შეიძლება მათ მიაჩნდეთ, რომ ხელისუფლება ცუდად მოიქცა, მაგრამ ამ ხელისუფლების დაგმობით საზოგადოება ვერაფერს მიიღებს (ოპოზიციის სისუსტის ან მოუმზადებლობის გამო) და გაჩუმდნენ კიდეც.

საერთაშორისო ორგანიზაციები ყოველთვის პირუთვნელად ასახელებენ კონკრეტულ დარღვევებს, მაგრამ როდესაც საქმე მიდის საარჩევნო პროცესის განზოგადებულ შეფასებამდე, აქ ცოტა ფრთხილობენ. მათ პრევენციული როლი უფრო ეკისრებათ, ვიდრე პოსტ ფაქტუმ რეაგირებისა. მათი ყოფნა საარჩევნო უბნებზე და დარღვევების აღნუსხვა უფრო შემაკავებელი ფაქტორია ყველა ჯურის გამყალბებლისთვის, ვიდრე ის, თუ რა იტყვიან არჩევნების შემდგომ.

2 ნოემბრის არჩევნებით საერთაშორისო ორგანიზაციების დაინტერესება უპრეცედენტოდ მაღალია. შესაბამისად, არა მგონია, რომ საქართველოში რაც არ უნდა მოხდეს, ამ ხალხმა ეს მხოლოდ აღიაროს, ბეჭედი დაუსვას და წავიდეს. ამ მხრივ, აზერბაიჯანის ვითარება განსხვავდება აქაური სიტუაციისგან. აზერბაიჯანში ალიევების რეჟიმს მოსახლეობის დიდი ნაწილი უჭერდა მხარს და, შესაბამისად, ოპოზიციის გავლენა ხალხზე სუსტი იყო. ასეთ დროს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ოპოზიციის წახალისება და ალიევებზე დარტყმა მოსახლეობის დიდი ნაწილის საწინააღმდეგო იქნებოდა. საქართველოში კი, როდესაც ხელისუფლებას მცირე მხარდამჭერი ჰყავს და ოპოზიციურ პარტიებს — გაცილებით მეტი, საერთაშორისო ორგანიზაციები უფრო თამამად გააკეთებენ ხელისუფლებისთვის არასასურველ დასკვნებს, თუკი დარღვევებს დაინახავენ და კონკრეტული ფაქტებიც ექნებათ.

**— ზოგიერთ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას რეგიონებში ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა დახვდა, ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, ვითარების უფრო დაძაბვა?**

— 2 ნოემბერს, მოსახლეობასთან ერთად, რადიკალური პოლიტიკური ძალებიც კი მშვიდობიან რეჟიმზე გადავლენ, პარტიულ საქმიანობაზე გადაერთვებიან, ამიტომ ვითარების უფრო დაძაბვას ნაკლებად ველი.

გასულ კვირას ბათუმში მომხდარ ინციდენტსა და ბოლნისის ამბავს შორის ბევრი პარალელის გავლება შეიძლება. ეს რეგიონები სავსებით მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ ისეთი ტიპის მოვლენებისთვის, როგორიც არის თავისუფალი საარჩევნო კამპანიის წარმოება, ან კიდევ სრულიად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ძალის გამოჩენა ასპარეზზე. ეს და კიდევ ბევრი სხვა რეგიონი ჯერ ისევ რჩებიან კომუნიზმის ანკლავებად საქართველოში, სადაც ხელისუფლება და მოსახლეობის ნაწილიც ძველებურად აზროვნებს.

ის, რაც დღეს აჭარაში ხდება, ჩვენი ხელისუფლების 10-წლიანი წაყრუების შედეგია. ან რას ჰგავს ჩვენი ხელგაწვდილი მინისტრების ვოიაჟები აჭარაში — იქნებ ბ-ნმა ასლანმა გაიმეტოს რამე, რომ ბიუჯეტი შევავსოთო. რატომღაც ვერანაირი ადმინისტრაციული ბერკეტი ვერ ამოქმედდა აჭარასთან მიმართებით, რატომღაც პრეზიდენტმა და ხელისუფლებამ არასდროს მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, როდესაც რეგიონის ხელისუფლება არასწორად იქცეოდა.

ჩვენი ცენტრალური ხელისუფლება იმდენად სუსტია, რომ ამ პრობლემასთან გამკლავების თავი არ აქვს. ამავდროულად, ცენტრალურ და აჭარის ხელისუფლებასაც ხელს აძლევდა ეს კინკლაობა. აჭარაში ცენტრალური ხელისუფლების სახით შეიქმნა მტრის ხატი, რომელიც აბაშიძის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობას გეგმავს და ეს მითი განაპირობებს ასლან აბაშიძის ხელისუფლების არსებობას. ამავდროულად, 1999 წლის არჩევნებმა ჩაიარა ლოზუნგით — პრეზიდენტ შევარდნაძეს და მის პარტიას თუ არ დავუჭირეთ მხარი, მოდის შავბნელი ძალა, რომელიც რუსეთში შეგვათრევსო, ანუ ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ეს ვითარება შევარდნაძესაც აძლევდა ხელს და აბაშიძესაც. ამასობაში, ოპოზიცია ამ ორ ძალას შორის დარბოდა იმის მიხედვით, თუ რომელი რას შესთავაზებდა...

ძნელია წინასაარჩევნო დაპირისპირებების დროს უფრო მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე ლაპარაკი, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არჩევნები ასე თუ ისე ჩაივლის, ამ პრობლემასაც ცივი გონებით ისე მოევლება, როგორც ქვეყანას და ხალხს მიაჩნია სწორად და არა — რომელიმე პოლიტიკურ ლიდერს.

***დაჩი გრძელიშვილი***
***იზო რიკაძე***

CMYK

# „ლირიკული გადახვევა" არჩევნებამდე, ანუ ცნობილი სახეები „ჩარჩოს" გარეშე



ნიკო „მესხი" 80 ლარად შეფასდა

გამოდიან თუ არა ქართველი პოლიტიკოსები „საკუთარი ჩარჩოდან"? ვინ არის მათი იდეალი, ფავორიტი ან რჩეული? რა უყვართ, რა იტაცებთ ან რისი ნიჭი აქვთ? — ამ კითხვებზე პასუხი ამას წინათ, კლუბ „ნოა-ნოაში" ჩატარებულმა საღამომ გაგვცა.

აპოლიტიკური შოუ — ასე დაარქვეს ჟურნალისტებმა გასართობ პროგრამას. იდეის ავტორის, **მარიკა კახაძის** თქმით, — საღამოს მიზანია, პოლიტიკოსები (და არა მარტო ისინი) ცოტა ხნით მაინც მოსწყვიტონ წინასაარჩევნო დაძაბულ რიტმს. რომ ცნობილმა სახეებმა „ლირიკული გადახვევით" თვითონაც იხალისონ და სხვებიც გაახალისონ...

კლუბ „ნოა-ნოას" კედლები ფოტოებით იყო მოფენილი. ამ ფოტოებიდან კი სწორედ ნაცნობი სახეები იმზირებოდნენ საკმაოდ ორიგინალური ფორმით.

— შოუს ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე, მოვინახულეთ ცნობილი პიროვნებები და ასეთი კითხვა დავუსვით: ვინ იყო თქვენი საყვარელი ლიტერატურული გმირი და ვის სახეს მოირგებდით სიამოვნებით. იოლად აგვყვნენ და დაგვისახელეს თავიანთი ფავორიტები. ძალზე საინტერესო იყო ფოტოგადაღებები (ფოტოების ავტორი ლევან ლომაძეა). არც ერთს არ დაზარებია თავისი გმირის გრიმისა და ტანსაცმლის მორგება.

— *ვინმემ გითხრათ უარი შოუ-პროგრამაში მონაწილეობაზე?*

— ბატონმა შალვა ნათელაშვილმა გვთხოვა, ოღონდ ახლა გამანებეთ თავი და როცა მეორეჯერ გადაწყვეტთ აპოლიტიკური საღამოს ჩატარებას, ერთ-ერთი პირველი მე მოვალო. ასევე არ ეცალათ სააკაშვილს და ბურჯანაძეს...

— *სიამოვნებით ვინ დაგთანხმდათ „ჩარჩოდან" ამოსვლაზე?*

— ბატონმა **ნიკო ლეკიშვილმა** თავი მესხისტად წარმოგვიდგინა. თურმე ახალგაზრდობიდანვე ჰყვარებია მიშა მესხი, ამიტომაც ჩაიცვა თეთრი მაისური, ზედ „11" ნომერი და თავისი სახელი „ნიკო" დაიწერა და ბურთიც მოიმარჯვა. რომ გვეთქვა, მოედანზე გადი და ითამაშეო, მგონი, არც ამაზე გვეტყოდა უარს.

პარლამენტარმა **ლევან პირველმა** ნაცისტის ფორმა მოიხდინა. მართლაც დაემსგავსა ესესელს...

მთამსვლელმა **გია თორთლაძემ** კი „მეკობრეობა" აირჩია...

„ყაზბეგის" ლიდერმა **გოგი თოფაძემ** ნადირობა მიტაცებსო და მონადირის აღკაზმულობით ინება სურათის გადაღება, თანაც მუსიკაც ძალიან მიყვარსო და როიალთან ჩამოჯდა.



მთამსვლელმა გია თორთლაძემ „ზღვასაც შეუტია"...



ზუზა ღუღუნიშვილი უდეზდემონოდ

ხელისუფლებასთან მუდმივ ოპოზიციაში მყოფმა **ირაკლი წერეთელმა** კვლავ თავისუფალი კაცის იმიჯი ამჯობინა „კოვბოის" ქუდითა და ბენდენით, თან რევოლვერიც დაიჭირა, აქაოდა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, მომხდურსაც მოვიგერიებ და იქითაც შევაშინებ ბევრსო.

საერთაშორისო ექსპერტის, **მაია ნიკოლეიშვილის** იდეალი ანჟელა დევისი ყოფილა. მუდამ მოუცლელ ექსპერტს არ დაზარებია, თმა დაეხუჭუჭებინა და ზანგი ქალის გრიმი გაეკეთებინა.

ბატონ **ზუზა ღუღუნიშვილს** ისე ჰყვარებია აკაკი ხორავა, ყველა მისი როლი ზეპირად სცოდნია. განსაკუთრებით „აფასებდა" ხორავას ოტელოს, ამიტომაც ჩაიცვა შექსპირის გმირის სამოსი და სახეც „შავად" გაილამაზა...

ასე გახალისდნენ შოუს გმირები წინასაარჩევნოდ.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ჟურნალისტები და ახალბედა მსახიობები...

საღამოს სტუმრებს შორის ბატონები თემურ მღებრიშვილი და ავთანდილ მარგიანიც უნდა ყოფილიყვნენ. პირველმა მოუცლელობა მოიმიზეზა, რა ვქნა, თქვენ რომ კარგად გაერთოთ, ხალხს რომ მშვიდად ეძინოს, მე სულ ფხიზლად უნდა ვიყო და მუდამ „პოსტზე" ვიდგეო. ავთანდილ მარგიანს კი ისეთი რამ შეემთხვა, რაც მხოლოდ სვანებს ემართებათ... მოკლედ, ფოტოგადაღებებზე მარგიანი კაზაკი გენერლის ფორმაში გამოეწყო. შოუს წინა დღეს კი თავისი წარმომადგენელი გაგზავნა სასტუმრო „მარიოტში" და დაავალა მოძებნე „ნია-ნია" და ჰკითხე, როდის უნდა მივიდეო. რაღა თქმა უნდა, მისმა წარმომადგენელმა „ნია-ნია" ვერ იპოვა „მარიოტში" და ამიტომაც ეს საღამო ბატონი ავთოს გარეშე ჩატარდა!..

## შოუს მონაწილეთა „ლირიკული გადახვევები":

„კაცო, სულ მეკითხებიან, რატომ აქვთ პარლამენტარებს ასეთი მაღალი ხელფასი, თანაც არასდროს უგვიანდებათო. მე კი არანაკლებ გაკვირვებული ვპასუხობ, — აბა, როგორ ფიქრობთ, ამდენი წელი უფასოდ ვინ გაგართობთ-მეთქი" ბრძანა ბატონმა ზუზამ და „ოტელოს" მონოლოგი ისე წაიკითხა, დიდი ოვაციაც დაიმსახურა.

ერთ-ერთმა ქალბატონმა გაიხუმრა, მეშინია, ოტელომ არ დამახრჩოსო. ბატონ ზუზას ყურს არ გამოჰპარვია რეპლიკა და მთელი სერიოზულობით გაეპასუხა, — ეგ ჩემი გადასაწყვეტია, ვისაც დავახრჩობო...

ყველაზე ორიგინალური მაინც ფინალი იყო, როცა ორმა პატარა „კმარისტმა" სცენაზე გარღვეული ტომარა — „ბიუჯეტი" გამოიტანა. დიდი მახათით სასწრაფოდ გაკერეს ჟურნალისტებმა და მისი ამოვსება აუქციონით სცადეს. აუქციონზე თავიანთი გმირების სამოსში გამოწყობილ „შოუმენთა" ფოტოები წარმოადგინეს. თითოეულის საწყისი ფასი 40 ლარს შეადგენდა. ყველაზე ხელგაშლილნი ლევან პირველი და ზუზა ღუღუნიშვილი აღმოჩნდნენ. სხვათა შორის, მათ ერთმანეთის ფოტოებიც შეიძინეს. ლევან პირველის ფოტო 120 ლარად გაიყიდა, ზუზა ღუღუნიშვილის და გია თორთლაძისა კი 100-100 ლარად, სხვებისა 50-70 და 80 ლარად შეფასდა. ასე შეივსო „ბიუჯეტი".

პოლიტიკური შოუ დამთავრდა და ყველამ ერთად (მონაწილემ თუ სტუმარმა) აღიარა, რომ ასეთი „ლირიკული გადახვევა" დაძაბულ დროს უფრო აუცილებელია, რადგან გახალისებული ადამიანი არაფრის დიდებით ქვებს არ დაუშენს თავის თანამემამულეს, თუნდაც სრულიად განსხვავებული იდეებით აღჭურვილს.



„ესესელი" ლევან პირველი 120 ლარად გაიყიდა...

***მარინა ბაბუნაშვილი***




## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **ლელა ჯიყაშვილი** — „გოდერძი ჩოხელი: ის, რაც მთამ მასწავლა..." — 97 ხმა
2. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „კვირის პალიტრა" პატარა, მაგრამ დიდი გამარჯვების მომსწრე გახდა..." — 93
3. **ვაჟა გავაშელი** — „გაჩვენებ ვინცა ვარ, გაიგე?!" — 89
4. **დაჩი გრძელიშვილი** — „ეს ხომ აშკარა დაცინვა და არჩევნების მთავარი პრინციპის უგულებელყოფაა" — 26
5. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე" — 15
6. **ლელა ჯიყაშვილი** — „მარი ჯანაშია: ძალიან მდიდარი ვარ" — 12
7. **მარინა ბაბუნაშვილი** — „ლამაზი ამბავი" — 8
8. **ჯაბა ლეონიძე** — „ლევან კალაძეზე ახალმა ინფორმაციამ გამოჟონა?!" — 6

9-10. **ეკა ლომიძე** — „კაცი, რომელიც სიმღერით „ხურავს" ქალაქს..." — 6

9-10. **მარი ზანდუკელი** — „ხელისუფლება ვერ გაბედავს, რომ მოსახლეობას ხელკეტებით გადაუაროს" — 5

მკითხველის სახელით პრემიას **ლელა ჯიყაშვილი** მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის" მფლობელი 375-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# თბილისობა კარნავალს უნდა ჰგავდეს...



კიდევ ერთი ტრადიცია დაირღვა და თბილისობის დღესასწაული ოქტომბრის ბოლო შაბათ-კვირის ნაცვლად, ბოლო პარასკევ-შაბათს ჩატარდება. ორი დღის ზეიმისა და დროს ტარების შემდეგ 2 ნოემბერს პირდაპირ საარჩევნო ურნებთან მოგვიწევს მისვლა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. სწორედ ამიტომ, ოპოზიციური პოლიტიკური სუბიექტები შიშობენ, რომ ხელისუფლება წინასაარჩევნოდ დაგეგმილ სახალხო ზეიმს თავის სასარგებლოდ გამოიყენებს; რომ თბილისობაზე, ზედ არჩევნების წინა დღეებში დარიგებული პენსიები, ხელფასები და დედაქალაქის კოსმეტიკურად შელამაზებული იერი ამომრჩევლებს გულს აუჩუყებს და შესაბამისად სახელისუფლებო ბლოკი ელექტორატს წაართმევს ოპოზიციას. ვნახოთ, რას ფიქრობენ თბილისელები ამ ფაქტთან დაკავშირებით.

**გურამი** (მძღოლი): ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, როდის გამართავენ თბილისობის დღესასწაულს. ერთი ვიცი, პირველ ნოემბერს ჩემი შვილის დაბადების დღეა და აუცილებლად მომიწევს ქეიფი. არჩევნებზეც აუცილებლად მივალ. ცუდი „პახმელია" ვიცი. უჟმურ ხასიათზე ვდგები და თუ ვინმესთვის ანგარიში მაქვს გასასწორებელი, ამ დროს ყველაზე კარგად ვახერხებ ამას... ასე რომ, ეშინოდეს იმას, ვინც ამ ოთხი წლის განმავლობაში პარლამენტიდან მაბრაზებდა. საარჩევნო ბიულეტენში შემოსახაზ ნომერს სწორედ ამ განწყობით შევარჩევ.

**ნათელა** (პედაგოგი): — ამბობენ, თბილისობა იმიტომ გადაიდო, რომ ხელისუფლებამ პენსიების და ხელფასების დარიგება ვერ მოასწრო 25-26 ოქტომბრისთვისო. რა მნიშვნელობა აქვს, მაგათი მოცემული ფულით როდის ვიყიდდი ბაზარში პროდუქტს — 25-26-ში თუ 31-1-ში. იმდენად უმნიშვნელო გასამრჯელო გვაქვს, რომ მაინც არაფერში გვყოფნის. მე იმის მეშინია, თბილისობაზე ერთმანეთს არ დაუპირისპირდნენ ეს გადარეული პოლიტიკოსები და ქეიფით და ლხინით გალაღებული ხალხი ერთმანეთს არ წაჰკიდონ.

**მანანა** (დიასახლისი): — ყოველ დილით რომ ვიღვიძებ, ვოცნებობ, ნეტავ 2 ნოემბერი უკვე გასული იყოსმეთქი. თბილისობა რომ გადასწიეს, არ მომწონს. ღმერთმა ყველაფერი მშვიდობიანად დაასრულოს. ისე, ახლანდელი ყველაზე მძიმე „თბილისობა" იქნება ჩვენი პოლიტიკოსებისათვის. ხომ წარმოგიდგენიათ, 2 ნოემბერს რა გულის კანკალით გაათენებენ.

**თაკო** (ტინეიჯერი): — აქამდე როგორი თბილისობაც იყო, მე ისეთი არ მინდა. თბილისობა კარნავალს უნდა ჰგავდეს. სადაც ყველა ბედნიერი იქნება საზეიმო განწყობით და არა ისე, როგორც აქამდე იყო — ცხოვრებისეული პრობლემებით გატანჯული ხალხი თბილისობაზე ისე გამოდის, როგორც დიდ ბაზრობაზე, იქვე ჭამს, იქვე სვამს, ზოგჯერ მგონი იქვე სძინავს და ბოლოს ეს ჩვენი ისედაც დაბინძურებული დედაქალაქი ბრძოლის ველს ჰგავს.

**ზვიადი** (მშენებელი): — ხელისუფლებას ერთ რამეს ვურჩევ. რადგან გადადეს თბილისობა და წინ რამდენიმე დღეა, მოიტანეთ ულამაზესი საღებავები, გადავღებოთ მთელი ქალაქი ნათელი ფერებით, ტროტუარები „არიელით" გავრეცხოთ და საარჩევნო პლაკატებისა და ლოზუნგების მაგივრად ყველგან გამოვკიდოთ ლოზუნგები „გაიღიმეთ". აი, მაშინ კი არჩევნებიც მშვიდობიანად ჩაივლის, რადგან სადაც ღიმილია, იქ მტრობა ფეხს ვერ მოიკიდებს.

***ეკა ლომიძე***

# „ნოუ-ჰაუ" — ქურდობის ახალი ხერხი საქართველოში

## ტვირთს პირდაპირ „ნახადუ" გპარავენ



დღეს უკვე ოფიციალური სტრუქტურებიც აღარ უარყოფენ, რომ ერგნეთის ბაზრობიდან საქართველოში მომავალი სხვადასხვა სახის ტვირთი ძალოვანი უწყებების გამდიდრების წყაროდ იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალის ტერიტორიიდან ჩვენში შემოსული საქონელი, როგორც წესი, კონტრაბანდულია, ხოლო თბილისისკენ მომავალი ტრასა კონტრაბანდის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურებით არის გადაჭედილი, კონტრაბანდული ტვირთი ადრესატამდე მაინც უპრობლემოდ მიდის. ცხადია, ეს კონტრაბანდის მფლობელს განსაზღვრულ თანხად უჯდება. თუმცა, როგორც ირკვევა, კონტრაბანდისტებს, გარდა ძალოვანი სამსახურების წარმომადგენლების გულის მონადირებისა, სხვა, გაცილებით სერიოზული პრობლემებიც აქვთ გზებზე მოკალათებული ქურდების სახით. ოფიციალური სტრუქტურებისგან განსხვავებით, ქურდებს ფული არ აინტერესებთ, ისინი ტვირთებზე ნადირობენ.

„კვირის პალიტრა" ესაუბრა სატვირთო მანქანის მძღოლს, რომელსაც ხშირად უწევს ცხინვალიდან თუ ვლადიკავკაზიდან სხვადასხვა სახის ტვირთის გადმოტანა. მძღოლი, რომლის თხოვნითაც მის ვინაობას არ ვასახელებთ, ადასტურებს, რომ ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიებზე სატვირთო მანქანების გაქურდვამ შემაშფოთებელი სახე მიიღო (სტილი დაცულია):

— ცხინვალსა და ორჯონიკიძეში კვირაში ორსამჯერ მიწევს გადასვლა. ბოლო დროს ისე გახშირდა „ტავარის" ქურდობა, იშვიათად შეხვდები მძღოლს, რომელიც არ გაუქურდავთ. გორიდან ცხინვალისკენ ბევრი გზა გადის, ქურდები ყველგან არიან ჩასაფრებულები და მძღოლებს ძალიან აზარალებენ. ისღა დაგვრჩენია, საკუთარი თავი ბედს მივანდოთ და ვილოცოთ, რომ ამ წვრილფეხობას ჩვენი მანქანა გამორჩეს.

**— ასე ძნელია ქურდების დაფიქსირება და მათთვის ხელის შეშლა? მით უმეტეს, როცა მანქანას გააჩერებთ, ხომ ხვდებით ან ხედავთ, უცხო მიეკარა თუ არა?**

— საქმეც ის არის, რომ გაჩერებული მანქანიდან ტვირთს არავინ იპარავს. სასადილოსთან გაჩერებულ მანქანებს ვერავინ მიეკარება. სასადილო მძღოლებით არის სავსე და ვის აქვს ორი თავი, ამ დროს რამე მოგპაროს... ტვირთს პირდაპირ, „ნახადუ" გპარავენ. იქ ისეთი გზებია, ნელა მიდიხარ. სულ ორი კაცია საჭირო, რომ „გრუზი" გაგინახევრონ. ერთი ტყიდან გამოხტება, შემოგიხტება „კუზაოზე" და ტვირთს დაბლა ჩაყრის, მეორე — ბუჩქებში გადაათრევს. მძღოლი ამ დროს ვერაფერს ამჩნევს. ასეთ შემთხვევაში ტვირთის პატრონი კი არა, მძღოლები ვზარალდებით — პატრონს დანაკარგი ხომ უნდა აუნაზღაურო. ფული გადაგიხადა, ტვირთი ჩაგაბარა და შენც უდანაკარგოდ უნდა მიუტანო დანიშნულების ადგილამდე. სამი კვირის წინ შაქარი გადამქონდა ორჯონიკიძეში. გორიდან ვარიანის გზით წავედით. ამ გზაზე შედარებით ნაკლებად გვაკონტროლებენ და ტვირთის პატრონი წინასწარ აგვარებს საქმეს. ლეგიონი თუ ინსპექცია მძღოლს არ აჩერებს და უპრობლემოდ მიდიხარ შენი „გრუზით". იმ დღეს ხუთი მანქანა გავედით. სულ ბოლოს მე მივდიოდი, ალბათ სამშვიდობო ნაწილებამდე შემომიხტნენ „კუზაოზე". არაფერი გამიგია, ორჯონიკიძეში რომ მივედით, ცხრამეტი „მეშოკი" შაქარი მაკლდა. რა უნდა მექნა? მერე სამი რეისი სულ მუქთად გამაკეთებინეს. ფული აღარ მომცეს, დანაკარგი ხომ უნდა ამოეღოთ. სხვა შოფრებიც ასეთ დღეში არიან. არადა, სად გინდა იჩივლო?! პოლიციაში ხომ არ მიხვალ და იტყვი: კონტრაბანდა მიმქონდა და გამქურდესო.

**— ხომ შეიძლება სატვირთო მანქანას უკან მსუბუქი მანქანა გამოჰყვეს, ასეთ შემთხვევაში ხომ ველარ მოახერხებენ მოპარვას?**

— წესით ასეც უნდა იყოს, — უკან ტვირთის პატრონი უნდა მოგყვებოდეს, მაგრამ სხვადასხვა რამეს იმიზეზებენ. ვინ იცის, შეიძლება თვითონვე გიჩალიჩებენ, რომ მერე მუქთაზე გამუშაონ, მაგრამ ამას ვერ დაამტკიცებ.

**— წელან თქვით, რომ ვლადიკავკაზში შაქარი გადაგქონდათ. შაქარი რუსეთიდან შემოდის საქართველოში და აქედან გატანილი ვის რაში უნდა?**

— ეს თქვენ გგონიათ, რომ ბაზარში რუსულ შაქარს ყიდულობთ. სინამდვილეში, ეს შაქარი საქართველოში ამერიკიდან შემოსულ ნედლეულზეა დამზადებული. მაგარი აფერა მიდის — შაქარს ტომრებში ყრიან და სატვირთო მანქანებით ორჯონიკიძეში გადააქვთ. იქ „ცეხებში" შაქარს ახალ ტომრებში აფასოებენ. ამ ტომრებს რუსული დამღა აქვს და აწერია, რომ შაქარი ვოლგოგრადში ან რომელიმე სხვა ქალაქშია წარმოებული. მერე ამ „ტავარს" ისევ ჩვენ გვიწყობენ და უკან, საქართველოში გადმოგვაქვს. ბაზარზე რომ გახვალ, ქართულ შაქარს ფასი 38 ლარი აწერია, რუსულს — 40. ორი ლარი არც ისე დიდი სხვაობაა. მუშტარი ფიქრობს, რომ ორმოცლარიანი შაქრის ყიდვით სუფთა რუსულ პროდუქტს შეიძენს. ამაზეა გათვლილი მთელი ეს აფერა.

**— ეს ხომ სერიოზული დანაშაულია...**

— ყველამ იცის, რომ ასე ხდება, მაგრამ ხმას არავინ იღებს იმიტომ, რომ თავისი წილი ამ საქმიდან ყველას (ვისაც საჭიროა) აქვს. ერთადერთი, წვრილფეხა ქურდობა უშლის ამ ბიზნესს ხელს, მაგრამ ამით მარტო მძღოლები ვზარალდებით...

***დავით დევიძე***

# „პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშები შორს არის რეალურისგან"

*გასულ კვირას „კვირის პალიტრამ" გამოაქვეყნა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიშები, რომლებიც მათ ანტიკორუფციული საბჭოს მონიტორინგის ჯგუფს წარუდგინეს. მაშინ ვწერდით, რომ ამ ტიპის ანგარიშები ჯერ კიდევ მიტანილი არ ჰქონდათ სახელისუფლებო ბლოკს, „აღორძინებას" და „ნაციონალურ მოძრაობას". აქვე დავძენთ, რომ ეს „შეცდომა" „აღორძინების" გარდა ყველამ გამოასწორა. „კვირის პალიტრა" აგრძელებს პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური ანგარიშის გამოქვეყნებას.*

### ბლოკი „ახალი საქართველოსთვის"

ბლოკის ფონდის მმართველი თამაზ გიორგაძეა. მონაცემები დათარიღებულია 21 ოქტომბრის მდგომარეობით. ბლოკს ოთხი ფიზიკური პირი ჰყავს შემომწირველი. იურიდიული პირის გრაფა კი გადახაზულია. მაშ ასე: „ახალი საქართველოსთვის" 7 ოქტომბერს მურმან ყაჩილავას გადაურიცხავს 42.200 ლარი, მიხეილ გაბრიჩიძეს 8 ოქტომბერს 44.700 ლარი, ზაზა გუმბერიძეს 13



ოქტომბერს 104.800 ლარი, ლევან წულაიას 16 ოქტომბერს 101.340 ლარი. სულ შემოწირულობების ჯამი შეადგენს 293.040-ს. ბლოკის სარეკლამო ბროშურები დამზადებულია შპს „სეზანში", რისთვისაც გადაუხდიათ 14.000 ლარი, სარეკლამო პლაკატები კი შპს „ექოში" — 52.273 ლარი და 84 თეთრი. სარეკლამო რგოლებისთვის შპს „კომპანია იმპერიალში" დაუხარჯავთ 164.300 ლარი, ხოლო ბილბორდებისთვის შპს „აისში" — 11.371 ლარი და 69 თეთრი. ბლოკის ინიციატივით ორი კონცერტი ჩატარებულა. პირველი მათ 8.500 ლარი დაუჯდათ, მეორესთვის კი შპს „ორერას" 31.500 ლარი გადაუხადეს.

### ბლოკი „სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა"

ფონდის მმართველია ლევან მენაბდე. შემომწირველთა მონაცემებში მხოლოდ შპს „ქართული იურიდიული ჯგუფი" ფიგურირებს, რომელსაც 18 ოქტომბერს 20.000 ლარი შეუწირავს. რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, ჩამონათვალში 10 პიროვნებაა მოხსენიებული და მხოლოდ ოქტომბრის მონაცემებია დაფიქსირებული. ესენია: მარიამ ტურაშვილი, თორნიკე ნიკოლაიშვილი, იზოლდა იმნაიშვილი, დათო მაჭარაშვილი, იაკობ ჭელიძე, გივი მებუკე და გიორგი სესიტაიშვილი. ბლოკისთვის თითოეულს 2-დან 3 ათასამდე ლარი შეუწირავს. ხოლო ცოტნე ჭუმბურიძის, მაია ხატიაშვილის და ლილი კინწურაშვილის შეწირული თანხები 1.000-დან 2 ათას ლარამდე მერყეობს. მონაცემები თარიღდება 21 ოქტომბრის მდგომარეობით.

რაც შეეხება ჩვენ მიერ გამოქვეყნებული პარტიების საარჩევნო კამპანიის ფონდის ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს, მათ რეალურობაზე თავად მკითხველმა იმსჯელოს. თუმცა აქვე დავძენთ, რომ, როცა ამის თაობაზე თავად ანტიკორუფციული საბჭოს თავმჯდომარეს კახა უგულავას დავუსვით კითხვა, მან გულწრფელად გვიპასუხა — პარტიების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები შორს არის რეალობისგანო. „კვირის პალიტრა" ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე **კახა უგულავას** ესაუბრა:

— აღნიშნული ფინანსური ანგარიშები აშკარად შორს არის რეალობისგან. თუმცაღა ამის თქმა ყველა პარტიაზე არ იქნება სწორი. არის პარტიები, რომელთა ხარჯები უფრო ობიექტურად არის ასახული. დაკონკრეტებისგან მოახლოებული არჩევნების გამო თავს შევიკავებ. პრინციპში, ჩემთვის მთავარი იყო პროცესი. პრაქტიკულად პირველად გადაიდგა ნაბიჯი პარტიების მხრიდან, რომ ამომრჩევლებისთვის თავიანთი საარჩევნო შემოსავლები გაეცნოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ხალხი აქედან აუცილებლად გააკეთებს დასკვნას. პარტიები ვალდებულნი არიან ცესკოში გადააგზავნონ ეს ხარჯები და ყალბი ინფორმაციის შემთხვევაში, საარჩევნო სუბიექტი შეიძლება დაისაჯოს.

**— კარგია, რომ წარმოდგენილი ანგარიშები ნებაყოფლობითია, მაგრამ საინტერესოა, იყო თუ არა რომელიმე პარტია წინააღმდეგი, საარჩევნო ხარჯები და დაფინანსების წყაროები საჯაროდ გაეშიფრა?**

— წინააღმდეგობა აშკარად არ ყოფილა, მაგრამ ანგარიშები ჯერ არ წარმოუდგენია „აღორძინებას". განგვიმარტეს, რომ ეს ტექნიკური ხარვეზის გამო მოხდა და მონაცემებს დღე-დღეზე მოგვაწვდიან. ვნახოთ, არჩევნებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა...

**— ამბობენ, რომ პოლიტიკური პარტიები ხშირად ანონიმურად ფინანსდებიან ე.წ. „შავი" ფულით. ამ მექანიზმის გაკონტროლება თქვენს ფუნქციაში არ შედის. ამას ვერც ცენტრალური საარჩევნო კომისია გააკეთებს. ვინ უნდა გააკონტროლოს, არის თუ არა რომელიმე პარტია უკანონო შემოსავლით დაფინანსებული?**

— საარჩევნო კამპანიის დროს ანონიმური შემოწირულობა აკრძალულია. ეს ცესკომ უნდა გააკონტროლოს. თუ პარტიამ დამალა შემოსავალი და ხარჯში არ ასახა (რაც ძალიან ხშირად ხდება), ამის გაკონტროლება შეუძლებელია და ძალიან ფაქიზი თემაა. აქ თავს იჩენს საკანონმდებლო ხარვეზებიც. ნებისმიერ პარტიას შეუძლია განაცხადოს, რომ ეს არის პოლიტიკური დევნა, ზეწოლა. ცესკოსაც შეუძლია მხოლოდ დააჯამოს და შეადაროს, მეტი არაფერი.

როცა პარტია ამბობს — მე მინდა ვიყო გამჭვირვალეო — ესეც მიღწევაა. ალბათ პროცესიც იქით წავა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიშები მომავალში მართლაც სამართლიანი და გამჭვირვალე იყოს.

**(დასასრული იხ. გვ. 13)**


# არჩევნები-2003

## მოიგეთ ფერადი ტელევიზორი



ერთგულ მკითხველს აუცილებლად ემახსოვრება 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ჩვენი გაზეთის მიერ გათამაშებული ფერადი ტელევიზორი. მაშინ საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური პარტიების ადგილები 54 წლის ავთო სტურუამ ყველაზე ზუსტად გამოიცნო და გახდა პრიზის მფლობელი. „კვირის პალიტრა" ტრადიციას აგრძელებს და გაძლევთ შანსს მოიგოთ ფერადი ტელევიზორი. ამისათვის საჭიროა შეავსოთ ეს ბარათი და **„კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის")** საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ რედაქციაში.

**თქვენი პროგნოზი** — როგორი იქნება 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები?! მოცემული ათი გრაფა უნდა შეავსოთ პოლიტიკური პარტიების, გაერთიანებების დასახელებით იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ისინი განლაგდებიან 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებში.

## რომელი პოლიტიკური პარტია ან გაერთიანება დაიკავებს I-X ადგილებს საპარლამენტო არჩევნებში?

ტელევიზორს იგებს ბარათი-პროგნოზი, რომელიც ზუსტად დაემთხვევა არჩევნების შედეგებს. იმ შემთხვევაში, თუ ზუსტი პროგნოზი ვერავინ გააკეთა, პრიზს მიიღებს ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი; ხოლო თუ რამდენიმე ზუსტი პროგნოზი აღმოჩნდება, ან იქნება რამდენიმე ერთნაირად მიახლოებული ვარიანტი, პრიზს მიიღებს ის მკითხველი, რომლის პასუხიც ბარათის ბოლოს დასმულ შეკითხვაზე — ამომრჩეველთა რამდენი პროცენტი მიიღებს მონაწილეობას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში? — ყველაზე მიახლოებული იქნება რეალურთან. **წარმატებებს გისურვებთ!**

**„კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ბარათების მოთავსების ბოლო ვადაა თბილისში 29, ხოლო რაიონებში 28 ოქტომბერი.** ამის შემდეგ ისინი რედაქციაში დაილუქება და გაიხსნება მხოლოდ არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადების შემდეგ.

პოლიტიკური პროგნოზი

| ადგილი | პოლიტიკური პარტია/ბლოკი |
|---|---|
| I | |
| II | |
| III | |
| IV | |
| V | |
| VI | |
| VII | |
| VIII | |
| IX | |
| X | |

ამომრჩეველთა რამდენი პროცენტი მიიღებს მონაწილეობას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში?

___________

___________
თქვენი სახელი, გვარი

___________ ___________
ასაკი ტელეფონი

___________
ქალაქი, რაიონი


CMYK

# „დედაქალაქში სამოქალაქო დაპირისპირებებს, შეიძლება, საქართველოს ტერიტორიის კიდევ ერთი ნაწილი გადაჰყვეს(?!)“



**ჩვენივე თავს ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ და არავის უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ბუში და ბეიკერი დასხდებიან არჩევნების დღეს პარაშუტებით საარჩევნო უბნების სახურავებზე და სიტუაციას გააკონტროლებენ.**

*მაშინ, როდესაც პოლიტიკური პარტიები წინასაარჩევნოდ ერთმანეთს დაუნდობლად ლანძღავენ და ურტყამენ, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის აკეთებს პოლიტიკურ სვლებს, რაზეც პოლიტიკურ კულუარებში ჭორაობენ, ხელისუფლებას ნათელაშვილი სააკაშვილის საპირწონედ სჭირდება და ამიტომ აფარებს ხელსო. როგორ აფასებს წინასაარჩევნო ვითარებას* ***შალვა ნათელაშვილი*** *და რაზე აცხადებს პრეტენზიას 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.*

— ვერ გამოვდგები აჭარის ლიდერის პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფსიქოანალიტიკოსად, მხოლოდ ერთს ვიტყვი, — ერთი კვირის წინ ვიყავი ბათუმში. კონსერვატორიის დიდ დარბაზში 500 კაცი შემხვდა. შეხვედრის დასაწყისში წუთიერი დუმილით პატივი მივაგეთ ქალბატონი მაგული გოგიტიძის ხსოვნას, შემდგომ კი ცენტრალური ხელისუფლებაც გავაკრიტიკეთ და ადგილობრივიც. არც სპეცრაზმი მინახავს და არც პოლიცია. შეხვედრა ძალზე დელიკატურად წარიმართა.

ბათუმში მომხდარ ინციდენტში ბრალი ორივე მხარეს მიუძღვის. არ შეიძლება პოლიტიკური პროცესი ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდოს. როდესაც საქმეში მუშტი ჩაერევა, ეს უკვე პოლიტიკა კი არა, ბრძოლაა წესების გარეშე. თუმც სპორტის ამ სახეობასაც აქვს რაღაც წესები, რადგან მას მსაჯი აკონტროლებს. ზემოხსენებულ ინციდენტში კი წესი და ლოგიკა ვერ დავინახე.

პირველად „ნაციონალებისგან“ გაისმა — ბათუმში ჩავალთ და „სეირს გაჩვენებთო“. ბუნებრივია, ამაზე შესაბამისი რეაქცია ჰქონდა ასლან აბაშიძეს, რომელიც არ დაუშვებს საკუთარი ფანჯრების წინ აქციის გამართვის პრეცედენტს.

**— აბაშიძეს ბათუმში აქციების გამართვის ეშინია?**

— ამას შიშს ვერ დავარქმევ. ის უფრო ფრთხილობს, ჯერაც ვერ გადაუხარშავს 1990 წლის მოვლენები. მაშინ პროკურატურის ეროვნებათაშორისი და რელიგიური ურთიერთობების კომიტეტის უფროსი ვიყავი და საკუთარი თვალით ვნახე, როგორ არბევდა ბრბო ბათუმის ქუჩებს.

**— რატომ მოხდა ის ინციდენტი?**

— მაშინ აჭარის ავტონომიის გაუქმებაზე იყო ლაპარაკი და ხალხი ქუჩაში გამოვიდა — ავტონომია არ გააუქმოთო. ერთი აქცია აჭარის ადმინისტრაციის შენობასთან, ასლან აბაშიძის ფანჯრებქვეშ მიმდინარეობდა. პირველ სართულზე მინები ჩალეწა აღელვებულმა ხალხმა. მათ მეტად საყურადღებო ლოზუნგი (რისი გათვალისწინება დღესაც გვმართებს) ჰქონდათ: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ ისლამურ აჭარას!..“ ქართველმა პოლიტიკოსებმა ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდეს. ჩვენს ქვეყანაში მიტინგის ჩატარება იოლია, მთავარია მისი შედეგი გაითვალისწინო.

**— კონკრეტულად, რა ფაქტმა განაპირობა მაშინ ასეთი ლოზუნგის წარმოჩენა?**

— მაშინ აჭარის „მრგვალი მაგიდის“ ხელმძღვანელობით გროვდებოდა ხელმოწერები აჭარის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნით. ამ საქმეს ავთო იმნაძე ხელმძღვანელობდა და მოგეხსენებათ, როგორც წარიმართა მისი ბედი... სიფრთხილე გვმართებს, რათა აჭარაში ეროვნული დაპირისპირების ქარიშხალი არ ამოვარდეს. ასლან აბაშიძის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, „ნაციონალებს“ მიტინგსაც ჩავატარებინებდი და ხმასაც არ ამოვიღებდი, რომც ეშიმშილათ და უზენაესი საბჭოს წინ წამოწოლილიყვნენ. სამწუხაროდ, აჭარაში სხვანაირი გადაწყვეტილება მიიღეს. ალბათ აქ გასათვალისწინებელია ასლან აბაშიძისა და „მოქალაქეთა კავშირის“ ლიდერების (ჟვანია, სააკაშვილი) გამწვავებული ურთიერთობა. ისინი პოლიტიკური ოპონენტები კი არ იყვნენ, ერთმანეთის მიმართ პიროვნული სიძულვილი ჰქონდათ და დღემდეც პათოლოგიურად სძულთ ერთმანეთი.

**— სანამ პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს ეკინკლავებიან, თქვენ პრეზიდენტობის სურვილი გამოთქვით, მაგრამ 2005 წლის არჩევნებამდე პარლამენტში მოგიწევთ შესვლა. სპიკერობას ხომ არ აპირებთ?**

— ჩვენ მზად ვართ ავიღოთ როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო პასუხისმგებლობა. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურად მიგვაჩნია. ჩვენი მხარდამჭერების წყალობით თუ პარტიამ პარლამენტში ადგილების სასურველი რაოდენობა მოიპოვა, თავისთავად ცხადია, პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობასაც ვერ გავექცევი. თუ საკმაო დეპუტატები ვერ გავიყვანე, ხმები გამიხდა სახვეწარი და გადაწყვეტილებების გატანისთვის ვაჭრობა დამჭირდა სხვა პარტიებთან, ბუნებრივია, სახელის და თავის გაფუჭება არ ღირს.

თან არც წარსული გამოცდილების დავიწყება ღირს — როგორც წესი, საქართველოში პარლამენტის თავმჯდომარეებს დიდი მომავალი არ აქვთ ხოლმე — ეს ცხვირის წასატეხი თანამდებობა უფროა, ვიდრე დასაწინაურებელი.

**— არჩევნების შემდგომ დესტაბილიზაციაზე საგანგაშო პროგნოზები კეთდება. თუ მართლაც აირია ვითარება, ლეიბორისტული პარტია როგორ პოზიციას დაიკავებს?**

— ჩვენ რადიკალური ოპოზიცია ვართ, მაგრამ რიყის ქვების სროლას არ ვაპირებთ. სამართლიანი არჩევნების გარეშე პარლამენტში მისვლაც არ გვინდა. თუ ვითარება გამწვავდა, ვეცდებით დაპირისპირებული მხარეები გავაშველოთ. თუ სამოქალაქო ომი დაიწყო, არც არჩევნებს აქვს ფასი, არც პარლამენტსა და არც პრეზიდენტს იმიტომ, რომ ქვეყანა დაგვეშლება. მოსალოდნელია დედაქალაქში სამოქალაქო დაპირისპირებებს საქართველოს ტერიტორიის კიდევ ერთი ნაწილი გადაჰყვეს(?!). ამიტომ ყველამ ჭკუას უნდა მოუხმოს. გამარჯვებასაც შეეგუოს და მარცხსაც, როგორც ჩვენ შევეგუეთ იმას, რომ გამარჯვებული პარტია 1999 წელს პარლამენტიდან გამოგვაგდეს. მაგრამ ამის გამო არ დაგვიწყია ქუჩაში სირბილი და არც ვინმესთვის დაგვიმტვრევია ცხვირ-პირი. თუ გაყალბების მცდელობა იქნა, ფიწლის ხელში აღება არ არის საჭირო. საკმარისია, გავაფრთხილოთ კომისიის წევრები, რომ ისინი საზოგადოებისგან მოკვეთილები იქნებიან და ჩვენთან ვერც ხატობაში მოვლენ, ვერც ლხინსა და ვერც ჭირში. ჩვენივე თავს ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ და არავის უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ბუში და ბეიკერი დასხდებიან არჩევნების დღეს პარაშუტებით საარჩევნო უბნების სახურავებზე და სიტუაციას გააკონტროლებენ.

# „შესაძლოა, პოლიციის ფორმაში გადაცმულმა პირებმა მძიმე ტრავმა მიაყენონ მომიტინგეებს“



*სახელისუფლებო ბლოკის სპიკერი კარგა ხნის წინ გვაფრთხილებდა, — ზოგიერთი პოლიტიკური ძალები სახალხო მღელვარებასა და დესტაბილიზაციას გეგმავენო.*

*გასულ კვირას ბათუმში მეტისმეტად საშიში დაპირისპირება მოხდა. არის თუ არა ეს ის საფრთხე, რომელზეც გვაფრთხილებდა ირინა სარიშვილი და რას აპირებს ქვეყნის სტაბილურობის „გარანტი“ ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნების მშვიდობიანად ჩასატარებლად, ამის გარკვევა სახელისუფლებო ბლოკის სპიკერთან,* ***ირინა სარიშვილთან*** *ვცადეთ:*

— აჭარის ხელმძღვანელობა, რომელიც მომხდარით აღშფოთებულია, ბუნებრივია, „ნაციონალებმა“ კი არა, საქართველოს პრეზიდენტმა უნდა დაამშვიდოს. ცხადია, ეს ყველაფერი პროვოცირების გამო მოხდა. ყველამ მშვენივრად იცის, კარგა ხანია, რაც ბათუმში ისეთი მიტინგი არ ჩატარებულა, სადაც ასლან აბაშიძის ლანძღვა-გინება იქნებოდა. მით უმეტეს, წარმოუდგენელია ამის გაკეთება ქუჩაზე, რომელიც აჭარის უზენაესი საბჭოს წინ მდებარეობს. იქ ჩვეულებრივ დროსაც აკრძალულია მანქანების მოძრაობა, ეს ჩაკეტილი ქუჩაა. როცა ასეთ ტერიტორიაზე ამწვავებ ვითარებას, ცხადია, მას სულ ცოტა, მუშტი-კრივი მაინც მოჰყვება... მაგრამ ეს დაპირისპირება მუშტი-კრივს გასცდა. მას შესაძლოა სერიოზული პოლიტიკური შედეგები მოჰყვეს და თუ არ მოჰყვება, ვიმეორებ, ეს პრეზიდენტის დასარეგულირებელი იქნება და არა იმათი, ვინც ვითარება დაძაბა („ნაციონალებს“ ვგულისხმობ) მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ვილაცისთვის დაენახვებინათ, რა ყოჩაღები ვართო.

**— მიხეილ სააკაშვილი ამბობს, ასლან აბაშიძე პრეზიდენტის მითითების გარეშე ვერ გაგვიბედავდა ანგარიშსწორებასო.**

— ასლან აბაშიძე მშიშარა კაცი ნამდვილად არ არის. ეტყობა, სააკაშვილისთვის ვაჟკაცობა ის არის, რომ თავისი ხალხი წინასწარ გამიზნულ ცემატყეპაზე გაუშვა და თვითონ თბილისში დარჩა. მგონი, მასაც კი უნდა ესმოდეს, რომ ვინმეს ჩოლოქზე გავლას პრეზიდენტთან არასოდეს ათანხმებენ.

**— წინასაარჩევნოდ ვითარების გამწვავებისა და არჩევნების გადადებას საფრთხეს მოუწესრიგებელი სიებიც უქმნის.**

— მგონი უკვე გაირკვა, რომ ყველაზე სრულყოფილი სია შს სამინისტრომ შეადგინა. სიები უკლებლივ გადაეცა ძველ ცესკოს და ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას (ASS-ს), რომელმაც შემდგომ თავისი კომპიუტერული სამსახური მთლიანად დააკომპლექტა „რუსთავი-2“-ის პროგრამისტი თანამშრომლებით (რაზეც პირადად მე ბევრი კითხვა მიჩნდება). ამან გამოიწვია დუბლირებები, კურიოზული დაბადების წლები და ა.შ. ოპოზიცია იმედოვნებდა, რომ ამის შემდეგ ხელისუფლება არჩევნების გადადებაზე დაიწყებდა ლაპარაკს, რასაც კიდევ ერთი მძლავრი ყიჟინა უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ კიდევ კარგი, ახალი ცესკო ირწმუნება, სიებს დროულად მოვაწესრიგებთო.

**— არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებაზე პასუხისმგებელი ხელისუფლებაა, აკეთებს კი ის საიმისოდ ყველაფერს, რომ ამ პროცესმა უექსცესებოდ ჩაიაროს?**

— ხელისუფლება წინასაარჩევნო პერიოდში უფრო პრინციპული უნდა ყოფილიყო. ის კონფლიქტური კერები, რომლებიც ყოველდღიურად ფეთქდება და რომლებზეც წინასწარ არსებობდა ინფორმაცია, თავის დროზე უნდა აღმოფხვრილიყო.

ვიცით, რომ ოპოზიციური პარტიები გეგმავენ საკუთარ ოფისებზე თავდასხმების ინსცენირებას. შესაძლოა, გამოსვლების დროს პოლიციელების ფორმაში გადაცმულმა პირებმა მძიმე ფიზიკური ტრავმა მიაყენონ მომიტინგეებს. ამ დროს შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდება ოპოზიციისგან მართული რომელიმე ტელეკომპანია და შემდეგ დაიწყება ამ კადრის გაპიარება. ამის შესახებაც გვაქვს კონკრეტული ინფორმაცია და წინასწარ ამის თაობაზე განცხადებას ერთგვარი პრევენციის მიზნითაც ვაკეთებ. რა თქმა უნდა, ხელისუფლების ვალია, რომ ეს პროცესები უმართავი არ გახდეს და ამისთვის სერიოზულ ზომებს მივიღებთ.

# ჩვენ მაზოხისტები არ ვართ, რომ თვითდაწვის გეგმებს ვაწყობდეთ



*სანამ ოპოზიცია და ხელისუფლება ერთმანეთს პინგ-პონგს ეთამაშებიან, „ახალი მემარჯვენეები“ შედარებით მშვიდად არიან. მათ ხელისუფლება, რატომღაც, უარყოფითი კონტექსტით ნაკლებად ახსენებს. კულუარებში ხუმრობენ კიდეც, ალბათ შევარდნაძე თავისი შვილის მეგობრებისგან უსიამოვნებებს არ მოელის და ამიტომ „არ ამჩნევსო“.*

*დღეს, როდესაც საარჩევნო სიების გამო ერთი დავიდარაბაა ატეხილი, „ახლებმა“ ხელისუფლებს პანაცეა შესთავაზეს — საკუთარი ძალებით შედგენილი (ამბობენ, ამაზე დიდძალი თანხა დაიხარჯაო) სიები, მაგრამ გამყრელიძის გუნდის მცდელობამ ფუჭად ჩაიარა, მათი სიები ხელისუფლებას არ სჭირდება... ვესაუბრებით „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთ ლიდერს,* ***ფიქრია ჩიხრაძეს:***

**— ხელისუფლება ოპოზიციის მისამართით იქნევს მათრახს, დესტაბილიზაციის გამოწვევის მიზნით ისინი საკუთარ ოფისებზე მოაწყობენ თავდასხმებსო.**

— ასაფეთქებლად და თავის დასაწვავად იმ ძალას აქვს საქმე, რომელსაც არჩევნებში გამარჯვების შანსი არ დარჩა. ჩემი პოლიტიკური ძალის სახელით ვაცხადებ, — თუ ვინმე რაიმე უბედურებას არ მოგვიწყობს, საკუთარ თავს არაფერს დავმართებთ. ჩვენ მაზოხისტები არ ვართ, რომ თვითდაწვისა და თვითაფეთქების გეგმებს ვაწყობდეთ.

ხელისუფლების განცხადებები და ოპოზიციის მისამართით ნასროლი ამგვარი წინასწარმეტყველებები იმას ნიშნავს, რომ ყველანაირად ეცდება არჩევნების ჩაშლას, არეულობის გამოწვევას და შემდეგ ყველაფერს ოპოზიციას დააბრალებს.

რაგინდ უმანკო და საყვარელი ბავშვიც იპოვონ თავიანთ საარჩევნო სახედ, მოსახლეობას მაინც ვერ დაავიწყებენ თავიანთ 10-წლიან მოღვაწეობას. მათ არც სამართლიანი არჩევნები უნდათ და არც ხელისუფლებიდან წასვლა. აქედან გამომდინარე, ცხადია, ვისაც აძლევს ხელს არეულობა და ვინც დაიჭერს მღვრიე წყალში თევზს.

**— როდესაც ხელისუფლება აცხადებს, დესტაბილიზაციის ყველა კერას აღმოვფხვრითო, ხომ არ ნიშნავს ეს ოპოზიციის წინააღმდეგ რეპრესიების დაწყებას?**

— აქამდე ჩვენი ხელისუფლება ვერაფრით იწონებდა თავს. მისი ერთადერთი დადებითი მხარე ის იყო, რომ საქართველოში დემოკრატიის ხარისხი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ყოფილ საბჭოთა კავშირში. დღეს, როდესაც ხელისუფლებამ ეს ტენდენცია შეცვალა და ბაქოში მომხდარ მოვლენებს „ნორმალურად“ აღიქვამს, ცხადია, იგი უკუსვლას აპირებს... საქართველოში ბაქოს მოვლენები თუნდაც იმიტომ არ განმეორდება, რომ აქ საზოგადოების თავისუფლების ხარისხი გაცილებით მაღალია. ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია ირინა სარიშვილის განცხადებები. არ შეიძლება ყოფილმა ოპოზიციონერმა ხელისუფლების სახელით ისეთი რამ ილაპარაკო, რაც შენს პოლიტიკურ ძალას ძალზე ცუდად მოუბრუნდება. მძიმე სანახავია ირინა ასეთ მდგომარეობაში და კარგი იქნებოდა, თუ თავადაც დაფიქრდებოდა ამაზე.

გამოვრიცხავ საქართველოში რეპრესიების დაწყებას. ხალხს ახსოვს, როგორი გამოსვლების ტალღა მოსდევდა ხოლმე პოლიტიკური ლიდერების დაპატიმრებებს. აქედან გამომდინარე, თუ ელემენტარული გონიერება მაინც შერჩა ხელისუფლებას, იგი ხელს აიღებს ასეთ განზრახვაზე.

**— დამარცხებული ოპოზიციური ძალების საპროტესტო გამოსვლები რამდენად რეალურად მიგაჩნიათ?**

— ჩვენი მოსახლეობის განწყობას რომ ვაკვირდები, არეულობა არავის უნდა. მთავარია, მშვიდობიანი რეჟიმი შევინარჩუნოთ და ხელისუფლების პროვოკაციებს არ ავყვეთ. დიდი ძალისხმევა დასჭირდება საარჩევნო სიების პრობლემის მოგვარებასაც. რატომღაც ცენტრალური საარჩევნო კომისია სიებთან დაკავშირებით ჩვენს შენიშვნებს არ ითვალისწინებს.

როდესაც ხელისუფლება ცდილობს სიაში გარდაცვლილი ადამიანები შეიყვანოს, ცხადია, მას ერთადერთი რამ სურს — ხმები რეალურად კი არ დაითვალოს, არამედ ცდილობს კომისიებში ხმების გადანაწილება ოქმების მიხედვით მოხდეს. ხელისუფლებას ყველა დონის საარჩევნო კომისიაში საკმარისად ჰყავს წარმომადგენლები. ჩვენ კი ჩავატარებთ არჩევნებს, მაგრამ 2 ნოემბერს 8 საათის შემდეგ კომისიები დასხდებიან და ისეთ ოქმებს დაწერენ, როგორიც სჭირდებათ.

**— ხელისუფლება სულაც არ ფიქრობს, რომ ასე უიმედო მდგომარეობაშია, როგორც ჩანს, იგი გამარჯვებისთვის ემზადება.**

— როდესაც ხელისუფლება ამბობს, ჩვენ გავიმარჯვებთო, ამით ფაქტობრივად გვეუბნება, საზოგადოების აზრი არ გვაინტერესებსო. ხომ ნათელია, რომ დღეს ოპოზიციას გაცილებით მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე ხელისუფლებას.

ადრე არჩევნების გაყალბების შესაძლებლობას ის ქმნიდა, რომ საზოგადოება იმედოვნებდა, — თავისი მოღვაწეობის ბოლოს მაინც გააკეთებს შევარდნაძე მნიშვნელოვან რამესო. დღეს ხელისუფლებას უკვე აღარავინ ენდობა და აღარც რაიმეს მოელიან მისგან. თუ ხელისუფლება მოულოდნელად 30%-იან მხარდაჭერას მიიღებს, ცხადია, ხალხი აღარ მოითმენს. ამიტომ სჯობს, ოდნავ მაინც დაიოკონ მადა.

**— რატომღაც ხელისუფლებისგან ნაკლებად ისმის „ახლების“ კრიტიკა. რა ხდება, თქვენი არ ეშინიათ?**

— ხელისუფლების უარყოფითმა და კომიკურმა განცხადებებმა ძალიან კარგად იმუშავა „ბურჯანაძე-დემოკრატების“ სასარგებლოდ. ვხუმრობდით კიდეც, „დემოკრატებმა“ უფასო რეკლამისთვის ხელისუფლებას ფული უნდა გადაუხადონ-თქო. ასეთი უფასო რეკლამა „ახლებს“ არ გვჭირდება.

***გვერდი მოამზადა მარი ზანდუკელმა***

# „ყველაფრის მიუხედავად, ვერ შეგვაშინებენ...“



„რეპრესიებს ხალხის გააქტიურება მოჰყვება, რაც აბაშიძის რეჟიმს ბოლოს მოუღებს...“

*ბათუმში მომხდარი ინციდენტის შესახებ კომენტარი „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს,* ***მიხეილ სააკაშვილს*** *ვთხოვეთ:*

— ინციდენტი სააკაშვილმა და „ნაციონალებმა“ კი არ გამოიწვიეს, არამედ იმან, რომ ბათუმში მეტისმეტად შეშფოთდნენ, როცა დაინახეს, რომ აჭარლებმა, დავით ბერძენიშვილმა და კობა ხაბაზმა სერიოზული საარჩევნო კამპანია გააჩაღეს აჭარაში. 12 წლის განმავლობაში ასლან აბაშიძის რეჟიმს დემოკრატია და ოპოზიცია თვალითაც არ უხილავს და ვერც წარმოედგინათ, რომ ხალხის ამდენი დაშინების შემდეგ, იქ აღმოჩნდებოდნენ გამბედავი ადამიანები. მეც არ ველოდი მოსახლეობის ასეთ აქტიურობას, ამიტომ არ ჩავედი აჭარაში. თბილისიდან 100 კაცი გავუშვით (და არა 400, როგორც ითქვა). ისინიც ჩოლოქზე გააჩერეს, წინ ტრაილერები ჩაუყენეს. როდესაც გაიგეს, რომ ბათუმში ჩვენი 1000 მხარდამჭერი იყო შეკრებილი, მიხვდნენ, ჩოლოქზე ხალხის გაჩერებას აზრი აღარ ჰქონდა და გაუშვეს.

რას ჰქვია „ნაციონალებმა“ გამოიწვიეს აჭარლებიო? — ჩვენ იქ საარჩევნო კამპანია გვაქვს და თუ პლაკატის გაკვრა წარწერით „ბათუმი, აბაშიძის გარეშე“ მათთვის გამოწვევაა, დაე, ასე იფიქრონ. აჭარა არავის უჩუქებია ასლან აბაშიძის შვილებისა და შვილიშვილებისთვის. ეს გამოწვევა კი არა, ჩემი პატრიოტული ვალია საქართველოს წინაშე და ვიღაც ფეოდალს თუ ეს გამოწვევად მიაჩნია, ეს უკვე მისი პრობლემაა.

დათო ბერძენიშვილი ბათუმის ცენტრში ცხოვრობს და თავისი სახლიდან 100 მეტრის დაშორებით ატარებდა შეხვედრას. როდესაც ჩვენებმა დაინახეს, რომ ხელს უშლიდნენ, სხვაგან გადაინაცვლეს, მაგრამ როგორც კი ხმა ამოიღეს ასლან აბაშიძეზე, მაშინვე წაესივნენ სპეცრაზმელები. ამის შემდეგ ჩვენები პარტიის ოფისში გადავიდნენ. იქაც მიუცვივდნენ, დაარბიეს ოფისი, დაწვეს ლიტერატურა. იგივე ბედი ეწია ჩვენს ოფისს ქობულეთშიც. ყველაფერი ეს ჩაიდინა შეიარაღებულმა ფორმირებამ, რომელზეც თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, — ჩვენები არ არიანო. ასლან აბაშიძეს ჰყავს კბილებამდე შეიარაღებული, ჯავშანტექნიკით აღჭურვილი 2000 კაცი, ეს მისი პირადი არმიაა. ასლან აბაშიძემ აჭარაში საქართველოს არმიაზე ძლიერი არმია შექმნა, რომელსაც დაუბრკოლებლად შეუძლია გადატრიალება მოახდინოს საქართველოში. ჩვენი თანაპარტიელები ბეწვზე გადარჩნენ. ერთი ჩვენი წევრი დღემდე უკვალოდ არის გამქრალი, ინციდენტის მეორე დღეს კი დათო ბერძენიშვილის უმოწყალოდ ცემა უკიდურესი ცინიზმის გამოხატულება იყო. ბერძენიშვილი რემბო არ არის, რომ სპეცრაზმელებს გამკლავებოდა. ისეთი დიქტატორული რეჟიმი არსად ყოფილა, რომელსაც ტელეკამერების წინ გაებედოს მსგავსი თავხედობა... მაგრამ ამის მიუხედავად ვერ შეგვაშინებენ. მთავარი ისაა, რომ ყინული დაიძრა, ხალხი ბათუმის ქუჩებში გამოვიდა და ამ პროცესს ასლან აბაშიძე ველარ შეაჩერებს. ხვალ 1000-ის ნაცვლად, 5000 აჭარელი გამოვა ქუჩაში. არ შეიძლება 21-ე საუკუნის საქართველოში ფეოდალური ტირანული რეჟიმი არსებობდეს. შევარდნაძემ შვა მეზვრიშვილი, მამალაძე, აბაშიძე... პრეზიდენტმა თავისი დუმილით სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ასლან აბაშიძეს, ხოლო „მოქკავშირის“ გენერალურმა მდივანმა აშკარად დაუჭირა მხარი. ასლან აბაშიძე მშიშარა კაცია და ვერასოდეს გაბედავდა ასეთ ქმედებას, შევარდნაძისგან სრული მხარდაჭერა რომ არ ჰქონდეს.

— **რატომ არის, რომ ნებისმიერ რეგიონში თქვენს ჩასვლას ინციდენტი და შეტაკებები ახლავს თან? უკვე ლაპარაკობენ, სააკაშვილი საგანგებოდ ძაბავს სიტუაციასო.**

— „ნაციონალური მოძრაობა“ ერთადერთი პოლიტიკური ძალაა, რომელსაც ქვეყანაში რეალური ცვლილებების განხორციელება სურს. ჩვენს ქვეყანას რამდენიმე ბანდიტური კლანი მოაჯდა თავზე. ისინი ხალხის ხარჯზე ცხოვრობენ კარგად. ამ კლანებს ყველა პოლიტიკური ძალა ეუბნება, — თქვენ არ შეგეხებით, ოღონდ ცოტაოდენი ადგილები მოგვეცით პარლამენტში და პატარა სასუსნავი ჩვენც გვარგუნეთ. შესაძლოა შევარდნაძე შეიცვალოს, მაგრამ თქვენი მმართველობა არ შეიცვლებაო... თუ მართლა ასე გაგრძელდა, ხალხისთვის არაფერი შეიცვლება. იმიტომ გვინდა მმართველობის შეცვლა, რომ ყველა ჩვენგანის შვილებს ნორმალური ცხოვრება ჰქონდეთ, ცხოვრობდნენ მშვიდობიან, სტაბილურ ქვეყანაში. რაში მაინტერესებს, რომ ქვები დამიშინონ ბოლნისში, ან ის რად მინდა, აჭარაში ტყვიები მესროლონ?! ამ რეგიონებიდან ჩვენ ერთადერთი რამ — ხმების წამოღება გვინდა...

გამიკვირდა ოპოზიციური პარტიების ორაზროვანი განცხადებები ამ ინციდენტის შემდეგ. ლეიბორისტები დაიმალნენ, პარლამენტის თავმჯდომარემ კი თქვა, — არც ერთი საარჩევნო კამპანია არ ღირს იმად, რაც მოხდაო. მე კი მიმაჩნია, რომ ჩემი შვილების მომავალი ჩემი ბრძოლის ფასად ღირს. ოპოზიციას უნდა დაეგმო აბაშიძის ტირანული რეჟიმი, მაგრამ არ დაგმო იმიტომ, რომ ჰგონია, შემრიგებლური პოზიციის ფასად აბაშიძე ხმების ნაწილს მათაც მიართმევს. მხოლოდ „ახალმა მემარჯვენეებმა“ მისცეს ობიექტური შეფასება ინციდენტს. საგულისხმოა ისიც, რომ ინტელიგენციის „ელიტური“ ნაწილი საეჭვოდ გაისუსა. იცით, რატომ? მათ დიდ ნაწილს ფული აქვს აღებული ასლან აბაშიძისაგან...

— **სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებით თქვენზე აჭარაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ამის შემდეგ კიდევ აპირებთ ბათუმში ჩასვლას?**

— აუცილებლად ჩავალ ბათუმში მაშინ, როცა ამას საჭიროდ ჩავთვლი. ტყუილად ჰგონია აბაშიძეს, ამით შემაშინებს. ჩემს წინააღმდეგ საქმე იმიტომ აღძრა, რომ შემაშინოს, — თუ ჩამოხვალ, დაგიჭერო. მე ასეთი განცხადებებით ვერ შემაჩერებს. აბაშიძის რეჟიმის დღეები დათვლილია და ამას სააკაშვილი კი არა, აჭარლები გააკეთებენ.

დღეს აჭარაში ჩემი თანამოაზრეების წინააღმდეგ რეპრესიები დაიწყო. მათ სახლებს უშიშროების თანამშრომლები დარაჯობენ, ბიჭები კი ტყესა და მთაში არიან გახიზნულები. დარწმუნებული ვარ, რეპრესიებს ხალხის გააქტიურება მოჰყვება, რაც აბაშიძის რეჟიმს ბოლოს მოუღებს.

ჩემი ქვეყნის ამ ულამაზეს კუთხეს არ ვაჩუქებ აბაშიძის ფეოდალურ კლანს.

ეს არ არის რადიკალიზმი, სულელებს ჰგონიათ ასეთი ქმედება რადიკალიზმი. ისინი, რომლებიც ნორმალურ ცხოვრებას გვიშლიან, ხვალ შინ შემოგვიცვივდებიან და ნურავინ იფიქრებს, — ეს მე არ შემეხებაო.

აჭარის მოსახლეობას დახმარება სჭირდება, როდემდე უნდა იყონ მონობაში?! ეს ხალხი რომ არა, აბაშიძის კლანი უფრო დიდ უბედურებას დაატრიალებდა აჭარაში, მაგრამ იციან, ხალხი არ გაჰყვება მათ და ამიტომ უფრო იკავებენ თავს.

P. S. „აღორძინებასა“ და „ნაციონალებს“ შორის მომხდარმა ინციდენტმა ალბათ ბევრი უნდა დააფიქროს, ხელისუფლებას კი კონკრეტული ქმედებებისკენ უბიძგოს. აუცილებელია საფუძვლიანი გამოძიების ჩატარება და ორივე მხარის ტყუილსა და სიმართლეზე დაუფარავად საუბარი, რაც საქართველოს ხელისუფლებისა და პროკურატურის პრეროგატივაა. სხვა შემთხვევაში, შეუქცევად პროცესებს მივიღებთ, რაც დადებითად ნამდვილად არ აისახება ისედაც გაჩანაგებულ და გამწარებულ საქართველოს მოსახლეობაზე.

# „არ ჩაუვა ფეხი მაგ კალოშში“

## „დედას გვაგინებდნენ და სულში გვაფურთხებდნენ...“



*აჭარაში ჩასულ სააკაშვილის მომხრეებს ჯერ გზა გადაუღობეს, შემდეგ კი ცხვირპირდასისხლიანებულები გამოყარეს იქიდან. ეტყობა, ასლან აბაშიძემ მართლაც დაიჯერა, რომ აჭარა მისი საკუთრება, კერძო სამფლობელოა და იქ არასასურველ ხალხს არ აჭაჭანებს. აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელი რატომღაც ბოლნისის გამგებლის მეთოდებით იწყებს მოქმედებას და ქართველებს საქართველოში გადაადგილებას უკრძალავს. რატომ გააკეთა ასლან აბაშიძემ წინასაარჩევნოდ არცთუ მომგებიანი სვლა და რატომ გატეხა პირი* ***ჯემალ გოგიტიძემ****, რომელმაც ჯერ აჭარაში მიიპატიჟა (მთელი საქართველოს დასანახად) სააკაშვილი, მერე კი იქ ჩასულ „ნაციონალებს“ კარგი მასპინძლობის ნაცვლად, ავტომატიანი ხალხი შეაგება წინ.*

— სააკაშვილს, ჭრელ პეპელას, რა სიტყვა უნდა მივცე, მხოლოდ ის ვუთხარი, ვინც აჭარის მოსახლეობას შეურაცხყოფას არ მიაყენებს და პროვოცირებას არ მოახდენს, ჩვენთვის სასურველი სტუმარი იქნება და ვუმასპინძლებთ-მეთქი.

— **ჩოლოქთან ჩახერგილი გზა იყო ღირსეული მასპინძლობა?**

— როცა მიშა ამბობს, გზა ჩაგვიკეტესო, ცრუობს. თუ ჩოლოქში გზა გადავუკეტეთ, მაშინ როგორ აღმოჩნდა მისი ხალხი ბათუმში?

თუ გვინდოდა, ჩოლოქში ვერ გავლახავდით მაგათ?!. ჩოლოქის გამშვებ პუნქტში არის სადღეღამისო მორიგეობა, სადაც ყველა პირი გადის შემოწმებას. ეს რომ ასე არ იყოს, ბათუმშიც ისევე მოგვიწევდა გამოსასყიდების გადახდა (გატაცებული მანქანების გამო), როგორც ეს თბილისშია.

აჭარის ავტონომიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა ინფორმაცია, რომ იკარუსში, რომლითაც „ნაციონალები“ მოდიოდნენ აჭარაში, იყო ხელკეტები. სხვათა შორის, დათვალიერების შემდეგ ხელკეტები მართლაც ამოიღეს. სააკაშვილს ეგონა, როგორც ბოლნისის გამგებელი შეაშინა, ისევე შეაშინებდა ბათუმელებს. სააკაშვილის ძლევამოსილების მითი მაშინ დაიმსხვრა, როცა მისი ხალხი ჩოლოქს მოადგა.

— **თქვენ ბრძანეთ, სააკაშვილის საქციელი საძინებელში მოძალადის შევარდნას ჰგავდაო(?!).**

— კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა... თბილისელები მართლაც სასტუმრო ოთახში მივიღეთ, სამზარეულოშიც შევუძეხით და მაცივრის კარიც გამოვაღებინეთ, მაგრამ სააკაშვილმა ეს არ იკმარა, საძინებელში მოინდომა შევარდნა. თბილისი და ნებისმიერი სხვა ქალაქი ჩემთვის ბათუმივით საყვარელია, ავანტიურისტი სააკაშვილი კი საშიშ მოწოდებებს გაიძახის — დაიპყარით ბოლნისი, დაიპყარით ხონიო... მან უნდა იცოდეს, რომ აჭარას ვერავინ დაიპყრობს. სააკაშვილის მომხრეებს უნდოდათ, შეურაცხყოფა მიეყენებინათ აჭარის ავტონომიის ლიდერისთვის და მისი მოსახლეობისთვის. მათ ყველა ქუჩა თავისუფალი ჰქონდათ და ისე ველოდით, როგორც სტუმრებს, მაგრამ გულში სხვა რამ ედოთ. მთელ საქართველოში ისე დავდივარ, 2-3 კაცის მეტი არასოდეს მახლავს. რატომ მოდიოდა აჭარაში 400 კაცით სააკაშვილი, აჭარის აღება უნდოდა?! არ ჩაუვა ფეხი მაგ კალოშში. ჩვენს თავმოყვარეობას სააკაშვილს არ შევალახვინებთ. თუ აქამდე თელავდა სხვების თავმოყვარეობას, აჭარაში ეს არ გამოუვა.

— **„ნაციონალებისთვის“ დერეფანი რომ გაგეხსნათ და გზა არ ჩაგეღობათ, რას წააგებდით, დემოკრატების სახელსაც დაიმკვიდრებდით, მით უმეტეს, ამბობთ, ნაციონალებს პროვოკაციის მოწყობა უნდოდათო, მიგეშვათ თავის ნებაზე. ხალხი ყველაფერს თავად დაინახავდა და თავის სახელსაც დაარქმევდა, არ მეთანხმებით?!**

— მათთვის სტადიონზე გამოვყავით სამიტინგო ადგილი, რომელიც უზენაესი საბჭოს შენობიდან 150 მეტრით არის დაშორებული. მათ შეეძლოთ ყველგან გაემართათ მიტინგი, მაგრამ მაინცდამაინც აჭარის ხელმძღვანელის რეზიდენციის ფანჯრების წინ მოინდომეს — აქ უნდა ვიყვიროთო. სინამდვილეში, სააკაშვილის მომხრეებს მიტინგის კი არა, არეულობის დაწყება უნდოდათ. აშკარად მოუწოდებდნენ, — გურულებო, ხმა ამოიღეთო. ვის წინააღმდეგ უნდა ამოეღლოთ ხმა? დაუშვებელია ერთი კუთხის დანარჩენ საქართველოსთან დაპირისპირება. ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას „ნაციონალების“ წინააღმდეგ არავინ აპირებდა. არავის ცემა არ უნდოდათ, მაგრამ თავმოტეხილ ბოთლზე თვითონ დასხდნენ და ამას ვერ დავუშლიდით.

— **ინციდენტში შეიარაღებული ხალხი მონაწილეობდა, ვინ იყვნენ ისინი?**

— შეიარაღებული იყო შინაგანი ჯარი და სპეცდანიშნულების ნაწილები, მაგრამ ბათუმელებს, ანუ იმ ხალხს, რომლებმაც „ნაციონალები“ სცემეს, იარაღი არ ჰქონიათ. აჭარაში არსებობს ავანტიურისტული გამოხდომების აღსაკვეთი პოტენციალი. სააკაშვილს სპეცდანიშნულების რაზმი საგანგებოდ ჰყავს გაწვრთნილი, რათა პროვოკაციები მოაწყოს მთელ საქართველოში და მერე იძახოს, ესა და ეს კუთხე დავიპყარიო. აჭარლებმა ჩვენი სიამაყე და ქართველობა საუკუნეების განმავლობაში არავის გავათელინეთ და ვიღაც სააკაშვილის კაპრიზებზე არ გავივლით.



— **ავტომატების ნაცვლად, ფარებითა და ხელკეტებით რომ ყოფილიყვნენ აღჭურვილი ის დანაყოფები, ალბათ უპრიანი იქნებოდა.**

— როდესაც ავანტიურისტი ავანტიურაზე გიწვევს, მას ფარიც უნდა დაახვედრო და ავტომატიც. სააკაშვილმა იცოდა, მის ძალადობას ჯიბეებში ხელჩაწყობილები არ დავხვდებოდით, მიუხედავად ამისა, მაინც წამოიწყეს ჩხუბი — თარგამაძემ, დავითაშვილმა, ხაბაზმა და გაილახნენ კიდეც. მიხვდა მოსახლეობა, რომ ისინი ასარევად იყვნენ ჩამოსულები.

— **„ნაციონალებს“ ხელკეტები რომ მოელერებინათ თქვენი სპეცრაზმელებისთვის?**

— კარგ დროსაც გაატარებდნენ...

— **ანუ თქვენი შინაგანი ჯარი იარაღს გამოიყენებდა?**

— როდესაც ზვიად გამსახურდიას ესროლეს, მან თქვა, — ჩვენ ტყვიის ნაცვლად, ვარდები ვესროლოთო. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობა საქართველოში აჭარიდან შემოვიდა, ამ შეცდომას ჩვენ არ გავიმეორებთ, ავანტიურისტებს ლოყას არასდროს შევუშვერთ. აგრესიას მუდამ აგრესიით ვუპასუხებთ.

— **ინციდენტის მეორე დღეს ჩოლოქთან დავით ბერძენიშვილის უმოწყალოდ ცემა რაღა საჭირო იყო, ისიც მიტინგს ხომ არ მართავდა?**

— ნამდვილად არ მიმიძღვის წვლილი მის გალახვაში, მაგრამ ალბათ ღირსი იყო. ბერძენიშვილს მხარდამჭერები კი არა, პლაკატის გამკვრელები არ ჰყავს ბათუმში. დადიოდა ეს კაცი ბათუმში, უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. მისი ლაპარაკი ტალახში ამოგანგლული ძაღლის წკავწკავად მიმაჩნდა. ხალხი მიხვდა, რომ მას ომის გაჩაღება უნდა და განაჩენიც გამოუტანა.

— **ვერ ხვდებით, რომ ამ ინციდენტით მშვენიერი რეკლამა გაუკეთეთ „ნაციონალურ მოძრაობას“?**

— თუ წამებულის მანტია უნდა, ჩამოვიდეს სააკაშვილი და მასაც კარგად გაალამაზებენ. თუ იუზრდელებს, ყოველთვის გალახავენ...

— **უზრდელობაში რა იგულისხმება?!**

— მეტი რაღა უნდა ჩაედინათ? პოლიციის კორდონი გაარღვიეს, შეიჭრნენ აკრძალულ ზოლში (უზენაესი საბჭოს შენობასთან), დედას გვაგინებდნენ, სულში გვაფურთხებდნენ, ხელისუფლების დამხობის მოწოდებები და ტრანსპარანტები ხელში ეჭირათ და გაჰყვიროდნენ კიდეც, რაღა უნდა ექნათ სხვა? ბარემ თოფი ამოეღოთ და ესროლათ.

P. S. დავინტერესდით, რამდენად კანონიერია, როცა მიტინგის მონაწილეებს (თუნდაც ხელკეტებით შეიარაღებულებს) ავტომატურ იარაღს უღერებენ. სპეციალისტების განმარტებით, როცა საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ რომელიმე რეგიონის მეთაურს ჯარი გამოჰყავს, ეს კონსტიტუციის დარღვევაა. შეიარაღებული ნაწილების გამოყვანა მაშინაა მიზანშეწონილი, თუ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული; სხვა შემთხვევაში კი ასეთი გადაწყვეტილების მიღება ქვეყნის შეიარაღებული ჯარების მეთაურს (ანუ პრეზიდენტს) შეუძლია (და ისიც განსაკუთრებული სიტუაციებისას. ასეთ გადაწყვეტილებას ხშირად პრეზიდენტიც ვერ იღებს პარლამენტის ნებართვის გარეშე).

ასეთ შემთხვევაში დემოკრატიულ ქვეყნებში მომიტინგეების წინააღმდეგ ხელისუფლება ფარიან და ხელჯოხიან ნაწილებს იყენებს, დაშვებულია წყლის ჭავლის გამოყენებაც (რაც ევროპაშიც კი მიღებული პრაქტიკაა), რაც სამწუხაროდ, ბათუმში არ მოხდა.

P. P. S. რადგან ინტერვიუში ჯემალ გოგიტიძემ განაცხადა, ჩვენ ჩვენი შინაგანი ჯარი გვყავს, რომელიც აჭარის უზენაესი საბჭოს წინ იდგა შეიარაღებულიო, დავინტერესდით, ჰქონდათ თუ არა მათ ბრძანება, რომ მომიტინგეებისთვის ესროლათ და კომენტარისთვის შინაგანი ჯარების სარდალს, გენერალ-მაიორ **გიორგი შერვაშიძეს** მივმართეთ:

— ბათუმში აჭარის კი არა, საქართველოს შინაგანი ჯარი დგას. უზენაესი საბჭოს შენობის წინ შინაგანი ჯარი შეიარაღებული არ გასულა. რადგან აჭარის შინაგანი ჯარის სარდალმა მაცნობა ვითარების გამწვავების შესახებ, მათ გამოეცხადათ მზადყოფნა, — საჭიროების მომენტში ფარებითა და ხელკეტებით გაეყვანათ შემთხვევის ადგილზე ჯარისკაცები, თუმცა შემდგომში ამის საჭიროება აღარ ყოფილა.

— **ანუ მომიტინგეებს შინაგანი ჯარი არ დაპირისპირებია?**

— შესაძლოა იქ იყვნენ შინაგანი ჯარის ჯარისკაცები, მაგრამ ისინი შეიარაღებულნი არ ყოფილან.

***რუბრიკა მოამზადა***
***იზო რკაძემ***

**სადაც არ არის მართლმსაჯულება, იქ ბუნაგია და არა მამული...**
*ლემონტეი*

# არმია და არჩევნები

## ვის მისცემენ ხმას ჯარისკაცები და ოფიცრები?



მოახლოებულმა საპარლამენტო არჩევნებმა, სამწუხაროდ, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, მახინჯი სახე მიიღო და წარმოშვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა დაპირისპირების საერთო სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაზრდის საფრთხე.

შეიძლება ჩვენი რუბრიკისთვის მაინცდამაინც მიზანშეწონილი არც იყოს არჩევნების თემის გაშუქება, მაგრამ იმის გამო, რომ არჩევნებში საქართველოს სამხედრო ძალების ორ ათეულათასიანმა პირადმა შემადგენლობამაც უნდა მიიღოს მონაწილეობა, ძალაუნებურად ამ თემას გვერდს ვერ ავუვლით.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 თავის თანახმად, საქართველოს სამხედრო ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეები სამხედრო ნაწილის მუდმივი განლაგების (დისლოკაციის) ადგილის მიხედვით იქნებიან შეტანილნი ამომრჩეველთა ერთიან სიაში.

ეს კი ნიშნავს, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფ ჯარისკაცებს და სერჟანტებს, აგრეთვე კონტრაქტით მომსახურე სამხედრო მოსამსახურეებს თავიანთ სამხედრო ნაწილის ახლოს მდებარე საარჩევნო უბანში შეეძლებათ ხმის მიცემა.

ზემსახურები და ოფიცრები კი არჩევნებზე იმ უბანში მივლენ, რომელიც მათ საცხოვრებელ სახლებთანაა განთავსებული.

წინა არჩევნებზე საარჩევნო უბანი უშუალოდ სამხედრო ნაწილის ტერიტორიებზე იყო განთავსებული. ამას სამხედრო ნაწილების მეთაურები ასე ამართლებდნენ — ჭირს რამდენიმე ასეული სამხედრო მოსამსახურის გადაყვანა სამხედრო ნაწილიდან მოშორებულ უბანშიო.

სიმართლე რომ ითქვას, ასეთი პრაქტიკა ხელისუფლებასაც აძლევდა ხელს, თუნდაც იმიტომ, რომ შეიძლებოდა სამხედრო ნაწილის ჩაკეტილ ტერიტორიაზე რაღაც მანიპულაცია მოეხდინათ საარჩევნო ურნაზე და ხმები თავიანთ სასარგებლოდ დაეთვალათ. თანაც დამკვირვებლებისთვის, რომლებსაც მაინცდამაინც დიდი სიამოვნებით არ უშვებდნენ სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, ძალზე რთული იყო გაკონტროლება, ხდებოდა თუ არა ზეწოლა ჯარისკაცებზე ხმის მიცემის წინ ან საარჩევნო ბიულეტენების ჩაყრისას.

ამის დასტურად 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების ერთი მაგალითიც კმარა. თბილისში, ისნის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად სხვებთან ერთად გია ყარყარაშვილიც იყრიდა კენჭს. შინაგანი ჯარების პირველი ოპერატიული ბრიგადის (ყოფილი მე-8 პოლკის) ტერიტორიაზე მოთავსებული იყო საარჩევნო უბანი. იქ მისვლამდე ამ ნაწილის ჯარისკაცებს რამდენიმე დღე ჩასჩიჩინებდნენ, რომ უნდა შემოეხაზათ არა გენერალ ყარყარაშვილის, არამედ სახელისუფლო ბლოკის წევრი ერთი ქალბატონის გვარი. ეს დავალება მაღალი ეშელონებიდან მოდიოდა...

2 ნოემბრის არჩევნებზე უშუალოდ სამხედრო ნაწილების ტერიტორიებზე მხოლოდ ერთი საარჩევნო უბანი უნდა მოეწყოს, თუმცა არავინაა დაზღვეული, რომ ჯარისკაცებს მეთაურებმა ყურები არ გამოუჭედონ მთავარი მოთხოვნით — შემოხაზეთ სახელისუფლებო ბლოკი!

ისე, ამ მეთაურებისაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან მათზე დიდ ზეწოლას სარდლები და მინისტრები ახორციელებენ.

ოფიცრები და ზემსახურები კი ამ მხრივ ბევრად უფრო თავისუფალნი არიან. კაპიტანს, რომელსაც 2-3 თვის ხელფასი არ მიუღია, ვინმემ რომ დააძალოს, გინდა თუ არა სახელისუფლებო ბლოკს მიეცი ხმაო, შეიძლება საარჩევნო ურნა ჩაარტყას თავში მქადაგებელს.

საქართველოს სამხედრო ძალებიდან, ცხადია, ყველაზე მეტი სწორედ თავდაცვის სამინისტროდან მიიღებს მონაწილეობას, რადგან აქ სახეზე 16 ათასამდე სამხედრო მოსამსახურეა, მათ შორის, ვადიანი სამსახურის 7 ათასამდე ჯარისკაცი და სერჟანტი.

სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პირადი შემადგენლობა შტატით 6.900-ს კაცზე მეტია, მაგრამ სახეზე ცოტათი ნაკლებია. მათი ნაწილი ძნელად მისადგომ სასაზღვრო რაიონებში იმყოფება და ხმას ადგილობრივ საარჩევნო უბნებში მისცემს. მაგალითად, 50 მესაზღვრე მთათუშეთში, ომალოს საარჩევნო უბანზეა მიწერილი.

სხვათა შორის, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში თავდაცვის სამინისტროსა და სასაზღვრო უწყების პირადი შემადგენლობის საერთო სურათის წარმოდგენა გაჭირდა, რადგან ყველა საარჩევნო უბანს 29 ოქტომბრამდე აქვს ვადა, წარმოადგინოს, თუ რომელი სამხედრო ნაწილია მასზე მიწერილი.

მათგან განსხვავებით, შინაგანმა ჯარმა სანაქებო ორგანიზებულება გამოიჩინა — ცესკოში თავისი სამხედრო ნაწილების საარჩევნო უბნებზე მიმაგრების სრული სია წარმოადგინა. საერთო ჯამში, არჩევნებში შინაგანი ჯარების 883 ოფიცერი, 1.152 ზემსახური, 2.069 ჯარისკაცი, 90 სამოქალაქო მოსამსახურე, ანუ სულ 4.194 კაცი მიიღებს მონაწილეობას.

აქედან ყველაზე საინტერესოა შინაგანი ჯარების ის 552 სამხედრო მოსამსახურე (86 ოფიცერი, 217 ზემსახური და 249 ჯარისკაცი და სერჟანტი), რომლებიც დღესაც პანკისის ხეობაში არიან დისლოცირებულნი. ზოგიერთი პოლიტიკური პარტია წინააღმდეგი იყო, მათ ახმეტის რაიონის №18 საარჩევნო ოლქში მიეცათ ხმა, მაგრამ პანკისის ხეობაში მესამე წელია შექმნილია შინაგანი ჯარების სამხედრო ნაწილი №2083, ამიტომაც ამ სამხედროებისთვის პანკისი ითვლება მუდმივი დისლოკაციის ადგილად. ისინი ხმას მისცემენ დუისის, ხალაწნის, ომალოსა და სხვა სოფლების საარჩევნო უბნებში.

დღეისათვის საზღვარგარეთ მყოფი სამასამდე ქართველი სამხედრო (კოსოვოში როტაციით ჩასული სამშვიდობო ასეული და იქიდან სამშობლოში გამოსამგზავრებლად გამზადებული მეორე ასეული, აგრეთვე ერაყში მივლინებული 70 სამხედრო), როგორც ჩანს, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან კოსოვოში და, მით უმეტეს ერაყში, ცესკო ნამდვილად არავის გაგზავნის.

როგორც მოსალოდნელია, ძალოვანი სტრუქტურები არჩევნების წინა დღეებში ყაზარმულ მდგომარეობას გამოაცხადებენ, ხოლო იმ ოფიცრებსა და ზემსახურებს, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა თავიანთ საცხოვრებელ უბნებში უნდა მიიღონ, ალბათ რამდენიმე საათით გაათავისუფლებენ. მაგრამ საშიში სხვა რამეა — არჩევნებთან დაკავშირებით სამხედრო მოსამსახურეებს შეიძლება უბრძანონ ძალისმიერი ხერხები ან უარესი — იარაღი გამოიყენონ ამა თუ იმ მშვიდობიანი მიტინგის დასარბევად, ანუ ჩნდება ბათუმის სამარცხვინო ინციდენტის უფრო ტრაგიკული ვარიანტის გათამაშების დიდი შესაძლებლობა.

ამიტომაც, ნებისმიერმა სამხედრო მოსამსახურემ ჯერ უნდა იფიქროს, ხომ არ ასრულებს დანაშაულებრივ ბრძანებას. ეს არ არის ჯარის მეთაურებისადმი დაუმორჩილებლობის მოწოდება, რადგან დანაშაულებრივი ბრძანების შესრულება არავის ათავისუფლებს პირადი პასუხისმგებლობისგან.



# „კვირის პალიტრას“ ერაყიდან შეეხმიანნენ...

## გამოჯანმრთელებული ქართველი მენაღმეები თიქრიტში დაბრუნდნენ

ორიოდ დღის წინ მობილურ ტელეფონზე უცნობმა აბონენტმა დაგვირეკა — ხმა დაყოვნებით მოდიოდა. მალევე გაირკვა, რომ შორეული ერაყიდან, ამერიკელებისგან ორიოდე წუთით ნათხოვარი თანამგზავრული კავშირის ტელეფონით, ის ქართველი მენაღმეები რეკავდნენ, რომლებსაც 21 აგვისტოს სამწუხარო ინციდენტი შეემთხვათ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ 21 აგვისტოს, სადამ ჰუსეინის მშობლიურ ქალაქ თიქრიტის ახლოს, საბრძოლო მასალის გადატანისას გაჩენილი ხანძრის შედეგად მე-2-3 ხარისხის დამწვრობები მიიღეს ერაყში გაგზავნილი ქართული სამშვიდობო კონტინგენტის მენაღმეებმა — ვიცე-პოლკოვნიკმა გოჩა შავგულიძემ, მაიორებმა კახა ჯიქიამ, ფრიდონ სოფრომაძემ და კაპიტანმა გიორგი ჯანელიძემ.

მათ მკურნალობის კურსი აშშ-ში გაიარეს. სამი მათგანი რამდენიმე დღის წინ, საკუთარი სურვილით, ისევ ერაყში ჩავიდა, თუმცა შეეძლოთ სამშობლოში გამომგზავრება. მეოთხე მენაღმე, კაპიტანი გიორგი ჯანელიძე, საქართველოში დაბრუნდა მკურნალობის გასაგრძელებლად.

ერაყიდან ვიცე-პოლკოვნიკმა გოჩა შავგულიძემ დიდი მადლობა გადაუხადა „კვირის პალიტრას“ იმის გამო, რომ გაზეთი სისტემატურად აშუქებს განსაცდელში ჩავარდნილი ქართველი მენაღმეების მდგომარეობას. თურმე ჩვენს გაზეთს ქართველი მენაღმეები, როგორც კი კომპიუტერზე ხელი მიუწვდებათ, ინტერნეტით ეცნობიან.

ერაყში მყოფმა ქართველმა სამხედროებმა გვაცნობეს, რომ თავს კარგად გრძნობენ. მთავარი პრობლემა — აუტანელი სიცხეა, რომელიც ქართველი სამხედროების გარდა, მათ უცხოელ კოლეგებსაც არანაკლებ აწუხებთ, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთიდან ჩასულებს. მაგალითად, რამდენიმე ათეული დიდი ბრიტანელი და დანიელი სამხედრო ჰოსპიტალში მოხვდა, რადგან სრული საბრძოლო აღჭურვილობით მზეზე მუშაობდნენ და ორგანიზმის გადახურების გამო სითბური დაკვრა მიიღეს.



**ქართველ მენაღმეებს ახლობლები ერაყში გულისტკივილით აცილებდნენ და მათ მშვიდობიან დაბრუნებას მოუთმენლად ელიან.**

„კვირის პალიტრას“ იმედი აქვს, რომ ამიერიდან ერაყში მყოფი ქართველი სამხედროები უფრო მეტ სიფრთხილეს გამოიჩენენ, რადგან ერაყში ნამდვილი პარტიზანული ომია და ვერავინ იგრძნობს თავს უსაფრთხოდ.

# 100 მეტრი მოსკოვი-კიევის ომამდე

## „განძთა კუნძულისთვის“ დაპირისპირება გრძელდება

ხევსურეთის სოფელ ფიჭვნის ტერიტორიის წართმევა მოსკოვს ფაქტობრივად შერჩა, მაგრამ როდესაც უკრაინის კუნძულ ტუზლას მიტაცება დააპირა, დიდი საერთაშორისო სკანდალი ატყდა.

გასულ კვირას რუსეთი და უკრაინა კინაღამ ომის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ, რადგან რუსეთის კრასნოდარის მხარის ხელმძღვანელობამ თვითნებურად დაიწყო დამბის აგება კუნძულ ტუზლის მისაერთებლად.

**ჩვენი დოსიე: ორი საუკუნის წინ, შავი ზღვისა და აზოვის ზღვის შესართავში ვიწრო, 11 კმ სიგრძის ნახევარკუნძული ტუზლა იყო. 1925 წლის ძლიერმა შტორმმა გადარეცხა ნახევარკუნძულის ნაწილი და 7კმ სიგრძის კუნძულად აქცია. 1954 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა ყირიმი უკრაინას უბოძა. ცხადია, კუნძულიც მის შემადგენლობაში მოექცა.**

შავი ზღვიდან ყირიმის ზღვაში შემავალ გემებს უხდებათ ყირიმის სანაპიროსა და კუნძულ ტუზლას შორის გაცურვა, რის გამოც უკრაინას სალოცმანო და სხვა სანაოსნო გადასახადებს უხდიან, რაც, მოსკოვის დაანგარიშებით, წელიწადში 16 მლნ დოლარს აღწევს. ეტყობა, ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ აშკარად კრემლის ჩუმი დასტურით და კრასნოდარის მხარის გუბერნატორის ბრძანებით, ასობით სატვირთო ავტომობილმა დაიწყო მიწის მიზიდვა და ზღვაში ჩაყრა კრასნოდარის მხარის სანაპიროსთან კუნძულის შესაერთებლად.

რუსების სახიფათო ინიციატივას უკრაინამ თავისი სამხედრო ძალების ღია დემონსტრაცია დაუპირისპირა — კუნძულის ირგვლივ საპატრულო კატარღებმა დაიწყეს ცურვა, ჰაერში შვეულმფრენები გამოჩნდნენ, ხოლო თავად კუნძულზე უკრაინელი მედესანტეები გადასხდნენ.

სიტუაცია გარკვეულწილად განმუხტა რუსეთისა და უკრაინის პრემიერ-მინისტრების შეხვედრამ. გადაწყდა რუსეთის მხრიდან დამბის მშენებლობის შეჩერება, ხოლო უკრაინელებმა კუნძულიდან სამხედრო დანაყოფების გაყვანა დაიწყეს.

უკრაინის პრეზიდენტმა რუსეთის ამ ნაბიჯის გამო შეწყვიტა ვიზიტი სამხრეთ ამერიკაში და კუნძულის სანახავად სამშობლოში სასწრაფოდ დაბრუნდა. მან მკაცრი კომენტარებისგან თავი შეიკავა, თუმცა ერთი ფრაზა მაინც თქვა, — საგანგებოდ დავხედე რუსეთის რუკას და გამიკვირდა, — ნეტავ, კიდევ რა სურს მოსკოვს?!



**რუსული სამშენებლო ტექნიკა განუწყვეტლივ მუშაობდა დამბის ასაგებად კუნძულ ტუზლამდე**

# სამხედრო ისტორიები

# ცხაკაიიდან გატაცებული „მიგი“

## ცხაკაიიდან გაქცეულმა რუსმა პილოტმა ამერიკელებს „უდაბნოს ქარიშხალი“ მოაგებინა

ვინ იფიქრებდა, რომ საქართველოსა და ერაყს შორის რაიმე საერთო იქნებოდა, თუ არ ჩავთვლით ამას წინათ იქ გაგზავნილ ქართველ სამხედროებს.

მაგრამ, როგორც ახლა ირკვევა, რამდენიმე წლის წინ, სწორედ საქართველოდან გატაცებულმა, იმ დროისათვის ერთ-ერთმა საუკეთესო საბჭოთა სამხედრო თვითმფრინავმა და, კერძოდ, მისმა რუსმა პილოტმა განაპირობეს პენტაგონის გამარჯვება ერაყის პირველ ომში, რომელსაც „უდაბნოს ქარიშხალი“ ეწოდებოდა.

1991 წლის 17 იანვრის ღამეს ამერიკამ ჰაერიდან მასობრივად შეუტია ერაყის სარადარო სისტემებს და განსაკუთრებით სამხედრო აეროდრომებს. ამერიკელ პილოტებს ყველაზე მეტად იმ ორ ათეულამდე МиГ-29 ტიპის გამანადგურებლისა ეშინოდათ, რომელთა მიყიდვა მოსკოვმა მოასწრო სადამ ჰუსეინისთვის. ეს მე-4 თაობის გამანადგურებელი თვითმფრინავები საჰაერო ორთაბრძოლებში ტოლს ნამდვილად არ დაუდებდნენ ნაქებ ამერიკულ F-16-ებს თუ F-15-ებს, მაგრამ ამერიკელებმა გამოიყენეს მათთან ცხაკაიის (ახლანდელი სენაკის) აეროდრომიდან გაქცეული რუსი პილოტის, კაპიტან ალექსანდრ ზუევის მიერ გადაცემული საიდუმლო ინფორმაციები და ერაყის МиГ-ები მოულოდნელად აეროდრომზევე გაანადგურეს.

ამ შემთხვევამდე ორი წლით ადრე, 1989 წლის 19 მაისის საღამოს, კაპიტანი ზუევი ცხაკაიის სამხედრო აეროდრომზე მორიგედ გაამწესეს, როგორც თვითმფრინავების გამშვებ-მიმღები...

იმ საღამოს კაპიტანი ზუევი, რომელსაც არა მარტო სამხედრო ქალაქში, არამედ ცხაკაიის ბევრ სასადილოშიც კარგი მოქეიფის სახელი ჰქონდა, კოლეგებს მშვენიერი ტორტით გაუმასპინძლდა — შვილი შემეძინა და დამილოცეთო („კგბ“-ს გამომძიებლებმა მოგვიანებით გაარკვიეს, რომ ზუევს ბიჭი სინამდვილეში ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ შეეძინა). გახარებული კაპიტანი თავისი ხელით სთავაზობდა ტორტის მოზრდილ ნაჭრებს მფრინავებსა და ტექნიკოსებს.

ნახევარ საათში სამორიგეოში ერთმა პილოტმა შეიხედა, რომელიც ტკბილეულს არ ეტანებოდა და „ბედნიერ“ მამას ცოტა ხნის წინ უარი უთხრა გამასპინძლებაზე; იგი განცვიფრდა — სამორიგეოში უკლებლივ ყველა ხვრინავდა. მოულოდნელად თვითმფრინავების სადგომიდან გასროლის ხმაც გაისმა.

როგორც აღმოჩნდა, კაპიტანი ზუევი თურმე რამდენიმე დღის განმავლობაში ცხაკაიის სხვადასხვა აფთიაქში ყიდულობდა დასაძინებელ წამლებს, რომლითაც გულუხვად შეკაზმა ტორტი და როგორც კი ყველას დაეძინა, სასწრაფოდ გადაჭრა ტელეფონის ხაზები და თვითმფრინავების სადგომზე მოყარაულე ავტომატიან ტექნიკოსს თავს დაესხა. ზუევმა ვერ შეძლო მისთვის იარაღის წართმევა, ამიტომ პისტოლეტი ესროლა, დაჭრა და მორიგე გამანადგურებლისკენ გაიქცა. დაჭრილმა ტექნიკოსმა, მართალია, მოახერხა „კალაშნიკოვის“ ჯერის „დადევნება“ კაპიტნისთვის, მაგრამ ააცილა.



*ცხაკაიიდან გატაცებული გამანადგურებლის პილოტმა ზუევმა ამერიკელებს МиГ-29-ის საიდუმლო გაუმხილა*

**ჩვენი დოსიე: 1992 წლამდე ცხაკაიაში საბჭოთა საავიაციო პოლკი იდგა, რომლის შეიარაღებაშიც გახლდათ იმ დროისთვის ამიერკავკასიაში ყველაზე თანამედროვე МиГ-29 ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავები. 17-ტონიანი МиГ-29 მაქსიმალურ 2450 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს და შეუძლია მიაღწიოს 18 კმ სიმაღლეს. მას 3 ტ საერთო მასის ბომბი და რაკეტა მიაქვს და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მანევრირებად გამანადგურებლად ითვლება.**

ზუევი ჩახტა მორიგე თვითმფრინავში (მორიგე გამანადგურებლები ყოველთვის საწვავით გაწყობილნი დგანან, რათა განგაშის სიგნალისთანავე აფრინდნენ ჰაერში), სწრაფად აამუშავა და ცაში აიჭრა, თუმც მაშინვე მობრუნდა, გადაუფრინა მორიგე МиГ-ების სადგომს და ქვემეხით მათ დაცხრილვას შეეცადა (რათა მდევარი შეეჩერებინა, მით უმეტეს, რომ აეროდრომზე უკვე განგაში იყო ატეხილი), თუმცა ქვემეხის მეორე დამცველის მოხსნა დაავიწყდა და სროლა ვერ შეძლო.

კაპიტანმა ზუევმა ჩართო МиГ-29-ის ორივე რეაქტიული ძრავის ფორსირებული რეჟიმი, გადაუფრინა ქართულ სოფლებს და ზღვით რამდენიმე წუთში თურქეთის საჰაერო სივრცეში შეიჭრა.

ერთ-ერთ თურქულ სამხედრო აეროდრომზე ყველასთვის მოულოდნელად დაფრენილმა საიდუმლო საბჭოთა გამანადგურებელმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

მართალია, კაპიტანი ზუევი მაინც წარდგა თურქული სასამართლოს წინაშე, მაგრამ იგი სამხედრო დისიდენტად ცნეს და მალე ამერიკაში გადააფრინეს. ეს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთვის ერთგვარი შვება იყო, რადგან თურქებმა ამერიკელები МиГ-29-ს ახლოსაც არ გააკარეს და გატაცებული თვითმფრინავი ისევ საბჭოთა კავშირს დაუბრუნეს (1976 წელს პილოტ ბელენკოს მიერ იაპონიაში გატაცებული МиГ-25, იაპონელების თანხმობით, ამერიკელებმა ნაწილ-ნაწილ დაშალეს, დაწვრილებით შეისწავლეს და მხოლოდ შემდეგ დაუბრუნეს მოსკოვს).

ცხაკაიაში სატრანსპორტო თვითმფრინავით ჩატანილი გატაცებული МиГ-ი შესასწავლად ცალკე დააყენეს. სამხედრო აეროდრომს ჯერ კიდევ 20 მაისს, ორი სამგზავრო ლაინერით მოსკოვიდან რამდენიმე ათეული გენერალი და ოფიცერი „ესტუმრა“. მათ პოლკის პირად შემადგენლობას შავი დღე აყარეს.

ამერიკაში თავამოყოფილმა კაპიტანმა ზუევმა იქაურ სპეციალისტებს სულ წვრილად ჩაუკაკლა კრემლის საამაყო МиГ-29-ისა და საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების საიდუმლოებები.

ორი წლის შემდეგ, ერაყში, „უდაბნოს ქარიშხლის“ ოპერაციის დაწყებისთანავე, პენტაგონმა უთუოდ კაპიტან ზუევის რეკომენდაციებით ისარგებლა და პირველ რიგში ერაყის საჰაერო მართვის პუნქტებსა და რადიოლოკაციურ სადგურებს დაარტყა. ამიტომ ერაყული საბჭოთა წარმოების საბრძოლო თვითმფრინავების და მათ შორის ასე ნაქები МиГ-29-ების პილოტებიც, რომლებიც გადაურჩნენ აეროდრომზევე განადგურებას და მოასწრეს ჰაერში ასვლა, „დაბრმავებულები“ აღმოჩნდნენ და მათ ამერიკული გამანადგურებლები ადვილად გაუსწორდნენ.

# სამხედრო კალეიდოსკოპი

# ამერიკელები თალიბებს „აფთიაქებით“ ავლენენ

## ისროლე? — გაშალე ხელი ანალიზისთვის!

მეცნიერების ულტრათანამედროვე მიღწევები უმალვე იწვევს სამხედროთა დაინტერესებას და პირველ რიგში ყველაზე მდიდარი პენტაგონისას.

ამერიკელმა სამხედროებმა ერაყსა და ავღანეთში ე.წ. „ბოევიკების“ გამოსავლენად ახალი მეთოდის გამოყენება დაიწყეს.

დღემდე ყველას, ვინც თავდასხმასა და სროლებშია ეჭვმიტანილი, ათასნაირ დაკითხვა-გამოკითხვას უწყობდნენ, საფილტრაციო ბანაკებში ბევრი უდანაშაულოც ხვდებოდა. გავიხსენოთ თუნდაც ჩეჩნეთი, სადაც თუკი ვინმეზე იეჭვეს, მასხადოვისა და ბასაევის თანამებრძოლიაო, დახვრეტა არ ასცდება.

ამერიკელები კი, რომლებიც ყველაზე დიდ დემოკრატობაზე სდებენ თავს, რუსებისაგან განსხვავებით, მოწინააღმდეგის მებრძოლთა დადგენის სხვა, ბევრად უფრო ჰუმანურ და ამასთანავე, ეფექტიან მეთოდებს ნერგავენ ერაყსა და ავღანეთში.

პენტაგონმა ამ ქვეყნებში მყოფ თავიანთ სამხედრო პატრულებს პატარა „მინიაფთიაქები“ დაურიგა, რომლებიც ჯიბეში თავსდება.

„მინიაფთიაქში“ რამდენიმე უფერო ქიმიური ნაერთის ხსნარია, რომლებსაც თავდასხმაში ეჭვმიტანილს ხელზე ან ტანსაცმელზე უსვამენ. თუ ხსნარი გაცისფრდა, მაშინ აშკარაა, რომ ეჭვმიტანილმა ბოლო 48 სთ-ის განმავლობაში ცეცხლსასროლი იარაღი ისროლა.

ასეთი გასროლის დროს ხელზე ან ტანსაცმელზე აუცილებლად რჩება დამწვარი დენთის კვალი, ამერიკული ქიმიური ხსნარი მასთან რეაქციაში შედის და ააშკარავებს დამნაშავეს.

დღემდე ამ მეთოდს ამერიკელი პოლიციელები იყენებდნენ იმ საეჭვო პირთა დასადგენად, რომლებმაც მკვლელობა ცეცხლსასროლი იარაღით ჩაიდინეს, მაგრამ მოასწრეს სამხილის თავიდან მოშორება.

პენტაგონმა უკვე შეისყიდა ქიმიური ხსნარი-დეტექტორის ათასობით „მინიაფთიაქი“ და ერაყსა და ავღანეთში მოქმედ თავის საზღვაო ქვეითებს დაურიგა...

# რუსეთის დანაკარგები ჩეჩნეთში

სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს, ჩეჩნეთში სამხედროების დანაკარგის შესახებ, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამ ინსტიტუტის მტკიცებით, მარტო ერთი წლის განმავლობაში (2002 წლის აგვისტოდან 2003 წლის აგვისტომდე) ჩეჩნეთში 4.749 რუსი სამხედრო დაიღუპა. ასე რომ, თურმე რუსეთი ყოველდღიურად ჩეჩნეთში ათზე მეტ სამხედროს კარგავდა და ეს მაშინ, როდესაც ჩეჩნეთში აღარ მიმდინარეობს ინტენსიური საბრძოლო მოქმედებები და კრემლმაც არაერთხელ განაცხადა, — ჩეჩნეთში კონტრტერორისტული ოპერაცია წარმატებით მიმდინარეობსო.

ასეთი დანაკარგები რუსეთს ჩეჩნეთის პირველი ომის დროსაც არ ჰქონია. თვით ავღანეთშიც კი, საბჭოთა არმიას უფრო ნაკლები ხალხი ელუპებოდა. თუკი დავუჯერებთ საბჭოთა პროპაგანდას, ავღანეთის ათწლიანი ომის დროს 15 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. მარტო ოფიციალური მონაცემებით, ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებიდან (1999 წლის 1-ელი ოქტომბერი) 2002 წლის ბოლომდე რუსეთის ყველა ძალოვან სტრუქტურას ჩეჩნეთში სულ 4.572 ადამიანი დაეღუპა და 15.549 დაეჭრა.

რუსი ჯარისკაცების დედებს არ სჯერათ კრემლის ოფიციალური მონაცემებისა. მათი ანგარიშით, ჩეჩნეთის ორივე ომში უკვე დაიღუპა 11 ათასამდე სამხედრო, ხოლო 25 ათასი დაიჭრა.



**რუბრიკა მომზადა ირაკლი ალადაშვილმა**

# კიდევ ერთხელ „მეგრელთა საქმის“ შესახებ

***ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა ქვემოთ მოთხრობილი ამბების შემდეგ. ბევრი ითქვა, ბევრიც დაიწერა. მკითხველთა ინტერესი ამ თემისადმი იმდენად დიდია, რომ გვინდა „კვირის პალიტრის“ მკითხველს კიდევ ერთხელ ვუამბოთ ამ საქმის შესახებ.***

***ამთავითვე ვიტყვით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში იძულებულნი ვიქნებით მათთვის კარგად ცნობილი ფაქტებიც მოვიხსენიოთ. თუმცა ჩვენეული ხედვითა და ანალიზით, რაც, ვფიქრობთ, მკითხველს გაუიოლებს იმ ლაბირინთებში გზის გაკვლევას, რითაც ასე დატვირთულია ამ ჯგუფის საქმე.***

## მიზეზები

გამარჯვებულებს არ ასამართლებენ — გამარჯვებულებს ყველაფრის უფლება აქვთ. საბჭოთა გენერალიტეტმა და ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებამ ბერლინიდან მხოლოდ ნაალაფარი დროშები როდი ჩამოიტანეს. მას მოჰყვა რუსთავის მეტალურგიული და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნები; ორთაჭალის, ჩითახევისა და კიდევ მრავალი ჰიდროელექტროსადგური და ბევრი სხვა სიმდიდრე. ამ, ასე ვთქვათ, მატერიალური ფასეულობების კვალდაკვალ საბჭოეთში შემოდის ევროპული მოდა, რომელმაც ხალხის არა მარტო ჩაცმულობას, ვარცხნილობასაც დაატყო ხელი.

აქ უნდა შეჩერებულიყვნენ, მაგრამ ცდუნებამ სძლიათ და ყველა სიკეთესთან ერთად, ომის შემდგომ პირველ წლებში საბჭოეთში დაიწყო ჰიტლერული იდეოლოგიის ექსპორტი და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის ფაშიზაცია. ამას კი მოჰყვა ყაზახეთის სტეპებში გადასახლებულთა ათასეულები, შემდეგ კი თვით შინასახელმწიფოებრივ სტრუქტურებში რეპრესიები. იმ წლებში შეთითხნეს „ლენინგრადის საქმე“, „ექიმთა საქმე“ და კიდევ სხვა მრავალი. „მეგრელთა საქმე“, სამწუხაროდ, პირველ სამეულში აღმოჩნდა.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, „მეგრელთა საქმე“ სტალინის მითითებით შეიქმნა... ლავრენტი ბერიას ჩასაძირად. დიახ! კრემლის პირველმა ქართველმა გასწირა მეორე, რადგან მისი პროგრესული იდეები (რომლის წყალობითაც არაოფიციალური წყაროების ცნობით იუგოსლავიის ფედერაცია შეიქმნა) სტალინის აღშფოთებას იწვევდა. გენიოსი ტირანი გრძნობდა, რომ სწორედ ბერია იყო ის კაცი, რომელსაც ბელადის გარდაცვალების შემდეგ შეეძლო პრეტენზია განეცხადებინა იმპერიის ტახტზე და ბუნებრივია, შეეცდებოდა დაეჩქარებინა ბელადის სიკვდილი.

**ელბერდ ბატიაშვილი,** ისტორიკოსი: „სტალინი და ბერია ბოლშევიკური იმპერიის მამლუქები არიან... სხვა საქმეა, რა უმადურობით გადაუხადეს ორივეს ერთგულება და ძალისხმევა. მაგრამ სხვას რას ერჩი, როცა ერთმანეთს თვითონვე უმზადებდნენ ლახვარს“.

მანამდე კი საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში, იქაური საოლქო კომიტეტის მდივანი აკაკი მგელაძე და მისი მარჯვენა ხელი გრიგოლ კარანაძე გადასასახლებელი ქართველების სიებს ადგენენ. შემდეგ მათ საქონლის გადასაყვან ვაგონებში შეყრიან და ყაზახეთის გზას გაუყენებენ. სამაგიეროდ, სოხუმს მოადგება რეპატრიანტი სომხებით გატენილი გემები, რომლის ბორტებზეც ყველასათვის საყვარელი გოჰარ გასპარიანისა და არტურ აიდინიანის სიმღერა გაისმის. სომხები სულაც არ აპირებენ არარატის ქვაღორღიან დაბლობებში დასახლებას. აფხაზეთის სანაპირო ზოლში მათთვის გასახლებულთა დანატოვარი იმდენი თავისუფალი კარმიდამოა, რომ ჯერჯერობით ეყოფათ, შემდეგ კი თვითონაც დაიწყებენ მშენებლობას. ორმოციანი წლების ბოლოს საქართველოს საზღვაო სანაპიროზე მეტწილად სომხური ლაპარაკი გაისმის. ერთადერთი, ვინც ამას მალულად და უხმაუროდ ეწინააღმდეგება, ლავრენტი ბერიაა.

ისევ ელბერდ ბატიაშვილს მოვუსმინოთ: „მხოლოდ ბერიამ შეძლო ქართული ელემენტების გაძლიერება აქ, ისე როგორც სხვათა შორის თბილისშიც. ეტყობა, ბერიას არ დაუვიწყეს ეს და ვფიქრობ, სწორედ ამაში იმალება კრემლის სამზარეულოში „მეგრელთა საქმის“ მომზადების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზიც“.

ნაციონალურ გამოვლინებად მონათლა ბელადმა ბერიას თავგამოდება. ნაციონალიზმთან დაკავშირებით კი სტალინს განსხვავებული შეხედულება ჰქონდა:

**როზერტ თაკერი** (პრისტონის უნივერსიტეტის პროფესორი): „სტალინს არასრულფასოვნების კომპლექსი ჰქონდა იმის გამო, რომ რუსი არ იყო და ყოველნაირად ცდილობდა თავის თავში ამის ამოძირკვას. ამიტომაც ულმობლად ებრძოდა ყოველგვარ „ნაციონალიზმს“, განსაკუთრებით, საქართველოში.

აი, კიდევ ერთი მიზეზი ბერიას მოსაშორებლად. არსებობს კიდევ მიზეზთა ჯაჭვი, რომელთაგან უპირველესი ალბათ ისაა, რომ თავისი თანამდებობისა და ნიჭიერების წყალობით, მან ყველაზე მეტი იცოდა კრემლის ჩინოვნიკების სისუსტეების შესახებ, რის გამოც ბევრი მტრად ჰყავდა მოკიდებული... მალენკოვის გარდა“.

**სერგო ბერია** (წიგნიდან „მამაჩემი, ლავრენტი ბერია“): „მეგრელთა საქმე“, როგორც სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე აღიარა ხრუშჩოვმა, მამაჩემის წინააღმდეგ იყო მიმართული... მაგრამ აქ მარტო სტალინი კი არა, კრემლის პარტიული ზედაფენა ცდილობდა... ბერია მოეცილებინა სტალინის ხელით“.



> **ციხეში ჩასვეს ბერიას ცოლის ნათესავი თეიმურაზ შავდიაც. ეს ის შავდიაა, რომელიც უშიშროების რამდენიმე ოფიცერთან ერთად, უშუალოდ ბერიას დავალებით პარიზიდან თბილისამდე აცილებდა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ემიგრაციაში გადანახულ საქართველოს განძეულობას...**

დიახ, სტალინი ბერიას მოცილებით ორ კურდღელს იჭერდა — მსხვერპლად სწირავდა რუსულ შოვინისტურ ჯგუფებს და თავისი სიცოცხლის პოტენციურ ხელმყოფსაც ანადგურებდა.

მაგრამ ბერია რომ მოეშორო, ჯერ ის უფლებები უნდა შეეზღუდო, რომელიც მისი პერსონის შეუვალობას განსაზღვრავს. დასაწყისისთვის საკავშირო უშიშროების შეფს, ეგრეთ წოდებულ „ბერიას ხელის ბიჭს“, აბაკუმოვს აპატიმრებენ. აბაკუმოვის ადგილზე უშიშროების მინისტრად ბერიასა და მალენკოვის მტერი იგნატიევი დანიშნეს.

**როლანდ გრეგორ სიუნი** (ამერიკელი ისტორიკოსი): „სახელმწიფო უშიშროების სფეროში ბერიას გავლენის შეკვეცის შემდეგ, სტალინმა და იგნატიევმა საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრალდება შეთხზეს, რომელიც „მეგრელთა საქმის“ სახელწოდებითაა ცნობილი და ამით ფლანგებიდან დაარტყეს ბერიას“.

## საბაბი

როგორც ჩანს, სტალინის განწყობას ხელქვეითების მიმართ ყველაზე კარგად მისი პირადი მდივანი გრძნობდა და ბელადთან თავის დამოკიდებულებასაც ძირითადად ამის საფუძველზე აგებდა. როცა სტალინს გული გაუცივდა ლავრენტი ბერიაზე, პოსკრებიშჩევმა დაიახლოვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი აკაკი მგელაძე, რომელიც მანამდე ამაოდ ცდილობდა ბელადის უახლოეს კაცთან კავშირზე გასვლას.

აკაკი მგელაძე აფხაზეთიდან ქართველებისა და აფხაზების გასახლებასთან ერთად, არც სადამსჯელო ღონისძიებებზე ამბობდა უარს და ათასები ეწირებოდნენ მგზნებარე სტალინელის თავგამოდებას.

**ოთარ ნაჭყებია** (*არქიტექტორი*): „როცა მამაჩემი, კაპიტონ ნაჭყებია აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნეს, მგელაძე ახალი გადმოსული იყო ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივნად. მოგვიანებით მიამბობდა, როგორ ნახა იქ ჩასულმა მგელაძის მიერ დაპატიმრებული, გარაჟებში გამოკეტილი ხალხი და გაათავისუფლა...“.

ბუნებრივია, ყველაფერი ეს იცოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმაც, რომლის მეორე მდივანი იმ წლებში ბერიას ხელდასხმული მიხა ბარამია გახლდათ — პატიოსანი, კეთილშობილი კაცი.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შედის საჩივარი, რომ აკაკი მგელაძემ სამსახურიდან უსაფუძვლოდ დაითხოვა ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე იონა ტანია, მინისტრები: პაპასკუა, გოგოხია, ხონელია, ჭკადუა, სოხუმის პროკურორი გვასალია და ადგილობრივი გაზეთის რედაქტორი გვახარია. თბილისმა გულდასმით შეისწავლა არსებული მასალები და ყველანი თანამდებობებზე აღადგინეს. ბუნებრივია, ამ საქმეში თავის წვლილს პარტიის ცკ-ის მეორე მდივანიც შეიტანდა, თუმცა მგელაძემ ყველაფერი ბარამიას დააბრალა და შეთითხნილი მასალები პოსკრებიშჩევს შეაჩეჩა. აკაკი მგელაძემ საქმეში ჩართო საქართველოს უშიშროების შეფი ნიკოლოზ რუხაძე, რომელსაც სძულდა ბერია და თუკი რამეს ავნებდა, მზად იყო გაეწირა საქართველოს კომპარტიის მეორე მდივანი მიხა ბარამია. ამ დღიდან რუხაძე სისტემატურად გზავნის პოსკრებიშჩევთან პასკვილებს ბერიას ხალხზე — ცკ-ის მეორე მდივან ბარამიასა და იუსტიციის მინისტრ ავქსენტი რაფავაზე. სტალინის სიკვდილის შემდეგ ლეფორტოვოს ციხის ტუსაღი ნიკოლოზ რუხაძე ლავრენტი ბერიასთვის გაგზავნილ მონანიების ბარათში წერს, რომ ვერ იფიქრებდა, თუ ამხელა ამბავი მოჰყვებოდა სტალინთან მის მიერ გაგზავნილ დაბეზღლებებს — მეგონა, მხოლოდ ბარამია და რაფავა დაისჯებოდნენო. თაღლითობდა რუხაძე — არც ისე გულუბრყვილო გახლდათ, ვერ გაეთვალისწინებინა, რა მოჰყვებოდა ბელადთან დასმენებს. დაბეზღლებებში ბარამია-რაფავას გარდა, ფიგურირებდა რესპუბლიკის პროკურორის ვ. შონიასა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის კონსტანტინე ჭიჭინაძის (ჩხოროწყუელი იყო) გვარები.

ამ დასმენების საფუძველზე, უეჭველად სტალინის მითითებით, პოსკრებიშჩევი 1951 წლის 9 ნოემბერს აცხობს საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომელსაც ხელს აწერს სტალინი ისე, რომ დადგენილება არც განხილულა პოლიტბიუროს სხდომაზე. დოკუმენტი ასეა დასათაურებული: „საქართველოში მექრთამეობისა და ამხ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“. საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში მეხივით გავარდა ეს ამბავი. არავინ, მათ შორის, არც ცკ-ის პირველმა მდივანმა, კანდიდ ჩარკვიანმაც კი არაფერი იცოდა და უცებ... 21 ნოემბრამდე თავზარდაცემული იყო რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. მერე კი, როგორც ამას პარტიული დისციპლინა ითხოვდა, დაიწერა შესაბამისი ადგილობრივი მნიშვნელობის დადგენილება, რომელიც პირველის გადამღერება იყო.

## შედეგი

„ანტიპარტიული ორგანიზაციის მიზანი იყო საქართველოს პარტორგანიზაციის პროვინციულ სათავადოებად დაშლა. ჯგუფის წევრებს კავშირი ჰქონდათ ქართული ემიგრაციის პარიზულ ფრთასთან (ჟორდანია, გეგეჭკორი), რომლის მეშვეობითაც საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას უკეთებენ ამერიკის დაზვერვას და ემსახურებიან მილიტარისტული სახელმწიფოს ინტერესებს.

ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურია წარმოშობით მეგრელი ევგენი გეგეჭკორის სადაზვერვო ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ მეგრელებისაგან შედგება და მიზნად ისახავს საბჭოების ლიკვიდაციას იმპერიალისტური ძალების მეშვეობით...“ — ეს გახლავთ ამონარიდი ბოლო დადგენილებიდან. თუმცა მანამდე პლენუმმა საკავშირო ცკ-ის დადგენილება კი მოისმინა, მაგრამ ყველა ენაჩავარდნილია. მათ შორის კანდიდ ჩარკვიანიც. მხოლოდ მიხა ბარამიამ იკითხა — რა ანტიპარტიულ ორგანიზაციაზეა ლაპარაკი, სადაა ფაქტებიო. ფაქტები არ იყო. საერთო დაბნეულობისა თუ მდუმარების ფონზე სიტყვა აიღო ახლა უკვე ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა, აკაკი მგელაძემ. მან თითქმის სიტყვასიტყვით ის გაიმეორა, რასაც მოსკოვს მოახსენებდა: ეს მეგრელ ნაციონალისტთა ანტიპარტიული მოღალატური ორგანიზაციაა და საგანგაშოა, რომ ეს ჯგუფი საქართველოში შეიქმნაო... — „მართალია უმსგავსობანი სხვა რესპუბლიკებშიც ხდება, მაგრამ საქართველოში ამან წარმოუდგენელი მასშტაბები მიიღო... ამიტომაც წესრიგის დამყარებას საქართველოდან დავიწყებთ“(!). ამ სიტყვების შემდეგ აკაკი მგელაძე სხდომის დირიჟორად იქცევა. ყველა ხვდება, რომ ტრიბუნაზე ხვალინდელი ცეკას პირველი მდივანი დგას, მით უმეტეს, როცა იგი ახმოვანებს მისთვის ნათქვამ სტალინის შეგონებას: „თუ „პროვინციული ბელადიზმი“ არ აღიკვეთა, საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის როლი მოსახლეობაში ნულზე დავა. დაამყარეთ წესრიგი, ანგარიში არ გაუწიოთ არავის და არაფერს“.

ეს უმაღლესი „კანონმდებლის“ მიერ გამოტანილი განაჩენი გახლდათ, რომლის აღმსრულებლის მისიაც აკაკი მგელაძეს დაეკისრა. კანდიდ ჩარკვიანმა მხოლოდ იმის თქმაღა მოახერხა, — ჯგუფი შეიძლება არც იკრიბებოდეს, „მაგრამ არსებითად შეიძლება არსებობდეს და მოქმედებდეს“-ო. მაგრამ ეს ის არ იყო, რასაც ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისაგან ითხოვდნენ. ჩარკვიანის განცხადება მოვალეობის მოხდას უფრო ჰგავს და შედეგიც არ აყოვნებს. ჯერ ქუთაისის საქალაქო ორგანიზაცია ქუთაისის საოლქო პარტიულ ორგანიზაციად გადააკეთეს (შეიქმნა ქუთაისისა და თბილისის ოლქები), მერე კი ოლქის პარტიული ხელმძღვანელი აკაკი მგელაძე, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად დანიშნეს. მასვე დაევალა „მეგრელთა საქმის“ ბოლომდე მიყვანა.

გამოგონილი მეგრელთა ოთხკაციანი ანტიპარტიული ორგანიზაცია კატასტროფული სისწრაფით იზრდებოდა. სხვათა შორის, მათ სიაში აღმოჩნდნენ იმ ავადსახსენებელ პლენუმზე მგელაძის გამოსვლით გათამამებული პარტიული ფუნქციონერები: კირილე ბეჟვაია, ვალერიან გუგუნავა, გრიგოლ კოკაია, გრიგოლ კარანაძე და მიხეილ კვარაცხელია, რომლებმაც იმდენი ლანძღეს და აგინეს ბარამიას „ანტიპარტიული“ ჯგუფი, რომ მგელაძეს ეტყობა, მათ გულწრფელობაში ეჭვი შეეპარა და ისინიც პირველი ოთხეულის გზას გაუყენა, ანუ ჯერ პარტიიდან გარიცხა, შემდეგ კი...

ამდენი ცილისწამებით განადგურებული მიხა ბარამია მოსკოვში წასვლის ნებართვას ითხოვს. მას უარს ეუბნებიან, მაგრამ ბარამია მაინც ახერხებს ვინმე თოფურიას გვარით მოსკოვში ჩასვლას. ასევე არალეგალურად მიემგზავრება ფაქტობრივად შინაპატიმრობაში მყოფი კონსტანტინე ჭიჭინაძეც. ქვეყნის დედაქალაქში მათთვის ყველა კარი დახშულია — ვერც მალენკოვს ხვდებიან და ვერც ბერიას. მხოლოდ იმას იგებენ, რომ საკავშირო ცეკას მათთვის საინტერესო დადგენილება არ განუხილავს. ერთსაც და მეორესაც მოსკოვური ვოიაჟი პარტიული დისციპლინის დარღვევად ჩაუთვალეს(!) (პარტიიდან გარიცხულ ხალხს) და „შეკრებილი მასალების“ საფუძველზე 1951 წლის 15 დეკემბერს დააპატიმრეს. მათთან ერთად ციხეში უკრეს თავი ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივანს, გრიგოლ ჩაჩიბაიას და აღმასკომის თავმჯდომარეს, გუგა გობეჩიას.

თავდაპირველად, ოცამდე კაცი დააპატიმრეს. მერე კი მათ რიგებს ყოველდღე ემატებოდა ახალ-ახალი მსხვერპლი. დააპატიმრეს რაფავას ძმაც, რომელიც მანამდე გერმანელების ტყვეობაში იმყოფებოდა, როგორც საბჭოთა არმიის ოფიცერი. ციხეში ჩასვეს ბერიას ცოლის ნათესავი თეიმურაზ შავდიაც. ეს ის შავდიაა, რომელიც უშიშროების რამდენიმე ოფიცერთან ერთად, უშუალოდ ბერიას დავალებით პარიზიდან თბილისამდე აცილებდა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ემიგრაციაში გადანახულ საქართველოს განძეულობას მის მცველთან ერთად. ანტიპარტიული ორგანიზაციის „ლიდერების“ გარდა, მათი ოჯახის სრულწლოვანი წევრები და სანათესავოც შორეულ გზას გაუყენეს... რა თქმა უნდა, მას შემდეგ, როცა რამდენიმე მათგანის „აღიარებაც“ მიიღეს. რას იზამ, ყველა ვერ უძლებს ტანჯვა-წამებას. დღედაღამ „მუშაობდნენ“ საქართველოს უშიშროების ხელმძღვანელი ნიკოლოზ რუხაძე და მისი მოადგილე თავდიშვილი; გამომძიებლები ქუსინაშვილი, კუციავა და სტეპანოვი. ნელ-ნელა „აალაპარაკეს“ ვიღაც-ვიღაცები. მიხა ბარამიაც წერს: „ცხადად ავწონ-დავწონე რა ზოგიერთი მეგრელის, მათ შორის რაფავაშონიასა და სხვების მხრიდან ჩადენილი დანაშაული, ცხადად იხატება მეგრელ ნაციონალისტთა არსებული ჯგუფი“. იოლი წარმოსადგენია, რის ფასად დაიწერა ეს „აღიარება“.

**ოთარ ნაჭყებია**: „ასეთ ვითარებაში ყველაზე კარგი სამიზნე მამაჩემი, გენერალი კაპიტონ ნაჭყებია გახლდათ, მაგრამ ვერაფერი შებედეს მხოლოდ იმის გამო, რომ საერთაშორისო სკანდალის შეეშინდათ. კაპიტონი ხომ პირადად ჩერჩილის ხელდასხმით ინგლისის ლორდის ტიტულის მფლობელი გახლდათ. ამან იხსნა, თორემ დააპატიმრებდნენ, რადგან ჩვენი და ბარამიების ოჯახები მეგობრობდნენ. მე და მიხა ბარამიას ვაჟი მირიანი, რომელიც ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი იყო, ბარნოვზე ერთ სკოლაში ვსწავლობდით. სწორედ იმ ხანებში, როცა ბატონი მიხა სასჯელს სოლოვკის ბანაკში იხდიდა, მირიანმა სკოლის ეზოში შემთხვევით ორივე ფეხი მოიტეხა. მოსწავლეების ხმაურზე მოსულმა დირექტორმა ბიჭს დახედა და ხმამაღლა იყვირა — ბლიზკო ნე პადხადიტ. ონ სინ ვრაგა ნაროდა! სასწრაფო დახმარების სადგურისკენ გავიქეცი. იქიდან მანქანა წამოვიყვანე და ერთადერთი, ვინც დამეხმარა, ჩვენი სკოლის დარაჯი, ქურთი აზიზა იყო. ამ „უგვანი საქციელისათვის“ იმ პიონერთა რიგებიდან გამრიცხეს, რომლის წევრიც არასოდეს ვყოფილვარ...“

მაშ ასე, „მეგრელთა საქმის“ ყველა სუბიექტი და მათი საახლობლო წრე სასჯელს იხდიან. დროის მანქანა კი გამუდმებით მუშაობს, მაგრამ მთავარი დამნაშავის, ბერიას დაპატიმრება ვერ კი ხერხდება. მაგრამ ახლოა ის დღე, როცა დიდი ბელადი გამოემშვიდობება კრემლს. ქვეყნის სათავეში სხვები მოვლენ. მანამდე კი ლავრენტი ბერია ჩვეულ ფორმაშია. 1953 წლის აპრილში აკაკი მგელაძე მოხსნეს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობიდან და მალენკოვისა და ხრუშჩოვის წინადადებით ამ პოსტზე საკავშირო ცეკას აპარატის თანამშრომელი ალიოშა მირცხულავა დანიშნეს. აქ ბერიას ხელი იგრძნობოდა.

**ალიოშა მირცხულავა:** „ბერიამ დამარიგა — ყველა რეაბილიტირებულს ცხოვრების ნორმალური პირობები შეუქმენით, ბინები დაუბრუნეთ. ამ საქმეში ბევრი საკითხი გასარკვევია. ძირფესვიანად შეისწავლეთ და ერიდეთ სამაგიეროს გადახდას რეპრესიებითო... მეორე დღეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა შედგა და მალენკოვმა განაცხადა: „მეგრელთა საქმეზე“ სტალინი შეცდომაში შეიყვანესო და მთავარ დამნაშავეებად მგელაძე და რუხაძე დაასახელა. სხდომის შემდეგ კი მალენკოვმა და ბერიამ დადგენილება მომცეს უდანაშაულოდ რეპრესირებულთა რეაბილიტაციის, გადასახლებულთა სამშობლოში დაბრუნების, თბილისისა და ქუთაისის ოლქების გაუქმების თაობაზე“.

სიტყვა „რეაბილიტაცია“ ბერიას (დიახ, ბერიას და არა მალენკოვის) ლექსიკონში პირველად 2 აპრილს, ანუ მას შემდეგ ჩნდება, როცა იგი საპყრობილიდან ათავისუფლებს ვიაჩესლავ მოლოტოვის მეუღლეს. მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ ათასობით უდანაშაულოთა ხელაღებით გათავისუფლება არ შეიძლება. აუცილებლად უნდა დაისაჯონ მომკვლევი და სასამართლო ორგანოების შესაბამისი წარმომადგენლები, მაგრამ მაშინ ხომ იგივე გამოვა — ერთს გამოუშვებ, მეორე კი უნდა დაიჭირო. ამასთან, როგორც ზემოთ ვნახეთ, ბერია არ არის რეპრესიებზე ასეთივე მეთოდით ანგარიშსწორების მომხრე და საქმე რომ გართულებების გარეშე წარიმართოს, ამიტომაც მიმართავს სიტყვა „რეაბილიტაციას“. დასასრულ, ისევ ბატონ ოთარ ნაჭყებიას მოვუსმინოთ: „სოხუმის მახლობლად, კელასურის ბაქანთან ჩქარი მატარებელი არ ჩერდება, მაგრამ ამჯერად მისი მემანქანე რატომღაც შემაშფოთებელ სიგნალებს იძლევა და თვალი ყველას ლიანდაგისაკენ გაურბის, სადაც რკინიგზის ხაზებს შორის პატარა ბავშვი დგას და ცნობისმოყვარედ მისჩერებია დიდი სიჩქარით მისკენ მიმავალ მატარებელს. კატასტროფამდე წამები რჩება და ბაქნიდან ვიღაც მამაკაცი გადაეშვება, ბავშვს განზე ისვრის და თვითონ იღუპება... ეს მიხა ბარამია გახლდათ“.

დამეთანხმეთ, ხალხისა და სამშობლოს მტრები ასე არ კვდებიან.

***ვაჟა გავაშელი***

# სენსაციური აღმოჩენა ლენტეხის მთებში

## როგორ დაიკარგა ქვემო სვანეთიდან ორმოცამდე უძვირფასესი წმინდა ხატი

— გვიან მივხვდით ხელისუფლების ზრახვებს, მაგრამ უძლურები ვიყავით. კარგად მახსოვს, ხატების უმრავლესობას შეფასების გრაფაში სიტყვა „შეუფასებელია“ ეწერა. დღეს ყველა მათგანის ფოტოებიც გამქრალია და აღწერილობაც. ზუსტად ვერავინ გეტყვით, რომელი ეკლესიიდან რა ხატი გაიტანეს.


მარგვიშის ეკლესიიდან დაკარგული ღვთისმშობლის ხატი

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის უკანასკნელ წლებში კომუნისტებმა ქართველი ერის წინაშე კიდევ ერთი დიდი დანაშაული ჩაიდინეს, რომელიც თითქმის 17-18 წლის განმავლობაში გულმოდგინედ იმალებოდა და საზოგადოებამ მასზე არაფერი იცოდა. დანაშაულის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მომაკვდავმა ხელისუფლებამ, თითქოს მეცნიერული შესწავლისა და მათი უკეთესად დაცვის მიზნით, ქვემო სვანეთის ეკლესია-მონასტრებიდან უნიკალური, ძვირფასი ხატები გაიტანა. ხატები ვითომ მუზეუმებში უნდა დაებრძანებინათ, მაგრამ იქამდე სვანეთის ეკლესიებიდან წამოღებულ არც ერთ ხატს არ მიუღწევია. რამდენი უნიკალური ხატი წამოიღეს ლენტეხის რაიონიდან, დღეს დანამდვილებით უკვე ვერავინ გეტყვით. მოსახლეობის თქმით, დაახლოებით ორმოცამდე ხატი იქნებოდა. ძნელბედობის დროს სვანეთი ხალხისათვის არა მარტო თავშესაფარი, სიწმინდეთა ნავსაყუდელიც იყო. სვანეთის ეკლესიებს მტრის ხელი ძნელად სწვდებოდა და საქართველოს მეფეები აქაურ სალოცავებს ხშირად სწირავდნენ წმინდა ხატებს. ოქროს პერანგით შემოსილი და პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ხატები ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენდა. საქართველოს მეფეები პირად და სახელმწიფო საგანძურსაც ლეჩხუმისა და სვანეთის მთებში ინახავდნენ. ახლაც ცნობილია ის გვარები და ოჯახები, რომელთაც განძის მოვლა-პატრონობა და შენახვა ევალებოდათ. განსაკუთრებით საპატიო იყო სიწმინდეების, მათ შორის — ხატების შენახვა. საუკუნეების განმავლობაში ეს მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა მამიდან შვილზე გადადიოდა და ასე მოაღწიეს წმინდა ხატებმა მე-20 საუკუნემდე ისე, რომ ერთიც არ დაკარგულა.

ვისი განკარგულებით და ვინ გაძარცვა ქვემო სვანეთის ეკლესია-სამლოცველოები და რა დავკარგეთ? — ამის გასაგებად გავემგზავრეთ ქვემო სვანეთში.

### სენსაციური აღმოჩენა

სანამ ჩვენს მკითხველს ჩვენი კვლევა-ძიების შესახებ მოვუთხრობდეთ, ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსის, მეუფე სტეფანეს ლოცვა-კურთხევით გვსურს მსოფლიოს მართლმადიდებელ სამყაროს სენსაციური აღმოჩენა ვამცნოთ. კერძოდ, VI საუკუნის დასასრულსა და VII საუკუნის დამდეგს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა წმინდა მაქსიმე აღმსარებელი. იგი ბიზანტიის იმპერატორის კარზე პირველი ვეზირის მოვალეობას ასრულებდა. იმპერატორმა მართლმადიდებლობას ზურგი აქცია და მონოთელისტობას, ცრუმოძღვრებას მიემხრო. მაქსიმე აღმსარებელმა იმპერატორი ამხილა, რისთვისაც ენა ამოჰკვეთეს (რათა აღარ ექადაგა), ხელი მოაჭრეს (რათა აღარ ეწერა) და კოლხეთში გადმოასახლეს. საქართველოში მოხდა სასწაული — მას მეტყველებაც აღუდგა და წერაც შეძლო. ისტორიული წყაროების მიხედვით, წმინდანი, როგორც დასჯილი, კოლხეთში, სქიმერის ციხეში ჩასვეს.

მეცნიერების ვარაუდით, სქიმერი იგივე უქიმერიონის ციხე უნდა იყოს, მაგრამ სჯობს თვითონ **მეუფე სტეფანეს** მოვუსმინოთ: „რამდენიმე კვირის წინ დავიწყეთ ცაგერისა და ლენტეხის რაიონების სიწმინდეების მონახულება. როდესაც ლენტეხის რაიონული ცენტრიდან შორს, უვალ გზებზე გადავუხვიეთ, მძღოლმა მითხრა — აქაურობას სკიმერის მთას ეძახიანო. გონება გამინათდა. სქიმერი — სკიმერს დავუკავშირე და სიხარულმა შემიპყრო. მეორე დღეს მთაზე ცხენებით ავედით. დიდხანს ვიარეთ — ვეძებდით ციხის ნაშთებს და როდესაც ბიზანტიური ბასტიონის დანგრეულ კედლებს წავაწყდით, მივხვდით, რომ წმინდა მაქსიმე აღმსარებლის ადგილსამყოფელს მივაგენით, რომელიც დღემდე უცნობი იყო და რომელიც ქართულ მართლმადიდებლურ დიდ სიწმინდედ მოიაზრება“.

ამ ფაქტს ალბათ, ქართული ეკლესია კიდევ უფრო მასშტაბურად მიუბრუნდება, ჩვენ კი ქვემო სვანეთიდან გატაცებული ხატების შესახებ გავაგრძელებთ თხრობას. ცაგერამდე ასე თუ ისე ნორმალურად ვიმგზავრეთ, წამება შემდეგ დაიწყო. ლენტეხამდე გზა, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს, მხოლოდ მისი ნაშთიღაა დარჩენილი. უფრო მძიმე მდგომარეობაშია ლენტეხიდან მესტიაში გადასასვლელი გზა. არაფერს ვამბობთ იმ გზებზე, რომლებიც სოფლებს რაიონის ცენტრთან აკავშირებს. გზების ასეთ სავალალო მდგომარეობას აქაურები შარშანდელი წყალდიდობით ხსნიან. 2003 წლის 29 სექტემბრის პრეზიდენტის 473-ე ბრძანებულებით, ლენტეხის რაიონი ეკოლოგიურად საგანგებო ზონად გამოცხადდა.

ვესაუბრებით ჩვენს მასპინძელს, **ლენტეხის რაიონის გამგებელს მიხა ონიანს**:

— პრეზიდენტის განკარგულებით თითქმის ყველა სამინისტროს დაევალა ლენტეხის რაიონისთვის დახმარება, მაგრამ ამაოდ. ცენტრიდან მეტი ყურადღება და დახმარებაა საჭირო, რათა ლენტეხის რაიონი მოსახლეობისგან არ დაიცალოს. დემოგრაფიული მდგომარეობა გაუარესებულია — სვანეთში შობადობა აშკარად შემცირდა. ხალხს თვალი თბილისსა და ქუთაისისკენ უჭირავს, იქ უფრო იოლია თავის რჩენა. კერძო სახერხი საამქროების გარდა, რაიონში არც ერთი საწარმო არ მუშაობს.

— **რაიონმა ამხელა წყალდიდობა და მეწყერი გადაიტანა, ხეტყის ჭრა კი მაინც გრძელდება.**

— რა ქნას ხალხმა, რით ირჩინოს თავი? სხვა საარსებო წყარო ლენტეხის რაიონში დღეს არ მოიძებნება. გინდ შიმშილით მომკვდარა კაცი, გინდ მეწყერს დაუმარხავს. ამიტომ მიჭირს მოსახლეობისთვის ხეტყის ჭრის აკრძალვა...

— **ბატონო მიხა, ჩვენ ამჟამად ქვემო სვანეთიდან დაკარგული უნიკალური ხატების ასავალ-დასავალი გვაინტერესებს.**

— მე თანამდებობაზე წელიწად-ნახევარია, რაც დავინიშნე, ამიტომ სრულყოფილ ინფორმაციას ვერ მოგცემთ. ისე კი, როგორც რაიონის მკვიდრმა, შემიძლია გითხრათ, რომ რაიონის ეკლესიებიდან რამდენიმე ათეული უძველესი ხატი გაიტანეს. თავდაპირველად ისინი მილიციაში ინახებოდა და შემდეგ კი უკვალოდ გაქრა. სჯობს ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს, ინგა ონიანს გაესაუბროთ...

სანამ მუზეუმის დირექტორი გამგეობაში მოვიდოდა, გარეთ გამოვედით და პირველივე შემხვედრ მოხუც შავოსან ქალბატონს გავესაუბრეთ. იგი **გოგუცა ჩანქსელიანი** აღმოჩნდა: — ხატები დაიკარგა რომელია, ყველაფერი დაიკარგა ეკლესიებიდან, კომუნისტების დროსაც და მერეც. არადა, ძლიერი ხატები იყო, მაგრამ საიდღანაც ჩამოსულმა ნაძირალებმა გაგვიძარცვეს ჩვენი სიწმინდეები. ამის გამკეთებლები სვანები არ იყვნენ. ჩვენ გენში გვაქვს ხატის რიდი და შიში. საწყალი მამაჩემი 15 წლის განმავლობაში ხატის მცველი იყო სოფელ ფაყის ეკლესიაში.

— **რომელ ხატს იცავდა მამათქვენი?**

— მამა სკალდის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის მცველი იყო. მას ებარა თარიგზენის (მთავარანგელოზის) ხატი, რომელიც უამრავი პატიოსანი ქვით იყო დამშვენებული. დიდი ძალა ჰქონდა თარიგზენის ხატს. მისი მადლი მთელ საქართველოზე გადმოდიოდა. ერთხელ ლენტეხის ამაღლების ძველი ტაძრიდან იგი თავისით გამობრძანებულა და ხალხს ხეზე დაკიდებული უნახავს. ერთ-ერთ მორწმუნეს იმავე ღამეს უბრძანა უფალმა, ხატისთვის ახალი ადგილი შეერჩიათ დასაბრძანებლად. ხალხს ორი გაუხედნავი მოზვერი უნდა შეება უღელში, ზედ ხატი დაემაგრებინათ და სადაც მოზვრები გაჩერდებოდნენ, ის იქნებოდა ხატის ადგილი. სვანებიც ასე მოქცეულან და ორ მოზვერს აუტანია თარიგზენის ხატი იმ ადგილამდე, სადაც დღეს სკალდის სალოცავია. ხალხმა იმ ადგილზე სამლოცველო ააშენა და თარიგზენის ხატი იქ დააბრძანა. სწორედ მისი მცველი იყო მამაჩემი. მას ხატი ერთ კლდეში, ნაპრალში ჰქონდა გადამალული. მისი ადგილსამყოფელი კიდევ ორმა კაცმა იცოდა. მხოლოდ რელიგიურ დღესასწაულებზე დაასვენებდნენ სამლოცველოში. ხატის გამოსვენება საიდუმლო ადგილიდან მთელი რიტუალი იყო. მამა და მისი დამხმარეები ერთ კვირას მარხულობდნენ, განიწმინდებოდნენ და ისე ეახლებოდნენ ხატს... რამდენიმე წლის წინ ხატი მოიპარეს. დიდი და პატარა ფეხზე დადგა. ბევრი ძებნის შემდეგ ჯერ გაძარცულ ხატს მიაგნეს, მერე კი ოქროს პერანგსაც, მაგრამ ზოგი რამ მაინც აკლდა. ხალხმა ფული შეკრიბა, ოქრო იყიდა და თავიდან შეიმოსა ხატი, რომელიც ძველ ადგილზე დააბრძანეს.

ამასობაში ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორიც მოვიდა. **ინგა ონიანი**: — დაახლოებით 30 ხატზე მეტია დაკარგული ქვემო სვანეთის ეკლესიებიდან. 1985 წლის 17 ნოემბერს საქართველოს მთიანეთის შემსწავლელი კომპლექსური კომისიის ექსპედიციამ გასცა განკარგულება ქვემო სვანეთის ეკლესიებიდან სიწმინდეების გატანის შესახებ. მაშინდელი მილიციის დახმარებით გაიტანეს უამრავი წმინდა ნივთი და ხატი. ზოგიერთი X-XI საუკუნის იყო.

— **როგორც ვიცი, ხატებს ხატის მცველები პატრონობდნენ. როგორ მოახერხა ან ექსპედიციამ, ან მილიციამ მათი გატანა?**

— ამაზე მეც ბევრი ვიფიქრე და ვიმტვრიე თავი. როგორც ჩანს და შემდეგ გავიგე სხვადასხვა წყაროდან, მილიციამ ხატის მცველებს თავისი აგენტები მიუჩინა, რომლებიც დააფინანსა. აგენტებს მხოლოდ ხატის მცველის ვინაობის დადგენა ევალებოდათ (ტრადიციისამებრ, ხატის მცველების ვინაობა გასაიდუმლოებული იყო. — ზ. ჩ.). აგენტებმა წარმატებით შეასრულეს დავალება. იმავდროულად, ხელისუფლებამ ჩამოაყალიბა საქართველოს მთიანეთის შემსწავლელი კომპლექსური კომისია. ვფიქრობ, მილიციამ სწორედ ცენტრალური ხელისუფლებისგან მიიღო მითითება. ამ საქმეში გავლენიანი ხალხი იყო ალბათ ჩართული. მილიცია ბრმა იარაღი იყო მხოლოდ (როგორც მაშინდელი მილიციის თანამშრომლებისგან შევიტყვეთ, ამოღებული ხატები სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა შესწავლა-შეფასებისთვის. — ზ.ჩ.).

(გაგრძელება იხ. გვ. 13)




**Pleasure Pill (ფლეჟა ფილ) სიამოვნება აბებში**
***უძლიერესი სტიმულატორი***

შეიგრძენით **Belliom Enterprises Corporation** - ის მიერ შემუშავებული და გამოცდილი ნატურალური პროდუქტების ძალა. იგი გამოიყენებს მხოლოდ მაღალი ხარისხის ნატურალურ პროდუქტებს თქვენი სექსუალურობის გასაზრდელად. თქვენ გეძლევათ საშუალება სწრაფად და ბუნებრივად დათრგუნოთ თქვენი შიშები სექსუალურობის ნიადაგზე.

**Pleasure Pill** ეფაქტურია როგორც მამაკაცებისათვის, ასევე ქალებისათვის. იგი აძლიერებს სისხლის ცირკულაციას გენიტალიებში, რაც იწვევს აგზნებადობას. აგრეთვე **Pleasure Pill** შეიცავს საკვანძო კომპონენტებს, რომლებიც ახდენს გონების სტიმულაციას, რის შედეგადაც მიიღწევა სექსუალურობის უმაღლესი მწვერვალი.

**Pleasure Pill**- ის შემადგენელი რვა ძირითადი კომპონენტი არ ფიგურირებს არცერთ სხვა მსგავს პრეპარატში.

**Pleasure Pill** ეფექტურად გამოიყენება სექსუალური დისფუნქციის დროს როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში იმ ოთხივე ცნობილი ფიზიოლოგიური სისტემის გათვალისწინებით, რომლებიც აუცილებელია ოპტიმალური სექსუალური ფუნქციონირებისათვის:



1. ზრდის სექსუალურ აგზნებადობას და გამძლეობას;
2. ზრდის **Nitric Oxide**-ის და **GMP**-ს დონეს;
3. აძლიერებს სისხლის მიწოდებას გენიტალიებში;
4. ზრდის ლიბიდოს, მგრძნობელობასა და ორგაზმს.

***Pleasure Pill – უბრალოდ სცადეთ !!!***
***და აღმოაჩენთ, რომ ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება!***

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
ყოველდღე, კვირის გარდა www.shopge.com

**გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?**

**გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?**

**გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისას, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის, ან ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთრებისა და ფლობასთან დაკავშირებით?**

**მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!**

ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:
- ✔ მედიაცია, ანუ მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება,
- ✔ იპოთეკა,
- ✔ მემკვიდრეობა,
- ✔ ყიდვა-გაყიდვა,
- ✔ კერძო არბიტრაჟი,
- ✔ სასამართლოში მხარის ინტერესების დაცვა.
- ✔ უფასო იურიდიული კონსულტაცია,

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.

დაგვიკავშირდით, თქვენ სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის I შესახვევი, №8,
☎ 877 458 651; 899 982 809, 912 159; 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 336 683; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 271 912.

საისტორიო მოამბე

# „მამა ილიამ“ შეგარიგოთო...

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა დაადგინა: წმიდანთა დასში შეირაცხოს XVII–XVIIIს–ში სპარსეთში ქრისტიანული სარწმუნოებისთვის მუსლიმთაგან მოწყვეტილი ყოველი ქართველი და ეწოდოს მათ: „წმიდა მოწამენი ქართველნი სპარსეთში მოწყვეტილნი“. მათი ხსენების დღედ დადგინდა მაცხოვრის ამაღლების დღესასწაული.**

ირანში, ბახტიარიის მთებში, ფერეიდნის პროვინციაში ოთხი საუკუნეა, ცხოვრობენ შაჰ-აბასის მიერ ტყვედქმნილ ქართველთა შთამომავალნი. მრისხანე შაჰმა ქართველები აქ ირანის სატახტო ქალაქ ისპაჰანის მომთაბარეთაგან დასაცავად დაასახლა და იძულებით რჯული შეაცვლევინა. ქართულმა სულმა საუკუნეებს გაუძლო და შემოინახა არა მარტო „დედის ენა“, არამედ ბევრი ისეთი წესადათი, ეთნიკური ჩვევა, რომელიც დღეს საქართველოში დაკარგულია, მათ შორის ერთი ძველი ქართული ლოცვაც — **„ღმერთს ებარებოდე“**. ფერეიდანში არის ერთი კლდე, საიდანაც იმ ქართველებს ყრიდნენ, ვინც რჯულის შეცვლაზე უარს ამბობდა. დღესაც იქ ადიან ფერეიდნელი ქართველები. იმათ ძვლებს აგროვებენ და მათ სამკაულებს პოულობენ. ამაღლების მთას ეძახიან ფერეიდნელები იმ ადგილს, სადაც გადმოცემით ქართველებს თეთრ ცხენზე


ფერეიდანი

ამხედრებული წმიდა გიორგი გამოეცხადათ. ისეთი ძლიერი ნათელი დაადგა იქაურობას, რომ ქვა, სადაც წმინდანი იდგა, მისმა ძალამ გახეთქა. დღესაც, იმ ქვას ხელი რომ დაადო, ცხელია. ამ ადგილს სპარსელებიც კი გაურბიან. აქ ანთებენ სანთელს ფერეიდნელები.

სამშობლოს სიყვარულის გრძნობა რომ არ ჩამკვდარიყო ხალხში, ასეთი რიტუალი შემოუღიათ: ყოველ წელიწადს, 12 სექტემბერს, იმართებოდა სახალხო დღესასწაული-შეჯიბრი — „საქართველოს საზღვრებისაკენ“. ერთ საგანგებოდ, ლამაზად მოწყობილ წალკოტში დადებდნენ ამ დღისათვის გამომცხვარ დიდ პურს, რომელსაც ჯვარი ჰქონდა გამოსახული — ეს იყო საქართველოს სიმბოლო. შეარჩევდნენ ბიჭებს, რომლებსაც იმ წელიწადს უსრულდებოდათ 12 წელი, დააყენებდნენ წალკოტის სამხრეთით, გარკვეულ მანძილზე გამოსაქცევად გამზადებულებს და მისცემდნენ ნიშანს. ბიჭები გამორბოდნენ „საქართველოსკენ“. ვინც პირველი მივიდოდა, პურიც მისი იყო და იმ წლის გმირადაც ის ითვლებოდა.

ამ რიტუალს თაობიდან თაობას გადასცემდნენ...

უკვე აღარ არის შორს გურჯისტანამდე. ფერეიდნელი ქართველები გაფაციცებით ადევნებენ თვალს ჩვენს სატელევიზიო გადაცემებს, უფრო სწორად ორ არხს — „აჭარასა“ და „რუსთავი-2“-ს. ამ არხებით ხშირად ურთიერთსაპირისპირო ინფორმაციები გადაიცემა. ამის გამო ძალიან წუხან ფერეიდნელები, ასე გათითოკაცებულს რომ გვხედავენ და შემოგვითვალეს: შერიგდითო და დაუმატეს — „მამა ილიამ“ შეგარიგოთო... სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს გულისხმობდნენ...

## წმ. თომას დღე

19 ოქტომბერს მართლმადიდებლურმა სამყარომ აღნიშნა წმინდა და ყოვლადქებული თომა მოციქულის ხსენების დღე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სიონის საკათედრო ტაძარში აღავლინა საზეიმო წირვა.

შეგახსენებთ, რომ თომა მოციქული („ურწმუნო თომა“) ქრისტეს ერთ-ერთი რჩეული მოწაფე იყო და მოწამებრივად აღესრულა ქრისტეს რჯულისთვის. წმინდანის უხრწნელი ნაწილები ინახება ინდოეთში, უნგრეთში, ათონის მთაზე... მისი თავის ქალა კი თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული და ნებისმიერ ადამიანს აქვს საშუალება ემთხვიოს ამ სიწმინდეს.

უფლის გზისაკენ

# ჩვენ და მშობლები

***ქართული სატაძრო მედიცინის მკვლევარი, ექიმი თამარ ქავთარაძე თავის ნაშრომებში ცდილობს აღადგინოს და ეროვნულ მედიცინას დაუბრუნოს ის სახე, რაც მას უხსოვარი დროიდან ჰქონდა.***

***გთავაზობთ ამონარიდს ქალბატონი თამარის ნაშრომიდან.***

ღმერთმა ექვს დღეში შექმნა სამყარო და დაისვენა. უფლისთვის დღე ერთი — ვითარცა ათასი წელი და ათასი წელი, ვითარცა ერთი დღე. ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის, ექვსი დღის განმავლობაში შეიქმნა სამყარო თუ ექვსი ათასი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მისი საბოლოო ჩამოყალიბების პროცესები.

უფალი განსაზღვრავს ჩვენი აქ ყოფნა-არყოფნის ხანგრძლივობას, და ეს, რა თქმა უნდა, არ ხდება ჩვენთან შეუთანხმებლად. ბევრი შემომედავება: რას ამბობთ, ჩვენ რომ გვკითხოს, სულ არ წავალთ აქედანო. გვეკითხება, გვაფრთხილებს ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ ვინ უსმენს? ჩვენი ფიზიკური თვალთახედვისათვის ხელმისაწვდომ მშობელს არ ვუსმენთ, როდესაც გვაფრთხილებს და ცდილობს აგვაცილოს უბედურება და როგორ მოვუსმენთ სულიერ მშობელს, რომელსაც ვერ ვხედავთ და არც გვესმის მისი.

მშობელთან წინააღმდეგობაში შესვლა, თავისთავად უფალთან წინააღმდეგობაში შესვლაა. დედამიწა საზომი ერთეულია უფლისთვის. აქ იზომება ჩვენი მორჩილებაც და წინააღმდეგობაც. მშობელი ჩვენი მწყემსი და პატრონია დედამიწაზე უფლისგან დანიშნული. მაგრამ მშობელს არ უნდა დაავიწყდეს, რომ შვილი უფლისგან მიბარებული კრავია, რომელსაც უფლის შესაფერისად აღზრდა სჭირდება. არც შვილს უნდა დაავიწყდეს, რომ მოცემულ შემთხვევაში მისი მშობლები ზეცაში, უფლის ნებით ხდებიან მიწაზე მათი პატრონი და მომვლელი გარკვეულ ასაკამდე, ვიდრე შვილები უძლურებაში იმყოფებიან. დაბადებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, მოხუცებულობაში გადასვლა, თავისთავად უძლურებიდან-უძლურებაში გადასვლაა.

შვილმაც და მშობელმაც ღირსეულად უნდა გაიარონ ეს საკმაოდ რთული და საინტერესო ეტაპი. და თუ ვალი უფლისა ორივემ ღირსეულად მოიხადა, სიბერე და ახალგაზრდობა არც ერთს გაუმწარდება და არც მეორეს.

როდესაც შვილები მშობლებით უკმაყოფილონი ვართ, უფალს ვუწუნებთ არჩევანს. „პატივი ეც დედასა შენსა და მამასა შენსა“ — გვაფრთხილებს უფალი.


უძღები შვილის დაბრუნება

მშობლების უკმაყოფილება შვილებისადმი კი, უკვე საკუთარი ნაშრომის შეფასებაა. თუმცა, მშობელი არასოდეს აღიარებს მისსავე შეცდომას და მიზეზს ყოველთვის შვილის ჯიშში, გვარსა თუ ვილაცასთან მსგავსებაში ეძებს. მშობლები და შვილები მატერიალურის ნაცვლად სულიერი სიმდიდრის შეძენაში რომ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, მაშინ აღთქმულ ქვეყანაში შესვლას თუ ვერ შევძლებდით, შესვლის უფლებას მაინც მოვიპოვებდით.

სულიერად ღატაკ და მატერიალურად არც ისე მდიდარ, დაბერებულ მშობელს შვილი ჭკუას აღარ ეკითხება. შექმნა მშობელზე მატერიალურად მეტი თუ არა, ამას უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს. მის თვალში მშობელი ავტორიტეტს აღარ წარმოადგენს, რადგან შვილი ხედავს, რომ იმ მოძღვრებით, რომლითაც მისთვის გზის გაკვლევას ცდილობენ, მისმა გამზრდელმა ბევრს ვერაფერს მიაღწია. მშობელმა ხომ თავიდანვე დაუშვა შეცდომა უფლის წინაშე: მან ხომ უფლის მიბარებული უფლისთვის კი არა, მიწიერი ცხოვრებისთვის გაზარდა. სულიერების არც ერთი პროცენტი არ ჩადო მასში. თუმცა რას ჩადებდა, რაც თვითონ მასაც არ ჰქონდა. მშობლებს სულიერი განათლება არ მიუღიათ და არც უცდიათ მიღება, იმიტომ, რომ ძალიან ცოტას თუ ახსოვს, რომ საკვები, ფიზიკურის გარდა, სულიერიც არსებობს... და რომ აუცილებელია სხეულის სულიერი კვებაც: წირვა-ლოცვებზე სიარული, ლოცვები, მარხვა, როგორც ქმედებაში, ისე სიტყვაში, ფიქრებში, და ბოლოს კვებაში. რატომღაც, დღეს, მარხვის დროს პირველ ადგილზე კვების საკითხი დგას. მარხული, — კუჭითაც მარხული უნდა იყოს, როგორც სერაფიმ საროველი ამბობს: სუფრიდან ნახევრად მშიერი უნდა დგებოდე, რომ ანგელოზისთვის ადგილი დატოვო... და მარხული უნდა ვიყოთ პირველ რიგში, სიტყვაში, რადგანაც როგორც უფალი გვაფრთხილებს, პირში იმდენი სიბინძურე ვერ შევა, რამდენიც პირიდან გამოვა. მარხვებში ფსალმუნების და დღეში შვიდჯერ ლოცვების კითხვა აუცილებელი მოთხოვნილება უნდა იყოს სულისა. თუ ლოცვის მოთხოვნილება არ გაგაჩნია, სულიერად მკვდარი ხარ, ზუსტად ასევე, როდესაც სხეული კარგავს საჭმლის მიღების უნარს, ფიზიკურად მკვდარი ხდება.

შეიძლება მშვიდდებით იმით, კვირაში ერთხელ მაინც თუ ესწრებით წირვას, — საკმარისია ჩვენი სულისთვისო. როგორც ფიზიკურ სხეულს, ორჯერ მაინც სჭირდება კვება, ასევე სულს დღეში შვიდჯერ თუ არა, სამი-ოთხჯერ მაინც უნდა მივაწოდოთ საკვები, რადგანაც სული ბევრად აღემატება სხეულს...

# რას გვეცყვი, მამაო?

**— როგორ მოვიშოროთ სიმთვრალის ცოდვა?**

— ამ ცოდვისა და სენის მოსაშორებლად განუწყვეტლივ უნდა ევედროთ უფალს. მარხვითა და სინანულით განმარტოვდეთ და დაფიქრდეთ იმაზე, თუ სიმთვრალის ცოდვაში ჩავარდნით, როგორ ტკივილს აყენებთ ახლობლებსა და საკუთარ თავს. წყალკურთხევით გადაიხადეთ პარაკლისი წმინდა ბონიფანტეს სახელზე, რომელსაც ხელეწიფება მემთვრალეობისგან განკურნება.

ცნობისთვის გეტყვით, რომ მემთვრალეობის სენისგან განსაკურნებლად არსებობს საგანგებო ღვთისმშობლის ხატი. შეიძინეთ ეს ხატი და სთხოვეთ დახმარება და მფარველობა, რათა განიკურნოთ.

**— გთხოვთ განმიმარტოთ, შეიძლება თუ არა საღამოს ლოცვების წარმოთქმის შემდეგ მივიღო საჭმელი ან სასმელი?**

— სასურველია, საღამოს ლოცვების წაკითხვის შემდეგ აღარ მიირთვათ, მაგრამ თუ მაინც ასე მოიქცეით, ხელახლა წაიკითხეთ საღამოს ლოცვები. მაგრამ გახსოვდეთ, თუ თქვენს გვერდზე სხვა მიირთმევს, არ განიკითხოთ.

**— გამიგია, რომ საქართველოში ინახება ლურსმანი, რომლითაც იესო ქრისტე ჯვარზე გააკრეს. დანარჩენები სად არის?**

— ჯვარი, რომელზეც ქრისტე აცვეს, მოიძია იერუსალიმში ჩასულმა ელენე დედოფალმა, რომის პირველი იმპერატორის კონსტანტინე დიდის დედამ (IVს). იქვე აღმოჩნდა ოთხი სამსჭვალიც (ლურსმანი).

კონსტანტინეპოლში დაბრუნებულმა ელენე დედოფალმა თან წაიღო სამსჭვალნი. გადმოცემით, ერთი ამ ლურსმანთაგანი ადრიატიკის ზღვაში გადააგდეს, მეორე — კონსტანტინე დიდმა გამოიყენა თავისი ცხენის ლაგამისთვის, ხოლო ორი კი იმპერატორმა საქართველოში გამოგზავნა.

ერთ-ერთი ახლა საპატრიარქოში ინახება, ერთი კი მე-17 საუკუნეში არჩილ II-მ რუსეთში წაიღო.

# უკანასკნელი ლხინი

## — პირველი ტყვია მე მესროლეთ...



ილია ჭავჭავაძის დისწული **კონსტანტინე (კოტე) აფხაზი** მეტად გულმხურვალე მამულიშვილი იყო. განათლებული ოფიცერი არაფერს იშურებდა ქვეყნის საკეთილდღეოდ. ეწეოდა ქველმოქმედებას, მუხლჩაუხრელად შრომობდა, ცდილობდა, უცხოეთი დაეინტერესებინა საქართველოს სიმდიდრეებით, რათა ხალხის ყოფა გაუმჯობესებულიყო.

საქართველოში ბოლშევიკური დიქტატურის დამყარების შემდეგ, კოტე აფხაზი, სხვა მამულიშვილებთან ერთად, მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1923 წელს ბოლშევიკებმა ბევრი პატრიოტი დააპატიმრეს. მათ შორის კოტე აფხაზიც. იმ სიკვდილმისჯილთა (*ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, გოგი ხიმშიაშვილი, როსტომ მუსხელიშვილი, სვიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი, ფარნაოზ ყარალაშვილი, იოსებ კერესელიძე, სიმონ ჭიაბრიშვილი, ალექსანდრე გულისაშვილი, ლევან კლიმიაშვილი, დიმიტრი ჩრდილელი, ივანე ქუთათელაძე*) შორის უხნესი — კოტე აფხაზი — 56 წლისა იყო, უმრწემესი — 24-ისა.

...1923 წლის 20 მაისს, მზის ჩაწურვისას, ბადრაგმა წინ გაირეკა ტუსაღი მამულიშვილები, ისინი ქალაქგარეთ, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე, უნდა დაეხოცათ. ბადრაგის უფროსი ყოფილი მეფის ოფიცერი გახლდათ. მეფის არმიაში წესად იყო — დასახვრეტ სამხედროს უკანასკნელ სურვილს უსრულებდნენ. ჩვეულებას არ უღალატა განითლებულმა უფროსმა და განწირულთ მიმართა, — რას ისურვებთო. კოტემ მეგობრებს გადახედა და ხელი ასწია, — აგვხსენით ბორკილები, უკანასკნელად მოვილხინოთ აქვე, დუქანში. ვიძლევი ოფიცრის პატიოსან სიტყვას, რომ არც ერთი ჩვენგანი არც კი შეეცდება გაქცევასო.

აჰყარეს ხუნდები ტუსაღებს და მახლობელი დუქნისაკენ გაუძღვნენ.

გაიშალა სუფრა. თამადობდა კოტე აფხაზი. ენამზიანობდა, სამშობლოს უკანასკნელად ესიყვარულებოდა. გუგუნებდა ქართული სიმღერა. უცხოს ეგონებოდა, ლაღი მეინახენი ილხენენო...

დუქნის მუშტრები კი არა, ბადრაგიც მოხიბლა სადღეგრძელოებმა და სიმღერამ. ისინიც მიუსხდნენ სუფრას...

— ასე დაგეცალოს მტერი, ჩემო მამულო, — ხელში შეათამაშა დაცლილი ქარახსა კოტე აფხაზმა და დინჯად წამოდგა.

ირიჟრაჟა. მზის წითელი სხივები დაეფინა მთებს... განწირულთ პირდაღებული ორმო უცდიდათ. წინ მიუძღოდა კოტე აფხაზი უმცროს მეგობრებს. დიდი ილიას სისხლსა და ხორცს ოდნავ მოენამა თვალი და ბადრაგის უფროსს მიუბრუნდა: — ოფიცერმა არ უნდა იკადროს ორი თხოვნა, მაგრამ მე ამას ვბედავ. გთხოვთ, პირველი ტყვია მე მესროლოთ, ამ ყმაწვილების ჩახოცვას ნუ მაყურებინებთო...

თხოვნა შეუსრულეს...

P.S. *საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლობის, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს, მოძრაობა „სამეფო გვირგვინის“ თაოსნობით, ვაკის პარკში იმ ადგილზე, სადაც დახვრიტეს გენერალი კონსტანტინე აფხაზი და მისი თანამებრძოლები, აიგება წმ. ილია მართლის ეკლესია.*

ფესვებთან მიახლება

**ჩვენი საზოგადოებისათვის თანდათან ცნობილი ხდება საქართველოს არცთუ ისე შორეული წარსულის (1923–24წწ) „დატყვევებული“ ქრონიკები. თანდათან გამომზეურდა ღირსეულ ქართველ მამულიშვილთა ტაბუდადებული სახელებიც...**

# ფრთამოტეხილი ანგელოზი

29 აგვისტოს, ძველი სენაკის მაცხოვრის ეკლესიაში, სანთელი ავუნთე 1924 წლის აჯანყების გმირებს. ეკლესიის სამხრეთი კარის ზეთავზე, ქვაში გამოკვეთილი ფრთაგაშლილი ანგელოზია გამოსახული. მარცხენა ფრთა ჩამომსხვრეულია და მრავლად აჭყვია ნატყვიარები. სოფლის რამდენიმე უხუცესს გამოვკითხე და აი, რა მიამბეს:

82 წლის შოთა არჩაია: კოლმეურნეობის დროს ჩაის ვრგავდით, უცებ ადამიანის ძვლები ამოჰყვა ბარს. ამ ადგილებში გაველურებული ჩაი ხარობს დღესაც.

84 წლის ალფესტი ქავთარაძემ დახვრეტილი თანასოფლელების სახელი და გვარიც გაიხსენა: *გიორგი ჩიჩუა, ბადურა ჭუბაბრია, ძმები ფარულავები* (სოფელ გექეთიდან), მათ სამი და ჰყოლიათ, რომლებიც მთელი სიცოცხლე გლოვობდნენ ძმებს. არც ერთი არ გათხოვილა და არც ძაძა გაუხდიათ. მღვდელი *ლეონტი ხორავა, პირტახია, ჯოჯუა, ჯანჯღავა* (სახელები ვერ გაიხსენა), ახალგაზრდა მასწავლებელი ვალოდია ჯღამაია. ამ უკანასკნელის მამას, *ზოსიმე ჯღამაიას* ჯალათებისთვის უთხოვია: ჩემი შვილის მაგიერ მე დამხვრიტეთო, მაგრამ ვინ იყო შემსმენელი, მამა-შვილი ერთად დაუხვრეტიათ!

ვინ იყვნენ ჯალათები?! ისევ ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც თავიანთ თანასოფლელებს არ ინდობდნენ. ერთ ჯალათს, ვინმე ფითურია მოუკლავს (სოფელ ნოქალაქევიდან) და ტეხურში გადაუგდია. მოსახლეობას კი აფრთხილებდა: მდინარის წყალი არ დალიოთ, ძაღლი გდიაო, ტეხურშიო.

როცა დახვრეტას მორჩნენ და მიწა მიაყარეს, ჯალათები ტყვიის სროლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სამიზნედ ეკლესიის კარის ანგელოზი ამოირჩიეს თურმე. ერთს ანგელოზისთვის მარცხენა ფრთა ტყვიით ჩამოუმსხვრევია. იმავე საღამოს, უბედურს, ტეხურში ბანაობისას მარცხენა ხელი მოუტეხია...

მაცხოვრის ეკლესიის ზარები ისევ გვიხმობენ სალოცავად. როცა ცალფრთიან, ნატყვიარ ანგელოზის ქვეშ ლოცვით გავივლი, ასე მგონია, ანგელოზთან ერთად მეც მეზრდება ფრთები...

***თენგიზ დეკანოზიშვილი, ძველი სენაკის საშუალო სკოლის მოსწავლე***

***გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ***

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა** **იხ. გვ. 36.**



# სენსაციური აღმოჩენა ლენტეხის მთებში


მეუფე სტეფანე ცაგერის მუზეუმიდან ეკლესიისთვის დაბრუნებულ ხატებთან

(დასაწყისი იხ. გვ. 11)

**— ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის შემსწავლელი კომპლექსური კომისიის წევრები... როგორც ვიცი, ექსპედიციაში საკმაოდ ცნობილი მეცნიერები მონაწილეობდნენ და მეტიც, კომისიას ხელმძღვანელობდა აწ გარდაცვლილი ერთი ცნობილი მეცნიერი...**

— დიახ, ასე იყო... როდესაც კომისიის თავმჯდომარემ ექსპედიციის შემდეგ ქვემო სვანეთის ხატების გზა-კვალს ველარ მიაგნო, მიხვდა, რომ მოატყუეს.

ხშირად ამბობდა — „ძალზე დიდი ცოდვა მაწევს, მიუტევებელი ცოდვა. უნდა გავამხილო ჩემი დანაშაული". დაფასებულ და ყველასათვის პატივსაცემ ადამიანს რა ცოდვა ჰქონდა ასეთი ჩადენილი? შეიძლება იგი სწორედ იმას გულისხმობდა, რომ ხელისუფლებამ ბრმა იარაღად გამოიყენა...

ჩვენ სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში აწ გარდაცვლილი მეცნიერის მოწაფეებს დავუკავშირდით, რომლებიც მასთან ერთად მონაწილეობდნენ სვანეთის ექსპედიციებში და სწორედ მათ გადაეცათ ანდერძით გარდაცვლილი მეცნიერის არქივი. სამწუხაროდ, არქივში არც ერთი დოკუმენტი არ არის ხატების შესახებ... თუმცა ჩვენდა მოულოდნელად, თბილისის ერთ-ერთი მუზეუმის ხატმცოდნე დაგვიკავშირდა. მან თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა და სატელეფონო საუბრისას გვითხრა: „თავის დროზე, როგორც ასპირანტი, ვმონაწილეობდი მთიანეთის შემსწავლელი კომპლექსური კომისიის ექსპედიციებში. გვქონდა კონკრეტული დავალება, უნდა გვეპოვა და საკუთარი თვალით გვენახა მცველებთან გადამალული ხატები. გაგვესაზღვრა მათი წლოვანება, უნიკალურობა. აღგვეწერა მათი მორთულობა, ანუ ძვირფასი ლითონისა და პატიოსანი ქვების რაოდენობა. ის ხატები, რომლებიც სახელმწიფოსათვის დიდ ფასეულობას წარმოადგენდა, მთავრობის დავალებით მილიციას უნდა ჩამოერთმია მოსახლეობისათვის და მეცნიერებისათვის გადაეცა შემდგომი გამოკვლევებისათვის. მაშინ გვიკვირდა, რომ კომუნისტები ხატებით დაინტერესდნენ და ექსპედიციის დასაფინანსებლად თანხები არ დაიშურეს. გვიან მივხვდით ხელისუფლების ზრახვებს, მაგრამ უძლურები ვიყავით. კარგად მახსოვს, ხატების უმრავლესობას შეფასების გრაფაში სიტყვა „შეუფასებელია" ეწერა. დღეს ყველა მათგანის ფოტოებიც გამქრალია და აღწერილობაც. ზუსტად ვერავინ გეტყვით, რომელი ეკლესიიდან რა ხატი გაიტანეს. ისევ იქაურები თუ დაგეხმარებიან. ბევრი ხატის მცველი დღეს ცოცხალი აღარ არის. მეც გავიკითხე რაღაც-რაღაცები, მაგრამ ეტყობა, ზედმეტი მომივიდა და სამი უცნობი პირი გამომეცხადა — მკაცრად გამაფრთხილეს, შენი ჯანმრთელობისთვის ჯობს, ეს საქმე დაივიწყოო. შევშინდი და ხმა ჩავიკმინდე, მაგრამ კომისიის ხელმძღვანელი არ ისვენებდა. მიხვდა, მაშინდელმა ხელისუფლებამ რომ მოატყუა და ყველაფერი ეს ხატების საზღვარგარეთ მალულად გაყიდვის მიზნით დაატრიალა. დარწმუნებული ვარ, იგიც ისევე მკაცრად გააფრთხილეს, როგორც მე, მაგრამ მან გაფრთხილება ყურად არ იღო და..." (როგორც შევიტყვეთ, ზემოხსენებული კომისიის თავმჯდომარე ნერვიულობის ნიადაგზე ერთი წლის წინ გარდაიცვალა. — ზ.ჩ.)."

> როდესაც კომისიის თავმჯდომარემ ექსპედიციის შემდეგ ქვემო სვანეთის ხატების გზა-კვალს ველარ მიაგნო, მიხვდა, რომ მოატყუეს. ხშირად ამბობდა – „ძალზე დიდი ცოდვა მაწევს, მიუტევებელი ცოდვა. უნდა გავამხილო ჩემი დანაშაული". დაფასებულ და ყველასათვის პატივსაცემ ადამიანს რა ცოდვა ჰქონდა ასეთი ჩადენილი? შეიძლება იგი სწორედ იმას გულისხმობდა, რომ ხელისუფლებამ ბრმა იარაღად გამოიყენა...

გზა კავკასიონის მთავარი ქედისკენ განვაგრძეთ. გზად უამრავი ნასახლარი გვხვდებოდა. ისეთი სოფლებიც ვნახეთ, სადაც მხოლოდ რამდენიმე კომლია დარჩენილი და ისინიც ბარში ჩასახლებას აპირებენ. სოფელ ზესხოში ზამთარს მხოლოდ ორი კომლი შეხვდება. ერთ მიტოვებულ სოფელში მოხუცი სვანი შეგვხვდა. იგი მიხეილ გაბიანი აღმოჩნდა. ბატონი მიხეილი წმინდა გიორგის (ჯგრაგის) ხატის მცველი ყოფილა. როცა ვუთხარით, რომ ჟურნალისტები ვიყავით და ქვემო სვანეთის დაკარგულ ხატებს ვეძებდით, შემდეგი რამ მოგვითხრო: „წმინდა ჯგრაგის ხატის მოვლა-პატრონობას შევალიე ჩემი სიცოცხლე. ჩემი მამა-პაპაც ამ ხატს ემსახურებოდა და უვლიდა. როდესაც სვანეთში ხატების ჩამორთმევა დაიწყეს, მეც მომადგნენ. ჯერ ხალხი მომიგზავნეს, ნებით დაგვითმე წმინდა ხატიო. მერე ძალაზე გადავიდნენ. არაფრით არ დავანებე წმინდა ჯგრაგის ხატი. რომ არაფერი გაუვიდათ, ლენტეხში ჩატყუება დამიპირეს. იმ ღამეს წმინდა ჯგრაგი გამომეცხადა ოქროს აბჯრითა და მუზარადით. გამაფრთხილა, არ წახვიდე ლენტეხშიო და თავისი თეთრი ცხენით გაემართა იმ ადგილისკენ, სადაც ხატის სამალავი მქონდა... მერე მეცნიერებიც მოვიდნენ. სამი დღე მეხვეწებოდნენ, ხატი გვაჩვენეო, მაგრამ ვერც იმათ ვენდე.

**— ე. ი. წმინდა გიორგის ხატი ახლაც თქვენთან არის?**

— არა, შვილო. ახლა სხვა, ახალგაზრდა მცველი ჰყავს... და მოხუცმა სვანმა ეშმაკურად შემოგვცინა. ბევრი ვეხვეწეთ, ეჩვენებინა წმინდა გიორგის ხატი, მაგრამ ვერაფერს გავხდით — დღესასწაულზე მობრძანდით და მაშინ ნახავთო. მერე დასძინა: „ამ კვირას არ მიმარხულია, არ გავწმენდილვარ და ხატს ვერ მივუახლოვდები. ნუ მიწყენთ და არც თქვენ გენდობით. ვინ აღარ ნადირობს ახლა ხატებზე."

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, გვსურს ჩვენი მკითხველი დავამშვიდოთ — ადრე თუ გვიან საქართველოს წმინდა ხატები თავიანთ სამყოფელს დაუბრუნდებიან. მთავარია, ხელისუფლებამ მოინდომოს. ამის თქმის უფლებას ზუსტად ერთი წლის წინ შს სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსის, ჯაბა ჯანხოთელის ხელმძღვანელობით განხორციელებული ოპერაცია გვაძლევს. აი, რა გვიამბო **ჯაბა ჯანხოთელმა:** „მივიღეთ ინფორმაცია, რომ ლენტეხის რაიონში უძველესი ქართული ხატების გაყიდვას აპირებდნენ. შუამავალი მათ თბილისში ტრანსპორტირებისათვის ამზადებდა, რათა შემდეგ ისინი უცხოელისთვის მიეყიდა. მეორე დღეს სამინისტროს ოპერატიული ჯგუფი ლენტეხში იყო. შუამავალი დავაკავეთ. ხატები მართლაც უიშვიათესი ქმნილებები გახლდათ. ერთზე გამოსახულია ტახტზე მჯდომი ქრისტე, ხოლო მეორეზე მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები. ხატწერის ექსპერტების დასკვნით, ხატები X-XI საუკუნეებშია შექმნილი. ისინი მოპარულია ჯერ კიდევ მაშინ, როცა აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა კოდორის ხეობით გადმოდიოდა სამშვიდობოს. გამოძიებისთვის უკვე ცნობილმა პირებმა, რომლებიც ამჟამად მართლმსაჯულებას კოდორის ხეობაში ემალებიან, გაძარცვეს სოფელ წვიმრის მაცხოვრის ეკლესია და ხატები გაიტაცეს. რამდენიმე წელი ისინი დაკარგულად ითვლებოდა, მაგრამ ჩვენ შევძელით, ხატები საქართველოსთვის დაგვებრუნებინა".

P. S. როგორც შევიტყვეთ, დაუზუსტებელი ინფორმაციით, კომუნისტების ბრძანებით ქვემო სვანეთიდან წამოღებული ხატები მოსკოვიდან ჩამოსული კრემლის ბოსების მოსაქრთამავად ყოფილა განკუთვნილი, რაშიც სავარაუდოდ, საკავშირო უშიშროების ხელიც ერია.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

# „პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშები შორს არის რეალურისგან"

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

**— ცოტა ხნის წინ პრეზიდენტთან შეხვედრისას ისაუბრეთ კორუფციაზე. რა ფინანსურ მაქინაციებზე გქონდათ კონკრეტულად საუბარი?**

— საუბარია სამი მილიონი ლარის დატაცებაზე. ჩვენ დავდეთ მასალა საგადასახადო და საბაჟოს იმ თანამშრომლებზე, ვინც ამ მაქინაციას შეუწყო ხელი. საუბარია 17 კაცზე. აქედან 12 კაცი საბაჟოს წარმომადგენელია, 5 კი საგადასახადოსი. თანაც ყველა მათგანი მნიშვნელოვანი ფიგურაა. შედეგი არის ის, რომ საბაჟოზე 12-ივეს შეჩერებული აქვს უფლებამოსილება, მიმდინარეობს მოკვლევა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დადგება. ფინანსთა სამინისტროში კი უკვე წარდგენილია ჩვენი ინფორმაცია, საგადასახადოში მოკალათებულ დამნაშავეთა გათავისუფლების შესახებ.

**— თქვენ შეისწავლეთ „თბილგაზის" საქმეც, სადაც ასევე სერიოზული თანხების დატაცება მოხდა. რომელ ქვეყნებში ირიცხებოდა ეს თანხები და რამდენად შეძლებს გენერალური პროკურატურა ოფშორულ ზონაში ანგარიშების გახსნას?**

— კვიპროსში. საკმაოდ ძნელია იქ ანგარიშის გახსნა (შემოწმება). პროკურატურას უნდა ჰქონდეს ძლიერი საერთაშორისო ურთიერთობები, რომ ეს უცხოელი კოლეგების დახმარებით გააკეთოს.

ისე, თუ მოინდომებენ, გააკეთებენ. საუბარია საშუალოდ 10 მილიონ ლარზე. „თბილგაზში" აცხადებდნენ, რომ 70% იყო ტექნიკური დანაკარგი(?!). ვითომ მილებიდან იპარება გაზი. გაჟონვას 10%-მდეც რომ მიეღწია, თბილისი იქნებოდა ცაში „ასული". მუდმივად იწყებდა „თბილგაზი" განგაშს, რომ „იტერასთვის" ფული ჰქონდა გადასახდელი, ფინანსთა სამინისტრო ურიცხავდა ამ ფულს. „თბილგაზი" კი „იტერას" არ ურიცხავდა და კვიპროსზე უშვებდა. კვიპროსიდან ისევ „იტერას" მისდიოდა თანხა. მაგრამ გაურკვეველია, რა თანხა ჯდებოდა სინამდვილეში „იტერას" ანგარიშზე და რა საჭირო იყო ამ პროცესში კვიპროსის ჩართვა.

**— იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ განცხადებების შემდეგ თითქოს ყველაფერი ისევ ისე მიდის. რა ხდება — კორუფცია ქართული სახელმწიფოს თანამდევი ატრიბუტი გახდა?**

— ვინც იტყვის, რომ კორუფცია ქართული სახელმწიფოს ატრიბუტია და მასთან ბრძოლა არ შეიძლება, ის თანამდებობიდან უნდა წავიდეს. პრეზიდენტის ნებაა, დაისაჯოს ყველა დამნაშავე, მაგრამ ეს უშუალოდ ევალება შსს-ს, უშიშროების სამინისტროს, პროკურატურასა თუ ფინანსთა სამინისტროს, რომლებიც არაფერს აკეთებენ ამ მიმართულებით.

**— თქვენ მიერ ჩამოთვლილი სამინისტროები ხელისუფლებას ნიშნავს...**

— საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ კორუფციასთან ბრძოლა პიროვნებაზეა დამოკიდებული. პრეზიდენტი გეუბნება — გააკეთე, შენ, თანამდებობის პირი რჩები მარტო სისტემის წინაშე. ანუ შენ უნდა გყოს გამბედაობა, ძალა და დაუპირისპირდე უდიდეს ფულს და გავლენას. დიდი ძალისხმევა სჭირდება პიროვნებას, ვინც ამას გააკეთებს. ასეთი პიროვნებები ჯერჯერობით არ გვყავს. თბილად არიან და მორჩა.

*მარინა მამისაშვილი*





## გრეიპფრუტი როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება




**„გრეიპფრუტის დიეტა"** კაფსულებში გაგათავისუფლებთ ჭარბი ცხიმებისაგან,. იგი ასევე დაიცავს უჯრედებს ახალი ცხიმებით გაჯერებისაგან და გადატვირთავს მათ კუნთებში, სადაც ხდება ცხიმების სრული წვა. ამგვარად, სხეული სრულიად თავისუფლდება დეპოზიტური ცხიმებისაგან.

***როგორ მოქმედებს „გრეიპფრუტის დიეტა"?***

როგორც სამედიცინო კვლევებმა აჩვენეს, ორგანიზმში ფიზიოლოგიური ქოლესტერინის დონე მცირდება დღიური რაციონით **pectin**-ის მნიშვნელოვანი რაოდენობის მიწოდებით. ამ პექტინებს შეიცავს გრეიპფრუტის კანი და ლებნების გარსი, რომლებიც ძირითადად იყრება და არ გამოიყენება საკვებში.

თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ **pectin**-ის საჭირო რაოდენობა **„გრეიპფრუტის დიეტის"** კაფსულების სახით. ხოლო მასში შემავალი ვაშლის ძმარი დაგეხმარებათ ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებაში.

ამრიგად, ეს გახლავთ გახდომის ნატურალური მეთოდი.

გამოკვლევების შედეგები, ჩატარებული 300 კაცის მონაწილეობით, რომლებიც პასუხობდნენ ქვემოდ მოყვანილ ორ პირობას მაინც:

- ისინი ვერ ახერხებდნენ გახდომას და წონის შენარჩუნებას
- ისინი ვერ ახერხებდნენ დიეტის დაცვას
- ისინი ვერ ახერხებდნენ ზედმეტი სანტიმეტრების მოცილებას წელიდან და მუცლიდან.

***გამოკვლევებმა ასევე აჩვენეს:***

**„გრეიპფრუტის დიეტის"** კურსის შეწყვეტა არ იწვევს წონის ახალ ზრდას. თუ შენარჩუნებული იქნა კვების რეჟიმი, წონა სტაბილური რჩება. ზედმეტი კილოგრამები წარსულს ჩაჰბარდება.

ვრცელი ინფორმაცია შეგიძლიათ იკითხოთ გაზეთ "ჯორჯიან ტაიმს"-ში – "ნუტრიმენტ ჰაუსი"-ს გვერდზე.

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
ყოველდღე, კვირის გარდა www.shopge.com



# „თბილისობის ზეიმი 30 ოქტომბერს დაიწყება“

## „ხმალამოღებული(!) ვიბრძოლებ, რომ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიაროს“

*ამბობენ, ზოდელავას წინააღმდეგ ბრძოლაში სააკაშვილი და ჯორბენაძე გაერთიანდნენო. თბილისზე გავლენის მოპოვება ჯორბენძის სანუკვარ ოცნებად ისევ რჩება. დედაქალაქის თავკაცობა „ნაციონალების“ ლიდერსაც სურს, ამის გამო მათი ალიანსი ცოტა არ იყოს, უცნაურად ჩანს, მაგრამ სავარაუდო კონკურენტებს დედაქალაქის მერის წინააღმდეგ სწორედ საერთო ინტერესი აერთიანებსო.*

*თურმე სახელმწიფო მინისტრის სურვილისამებრ ალაპარაკდა მთავრობის სხდომაზე ამირან გამყრელიძე — თბილისი ნაგვით აივსოო. სააკაშვილს კი არც ზოდელავასა და ზურაბ ჟვანიას ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობა მოსდის თურმე თვალში... როგორ გუნებაზეა დედაქალაქის მერი, რატომ გადაიტანეს თბილისობის დღესასწაული ნოემბრის დასაწყისში და რას გააკეთებს* ***ვანო ზოდელავა*** *დედაქალაქში არჩევნების მშვიდობიანად ჩასატარებლად, ინტერვიუდან შეიტყობთ:*

**— ბატონო ვანო, დედაქალაქში არჩევნების დროს ყოველთვის დაძაბული ვითარებაა. განსაკუთრებით საშიში კი მომავალი არჩევნებია. რა კეთდება საიმისოდ, რომ 2 ნოემბერს თბილისი პოლიტიკური დაპირისპირების პოლიგონად არ იქცეს?**

— ღმერთმა დაგვიფაროს, თბილისშიც იგივე განმეორდეს, რაც ბაქოში მოხდა. ყველაფერს გავაკეთებ, ხმალამოღებული(!) ვიბრძოლებ, რომ არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიაროს. მოვუწოდებ ყველას, რადიკალურ ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც, საკუთარს ნუ გადააყოლებენ ქვეყნის კეთილდღეობას. საკმარისია, რაც დავანგრიეთ. სამოქალაქო ომის შედეგები ჯერ კიდევ არ მოუშუშებია თბილისს, დღესაც ბევრი დანგრეული სახლია, ხალხი ისევ უბინაოდ არის. ახლა მაინც გვეყოს გონიერება და ქვეყნის ბედსა და

> დედაქალაქის მოსახლეობისთვის რაიონებიდან შემოვა ბევრი პროდუქტი, რაც 30%-ით იაფი იქნება „დეზერტირების“ ბაზრის ფასზე.

მომავალს სასწორზე ნუ დავდებთ... თბილისის ყველა რაიონის გამგებელია ჩართული საარჩევნო სიების სრულყოფის საქმეში. არასრულყოფილი სიები ერთ-ერთი მთავარი საფრთხეა — თურმე ზოგიერთი უბანი, ქუჩა და კორპუსი არ ყოფილა შეტანილი სიაში. ეს პრობლემა აქამდეც უნდა მოგვარებულიყო.

**— წინასაარჩევნოდ დედაქალაქის ხელმძღვანელობის (ვიცე-პრემიერების) გადაყენება საზოგადოებამ დაძაბულობის პროვოცირებად და ოპოზიციაზე ანგარიშსწორებად აღიქვა.**

— კიდევ კარგი, ჩემი მიღებული არ არის კანონი დედაქალაქის შესახებ. პარლამენტმა (და სააკაშვილმა) დაადგინა, როდესაც პრემიერი თანამდებობას ტოვებს, მის ნაცვლად ახალი უნდა ავირჩიოთ. ამ წესის თანახმად, ახალ პრემიერს მერი გაუწევს რეკომენდაციას პრეზიდენტთან. სანამ თბილისს ახალი პრემიერი არ ჰყავს, მქონდა უფლება, მისი მოადგილეები გადამეყენებინა (ამბობენ, არჩევნებში გამარჯვებულ პარტიასთან სავაჭროდო. — ი. რ.). კახა შენგელიასა და გიორგი კარბელაშვილის გამო თუ სწყდება გული სააკაშვილს, ისევ წამოაყენოს მათი კანდიდატურები, მაგრამ ორივე ხომ თავად გაწირა იმიტომ, რომ ზედმეტად პატიოსნები აღმოჩნდნენ. საკრებულოს თავმჯდომარეს უფრო მადიანი და მარჯვე ხალხი სჭირდება ამ პოსტებზე.

**— ამბობენ, დედაქალაქის მთავრობას არჩევნებში გამარჯვებული პარტიები დააკომპლექტებენ და ვიცე-პრემიერების ვაკანსიებიც ამ მიზნით შეიქმნაო.**

— რა კავშირი აქვს საკრებულოს პარლამენტთან? თუმცა სიმართლის მარცვალი მაინც არის თქვენს ნათქვამში...

**— ჯორბენაძესა და თქვენ შორის ისევ გამწვავდა ურთიერთობა?!.**

— ზოგიერთი ამ თემას პერიოდულად საგანგებოდ წამოსწევს ხოლმე წინ. ზოგიერთი პოლიტიკოსი იოლად პოულობს კანცელარიასთან საერთო ენას. ვითომ ოპოზიციონერ „მრეწველებს“, „ახლებს“, ლეიბორისტებსა და სააკაშვილს მშვენიერი ურთიერთობა აქვთ სახელმწიფო მინისტრთან, მაგრამ ამას საჯაროდ არ ამჟღავნებენ. მე კი არ ვმალავ, ვისთან როგორი დამოკიდებულება მაქვს. ლეიბორისტების გარდა, ყველასთან ნორმალურად ვარ. ნათელაშვილმა თავისი პარტიის წევრები გადამკიდა — ყველა წაბორძიკებასა და წარუმატებლობას მე მაბრალებს. ახლაც ვიცი ის ხუთი კაცი, რომლებიც თავიანთი პარტიის სიით გაპარლამენტარდებიან და მერე წავლენ პარტიიდან. ამასაც მე დამაბრალებს?

**— თბილისობის დღესასწაული რატომ გადაიტანეთ 1-ელ ნოემბერს?**

— არ გადამიტანია, თქვე ოჯახაშენებულებო... თბილისობა ყოველთვის ოქტომბრის ბოლო დეკადაში ტარდებოდა, ახლაც ასე იქნება — 30 ოქტომბერს დაიწყება ზეიმი. უამრავი ობიექტი გვაქვს გასახსნელი და ამიტომ რამდენიმე დღით გავაჭიანურეთ დღესასწაული. ამას ჯორბენაძეც დაეთანხმა და სააკაშვილიც, ერთპიროვნულად არაფერი გადამიწყვეტია.

**— მაგრამ თბილისობა აქამდე ოქტომბრის ბოლო შაბათ-კვირას ტარდებოდა ხოლმე. თქვენ კი ზეიმს ხუთშაბათს იწყებთ. ითქვა, 1-ელ ნოემბერს იმიტომ ტარდება ზეიმი, ხალხს ხელისუფლების მიმართ განწყობა გამოუკეთდეს. დღესასწაულის დღეებში ხელისუფლება თავის გამოჩენას შეეცდება და ამომრჩეველზე ამით იმოქმედებსო.**

— ხომ ხედავთ, ხელისუფლებაში აზროვნებს ხალხი. ალბათ მეთანხმებით, რომ გონივრული ნაბიჯია. სადღესასწაულოდ თბილისელებს ბევრ სიურპრიზს ვუმზადებთ. თავისუფლების მოედანზე ახალი სასტუმრო „მერიოტი“ გაიხსნება, დედაქალაქში 22 ახალ ავტობუსს ჩამოვიყვანთ. თბილისის მოსახლეობისთვის რაიონებიდან შემოვა ბევრი პროდუქტი, რაც 30%-ით იაფი იქნება „დეზერტირების“ ბაზრის ფასზე.

**— ამბობდით, პარლამენტში დედაქალაქს საკუთარი ფრაქცია ექნებაო. გული არ დაგწყდათ, რომ ორ კაცს დაგაჯერეს?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ამას ვინ უყურებს. ზოგიერთს არაფრის გაკეთების თავი არა აქვს და ვერც რეიტინგით მოიწონებს თავს. სამაგიეროდ, სიებში კვოტებზე ჰქონდათ პრეტენზია და მიაღწიეს კიდეც თავისას. მე კვოტებისთვის ბრძოლა არ მიკადრია და ამით ისარგებლა ზოგიერთმა.

ახლა იმასღა ვფიქრობ, საპარლამენტო არჩევნები მშვიდობიანად დასრულდეს.

***იზო რიკაძე***

## რას წერენ ჩვენზე

# კავკასიის ხელმოცარული სახელმწიფოები

აზერბაიჯანისა და საქართველოს სტაბილურობას საფრთხე ემუქრება. არადა ამ სახელმწიფოებიდან ერთიც რომ დაიშალოს, მთელი კავკასიის უსაფრთხოება სათუო გახდება.

რუსეთის ხიშტებისა და ეკონომიკური ძლიერების იმედად საქართველოს ჩამოშორებული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ნელ-ნელა ცრუსახელმწიფოებად იქცნენ. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ კარგა ხანია დაკარგა ქვეყნის ეკონომიკის მართვის სადავეები, კორუფციამ და დამნაშავეობამ ხელისუფლებაში საარაკო პროპორციებს მიაღწია; შეიარაღებული ძალები მხოლოდ ამ კორუფციის და დასავლეთის გულუხვი დახმარების იმედად არსებობენ. ეკონომიკის მართვაში დაშვებულმა შეცდომებმა მოსკოვს საშუალება მისცა, საქართველო თავის ეკონომიკურ სატელიტად ექცია. იმის გამო, რომ ელექტროენერგია, ნავთობი და ბუნებრივი აირი რუსეთიდან მოდის, პრაქტიკულად ქართული ეკონომიკა ყურებით ჰყავს დაჭერილი.

შევარდნაძეს აღარ შესწევს ძალა კორუფციასთან საბრძოლველად. მისი ქვეყანა დღითი დღე ეფლობა უმართაობის ჭაობში. ზღვარსგადასული კორუფცია, უზნეობა, განუკითხაობა, უკანონობა და ეკონომიკაში უცხოეთის კაპიტალის ბატონობა — აი, დღევანდელი საქართველოს სახე. აგვისტოში საქართველო ძლივს გადაურჩა დეფოლტს, ისიც იმის წყალობით, რომ შევარდნაძე მუხლმოდრეკილი ეხვეწებოდა ამერიკას, — მიშველეო. ვაშინგტონს სულ არ ეპიტნავება, საქართველოს რომ რუსეთი დაეპატრონოს, მაგრამ უფსკრულში უაზროდ გადაყრილი ფულიც ენანება. 2005 წლისათვის, როცა შევარდნაძეს საპრეზიდენტო ვადა გაუვა, საქართველოში სიტუაცია უფრო გამწვავდება — ახალი აფეთქებების კერები მომრავლდება, ტერიტორია კიდევ უფრო შემცირდება ან შესაძლოა საქართველო მთლიანად მოსკოვზე გახდეს დამოკიდებული. ასეთი პერსპექტივა სარგებლობას არავის მოუტანს. რუსეთს სულაც არ სჭირდება ხელმოცარული სახელმწიფოების რჩენა.

საქართველო და აზერბაიჯანი კარგა ხანია ნატოს ეხვეწებიან, შენს რიგებში მიგვიღე (ეს კი რეალობას მოკლებულია), ან დაიცავი მაინც ჩვენი ქვეყნები და ნავთობსადენიო. მაგრამ თუ კრიზისი განვითარდა, არც სხვა ქვეყნები იქნებიან დაზღვეული იმისგან, რაც ამას მოჰყვება.

არეულობა საქართველოსა და აზერბაიჯანში სერიოზული დარტყმას მიაყენებს „ტერორიზმთან ბრძოლას“. რუსეთი, ირანი და თურქეთი კავკასიას თავისი სასიცოცხლო ინტერესების ზონად თვლიან. ამგვარად, თუ რომელიმე ზემოთ მოხსენიებული სახელმწიფო დაიშლება, საშიშროება მთელ რეგიონს ელის.

***აზია თაიმსი***

# „არც გვარს გამოვიცვლი და არც საქართველოს მივატოვებ...“

— ვფიქრობ, ხელისუფლება ეროვნებათაშორის შუღლს არ დაუშვებს, რადგანაც ეს დაღუპავს ქართულ სახელმწიფოს, — ამბობს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველოს“ სომხეთის სათვისტომოს ხელმძღვანელი არნოლდ სტეფანიანი, რომელიც ამავე დროს სახელისუფლებო ბლოკის სახელით მონაწილეობს საპარლამენტო არჩევნებში. სტეფანიანი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ როგორც ყოველთვის, ამჯერადაც არჩევნების წინ მწვავდება ეროვნებათაშორისი ურთიერთობები. ამას სომხეთის მედიაც უწყობს ხელსო, — წუხს სტეფანიანი. ქართული და სომხური პრესა ერთმანეთს ეჯიბრებიან ურთიერთლანძღვაში. სომხეთში რამდენიმე ასეული ქართველი ცხოვრობს, საქართველოში კი 250 ათასი სომეხი, რომელთაც არსებული ვითარება ძალზე აღელვებთ. უნდა ითქვას, რომ საქართველო ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან სახელმწიფოთა შორის, სადაც სომეხთა გარკვეული ნაწილი, მიზეზთა გამო, თავის ეროვნებას მალავს: „ჩვენი საზოგადოებრიობა სერიოზულად არის ავად, და თუ ეს სენი დროულად არ განიკურნება — მხედველობაში მაქვს არა სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობა, არამედ ქართული და სომხური საზოგადოებრიობა — ქართულ-სომხური ურთიერთობის შუქნიშანზე ყვითელი სინათლე აინთება“, — აღნიშნა სტეფანიანმა.

იმისათვის, რომ ვინმეს შეურაცხყოფა მიაყენო, საკმარისია „სომეხი“ უწოდო. რამდენიმე დღის წინ აზერბაიჯანელმა მურადხანოვმა ქართული ტელევიზიით თქვა, — როგორ შეიძლება ისეთ პატივსაცემ ქართველს, როგორიც მიხეილ სააკაშვილია, სომეხი უწოდოო. სამწუხაროა, რომ ქართული ინტელიგენცია ამაზე წარბს არ იხრის. საქართველოში, ტრადიციულად სომხეთის მეგობარ სახელმწიფოში, ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან სომხებმა გვარის დაბოლოება „იანი“ „შვილითა“ და „ძეთი“ შეცვალეს (ხდება, მაგალითად, როცა არაქელიანი არაქელაშვილი კი არ ხდება, არამედ გიორგაძე!). ზოგიერთი სომეხი ჩივის, — საქართველოში ჩვენი საქმე წასულია. ან გვარი უნდა შევიცვალოთ, ენა დავივიწყოთ, გადავქართველდეთ, ან ქვეყანა დავტოვოთო. „მე მესამე კატეგორიას ვეკუთვნი, — ამბობს სტეფანიანი, — არც გვარს გამოვიცვლი და არც საქართველოდან წავალ, ვიცხოვრებ აქ, როგორც სომეხი, ჩემნაირი ბევრია. მე, სომეხი, საქართველოს მოქალაქე ვარ, შემიძლია სარგებლობა მოვუტანო ქართველებსაც და სომხებსაც“.

ახლანდელ ქართულ პარლამენტში ექვსი სომეხი დეპუტატია, მათგან ოთხმა ქართული არ იცის, ერთი ამტვრევს, მხოლოდ სტეფანიანმა იცის სახელმწიფო ენა. მისი სურვილია დიასპორის სომხებმა და სომხეთის სახელმწიფომ მეტი ინტერესი გამოიჩინონ საქართველოში მცხოვრები სომხების მიმართ.

***AZG DEILI, ერევანი***

# ჩვენ „მესხები“ არა ვართ... ჩვენ თურქები ვართ...

13 ოქტომბერს, სამართალდამცავმა ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტიამ“ მოსკოვში, კრასნოდარის მხარეში მცხოვრები თურქი მესხების მხარდამჭერი აქცია ჩაატარა. ამ ხალხის წარმომადგენლები აზერბაიჯანშიც ცხოვრობენ. აქვთ თუ არა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების იმედი? გვესაუბრება ახალციხელი (მესხი), თურქთა საზოგადოება „ვეტენის“ თავმჯდომარე **ბეჰირ მამოევი**:



**— რამდენი თურქი მესხია მსოფლიოში და რა რაოდენობით ცხოვრობენ ისინი აზერბაიჯანში?**

— ზუსტად შეუძლებელია ამ რიცხვის განსაზღვრა. მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენ დოკუმენტებით გვაკუთვნებენ აზერბაიჯანელებს, უზბეკებს, ყირგიზებს... ზოგიერთებს პასპორტებში „კავკასიელი“ უწერია. სასაცილოა, ასეთი ეროვნება პლანეტაზე არ არსებობს.

ამჟამად აზერბაიჯანში ვატარებთ აღწერას, რათა ბოლოს და ბოლოს გავარკვიოთ, რამდენნი ვართ აქ. შემდეგ ამგვარ კვლევას ჩავატარებთ ყოფილი სსრკ-ის სხვა ტერიტორიებზეც. თავის დროზე, 1936 წლამდე, ყველა აზერბაიჯანელს თურქს უწოდებდნენ, მაგრამ რუსეთის იმპერიული პოლიტიკა დევნიდა აზერბაიჯანელების თურქებისაგან გამოყოფის იდეას, რითიც ჩვენ მაგივრად წყვეტდა ყველაფერს.

1936 წელს, მოსკოვში, წარმოების მოწინავეთა ყრილობაზე, სამედ ვურღუნმა ასეთი ლექსი წაიკითხა: „მზიური აზერბაიჯანიდან მშვენიერი თურქი ქალის სალამი ჩამოგიტანეთ“. მაშინ სტალინმა სიტყვა შეაწყვეტინა და თქვა: ეს როგორ? საქართველოდან ქართველი ქალები ჩამოდიან, სომხეთიდან — სომხები, აზერბაიჯანიდან — თურქებიო? და ბრძანება გამოსცა, თურქებისათვის აზერბაიჯანელები დაერქმიათ. სამწუხაროდ, ჩვენი უბედურება ისაა, რომ არ გვაინტერესებს ჩვენივე ისტორია, უბრალოდ მივყვებით დროის დინებას იქით, საითაც გვიბიძგებენ.

საბჭოური „ეროვნული პოლიტიკის“ მიზანი იყო, ფესვებისთვის მოეგლიჯათ როგორც აზერბაიჯანში, ისე შუა აზიაში მცხოვრები თურქები. ეს პოლიტიკა დღესაც გრძელდება, ამიტომაც ჩვენ, ახალციხელ თურქებს, ისიც ვერ გაგვირკვევია, რამდენნი ვართ.

ეს პრობლემა მეფის რუსეთიდან იღებს სათავეს. დაწყებული 1928 წლიდან, თურქეთიდან და ირანიდან ახლანდელი ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების ტერიტორიაზე ჩამოასახლეს სომხები. ასე რომ, ჩვენს ტერიტორიაზე ამჟამად ცხოვრობს 95% სომეხი, მაგრამ მაშინ ამ რეგიონს საქართველოში ერქვა ახალქალაქის უეზდი, საბჭოთა პერიოდმა კი იგი 5 რაიონად დაყო და უწოდა ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის და ბოგდანოვკის რაიონები. ამ 5 თურქეთისპირა რაიონიდან, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, 1944 წელს ყველანი გადაგვასახლეს შუა აზიასა და ყაზახეთში.

ეთნიკური წმენდა ჩაატარეს თურქეთის მოსაზღვრე რეგიონში. დღეს რუსეთი ჩვენ „მესხებს“ გვიწოდებს... ჩვენ „მესხები“ არა ვართ, ჩვენ თურქები ვართ.

1998 წელს ჰააგაში სპეციალური კონფერენცია მიეძღვნა ახალციხელი თურქების პრობლემას. ჩვენი წარმომადგენლობის გამოძიებისას ქართულმა დელეგაციამ დაიწყო იმის მტკიცება, რომ ჩვენ „მესხები“ ანუ ქართველები ვიყავით. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ქართული მხარე ამ პრობლემის მოგვარებას ჯერჯერობით არ აპირებს და აფერხებს ისტორიულ სამშობლოში ჩვენს დაბრუნებას *(?! — რედ.)*.

**— რატომ არ წყვეტთ ამ საკითხს თურქეთის დახმარებით?**

— სწორედ ამისკენ გვიბიძგებს დასავლეთი. მათ უნდათ, რომ აზერბაიჯანს და თურქეთს „დავაწვეთ კისერზე“. რა შუაშია ეს ქვეყნები ჩვენს დეპორტაციასთან? ისინი მორალურად მხარს გვიჭერენ. ვფიქრობ, თავად უნდა გადავწყვიტოთ ეს პრობლემა. ჩვენი უფლებები დარღვეულია და უნდა ვიბრძოლოთ მის აღსადგენად. საერთაშორისო ორგანიზაციებმა ქართველებს კატეგორიულად უნდა მოსთხოვონ ამ საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაეროს სანქციებით დაემუქრონ. საქართველოს ტერიტორია ჩვენი ისტორიული სამშობლოა. თურქეთს ამ ტერიტორიასთან არაფერი ესაქმება.

**— აზერბაიჯანში მცხოვრებთ პრობლემები ხომ არ გაქვთ?**

— ჩვენ ამ ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეები ვართ. 1988 წელს, ფერღანის ცნობილი მოვლენების დროს, უზბეკეთიდან რომ გამოგვრეკეს, აზერბაიჯანმა შეიფარა 48 ათასი ახალციხელი თურქი. ეს მაშინ, როცა თავად უამრავი ლტოლვილი ჰყავდა სომხეთიდან და მთიანი ყარაბაღიდან.

ჩვენ კულტურის, ენის შენარჩუნება გვინდა, ამიტომაც შევქმენით საზოგადოება „ვეტენი“. ახლა მთავარია, ყველანი გავერთიანდეთ, თუ არადა, ერად ვერასოდეს ვიქცევით.

***ზერკალო, ბაქო***

***მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები ბრძენობენ

საბავშვო ბაღში მასწავლებელი პატარებს „წითელქუდას“ უყვება:

— შემდეგ მონადირემ მოკლა მგელი, გაუჭრა მუცელი და წითელქუდა და ბებია ცოცხლები ამოიყვანა.

— როგორ ამოიყვანა, ისინი ხომ დაღეჭილები იყვნენ? — კითხულობს 5 წლის **თამთა ბურდული**

***

5 წლის **ანი კვარაცხელია** უყურებს გადაცემას „ჩვენი ეზო“. შევარდნაძის დანახვაზე ანიმ წამოიყვირა: — დედიკო! დედიკო! ეს სათამაშო შევარდნაძეა?!

***

**ნანიკო ბუთლიაშვილი** ძილის წინ წუწუნებს:

— ეს არის საქართველოს დემოკრატია, მე მაძინებთ და თქვენ „რა ხდება“ უყურებთო?

***

**პატარა ანის,** დედამ ინგლისური ენის სპეციალისტს ტესტი მიუტანა სათარგმნად. მეორე დღეს ანი დედას ეკითხება:

— დედიკო, მასწავლებელმა წიგნი გადათაფლა?

## I ანა, გამოიცანი

**1) მათეს სახარების მიხედვით, ვინ გამოითხოვა ჯვარცმული იესოს სხეული პილატესგან და ვინ დაასვენა იგი სამარხში?**

ა) ბართლომემ; ბ) პეტრემ; გ) იოსებმა; დ) სვიმონმა.

**2) რას აგროვებს აქლემი თავის კუზში?**

ა) წყალს; ბ) ცხიმს; გ) რძეს; დ) ოფლს.

**3) რას გულისხმობს გამოთქმა „აქილევსის ქუსლი?“**

ა) ადამიანის სუსტ მხარეს; ბ) ბრტყელტერფიანობას; გ) ფეხის მოტეხას; დ) მოჭარბებულ სიამაყეს.

**4) დებულება, რომლის ჭეშმარიტება თავისთავად ცხადია, უეჭველია და დასაბუთება არ სჭირდება, არის:**

ა) იდიომა; ბ) თეორემა; გ) აქსიომა; დ) დილემა.

**5) რისი ჯიშებია: მეკალოე, მშრალნისკარტა, შიშველშუბლა.**

ა) იხვის; ბ) ინდაურის; გ) ქათმის; დ) ბატის.

**6) რომელ ქალაქს უწოდებენ „მარადიულს“?**

ა) პარიზს; ბ) ნიუ-იორკს; გ) ლონდონს; დ) რომს.

**7) ვის ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას! ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას!“**

ა) გრიგოლ ორბელიანს; ბ) ნიკოლოზ ბარათაშვილს; გ) აკაკი წერეთელს; დ) დავით გურამიშვილს.

## II

იპოვე ორი ერთნაირი ნიჟარა






ისრების მიხედვით გაიარე ლაბირინთში

## III

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „თბილი წყლების ცხოველია, ჯავშნიანი და კუდგრძელი, თევზებსა და წვრილ ცხოველებს სულ მუსრს ავლებს საძაგელი“.



ზღაპარი

## დათვი, მგელი და მელა

ძველად დათვი, მგელი და მელა ადამიანები ყოფილან.

ერთხელ ქრისტე ღმერთმა ჩამოიარა. შეჰბღავლა ამ სამმა კაცმა ღმერთს: ძალიან გვიჭირს საჭმელსასმელიო.

ღმერთმა უთხრა: ეს ტყე ვენახად მიქცევია, მინდორი — ყანად, ეს რიყე კი — ცხვრადაო. ცხოვრობდნენ მდიდრულად, კარგად. ერთი ვენახს ედგა, ერთი — ყანას, ერთიც ცხვარს. ერთხელ ჩამოიარა ღმერთმა გლეხის ტანსაცმლით. მიადგა ვენახს და მეზვრეს სთხოვა:

მამაშვილობას, ერთი მტევანი ყურძენი მაჭამე, პირი გავისველოო.

— გასწი, დაიკარგე, შენისთანა აქ ბევრი დაეხეტებაო.

ახლა მეორესთან მივიდა: მამაშვილობას, ერთი ლუკმა ხმელი პური არ დაინანო მათხოვრისთვისაო.

— გასწი, მომშორდი, შენთვის არა მცხელაო!

ახლა მესამესთან მივიდა, — ცოტა რძე დამალევინე, პირი გამიშრაო.

— აქედან დაიკარგე, სანამ ძაღლები არ დაგასიეო.

გაწყრა ქრისტე-ღმერთი და აქცია ეს ვენახი ისევ უდაბურ ტყედ, მეზვრე — დათვად, ყანა — მინდვრად და მისი პატრონი მელად. ცხვარი ისევ რიყედ აქცია, მწყემსი კი — მგლად. ახლაც ასე არიან.

## მწყერი და ღამურა

გალიაში დამწყვდეული მწყერი მარტო ღამღამობით ჭუკჭუკებდა. ღამურამ ჰკითხა:

— რატომ დღისით არ ჭუკჭუკებო?

— სწორედ დღისით ჭუკჭუკმა ჩამაგდო ამ ვაგლახშიო, — უპასუხა მწყერმა.

— ეგ ჭკუა წინათ უნდა გეხმარა, თორემ ახლა რაღას გიშველისო, — უთხრა ღამურამ.

**ანდაზა:** ***ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მას უკან გამოჩნდებაო.***

## მესოფლია

ეზო-კარის გუშაგს,
არიგებენ ყურშას:
— ნუ დატოვებ ეზოს,
ნუ მიდიხარ ნურსად.
დაგიჭერენ, ყურშა,
აგიწევენ ყურსა,
დაგაბამენ ჯაჭვით,
არ გაჭმევენ პურსა.

***გიორგი წერეთელი***

## IV გამოცანა

**ბურთია თუ ქალია?
გამოიცნო ვინძლო:
ასი კაბა აცვია,
ყველა — უსაკინძო.**

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

***გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა***



**პატარა მკითხველებო!**

„ზღაპრების სახლმა“ გააგრძელა ქართული და უცხოური ზღაპრების გამოცემა. თქვენ უკვე შეგიძლიათ შეიძინოთ ახალი წიგნები, რომლებშიც უკვე 4 გვერდით მეტია. ამ გვერდებზე „ზღაპრების სახლმა“ გასართობი ოთახი მოგიწყოთ. აქ მოცემული თავსატეხებით, ლაბირინთებითა და რჩევებით ბევრ საინტერესო და საჭირო რამეს შეიტყობთ, თანაც თავსაც გამოსცდით.

ყველა წიგნს ფაზლებით ასაწყობი სურათიც მოჰყვება...

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში. ერთი წიგნი-ზღაპარი 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

# მამულ-დედული

## თხილი



საქართველოში თხილის პლანტაციების გაშენების პერსპექტივამ ისეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, სოფლის მეურნეობაში ჩაუხედავი კაცი იფიქრებდა, — ეს რა კარგი აზრი მოგვაწოდეს უცხოელებმაო. არადა, თხილი, ჩვენთან ძველთაგანვეა ცნობილი. არქეოლოგებმა თხილის ნაჭუჭი არა მარტო რკინისა და ბრინჯაოს, არამედ ქვის ხანის პერიოდის გათხრებშიც აღმოაჩინეს.

თხილის ნაყოფი, რომელიც 60-70% ზეთს, 16-18% ცილებს, 4% ნახშირწყლებს, 2-3% მინერალურ მარილებს და ვიტამინებს შეიცავს, ძალზე სასარგებლოა. კალორიულობით თხილის გული ხორბალს 2-3-ჯერ ჭარბობს, ხორცს — 3-3,5-ჯერ, რძეს — 8-9-ჯერ.

თხილის კულტურა ყველაზე მეტად გავრცელებული იყო შავი და ხმელთაშუა ზღვების სანაპიროებზე. უკანასკნელი 2-3 საუკუნის განმავლობაში მის გაშენებას ხელი მიჰყვეს ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში.

ჩვენში ამ კულტურისთვის ხელსაყრელი კლიმატური პირობებია. თანაც ნაკლებად შრომატევადია. მუშახელი უმთავრესად მოსავლის აღების პერიოდშია დასაქმებული. ნაყოფი კარგად ინახება. თანაც, არც მისი გამრავლებაა ძნელი. მრავლდება: ბუჩქების დაყოფით, ამონაყრებით, გადაწიდვნით, კალმით, თესლით და მყნობით.

თავისუფალ საბაღე ნაკვეთზე თხილის გაშენება სჯობს ლობის გაყოლებაზე, განსაკუთრებით იმ მხარეს, საიდანაც ხშირად უბერავს ქარი. ორმოები უნდა ამოითხაროს 5X5 ან 6X7 მ-ის დაშორებით, ისე, რომ ბუჩქები ერთმანეთში არ გადაიხლართოს. ამონაყარი დროდადრო უნდა გამოიხშიროს.

ბუჩქის სწორი ფორმირებისათვის საჭიროა დარგვისას ღერო გადაიჭრას მეხუთე-მეექვსე კვირტზე, რაც ხელს უწყობს ფესვებზე არსებული მძინარე კვირტებიდან ნაზარდის განვითარებას. 8-10 ამონაყარი საკმარისია ბუჩქის ფორმირებისათვის.

რამდენადაც დასავლეთ საქართველოში თხილის ბუჩქი უზრუნველყოფილია როგორც გრუნტის წყლით, ისე ჰაერის ტენიანობით, იმდენად აღმოსავლეთ საქართველოში თხილის ნარგაობა საჭიროებს მორწყვას. პირველი მორწყვა, როგორც წესი, დარგვისთანავე ხდება, ხოლო შემდგომ სავეგეტაციო პერიოდში აუცილებელია 2-3-ჯერ მორწყვა.

ამ ბოლო დროს, მართლაც პოპულარული გახდა თხილის კულტურა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც უამრავი ახალი პლანტაცია გაშენდა. მაგრამ ახლა ერთმა უკიდურესობამაც იჩინა თავი. თხილის მოსავალს კი უხვად იღებენ, მაგრამ ძალზე ჭირს გასაღების ბაზარი. არადა, ამ საქმეს სამთავრობო დონეზე სჭირდება თავის მობმა და ყურადღება.

## ნაქარი ვაშლიც გამოდგება...

წელს ვაშლის დიდი მოსავალია. ხის ძირში კი არ შეიძლება ჭიანი და ნაქარი ვაშლი არ ეყაროს. თუ ჯერ არ აგიკრეფიათ, აუცილებლად აკრიფეთ, წვენი გამოწურეთ და მიირთვით. ჯერ ერთი, გემრიელია, დიეტურიც და სამკურნალოც. ვისაც სიმსუქნე აწუხებს, მიირთვას დღეში 2 ლ ვაშლის წვენი (ნაკლებკალორიულ საკვებთან ერთად) და 2 კვირაში მინიმუმ 10 კგ-ს დაიკლებს. სხვათა შორის, მხოლოდ ვაშლის წვენზე გადასვლაც შეიძლება. ოღონდ გახსოვდეთ, წვენი ახალ-ახალი უნდა იყოს.

მეორე უძვირფასესი სასმელი, რომელიც ძირს ნაყარი ვაშლისგან შეგიძლიათ დაამზადოთ, ეს გახლავთ სამკურნალო პროდუქტი — ძმარი. ვაშლის ძმრის დაყენების სხვადასხვა მეთოდი არსებობს, მაგრამ ჯარვისის წესი საუკეთესოა, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.



## როგორ დავამზადოთ ვაშლის ძმარი

კარგად გარეცხილ ნაყოფს ამოაჭერით დამპალი და ჭიანი ნაწილები, გახეხეთ მსხვილ სახეხზე გულებიანად, ჩაყარეთ მინის ან ხის ჭურჭელში, დაასხით ანადუღარი თბილი წყალი — 400 გ-ზე 0,5 ლ. ყოველ ლიტრ წყალზე დაამატეთ 100 გ თაფლი ან შაქარი, 10 გ საფუარი და 20 გ გამხმარი შავი პური.

თავდახურული ჭურჭელი დადგით ოთახში, სადაც ტემპერატურა 20-30 გრადუსია და არ ხვდება მზის სხივი (უმჯობესია ბნელ ადგილას). 10 დღის მანძილზე ყოველდღიურად ურიეთ ხის კოვზით 2-3-ჯერ, შემდეგ გაწურეთ დოლბანდში.

მიღებულ წვენი კიდევ ერთხელ გაფილტრეთ დოლბანდში, არწყეთ და გადაიტანეთ ფართოყელიან ჭურჭელში.

შეიძლება კიდევ დაუმატოთ ლიტრზე 50-100 გ თაფლი ან შაქარი და ამოურიოთ კარგად გახსნამდე. ქილას გადააკრავთ დოლბანდის ნაჭერს, დადგამთ ისევ თბილ ადგილზე და აგრძელებთ დუღილს.

დუღილი დამთავრებულად ითვლება, როცა სითხე გამჭვირვალე გახდება. მთელ პროცესს ესაჭიროება 40-60 დღე. ბოლოს კიდევ ერთხელ გაფილტრეთ, ჩაასხით ბოთლებში, მჭიდროდ დაახურეთ საცობი და შეინახეთ გრილ ადგილას, მაგალითად. სარდაფში.

ვაშლის ძმარს წარმატებით იყენებენ ხალხურ მედიცინაში: კანის სხვადასხვა დაავადების, ვენების გაგანიერების, ოფლიანობის და ა.შ. სამკურნალოდ. მგონი ღირს წვალებად, მით უმეტეს, საუკეთესოა სალათებისა და კერძებისათვის.

## მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ...



როგორც მკვლევარები წერენ, მგელი ხარბი და ცბიერი მტაცებელია. მთელი ოჯახი ხროვად ნადირობს. ხშირად იმაზე ბევრად მეტს სპობს, რაც გამოსაკვებად სჭირდება. მშიერი მგლები სისხლს რომ დაინახავენ, არც თავისიანს ინდობენ. ყველაზე ადვილად ირემს იჭერენ. 1974 წლის ზამთარში ბორჯომის ნაკრძალში ასზე მეტი ირემი უნახავთ კლდეზე გადაჩეხილი და მგლებისგან შეჭმული.

მგელი თავს ესხმის ადამიანსაც. ასეთი შემთხვევები საქართველოშიც იყო. გასული საუკუნის 50-იან წლებში, სამადლოში ქალს დაესხნენ თავს. საგურამოში ძუ მგელმა ორლობიდან პატარა გოგო მოიტაცა. მთელი სოფელი გამოედევნა და... ბავშვი გადარჩა.

მგელი ისეთ საშიშ დაავადებებს ავრცელებს, როგორიცაა ცოფი, ტრიქონელოზი, ექინოკოკი, ქეცი და სხვა.

მგელი ბინადრობს მთელ ევრაზიასა და ჩრდილო ამერიკაში (გარდა უკიდურესი სამხრეთ ტროპიკული მხარისა). მრავლადაა კორეის ნახევარკუნძულზე, ჩინეთში, მონგოლეთში, ინდოეთში, პაკისტანში, ირანში, ავღანეთში, ერაყში, თურქეთში; ამჟამად მოსპობილია: იაპონიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ირლანდიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, დანიაში, შვეიცარიაში, გერმანიასა და ავსტრიაში.

საქართველოში მგელი კოლხეთის დაბლობის გარდა ყველგან გვხვდება — მთასა და ბარში, ველებზე, ზეგნებზე, ნახევრად უდაბნოში, ალპურ საძოვრებზე, 4.000 მეტრზე მაღლა ხრიოკსა და კლდოვან ადგილებში, ჭალებში. თბილისის შემოგარენსაც შემოეჩვია ამ ბოლო დროს, წყნეთშიც გამოჩნდა... მგლების დიდი ნაწილი თავს იყრის შინაური ცხოველების საბინადრო და საძოვარ ადგილებთან, ისეთ ნაკრძალებში, სადაც ჩლიქოსანი ცხოველებია: ირემი, შველი, გარეული ღორი, არჩვი და სხვა.

ერთი „დადებითი თვისება“ მაინც აქვს ხვად მგელს. ეს გახლავთ ძუსადმი განსაკუთრებული ერთგულება.

63-დღიანი მაკეობის შემდეგ მგელი ყრის საშუალოდ 7-10 უსუსურ, უსინათლო ლეკვს, რომლებიც 12 დღის შემდეგ ახელენ თვალს. 2 თვემდე ლეკვები დედის რძით იკვებებიან, შემდეგ იწყებენ ხორცის ჭამას.

მართალია, მგლები ძირითადად ჩლიქოსნებს ეტანებიან, მაგრამ არც ბაყაყებზე, ხვლიკებსა და თაგვებზე „ამბობენ უარს“. ის კი არა, ხანდახან ხილ-კენკრითაც იგემრიელებენ პირს. ძნელია ისეთი ცხოველის ხსენებაც კი, რომელსაც მგლები არ ჭამენ: მელა, ენოტი, ფოცხვერი და თქვენ წარმოიდგინეთ, დათვიც კი! განსაკუთრებულ „ყურადღებას“ იჩენენ ძაღლების მიმართ. ერთადერთი ძაღლი, რომელსაც მგლის არ ეშინია და პირიქით, შეტევაზეც გადადის, ეს გახლავთ ქართული ნაგაზი. ყოფილა შემთხვევა, როცა მეცხვარის თვალწინ ერთ, კისერზე ჩანგლებმორგებულ ნაგაზს 2-3 მგელი მოუხრჩვია... ცნობილი ფაქტია, რომ მგელი თავდაპირველად ყელში სწვდება მსხვერპლს, ნაგაზს კი ყელს ალესილი ჩანგლები უფარავს. მგელმა სატყუარას შეიძლება თავი დააღწიოს, მაგრამ ნაგაზს უკვე ველარ გადაურჩება — ისიც ხომ „მგლის ჯიშისაა“...

### მოზაიკა

* * *

*მგელი საათში 40-50 კმ „სიჩქარით“ გარბის. თავდასხმის დროს კი 80 კმ-საც „ავითარებს“.*

* * *

*მგელი არასოდეს თავს არ ესხმის შინაურ ცხოველებს თავისი ბუნაგის მახლობლად.*

* * *

*მგლის ხროვაში შედის „ოჯახის“ 7-20 წევრი.*

* * *

*მგელს დიდხანს შეუძლია შიმშილი, მაგრამ თუ საკვები მოინადირა, ერთ ჯერზე ჭამს 25 კგ-მდე ხორცს.*

* * *

*მშიერი მგლები, საჭმლის ძებნისას დღეღამეში 50 კმ-მდე და მეტსაც გადიან.*

* * *

*ცნობილია შემთხვევა, როცა მგლების 5-სულიანმა ოჯახმა 152 სულ ცხვარს გამოღადრა ყელი.*

* * *

*დაბოლოს, ერთი უცნაური ცნობა: მგლის ხორციც გაუსინჯავთ. აი, რას წერს ვინმე პ. ა. პეტრიაევი: „მგლის ხორცი ნაზი, მსუქანი და გემრიელია. გემოთი არ განსხვავდება ცხვრის ხორცისაგან, თუმცა გაცილებით ნაზია. ხახვში ჩახრაკული და შემწვარი, მოხარშულზე ბევრად გემრიელია“(?!).*

### ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

## იყიდეთ აკვარიუმი, თუ „ოქროს თევზები“ გიყვართ...



**— მაინტერესებს აკვარიუმის თევზების მოვლისა და გამრავლების პირობები.**

**ზაზა ხელაშვილი**

— აკვარიუმის შინ დამზადება რთულია, თანაც ბევრი „წვრილმანია“ გასათვალისწინებელი.

თუ გვაქვს მზა აკვარიუმი, პირველ რიგში წყლის ჩასხმაზე უნდა ვიზრუნოთ. ონკანის წყლით მისი ავსება და პირდაპირ თევზის ჩაშვება არ შეიძლება, რადგანაც იგი ქლორიანია. ამიტომ კარგად გარეცხილ აკვარიუმში ჩაასხით წყალი და დააყენეთ. სამი დღის შემდეგ უნდა მოვაწყოთ გრუნტი და დავრგოთ წყალმცენარეები. ამის შემდეგ წყალს მიეცემა სპეციფიკური სუნი, რასაც იწვევს ორგანული ნაწილაკების ხრწნა. წყალი ხდება ცისფერი, შემდეგ კი მოთეთრო-მღვრიე, თუმცა თევზის ჩასმა მაინც ადრეა. ერთი კვირის შემდეგ დაიწყებს წყალი დაწმენდას, მაგრამ რამდენიმე კვირა, შეიძლება თვეც დასჭირდეს, რომ იგი გახდეს მოცისფრო და გამჭვირვალე. ამას აკვარიუმის მოყვარულები უწოდებენ „ძველ წყალს“ და უფრთხილდებიან, რადგან მის დაძველებას, როგორც მივხვდით, დიდი დრო სჭირდება.

გრუნტში უნდა ჩაიყაროს ფეტვის სიმსხო, კარგად გარეცხილი ქვიშა მცირეოდენი წყლის ჩასხმის შემდეგ.

აკვარიუმში წყალი უნდა გასუფთავდეს კვირაში ერთხელ მაინც. აკვარიუმის გასარეცხი მოწყობილობა იყიდება ზოომაღაზიაში.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს წყლის ტემპერატურას, მით უმეტეს, სხვადასხვა სახეობის თევზს განსხვავებული ტემპერატურის წყალი სჭირდება. თევზის ზოგი სახეობა 2 გრადუს ტემპერატურაზე შესანიშნავად გრძნობს თავს და ზოგი 50-გრადუსიან ცხელ წყალშიც ბინადრობს.

აკვარიუმის თევზების უმეტესობა ტროპიკული ქვეყნებიდანაა შემოყვანილი, რის გამოც ისინი ოთახის ტემპერატურის წყალში (18-25 გრადუსი) შესანიშნავად გრძნობენ თავს.

გასათვალისწინებელია წყალში ჟანგბადის საკმაო რაოდენობით არსებობა. ჟანგბადის უკმარისობისას, თევზები თავს ყოფენ წყლიდან და ჰაერში „ეძებენ“ ჟანგბადს. ჟანგბადის მისაწოდებლად არსებობს სპეციალური აპარატურა, რომელიც ასევე იყიდება.

### მკითხველის ფოტო



ბაბუს მამულში

*გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ*

### რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

# 13-დან 19-მდე

## რომეო XIბ კლასიდან...

### ნინიკოს თქვენი გაზეთის საშუალებით ბოდიში მინდა მოვუხადო, რომ ჩემ გამო უამრავი ტკივილი მიაყენეს...

„წერა არ მეხერხებაო!“ — და ამიტომ შეხვედრა გვთხოვა 17 წლის ივიკომ: „არც თავის მოკვლას ვაპირებ და არც პასუხს ვთხოვ ვინმეს ჩემი დამსხვრეული ოცნებების და იმედების გამო. უბრალოდ მინდა საზოგადოება ჩემს მაგალითზე დაფიქრდეს: იქნებ ადამიანებმა შეძლონ, გადააფასონ ქართულ მენტალიტეტში დამკვიდრებული ტრადიციები, რომლის მთავარი არგუმენტი „რას იტყვის ხალხია?!“ და საკუთარი თავის გარდა ყველას უნდა გაუწიო ანგარიში“...

17 წლის ბიჭის მომხიბვლელობა და სილამაზე რა გასაკვირია, მაგრამ მერწმუნეთ, ივიკო მართლაც უმშვენიერესი ყმაწვილი აღმოჩნდა: მაღალი, ნატიფი სახის ნაკვთებით, შაქრისფერი კანით, მუქი წაბლისფერი თმით და უძირო ლურჯი თვალებით.

...მერე ივიკომ კაფეში დამპატიჟა და როცა კუთხეში დავსხედით, მითხრა: „— ეს ჩემი და ნინოს საყვარელი მაგიდააო!...

მივხვდი, სიყვარულის გამო იყო გულნატკენი, მაგრამ რაც მოგვიანებით მიამბო, იმას ვერაფრით წარმოვიდგენდი.

— ორი თვე დამრჩა სწავლის დასრულებამდე (აპრილის დასაწყისში შედგა ჩვენი შეხვედრა! — ი.ჯ.) ახლა წამოვედი სკოლიდან. აღარ მინდოდა იმ შენობაში ყოფნა, სადაც ნინო არ მოვიდოდა და თავისი მოსვლით არ გააცისკროვნებდა ჩემს ყოველდღიურ მოლოდინს... ნინომ ჩემზე ორი კვირით ადრე დატოვა სკოლა...

**— ვხვდები, ნინო გიყვარს, მაგრამ რატომ არ შეიძლებოდა თქვენი სიყვარული...**

— თქვენ ალბათ ნინიკო ჩემი თანასკოლელი ან კლასელი გგონიათ... არა, ის ჩემი მასწავლებელი იყო...

**— მასწავლებელი (ვერ დავფარე გაოცება!)?!**

— ადრე მათემატიკას ასაკოვანი კაცი გვასწავლიდა და ინსულტი დაემართა. ნოემბრის ბოლოს, დროებით, მოიყვანეს ნინო. სხვებთან ერთად, მეც დავუპირე „არევა“... სუსტი იყო, კაფანდარა, ძალიან ახალგაზრდა, არაფრით ჰგავდა მასწავლებელს... არ დავინდეთ: — ახალგაზრდა გოგო ხარ, წადი, დრო ატარე, გაიარე, მასწავლებლობას სიბერეშიც მოესწრებიო, — ვუთხარით.

მეორე დღეს მაინც მოვიდა და აღელვებულმა გულახდილად გვითხრა: „სკოლას თავს ვერ დავანებებ, შინ ავადმყოფი დედა და სამი წლის შვილი მყავს, რომლებსაც ჩემი იმედი აქვთ, მე კი მათემატიკის გარდა არაფერი ვიცი და ვერც სხვა რამეს გავაკეთებო!..“ დაგველაპარაკა როგორც ტოლებს და დამოუკიდებელ პიროვნებებს, დახმარება გვთხოვა და ყველამ ვიგრძენით, რომ არ გვქონდა არასერიოზულობის უფლება... მალე დავრწმუნდით, რომ ნინო კარგი მასწავლებელი იყო, ბევრ სწავლაზე ხელჩაქნეულ მოსწავლეს დაუბრუნა სწავლის სურვილი...

დაბადების დღეზე ყვავილების უზარმაზარი თაიგულით შინ მივადექით. ძალიან გაუხარდა. დედა და სამი წლის ნიკუშა გაგვაცნო.

**— რამდენი წლის გახდა ნინო მასწავლებელი?**

— 24-ის... შვიდი წლითაა ჩვენზე უფროსი, მაგრამ სულ არ იგრძნობა. პირიქით, პრობლემებთან შეჯახებისას ისეთი სუსტი და დაუცველია, რომ მგონია, ბევრად უფროსი ვარ მასზე...

**— როდის იგრძენი, რომ გიყვარდა?!**

— დაბადების დღეზე თავისი ნახატები დაგვათვალიერებინა, მერე გიტარაზე გვიმღერა და თან იტირა: „რამდენი წელია არ მიმღერია, სურვილიც არ მქონია ამისიო!“ მიზეზზე არაფერი უთქვამს, მაგრამ საერთო ნაცნობი აღმოგვაჩნდა და მისგან გავიგე, ნინო სტუდენტობაში მოუტაცია ქურდული ტრადიციების მიმდევარს. ამ ამბავს გადაყოლია კიდეც ნინოს მამა, ძალიან აწამებდა თურმე ის ბიჭი ნინოს, ფეხმძიმესაც სცემდა, ის კი გამხელასაც ვერ ბედავდა... ერთ-ერთი „რაზბორკის“ დროს მოუკლავთ და ნინოს სახლში დაბრუნების საშუალება მიეცა. ბავშვიც გააჩინა, ინსტიტუტიც დაამთავრა და...

...ერთი სიტყვით, მალე მივხვდი, რომ თავდავიწყებით ვიყავი შეყვარებული და გამოვუტყდი კიდევაც 14 თებერვალს, წმინდა ვალენტინის დღეს!.. სიხარულის ნაცვლად შეშინდა, ატირდა და შემეხვეწა: ეგ სისულელე თავიდან ამოიგდე, თორემ ყველაფერი მე დამბრალდება, არავინ დამიჯერებს, რომ მე არ აგიბნიე თავგზაო!..



ამის შემდეგ გამირბოდა, მემალებოდა, გაკვეთილზეც კი აღარ იხედებოდა ჩემი მერხისკენ. გავღიზიანდი და ალბათ შეცდომებიც დავუშვი: გახმაურდა სკოლაში ჩემი სიყვარულის ამბავი და... ნინიკოს დააბრალეს ყველაფერი.

...გაგიჟდა მამაჩემი. ხელითაც შემეხო. „ნაბოზარისთვის გზრდიო?!“ — თვალთ დამიბნელდა. სილის გამო კი არა, ნინიკოს შეურაცხყოფამ გამაგიჟა. მერე სახლიდან გავიქეცი, მაგრამ არც ნინიკომ გამიკარა სიახლოვეს... მერე სკოლიდანაც წავიდა. ეჭვიც არ მეპარება, ყველა პირობა შეუქმნეს საამისოდ „კოლეგებმა“, მაგრამ რომ არ აეძულებინათ, მაინც არ დარჩებოდა, ძალიან თავმოყვარეა. არადა სიგიჟემდე უყვარდა სკოლა და ბავშვები. შევუთვალე — თუ არ დაბრუნდები, მეც არ გავჩერდები-მეთქი სკოლაში!.. არ მიპასუხა.

**— სკოლიდან რომ წამოხვედი, მშობლები როგორ შეხვდნენ ამ ამბავს?!.**

— ორი თვეა დარჩენილი და ატესტატს მაინც მომცემენ ალბათ, მერე კი, სულ წავალ საქართველოდან. ჩემი უფროსი ძმა სწავლობს გერმანიაში და მეც იქით ვაპირებ. დაფიცებული მაქვს, საქართველოში მანამდე არ დავბრუნდები, სანამ მე და ნინიკოს ერთად ყოფნის უფლებას არ მოგვცემენ!

**— ნინოს უყვარხარ და აქვს შენთან ყოფნის სურვილი?!**

— ვუყვარვარ... რამდენჯერ უტირია: „თუ ღმერთს ასეთი სიყვარული ემეტებოდა ჩემთვის, რატომ ტოლები არა ვართო!..“ იცოდა, რომ არავინ დაგვანებებდა ერთმანეთის სიყვარულს და ბედნიერებას...

...იგი არასოდეს იქნება ჩემთვის „უბრალო გატაცება“, თუნდაც იმიტომ, რომ მიუწვდომელ ოცნებად მიქციეს მისი სიყვარული.

ნინიკოს თქვენი გაზეთის საშუალებით ბოდიში მინდა მოვუხადო, რომ ჩემ გამო უამრავი ტკივილი მიაყენეს... მინდა იცოდეს, რომ უფრო მეტად მიყვარს და ველოდები, როდის დამიძახებს. თუ არ „შემირიგდა“ მაშინ ველარავინ დამაბრუნებს საქართველოში!..

...უხმოდ ვუსმენდი ივიკოს. მისი სიყვარულის წინააღმდეგ წასვლის სურვილი არ მქონდა და ვერც... წაქეზება გავბედე. ამ შემთხვევაში, ივიკოს და ნინოს ლამაზ გრძნობას რომ დაუპირისპირდა, ის საზოგადოება არც მე დამზოგავს...

არადა, ნეტავ გენახათ ჩემი ტკივილებით დახანჯლული რესპონდენტი, 17 წლის... რომეო!..

***ინგა ჯაყელი***

## საყვარელო „პალიტრავ“!



### მაინტერესებს, მართლა ვუყვარვარ თუ არა?

— წერილს პირველად ვწერ და ძალიან მინდა რჩევა მომცეთ. ყველაფერი ასე დაიწყო. მე მეგობრებთან ერთად კონცერტზე ვიყავი და მეგობრის მეგობარი გავიცანი. ძალიან მომეწონა, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე, მან კი, იმ საღამოს შინ მანქანით მიგვაცილა. გავიდა ერთი თვე და ჩემს მეგობრებთან ერთად კონცერტზე წავედი. ისიც იქ იყო. იმ დღის შემდეგ დაიწყო ჩვენი შეხვედრები. რამდენჯერმე კოლეჯში მომაკითხა. მოკლედ, ყველგან ერთად დავდიოდით. გავიდა დრო და მან უცებ შეწყვიტა შეხვედრები. შემთხვევით რომ შევხვდები, იმიზეზებს, საქმეები მაქვს, პრობლემებს მოვაგვარებ და ისევ ერთად ვიქნებითო. ამ მოლოდინში 3 თვე გავიდა და ერთხელაც არ დამირეკა, შეხვედრისას კი გამიმხილა, რომ ჩემი მეგობარი ეკა უყვარს. შენ მიმართ კი მხოლოდ მოწონება და სიმპათია მქონდაო — მითხრა. შენ, ჯერ ბავშვი ხარ და ყველაფერს ვერ ხვდები, გავა დრო და ჩემზე უკეთესი შეგიყვარებსო, მე საზღვარგარეთ მივდივარ და რა აზრი აქვს ორი წელიწადი ლოდინსო.

ვგრძნობ, რომ კახას ეკა არ უყვარს და ამდენი ტყუილი რაში დასჭირდა, ეს მაშინ, როდესაც მისმა ნათესავებმა თუ მეგობრებმა იცოდნენ, რომ კახას საცოლე ვიყავი. ჩემს მშობლებს კახა არც გარეგნობით მოსწონთ და კიდევ იმიტომ, რომ იგი სოფელში ცხოვრობს. მე კი მისი დავიწყება არ შემიძლია, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მენატრება. არ ვიცი, გავუძლებ კი ყველაფერს? ისიც კი არ ვიცი, ვუყვარვარ თუ არა? და არც ის ვიცი, დავუცადო თუ... ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ იმედი გადამეწურა.

***ველოდები თქვენს პასუხს.***
***17 წლის ნინო, ქუთაისი***

*ნინო, რჩევის მიცემა ხშირ შემთხვევაში უფრო ადვილია, ვიდრე ის, რომ თავად გაერკვე საკუთარი გრძნობების სიწრფელეში. კახა ცუდად მოიქცა, როდესაც თავისი გულის აცრუების შესახებ თავიდანვე დაწვრილებით არ გიამბო. როგორც ჩანს, შეშინდა, ანდა ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, რა არჩევანს გააკეთებდა. თუმცა დამერწმუნე, ამას, შენთვის ნაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. თუნდაც იმიტომ, რომ თუ გიყვარს, ამ სიყვარულისთვის ბრძოლაა საჭირო. ეს იმ შემთხვევაში, თუ ის ღირსეულია, მაგრამ განა დიდი ფიქრი სჭირდება იმას, რომ შენი გულის სწორი ამჩატებული ადამიანია? ამიტომ იქნებ წარსულის ეს ფურცელიც გვერდზე გადადო. ნურც იმის ძიებაში იქნები — უყვარხარ თუ არა. ცხოვრება ძალიან მალე ყველაფერს თავის ადგილზე დაალაგებს.*

## ფსიქოტესტი

## როგორ აფასებთ საკუთარ თავს?

***გრაფოლოგები ადამიანის ხასიათს ხელწერილის მიხედვით განსაზღვრავენ. ბევრ რამეზე მეტყველებს სიარულის და ლაპარაკის მანერა, ტანსაცმელი. რას ფიქრობთ საკუთარ თავზე? პასუხების სამი ვარიანტიდან ერთ-ერთს გაეცით პასუხი, ამოირჩიეთ ის, რომელიც თქვენთვის უფრო ბუნებრივია.***

**1. ხშირად ანებივრებ თავს შოკოლადის ფილებით?**
ა) არა —1;
ბ) დიახ — 0;
გ) თითქმის ყოველდღე — 2.

**2. როგორი მაჯის საათი გირჩევნია?**
ა) უცხო — 2;
ბ) ძვირფასი — 1;
გ) ჩვეულებრივი — 0.

**3) რა ჯიშის ძაღლს ისურვებდი სახლში?**
ა) სპანიელი ან ფოქსტერიერი — 0;
ბ) ნაგაზი ან დოგი — 2;
გ) საერთოდ არ მინდა ძაღლი — 1.

**4) თუ დაკვირვებიხარ, როგორ გიყვარს ძილი?**
ა) მუცელზე — 0;
ბ) ზურგზე — 2;
გ) მოკუნტული — 1.

**5) შეეცადე გაიხსენო, უფრო ხშირად როგორ ჭამ?**
ა) ხარბად — 1;
ბ) უბადლოდ — 0
გ) ნელა — 2.

**6). რა საქმიანობა და რომელი თამაშები გიყვარდა ბავშვობაში?**
ა) კითხვა — 0;
ბ) ბურთით თამაში — 2;
გ) ხატვა — 1.

**7) რა მდგომარეობაშია შენი ტანსაცმელი კარადაში?**
ა) უწესრიგოდ ყრია — 1;
ბ) წესრიგშია — 2;
გ) როდის, როგორ — 0.

**8: რა ფერს აირჩევდი?**
ა) წითელი — 2;
ბ) მწვანე — 0;
გ) მუქ ფერს — 1.

***შედეგები:***

***0-6 ქულა.*** *ძლიერი და მიზანმიმართული ხარ, აზარტული, შესაძლოა ოდნავ ფიცხი. შესანიშნავად იცი, რა გსურს ცხოვრებაში;*

***6-12 ქულა.*** *ყველაფერს მუქ ფერებში ხედავ. მოახლოებული უბედურების შეგრძნება, ფსიქოლოგიური სტრესი — აი, შენი ცხოვრების თანამგზავრი. დარწმუნებული არ ხარ საკუთარ თავში.*

***12 და მეტი.*** *ინფანტილურ და მეოცნებე ნატურა ხარ. როგორც ჩანს ზარმაცი ადამიანიც.*

***თქვენს რუბრიკაში „13-დან 19-მდე“ არცთუ დიდი ხნის წინ ბრიტნი სპირსის შესახებ მოგვითხრობდით. ბრიტნი შეყვარებულმა მიატოვა და ამის გამო ის კარგა ხანს დეპრესიაში იყო. როგორც ახლა გავიგე, მის მეგობარ მამაკაცს ჰოლივუდის ერთ-ერთი ვარსკვლავი შეჰყვარებია. იქნებ მათ შესახებ დაწვრილებით მოგვითხროთ.***
***რეზო გოგოჭური, 18 წლის***

**ჯასტინ სენდოლ ტიმბერლეიკი** — მომღერალი N’sync-ის ყოფილი წევრი. წელს მისმა სიმღერამ MTV-ზე 7 ნომინაციაში გაიმარჯვა.

**ასაკი:** 22 წლის
**ზოდიაქოს ნიშანი:** მერწყული
**თმის ფერი:** ქერა
**თვალის ფერი:** ცისფერი
**ტიტული და ჯილდოები:** ყველაზე სექსუალური პოპვარსკვლავი, დასახელებულია საუკეთესო მომღერლად.
**ყოფილი მეგობარი ქალები:** ქრისტინა აგილერა, ბრიტნი სპირსი, ნატალია დოერტი.



**კამერონ დიასი** — კინომსახიობი. გადაღებულია ფილმებში: „ნიღაბი“, „საუკეთესო მეგობრის ქორწილი“, „ჩარლზის ანგელოზები“, „ცოტა რამ მერის შესახებ“, „ვანილის ზეცა“. მონაწილეობდა პოპულარული მულტფილმის, „შრეკის“ შექმნაში, სადაც პრინცესას ახმოვანებდა.

**ასაკი:** 31 წელი
**ზოდიაქოს ნიშანი:** ქალწული
**თმის ფერი:** ქერა
**თვალის ფერი:** ცისფერი
**ტიტულები და ჯილდოები:** ნომინირებული იყო „ოქროს გლობუსზე“ როლისათვის ფილმში „ჯონ მალკოვიჩად ყოფნა“ და „ვანილის ზეცა“, უამრავი ჯილდო. საუკეთესო მსახიობის ტიტული მოუტანა ფილმმა „ყველა გიჟდება მერიზე“.
**ყოფილი მეგობარი მამაკაცები:** ვინს ფოგნი, ჯარელდ ლეტო, კარლოს დე ლა ტორე, მეტ დილანი.

* * *

დღეს საბრალო ბრიტნი სპირსის ყოფილ ბოიფრენდზე, ჯასტინზე, მის თაყვანისმცემლებს სალაპარაკო არ ელევათ. მან ხომ ახალი სიყვარული იპოვა და უბრალო გოგონა კი არა, ჰოლივუდის მთავარი ლამაზმანი — კამერონ დიასი. ბრიტნი ალბათ აუღელვებლად ვერ უყურებს იმ ფაქტს, რომ გაზეთები ერთხმად აღიარებენ — დიასი იდეალურია და უკეთესს ჯასტინი ვერც იპოვიდაო.

ჯასტინი ძალზე ბედნიერად გრძნობს თავს. როგორც თავად ამბობს, მან ჯერ კიდევ 1995 წელს დაადგა თვალი ჰოლივუდელ ლამაზმანს.

კამერონი და ჯასტინი ორი თვის მანძილზე საიდუმლოდ ხვდებოდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი, მოულოდნელად ერთად გამოჩნდნენ საზოგადოებაში და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვიეს. დღეს ორივე მათგანი პოპულარობის პიკზეა. ტიმბერლეიკი თავისი სოლო ალბომის წარმატებით ტკბება, დიასმა კი „ჩარლის ანგელოზების“ გაგრძელებაში ითამაშა და ყველა მოხიბლა. სხვათა შორის, კამერონი თითქმის ათი წლით უფროსია თავის შეყვარებულზე. თუმცა ეს არც ჯასტინს აღელვებს და არც დიასს. მომღერლის მშობლებიც არ განიცდიან ამ ამბავს. მათ ძალიან მოსწონთ შვილის მეგობარი ქალი.

ჯასტინის ამასწინანდელ კონცერტზე ულამაზესი კამერონი პირველ რიგში იჯდა და როგორც მოგვიანებით გაირკვა, ზეპირად იცოდა ჯასტინის ყველა სიმღერა.

***გვერდი მოამზადა ლია იაკობაშვილმა***

CMYK

# ამირანივით გულში სიმღერას შეეშვით და პირდაპირ მითხარით სათქმელი



ყოველგვარი შესავლებისა და წარდგინების გარეშე გთავაზობთ ინტერვიუს **მაია დათუნაშვილთან**, რომელიც ერთხელ კიდევ დაგარწმუნებთ, რომ ანდაზა უბრალოდ ფრთიანი ფრაზა კი არა, ჩვენი წინაპრების ცხოვრებისეული გამოცდილებით ნაკარნახევი სიბრძნეა.

— **„აფერინე ალილოო, რაც არ არი, არ არიო“.**

— ძალიან მომწონს ეს ანდაზა. იმ ადამიანს მაგონებს, რომელიც ცდილობს თავისი შესაძლებლობები რეალურზე მეტად წარმოაჩინოს, მაგრამ არაფერი გამოსდის. ჩემს ცხოვრებაშიც იყო ერთი მსგავსი ამბავი. სკოლაში ყველა საგანს კარგად ვსწავლობდი, ფიზკულტურის გარდა და ჩემი არაჩვეულებრივი მასწავლებელი სულ ბრაზობდა — შენ ფიზკულტურას პატივს არ სცემ და იმიტომ ხარ ჩემს გაკვეთილზე პასიურიო. მეც მისი გულის მოსაგებად მშობლებმა რეპეტიტორს მიმაბარეს ფიზკულტურაში. ეს იყო ჩემი მამიდაშვილი, არაჩვეულებრივი სპორტსმენი, რომელიც შინ მავარჯიშებდა ფიზკულტურის გაკვეთილზე შესასრულებელ ბეჭყირაში. ერთთვიანი ამაო მცდელობის შემდეგ, გარჯას შევეშვი, თუმცა, კინაღამ კისრის მალების მოტეხილობა მივიღე.

— **„ამირან გულში მღეროდა, ძმანო, ბანი მითხარითო“.**

— ვერასოდეს ვერ ვხვდები გამომეტყველებით ან ქვეტექსტებით ნათქვამს, ამიტომ ყველას გთხოვთ, თუ გინდათ რომ უკმაყოფილო არ დარჩეთ იმის გამო, რომ ნართაულ ნათქვამს ვერ მიგიხვდით, ამირანივით გულში სიმღერას შეეშვით და პირდაპირ მითხარით სათქმელი.

— **„ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოიტანს ქვიშასა“?**

— თუკი ეს ვრცელდება მარტო ცოცხზე, გასაგებია, მაგრამ სხვა შემთხვევაში აბსურდია. აი, მაგალითად, საქმეში ახალგაზრდას არ შეიძლება ჰქონდეს იმხელა პროფესიონალიზმი და გამოცდილება, რამდენიც მასზე ბევრად უფროსს.

— **„გაგონილს ნანახი სჯობია“?**

— ნამდვილად. ეს არის ჩემი პროფესიული ანდაზა და მუდმივად ვამტკიცებ, როგორი ძვირფასი ჩანაწერიც არ უნდა მოისმინო შესანიშნავი მომღერლისა, მხოლოდ კონცერტზე დასწრებით მიიღებ ნამდვილ სიამოვნებას. მე ბედნიერება მქონდა, ჩემი თვალით მენახა და ცოცხლად მომესმინა სტივ უანდერისთვის, ხოსე კარერასის, ლუჩანო პავაროტის, ლექსო თორაძისა და სხვებისთვის.

— **„გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო“.**

— ეგ მართლა ჩემზეა ნათქვამი, ერთ ამბავს მოგიყვებით: ერთ დღეს თავს შეუძლოდ ვგრძნობდი. სიცხე მქონდა, თან შაკიკი. არადა, იმ დღეს უნდა წამეყვანა ჯაზური მუსიკის კონცერტი. ჩემი მეგობარი მომღერალი გოგი დოლიძე იჯდა კულისებში. ქეთი ჯაფარიძე — პარტერში, მე ხან ერთს ვუყურებდი თვალებში და ხან მეორეს. მეცვა ახალი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, რომელიც ცოტათი მიჭერდა. გამოვედი, უნდა ვთქვა ტექსტი და ისე გავითიშე, რომ ვერც ერთი ჯაზმენის სახელი ვერ გავიხსენე. გავჩერდი და კულისებიდან მესმის გოგის ქირქილი. ქეთიც იგივე მდგომარეობაშია, არც ერთი ჩემს დახმარებას არ ფიქრობს, მეც მთელი გულწრფელობით გამოვუცხადე მაყურებელს, არც ერთი ჯაზმენის გვარი არ მახსენდება-მეთქი. საზოგადოებას ეს ჩემი ხუმრობა ეგონა და ატყდა ტაში და სიცილი. გამწარებული მოვბრუნდი კულისებისკენ, წამსკდა ცრემლები და მას თან მიჰყვა ჩემი მაკიაჟის ნაწილიც. თითქოს ეს არ კმაროდა, ფეხი გამეჭედა იატაკში და ცალი ფეხსაცმლით გავედი კულისებში. ქვა კი არა, ლოდი მომეწია გაჭირვების ჟამს, ისე მწარედ მახსოვს ეს ამბავი.

— **„დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩიც ვერ დააკავებსო“.**

— ეგრეა. მე მაგალითად, ერთხელ თვითმფრინავი მოვაბრუნე. აი, ასე, გავიწიე და მოვაბრუნე. მოსკოვში ვიყავით ქართული დელეგაცია, კონცერტები გვქონდა „როსიაში“. თბილისში ვბრუნდებოდით, როგორც იქნა, 12-სათიანი ლოდინის შემდეგ მოსკოვის აეროპორტში თვითმფრინავში ავლაგდით. ავიაკომპანიის წარმომადგენელიც მოგვყვებოდა. რეისი იყო მოსკოვი-ქუთაისი-თბილისი. ჩვენთან ერთად მგზავრობდნენ ქუთაისლები, მათ შორის ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, რომელთაც მოჰყავდათ ექვსი თვის ბავშვი. პატარას უმძიმესი ოპერაცია ჰქონდა გადატანილი, მაგრამ ექიმების თქმით, უკანასკნელ დღეში ყოფილა და გულგასივებულ მშობლებს შინ მიჰყავდათ. ძალიან მინდა, ის ბავშვი ახლა ცოცხალი იყოს. ავიაკომპანიის წარმომადგენელმა წაიმეტიჩრა და პილოტებს უთხრა — ჯერ თბილისში დავსვათ ჩვენი ვარსკვლავები და მერე სხვები ქუთაისში გადავაფრინოთო. ეს რომ გავიგონეთ მე, ეკა მამალაძემ და სხვებმა, აღვშფოთდით. განვაცხადე, ან ახლა ამ თვითმფრინავს დასვამთ პირველ რიგში ქუთაისში, ან ამ ავიაკომპანიას საერთოდ დავახურინებთ თბილისში-მეთქი. ამყვა ეკაც. მოკლედ, თვითმფრინავი ბევრი ყვირილისა და წინააღმდეგობის შემდეგ დაჯდა ქუთაისში. მერე აღმოჩნდა, რომ საწვავი აღარ ჰქონიათ და მთელი დელეგაცია ავტობუსით გამოგვიშვეს თბილისში. მაგრამ ყველა ბედნიერად ვგრძნობდით თავს, რომ ჩვენ მივდიოდით ავტობუსით თბილისში და არა ის საბრალო ოჯახი ქუთაისში.

— **„ყურძნის სიყვარულით ვაზს კოცნიდნენო“.**

— მე და ჩემს მეუღლეს დაგვიფიქსირებია ეგ ხშირად, როცა ერთად ვართ რაიმე დიდ შეხვედრაზე, ადღეგრძელებენ ჩემს მეუღლეს და მერე იქვე აყოლებენ, როგორ ვუყვარვარ მე ხალხს და გრძელდება საუბარი ჩემზე. ზუსტად ამაზე ამბობს ხოლმე თენგო — ხედავ მაია, რა ხდება? ყურძნის, ანუ შენი სიყვარულით, ვაზს, ანუ მე მესიყვარულებიანო.

**ეკა ლომიძე**




ქართული და უცხოური
ჟურნალ-გაზეთების
გამოწერა
თბილისის მაცხოვრებელთათვის
და ორგანიზაციებისთვის
ტელ: 33-26-73
სახლიდან
გაუსვლელად
შპს „ელვასერვისი“


## 2 ნოემბერი — კვირა
## 1 ნოემბერი — შაბათი
## 31 ოქტომბერი — პარასკევი
## 30 ოქტომბერი — ხუთშაბათი
## 29 ოქტომბერი — ოთხშაბათი
## 28 ოქტომბერი — სამშაბათი
## 27 ოქტომბერი — ორშაბათი



# თუ ცირკის დირექტორად დამნიშნავენ, წავალ არჩევნებზე...



*რატომ გაძლიერდა ბოლო დროს ტელეეთერში გოგიჩაიშვილების „კლანი“, რას აპირებენ ისინი სამომავლოდ ქართულ პოლიტიკაში. გახდება თუ არა* **გიორგი გოგიჩაიშვილი** *განახლებული ცირკის დირექტორი ან რას გააკეთებს იგი თბილისის მერის პოსტზე მოსვლის შემთხვევაში. ამ და კიდევ უამრავ სხვა „საკითხზე“ გვესაუბრება პოპულარული ტელეწამყვანი გოგიჩა — გიორგი გოგიჩაიშვილი.*

— **ამბობენ, სკოლაში ოროსანი მოსწავლე ყოფილხარ და დღესაც ვერ გაგიგია, ხუთი ერთიანის ჯამი რომ 17 არ არის.**

— ეგ ჩემი თანაკლასელების გავრცელებული ჭორია, სარეკლამო კლიპიდან. ოროსანი არ ვყოფილვარ. კარგად ვსწავლობდი. თუმცა ერთი-ორი სამიანიც მყავდა. სკოლის დამთავრებისთანავე მაინც ჩავირიცხე უმაღლეს სასწავლებელში. რაც შეეხება ხუთი ერთიანის ჯამს, მარტივად რომ ვთქვათ, ლატარიის მე-17 ტირაჟია, თბილისობაზე უნდა გათამაშებულიყო ხუთი თეთრი ფერის „07“. თბილისობა სპეციალურად გადადეს, რომ ხალხისთვის ეს ხუთი მანქანა არ მიგვეცა. მაგრამ მინდა გავაფრთხილო „ტერორისტები“ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, გათამაშება მაინც შედგება.

— **ჭორი №2 — თურმე ძალიან გამდიდრებულხარ, ლატარიაში მანქანა და ბინა მოგიგია ერთბაშად.**

— ნეტავ ჭორი არ იყოს. მე საერთოდ მეკრძალება ლატარიის თამაში. მართლა რომ მოვიგო, ამას არავინ დაიჯერებს. ატყდება ერთი ამბავი. ისედაც მეუბნებიან — აუ, ჩამიწყვე რა, მომაგებინე მანქანა, ბინაო. არ ესმით, რომ ის დრო წავიდა, როცა ჩალიჩობდნენ, ლატარიიდან ყიდულობდნენ მანქანას და შესაბამისად, პასუხსაც არავინ სთხოვდა, 100 მანეთი ხელფასის მქონემ მანქანა როგორ იყიდეო. ახლა ეგრე აღარ არის. საერთოდ, გახსოვთ, ერთი პერიოდი ტელევიქტორინა მიმყავდა, მაშინ ჩემი ოჯახის წევრებსაც კი ეკრძალებოდათ ეთერში დარეკვა, ვის დავაჯერებდი, რომ მათ კითხვაზე პასუხი წინასწარ არ იცოდნენ.

— **ჭორი შემდეგი — გოგიჩა მრავალშვილიანი მამაა, რის გამოც თბილისობაზე ვანო ზოდელავა მიკროავტობუსით ასაჩუქრებსო.**

— მართლა? ეგ ჭორია თუ ნამდვილი ამბავი? „კვირის პალიტრის“ ეს ნომერი თბილისობამდე გამოვა (გოგიჩა აშკარად აფორიაქდა)? არიქა, ერთი-ორი კვირით ვიქნები მრავალშვილიანი. გეხვეწებით, დაწერეთ, რომ 9 შვილი მყავს. ცოტა ხნით მომატყუებინეთ ბატონი ვანო მიკროავტობუსისთვის.

— **ხუმრობა იქით იყოს და ორი შვილის მამა ოჯახში მატებაზე არ ფიქრობ?**

— ვფიქრობ და აქტიურ პროპაგანდასაც ვეწევი. მყავს მეგობრები, რომლებიც შეძლებულად ცხოვრობენ და ამბობენ, ორ-სამზე მეტ ბავშვს ვერ მოვუვლითო. მეც ვარიგებ: ცოტა იაფფასიანი მანქანებით იარეთ, ნაკლები ისაუბრეთ მობილურით და ბავშვი შემატეთ ოჯახს-მეთქი. პირადად რაც შემეხება, ჯერ მე და ჩემი მეუღლე ახალგაზრდები ვართ და ყველაფერი წინ გვაქვს.

— **იცი, კიდევ რა ჭორი გავიგე? გოგიჩას ცირკის დირექტორად ნიშნავს ბადრი პატარკაციშვილიო.**

— ეგეც თბილისობის საჩუქარია?! რა სასიამოვნო ჭორებია. არ შეიძლება ამიხდინონ? დიდი სიამოვნებით მივიღებ მაგ წინადადებას. მახსოვს, ბავშვობაში ცირკის ჯიხურში ძალიან თხლად დაჭრილი პური და ძეხვი, გემრიელი ფორთოხლის წვენი, ნაირ-ნაირი ნამცხვარი იყიდებოდა. ბოშები რეზინიან ბურთებს ყიდდნენ, აუ, რა დამავიწყებს, მაგის გამო მიყვარდა ცირკში სიარული. ახლა მიხარია, რომ ჩვენს ბავშვებს ცირკი დაუბრუნდა, მე, როგორც „დირექტორი“, ვიზრუნებ ქართული საცირკო ხელოვნების აღდგენაზე.

— **გოგიჩა, ტრადიცია დაირღვა და თბილისობა გადადეს, რა განცდა გამოიწვია ამ ფაქტმა შენში?**

— ტრადიციები ხშირად ირღვევა, ამას მივეჩვიეთ. ბოლო ხანს აღარ დავდივარ ნარიყალაზე. მეგობრები ვიკრიბებით და თბილისობას მცხეთაში აღვნიშნავთ.

— **თბილისის მერი რომ იყო, პირველ რიგში რას გააკეთებდი?**

— გზებს. საშინელ მდგომარეობაშია ჩემი „კუსუნა“ მანქანა. ყოველდღე დისკებს ვუსწორებ. გარდა ამისა, ბიუჯეტი თუ მომცემს საშუალებას, ისეთ ტრანსპორტს შემოვიყვანდი, რომელიც სამარშრუტო ტაქსებს შეამცირებს, მაგრამ გამოთავისუფლებულ მძღოლებს დავასაქმებდი. ვეცდებოდი ქალაქის დასუფთავებას. უცხოეთში საპნით რეცხავენ ქუჩებს. აქ წყლით რომ გაირეცხოს, არ გვაწყენდა. ასევე ჩავატარებდი ბევრ კულტურულ ღონისძიებას, რაც ძალიან მიყვარს.

— **დღეს მოდად იქცა ფრაზა: „მე მივდივარ არჩევნებზე, შენ?“**

— თუ ცირკის დირექტორად დამნიშნავენ და მიკროავტობუსსაც მაჩუქებენ, წავალ, აბა, არ წავალ? ხუმრობა იქით იყოს და ჩემი ოჯახის არც ერთი წევრი საერთოდ არ არის სიაში. გვეუბნებიან, პასპორტები მოიტანეთ და მერე შეგიყვანთ სიაშიო, ძალით ქმნიან პრობლემებს. რომ დაგეზაროს და არ მიხვიდე? ახლა რასაც ვუყურებ, მრცხვენია, ასეთი არჩევნები იმას იმსახურებს, რომ საარჩევნო უბნები საერთოდ ცარიელი იყოს.

— **ამ ბოლო დროს ეკრანზე გოგიჩაიშვილების მომრავლება რას მივაწეროთ. თქვენი „კლანი“ ძლიერდება?**

— მომავალი არჩევნებისთვის ვემზადებით (იცინის). ვაპირებთ შემდგომ პარლამენტში უმრავლესობის სახით მოვიდეთ. ჩვენს პარტიაში ვიწვევთ ყველა გვარის წარმომადგენელს, ვისაც აქვს იუმორის გრძნობა, ჭკუა უჭრის და თვალიც მახვილი აქვს.

— **მართალია თუ არა, რომ წელს ზღვაზე ბავშვების „გუნდი“ წაიყვანე დასასვენებლად?**

— ეგ კარგი იდეაა, მაგრამ მხოლოდ ჩემი შვილები მყავდა. თუმცა იქ ბევრი სხვა ბავშვიც იყო, რომლებიც გამოჩენისთანავე გარს მეხვეოდნენ. მართლა პიონერთა ხელმძღვანელს ვგავდი.

— **შვილებთანაც მხიარული გოგიჩა ხარ?**

— ძალიან მხიარული ვარ და საერთოდ ვგმობ სიმკაცრეს ბავშვებთან.

— **ერთ მშვენიერ დღეს უფროსი ქალიშვილი რომ მოგტაცონ, როგორც თქვენ მოიტაცეთ თქვენი მეუღლე — ნათია, რას იზამთ?**

— არა, ეგ არ თქვათ. რა დროს ეგ არის. თანაც სულ ვნანობ, რომ ნათიას „მეკობრული“ გამოხდომით გული ვატკინე. მოტაცება მოდიდან გადავიდა. დამიჯერეთ ბიჭებო, ნუ ჩამორჩებით მოდას.

— **რა გღლის და დაღლილს შვებას რა გგვრის?**

— უძილობა მღლის, შვებას და სიამოვნებას მგვრის ოჯახი და კიდევ სამსახური... სადაც „სიამოვნებით“ ვიღლები...

**ეკა ლომიძე**

# ჩემი სიმღერით მოვედი და ჩემი სიმღერით წავალ...

## (მოდური სიმღერების დაწერას ვერ ვიკადრებ...)

*რა გვეშველებოდა ქართველებს, კარგი სიმღერები რომ არ გვქონოდა? საუკუნიდან საუკუნემდე ერთ ამოსასუნთქ წუთს რომ მოვიხელთებდით, ჩავუსხდებოდით და დავაგუგუნებდით. ხანაც, ჩვენ-ჩვენთვის ვღიღინებდით და ისე ვწამლობდით მტაცებლების ნაკლანჭარსა თუ საკუთარი თავისგან მიყენებულ ტკივილებს. კიდევ კარგი, განგებამ იმის ნიჭი მაინც არ დაიშურა ჩვენთვის, რომ კარგი სიმღერის მთქმელი და შემთხზველი უხვად მოგვცა... ვმღერით და ვმღერით... მოდი და ნუ იმღერებ, როცა ჯერჯერობით მხოლოდ სიმღერებში დაგვრჩა ისეთი სუფთა ზეცა, თავზე რომ არ ჩამოგვექცევა და ისეთი მიუვალი გზები, რომელიც ვერ დაიკეცება. როცა „ქართული ხმები" **რუსუდან სებისკვერაძის** სიმღერებს დასჭექს, ქვეყანა ჩვენი გვგონია... რა ვქნათ? — არც იყოს და აღარც გვეგონოს? აგერ რამდენი წელიწადია გვატკბობს ამ ქალბატონის სიმღერები... კაცმა რომ თქვას, ამ საყოველთაო „მოღრუბლულობაში" არც სიცილს იშურებს ჩვენთვის (ესეც დაგვიძვირდა)... ამნაირი ღიმილი ძველ იმერულ სოფლებში იციან ნამდვილმა იმერელმა ქალებმა, ათასი საქმე და თავში საცემი აქვთ, მაგრამ მაინც გაგიცინებენ, მოგდევენ ხვეწნა-ხვეწნით, — ისე რავა გაგიშვებ, ჩემი ნახელავი არ გაგასინჯოო... სხვათა შორის, სტუმარ-მასპინძლობის ეს წესი ქალბატონ რუსუდანის ოჯახშიც ცოცხალი დამხვდა და ამან ისე გამახარა, ქუჩაში მეც ვიცინოდი, ოღონდ მარტო...*

*ჩვენ სახლის ერთადერთ ძვირფას ნივთთან, როიალთან დავსხედით და დავიწყეთ.*

**— ქალბატონო რუსუდან, ხომ არ იცით, რატომ ვცდით ქართველები ამ პიანინოებს, რაც ადრე „გამბრძალი ტკივით" ვიცოდით, დავიწყეთ, ეს გამიზრეა ის ბრალია?**

— არ ვიცი... შეიძლება აღარ ემღერება ხალხს და იმიტომ?! იცი, რა მენატრება? — ადრე ქუჩას რომ ჩაივლიდი და ყველა სახლიდან მუსიკაში მეცადინეობის ხმა გამოდიოდა. ახლა მთელი თბილისი რომ დაიარო, ამ ხმას ვერ გაიგონებ. ერთხელ, ზურიკომ თქვა, ლაშე სახლში რომ მოვკუწდებოდით ყველანი და ნანულა კაცი ჩაივლიდა ღილინ-ღილინით — აუ, რამდენი ხანია ეს ღილინი აღარ გამიგია. ჩემს ბავშვობაში, ზესტაფონში კაცები სულ ღილინებდნენ — ყანას რომ თოხნიდნენ, მეშინავ და ზურგით გოდორი რომ მოჰქონდათ, იმ დროსაც... ძალიან მინდა ეს ხმები მოვისმინო. დავეძებ, ვუგდებ ყურს და აღარსად არის. წარმოიდგენთ, რა როგორ მაქვს საქმე? — ჩემი პროფესია სიმღერაა, მაგრამ ხალხს აღარ ემღერება.

**— ისე კარგ სიმღერებს თუ დაგვიწერთ, მაინც ვიმღერებთ... ზესტაფონზე გამახსენდა — გეცოდინებათ, იმერული სიმღერა თავის დღე და მოსწრება რომ „კეკლუცობს", რისი ბრალია?**

— ეგ იმერული ბუნებიდან გამომდინარეა. იმერელი როგორი პეწიანი და სალონურია მოქმედებაში, ხომ იცი? სიმღერებსაც ასეთს მღერიან. სხვათა შორის, ეს სალონურობა იმერულ სიმღერას კლასიკასთან აახლოებს.

**— თქვენ არ ღიღინებთ ოჯახში, საქმის კეთებისას?**

— კი არ ვღიღინებ, ხანდახან, როცა რამეს დავწერ, დავდივარ და ვმღერი და ვმღერი ხოლმე. ასე ვატრიალებ თავში ფირფიტასავით... დამთავრდება და ისევ დაიწყება. მელოდიას ერთხელ რომ დავწერ, მერე საშლელი და ფანქარი აღარ მჭირდება მის ჩასასწორებლად, რაც ერთი ამოსუნთქვით დაწერილია, იმას ვმღერი. ერთხელ, ზურიკომ თქვა, სოტკილავამ: ალბათ რუსიკო ბევრ ქაღალდს არ ხარჯავს სიმღერის დასაწერადო. რომ დავუკვირდი, მართლა ასეა. აი, ლექსს ძალიან დავეძებ. ამიტომ ბევრი კარგი პოეტია ჩემი მეგობარი. იცი, სასიმღერო ლექსი როგორი უნდა იყოს? — ფრაზა უნდა მღეროდეს! ხანდახან ისეც ხდება, რომელიმე სიტყვას ვერ ვსვამ სიმღერაში, მაშინ აუცილებლად ლექსის ავტორს ვთხოვ, ის სიტყვა შეცვალოს... მოკლედ, სულ ეს არის ჩემი სიმღერა.

**— რაც არის, კარგი რამეა, — დარდს აქრობს... ისე, თქვენს ღიმილს რომ შეხედავს ადამიანი, იფიქრებს, ამ ქალს სადარდებელი და საფიქრალი გვერდს უვლისო.**

— ასე არ არის. რაც უფრო იცვლება ყოფა, უფრო ბევრს ვფიქრობ. ძალიან მეშინია იმის, რომ ხალხი გულგრილი ხდება. რა გვეშველება, რა უნდა ვქნათ, თუ ის სითბო და ცხოვრების წესები დავკარგეთ, რითაც ვქართველობდით? რა გვეშველება, თუ ხალხი ისე გადაჯიშდა, რომ ერთმანეთის დარდმა არ შეაწუხა? ხომ ხედავთ ამ სახლს? — მეტყობა არა, მდიდარი რომ არ ვარ? არც მინდა, ოღონდ ერთმანეთის სიყვარული და ტრადიციები არ დავკარგოთ ქართველებმა. პურის ფულს ხომ ვიშოვი... თუ ჩემს ახლობელს დასჭირდა, იმ პურის ფულს გავუნაწილებ... მე თუ არ მექნება, სხვა გამინაწილებს... ეს არის საქართველო, ყველა ერთმანეთის იმედით ვცხოვრობთ, ყველა ერთმანეთს ვაჩანებთ გაჭირვებას. ეს წესი თუ დავკარგეთ, ვინღა ვიქნებით. რომ უცხოეთ ამ უცხოელებს, 14-ლარიანი ბინსია აქვთ და მაინც კარგად ცხოვრობენ, აი ამიტომ ვცხოვრობთ კარგად — ერთმანეთით ვართ — ეს არის ჩვენი საიდუმლო. ზოგს შვილი ჰყავს და ის ინახავს, ზოგს — დისშვილი, ზოგს — ნათლული, ზოგს — ახალგაზრდობის მეგობარი. აბა, ნახე უცხოეთში, ნახე, მეგობარი თუ ეხმარება ვინმეს? ამას წინათ ამერიკაში დამპატიჟა, ფრანგი ცოლ-ქმარი ჰყავდა სტუმრად. იმედით ვეფერით ერთმანეთს, გაგიჟდნენ ის ფრანგები — არც დედამიშვილები ხართ და არც ნათესავები, ასე ერთმანეთი რატომ გიყვართო?

**— რატომ? — მაგათ ყველაფერი უცხოთ... სიყვარულის ნიჭი რომ გვაქვს, იმიტომაც არ მგონია, რომ გადავშენდებით!**

— არც მე მაგრამ ვფიქრობ, როცა ვფიქრობ იმაზე, თუ რა შეიძლება მოიტანოს გულგრილობამ. ჯერ ნელ-ნელა შეგახსენებს, მერე გაიზრდება და საშინელ სახეს მიიღებს. ამას წინათ, ამერიკაში ვიყავი 2 კვირით. ახალდაბლად იქ არავის დავუპატიჟებივარ, პირიქით, პატივისცემა უნდოდათ, მაგრამ მე ჩემი დამემართა, როცა იმხელა სახლში, 2 კვირის მანძილზე არც არავინ დარეკა და არც არავინ მოვიდა. არადა, ჩემს მასპინძელს 4 შვილი ჰყავდა... შევწუხდით მე და ჩემი თანმხლები ქალი და ვუთხარით, მაღაზიაში წაგვიყვანე, პროდუქტს ვიყიდით, ქართულ კერძებს მოვამზადებთ და შვილები მოიყვანე, გვაჩვენეო... ასეც მოვიქეცით. ხომ ხვდებით, რა სიყვარულით გავაკეთებდით ამ საქმეს? ჯერ ქალიშვილი მოვიდა. გადმოვულაგეთ დიდი ამბით ყველაფერი... მერე წავიდა, ავალაგეთ. ახლა მოვიდა ვაჟი ცოლ-შვილით. ისევ დავიწყეთ გაშლა — არ გინდათ, ეგ ნასადილევიაო, გვითხრა ჩვენმა მასპინძელმა. გადავხედეთ მე და ჩემმა ქართველმა ერთმანეთს და აღმოვაჩინეთ, რომ ორივეს ყბა გვქონდა ჩამოვარდნილი. ეს ამბავი როცა გამახსენდება, მზარავს. ეს არის საქმე? — შვილი დაუპატიჟებლად დედასთან არც მოდის და არც რეკავს. ხოლო დედა ამბობს, ჩემი შვილი მაძღარია, ეგ ლუკმა ზედმეტი მოუვაო...

**— წარმოიდგინე, რაც დაგემართებოდათ... ქართველი ქალები ხომ სულ იმის ცდაში არიან, შვილი როგორ გაახარონ...**

— აბა, რანაირად? როგორ შეიძლება შვილს დედამ სითბო არ დაახვედროს... რაღაც ძალიან მეეჭვება, რომ იმ ბავშვს, რომელსაც დედის ამბავი არ აინტერესებს, ადამიანების სიყვარულით ზრდიდნენ. არ გამიგოთ ისე, თითქოს ჩემს ოჯახს, არიქა და სამაგალითოდ ვსახავდე, მაგრამ ჩემი 4 წლის შვილიშვილი უკვე ფიქრობს, ადამიანი როგორ გაახაროს, — რომ ვეტყვით, დღეს ამის დაბადების დღეაო, მთელი დღე იმის განცდაშია, რა საჩუქარს ვიყიდით... უნდა ნახოთ, როცა ეფერებიან, თვალები როგორ უბრწყინავს. ხომ გინახავთ, როგორი სხვანაირი ხდება ადამიანი, როცა თბილად ექცევიან? მოფერება ადამიანს კურნავს. არადა, ერთი სინჯე და მოეფერე ამერიკაში ბავშვს, შეიძლება მისი მშობელი წავიდეს და პოლიციაში გიჩივლოს... ასე რომ გაზრდი, თვითონ საიდანღა მოგეფერება? თუ ადამიანზე ზრუნვას არ ასწავლი, როგორ მიხვდება, რომ თავისიანი მარტო არ მიატოვოს. ძალიან ცოდვაა მარტო დარჩენილი ადამიანი. გაჭირვებაში ხომ უჭირს, მაგრამ დალხინებაში უფრო ძნელია მარტო ყოფნა — სიხარულს ისეთი თვისება აქვს, გულში არ ეტევა და ყველას გინდა გააგებინო... სხვათა შორის, — ამას უკვე საჩვენოდ ვამბობ, — ადამიანი დალხინებაში უფრო იცნობა, ვიდრე გაჭირვებაში, — ეს 35 წლის წინ გოგი ქავთარაძემ მითხრა და ბევრჯერ დავრწმუნდი, რომ მართალი იყო, გაჭირვებაში ბევრს შეეცოდები, რადგან შეცოდება ადვილია. სხვისი სიხარულით გაბედნიერებაა ძნელი... ვინც შენი ბედნიერების დროს გახარებული იქნება, იმას ნამდვილად უყვარხარო... იცით, რამდენჯერ მახსენდება ეს სიტყვები? ახლა გაჭირვებულებით აივსო ქვეყანა, ვეხმარებით, ვიცოდებთ, მაგრამ ამ დახმარებით ხომ ვერ ავაშენებთ? მოდი, აღარ გვინდა გაჭირვებაში ერთმანეთის გამოცდა, აღარ უნდა დადგეს ის დრო, რომ ბედნიერებაში გამოვცადოთ ერთმანეთი?

**— თქვენ რომ გისმენთ, ასე მგონია, ყველაზე კარგი ერი ჩვენ ვართ...**

— შეიძლება ყველაზე კარგი არა, მაგრამ არც ისეთი ცუდი ვართ, როგორც ერთმანეთს ვლანძღავთ. აღარ გვეყო ამდენი ცუდის ძახილი? ჭირივით მეჯავრება ადამიანი რომ დაიწყებს, ასე ცუდად ვარ, ისე ცუდად ვარ, ეს ცუდია, ის ცუდიაო. რა საჭიროა? თუ შემიძლია, რაიმე კარგს ვეტყვი ან დავეხმარები ადამიანს, თუ არა, არ დავამძიმებ მაინც. უარყოფით ემოციებს ჩემთვის ვინახავ... გარეგნულად ვჩანვარ ღიმილიანი, თორემ მარტო რომ ვრჩები, ბევრ რაღაცას ვაანალიზებ. ძალიან მაწუხებს იმათი ბედი, ვინც გაჭირვებამ აგრესიული გახადა. მიკვირს იმათი, ვინც ფულმა ისე გაამედიდურა, შორეულს ვინ ჩივა, ახლობელსაც ვეღარ ცნობს. მეცოდება ასეთი ხალხი. ყველაფერი ხომ დროებითია, — დღეს ვართ და ხვალ აღარ ვიქნებით, ფულიც აღარ იქნება. ხომ უნდა მოიფიქრო, რომ სიკეთით თუ დაგაჯილდოვა ღმერთმა, სიკეთითვე გადაიხადო და გაჭირვებულს უშველო... თუმცა, ზოგის ფული ისე ნაწყევლია, სჯობს, სულაც არავის მისცეს, წყევლა გადაჰყვება...

**— ასეა, ზოგი ფულს შოულობს და ზოგი სიყვარულს, ხანდახან სიყვარული ფულს სჯობს, ხომ ასეა?**

— ალბათ... ვერ წარმოიდგენ, როგორ მრცხვენია, როცა უცნობი მეუბნება, მიყვარხარო, მაგრამ თანაც მიხარია და ბედნიერი ვარ. კულისებიდან სცენაზე ხელ-ფეხაკანკალებული რომ გავდივარ და იმხელა სიყვარული რომ მხვდება, ცრემლი მომდის... ყველაფერი ქრება და ვფიქრობ, ნეტავ, ჩემი მშობლები ხედავდნენ, რა ბედნიერი ვარ-მეთქი.

**— ეს დედის ფოტოა, როიალთან რომ გიკიდიათ?**

— დედისაა. 4 წლის წინ გარდაიცვალა. მამა ადრე დაგვეღუპა, როგორც ხდება, დედა იყო ჩვენთვის, შვილებისთვის, ყველაფერი. თუ რამე შევძელი, დედაჩემით შევძელი. რაც მეტად მიჩნდება ღვთის რწმენა, მით უფრო ვიჯერებ, რომ ისევ სადღაც არსებობს. ვიცი, როგორ გარემოშიც არის. ლამაზია იქაურობა. ამ სილამაზეში, სიზმარში ვხედავ დედასა და ჩემს გარდაცვლილ ახლობლებს. ეგებ მეც იქ დავბინავდე, როცა დრო მოვა... სწორედ ისინი მაწერინებენ სიმღერებს... მილიონჯერ მითქვამს და ახლაც ვიტყვი: როგორ არ დავწერო, როგორ არ ვიმღერო, როცა ჩემს სიმღერას რეზო ლაღიძემ დაულოცა გზა-მეთქი. მისი სურათიც დედის სურათთან ერთად მიკიდია. ეს ჩემი თილისმაა... ქართველებზე სულ კარგს ლაპარაკობო, მეუბნებიან, როგორ არ ვილაპარაკო, როცა ბევრი კეთილი ადამიანი შემხვდა ცხოვრებაში... რომ ეძახათ, კაი ერთი, რას ჯღაბნიო, ხომ აღარ იქნებოდნენ ჩემი სიმღერები? უხეშობა ჩემზე ყოველთვის მოქმედებდა. ახლაც გავურბივარ იმ ხალხს, ვისაც შეუძლია გული მატკინოს... თვითონაც ვცდილობ, არავისზე ცუდი არ ვთქვა...

**— მაშ, პოლიტიკაზე არაფერს მეტყვით, არ გიკვირთ, როგორ მოვხვდით ამ გაუგებრობაში?**

— მაგათ მხოლოდ იმას ვეხვეწები, დაგვანებეთ, ხალხო, თავი, ცოტა მაინც შეგვიბრალეთ, ნუ გაგვაგიჟებთ-თქო. ტელევიზორიდან ამდენ ლანძღვა-გინებას რომ ვისმენ, ჭკუიდან გადავდივარ. მე რა შემიძლია? — ავდგები და ტელევიზორს ერთი არხიდან მეორეზე გადავრთავ, იქაც იგივეა! არ ვიცი, რა ვქნა... მთელი საქართველო უფალზეა მინდობილი და უფალი ასე ყველაფერს როგორ მოუვლის?..

**— ქალბატონო რუსუდან, სამშობლოზე რატომ აღარ წერენ კომპოზიტორები სიმღერებს?**

— როგორ არ ვწერთ, მაგრამ პრესტიჟული არ არის და ფულს აღარ იხდიან ასეთ სიმღერებში. სიმღერის განხორციელებას ფული უნდა. გული მტკივა, კომუნისტები უფრო მღეროდნენ სამშობლოზე. სამასზე მეტი სიმღერა მაქვს და აქედან ნახევარი სამშობლოზეა... სხვა მე რა შემიძლია? სხვაგვარად როგორ უნდა ვთქვა, რომ გულს მიხეთქავს აფხაზეთი... საერთოდ, ამის სიტყვებით გადმოცემა ვინმეს შეუძლია?

**— და რომელ სიმღერებში იხდიან ფულს, 12 წლის ბავშვი შეყვარებულს რომ უმღერის, ჩქარა მოდი, უნდა გაკოცოო?**

— ამ ქვეყანაზე ყველა თავის სიმღერას მღერის და მე რა უფლება მაქვს, სხვის სიმღერებში ჩავერიო?.. მაგრამ არსებობს კანონი, რომელიც არ შეიძლება დაირღვეს. ეს ასაკის კანონია — არ შეიძლება 12 წლის ბავშვს ვარსკვლავი დაარქვა და ჩემთან როდის მოხვალ, რომ გაკოცოო, ამღერო. 40 წლის რომ გახდება, მერე რაღა უნდა იმღეროს? მაშინ აღარც კოცნაზე იფიქრებს, აღარც ქალსა და არც სამშობლოზე. იქნება ისეთი გამოფიტული „ამერიკული ვარიანტი", ზემოთ რომ ვთქვი.

**— თვითონ თუ გიცდიათ მოდური სიმღერების დაწერა.**

— ვერ ვიკადრებ... ვერც დავწერ, რადგან მელოდიასაც ვერ ვიმახსოვრებ. ხანდახან რომელიმე ასეთ სიმღერას სხვადასხვა არხზე დღეში ათჯერ დაატრიალებენ, მინდა წავიღიღინო, მაგრამ ვერ ვახერხებ — აღარ მახსოვს. არადა, ადრე იყო ისეთი სიმღერები, ერთხელ რომ გაუშვებდნენ ეთერში და მერე მთელი თბილისი უკვე 10 წუთში მღეროდა...

**— კონკურენციის არ გეშინიათ?**

— რატომ უნდა მეშინოდეს? ხომ გითხარი, ყველა თავისი სიმღერით მოდის და მიდის ამ ქვეყნიდან-მეთქი... მეც ჩემი სიმღერით მოვედი და ჩემი სიმღერით უნდა წავიდე...

**ეთერ ერაძე**



*რუსუდან სებისკვერაძე ვაჟიშვილთან, დათო გერსამიასთან ერთად*

შეხვედრა წარსულთან



# ვანის აღმოჩენამ ქრონოლოგიური ხარვეზი შეავსო



სასაფეთქლეები

საქართველო იმდენად მდიდარია არქეოლოგიური ადგილსაპოვრებით, წელიწადი არ გავა, რაიმე ძვირფასი აღმოჩენა არ გაკეთდეს. ვანის ნაქალაქარი კარგა ხანია გვანებივრებს ამ მხრივ. თუმცა ასეთი სამარხი, წელს რომ აღმოჩნდა, უკვე წლებია არ უპოვიათ. მხედველობაში მაქვს ოქროს საგანძური, რომელიც თავისი უნიკალურობით ძალზე მნიშვნელოვანია. ვესაუბრებით ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს, ქალბატონ **დარეჯან კაჭარავას.**

— პირველი, ვინც ვანში არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა, გახლდათ ექვთიმე თაყაიშვილი... 1997 წელს აღვნიშნეთ კიდეც ვანში არქეოლოგიური მუშაობის დაწყების 100 წლისთავი. ექვთიმეს შემდეგ აქ მუშაობდა ქალბატონი ნინო ხოშტარია, პირველი ქართველი არქეოლოგი ქალი. 1966 წლიდან ექსპედიციას ოთარ ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე...

**— ვანში ყოველთვის მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მონაპოვრები იყო... თუ შეიძლება გვიამბეთ ბოლო აღმოჩენის შესახებ.**

— XIX საუკუნის შუა ხანებიდან იწერებოდა გაზეთებში, ვანში წვიმა არ მოვა ისე, რაიმე ოქროს ნივთი არ იპოვონო. ექვთიმე თაყაიშვილმა იწინასწარმეტყველა კიდეც — აქ აუცილებლად დიდი აღმოჩენები იქნებაო. მართლაც ასე იყო... რაც შეეხება ახალ სამარხს, იგი საინტერესოა არა მარტო იმით, რომ მდიდრულია უამრავი ოქროს ნივთით (რომლებიც კოლხური ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშებია), არამედ იმითაც, რომ მან შეავსო ქრონოლოგიური ხარვეზი, რომელიც გვქონდა ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის სამარხებში. სამარხი აღნიშნული საუკუნის შუა ხანებით თარიღდება. ასე რომ, ეს რგოლიც შეივსო. საყურადღებოა დაკრძალვის წესი განსხვავებული მომენტებით წინა და მომდევნო ხანის სამარხებისაგან. ვფიქრობთ, აქ დაკრძალული 7 ადამიანიდან შვიდივე ქალია, რადგან სამარხში იარაღი არ აღმოჩენილა (სქესის განსაზღვრა მაშინ, როცა კბილების გარდა სხვა ძვლოვანი მასა არ მოიპოვება, ნივთებით ხდება). ინვენტარი კი მხოლოდ სამკაულს შეიცავს.

**— ხომ არ უკავშირებთ განსაკუთრებულ რიტუალს ქალთა ამ სამარხს?**

— ვერ გეტყვით, განსაკუთრებული რიტუალი ჯერჯერობით არ ჩანს...

**— ახლა ეს საგანძური თბილისშია?**

— ამჟამად თბილისშია, მალე კი, დაუბრუნდება ვანის არქეოლოგიურ მუზეუმს.

**— ამბობენ, უამრავი ოქროს ნივთიაო...**

— 265 ნივთია, ოღონდ ამაში ითვლება მძივების თითოეული მარცვალი ცალ-ცალკე. ადრე ამაზე გაცილებით მდიდრული სამარხებიც ყოფილა. ერთ-ერთში 1750 ნივთი იყო. თუმცა, ეს სამარხიც მდიდრულია და გამორჩეული იმით, რომ რა ტიპის სასაფეთქლეებიც არსებობდა კოლხურ სამყაროში, აქ ყველანაირია წარმოდგენილი. ისეთიც კი, როგორიც საირხეში, მაგრამ ეს გაცილებით მაღალი ხელოვნების ნიმუშია. რაც შეეხება ნახევარმთვარისებურ სასაფეთქლეს, იგი უნიკალურია. თანაც ამ ფორმის ბერძნული სასაფეთქლისგან განსხვავებით, კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშია. სარტყელი დამუშავებულია ცვარით და ვარდულებით (ეს მხოლოდ კოლხური სტილია). რაც შეეხება ბეჭედს სასიყვარულო სცენით, ამ სახის ბეჭდები ბერძნულ-რომაული ხელწერისაა.

(დასასრული იხ. გვ. 27)



# ჩვენი ბებიების გაზაფხული

**ხშირად ჩემი თანატოლები აღფრთოვანებით შყვებიან ხოლმე ბებია-ბაბუების ახალგაზრდობის დროინდელ ამბებს.**

**ამას წინათ მოვისმინე საოცარი ამბავი ერთი ლამაზი ქალისა და მაშინვე ნიკო ლორთქიფანიძის სიტყვები გამახსენდა „თავსაფრიანი დედაკაციდან": „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან".**

**ძეგლისა რა მოგახსენოთ, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ იმ ქალბატონის თავგადასავლის თქვენთვის მოთხრობა კი მტკიცედ გადავწყვიტე...**

ნაწილი I

## ციცო

ციცო ჯაში, რომლის ამბავიც ქვემოთ უნდა მოგითხროთ, XX საუკუნის დასაწყისში დაიბადა. ლაღად და მდიდრულად სულაც არ უცხოვრია, როგორც ეს სხვა ქალებს ხვდათ წილად საკუთარი სილამაზის წყალობით. პირიქით, მშვენიერმა გარეგნობამ ბევრი სუსხი შეახვედრა ყმაწვილქალობისას, ანუ მისი ცხოვრების გაზაფხულზე.

16 წლის იყო, როცა მამამ და ძმებმა პირველად წაიყვანეს ბაზარში. ჯერ არც იყო, მარტლასათვის ემზადებოდნენ გურულები. მრავალ კარგ მხედარს მოეყარა თავი. სწორედ აქ გაიცნეს ერთმანეთი ციცომ და ალექსანდრე ცინცაძემ.

ციცოს თანასოფლელს, მანასე გაგუას, დიდი ხანია გული შეგარდნოდა მშვენიერ გოგონაზე, აჩრდილივით უკან დასდევდა, მაგრამ ჯაშების შიშით ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

ბედისწერამ სხვაგვარად ინება...

ივლისის ერთ მთვარიან ღამეს ციცომ და ალექსანდრემ ზემო სურებისკენ გაქუსლეს რაშებით. ჯერ გათენებულიც არ იყო, როცა ძმებმა და მოისკალებმა [illegible] შემდეგ მიაკვლიეს მათ ასავალ-დასავალს. სიძეს დასაწუნი არაფერი სჭირდა, ამიტომაც არავის გაჰკვირვებია ცინცაძეების ოდიდან კრიმანჭულის გაგონება. ქორწილიც დიდი გადაიხადეს, ჯერ ზემოსანში (ციცოს სოფელში), მერე ზემო სურებში. არც ერთ სუფრას ახლოს არ გაეკარებია მანასე გაგუა. თურმე სამი დღე პირქვე ჩამხობილი ყოფილა და ვერავინ უბედავდა ხმის გაცემას. ბოლოს, იარაღი აესხამს და სურების ტყისაკენ მიუყვია თავი. სიყვარულმა იმედგაცრუებამ გააბოროტა. ცოტა ხანში ფირალ გაგუას სახელი შიშის ზარს სცემდა ახლომახლო სოფლებს.

ციცოს უკვე ორი შვილი ჰყავდა. ერთ დღეს წყაროზე მიმავალს მოულოდნელად წინ კბილებამდე შეიარაღებული კაცი აესვეტა — მანასე გამოდგა. კაცმა ათრთოლებული ხმით ქმარშვილიან ქალს ცოლობა სთხოვა. შეუცხადებია ციცო ჯაშს — სამი ცინცაძის ცოლს მაგას რაფრა უბედავო. რახან უარს მეუბნები, როცა დაგაქვრივებ, მაშინ მოგცე ხმაზეო, — დაუქადნია გაგუას და კვლავ ტყეს შეჩვევია.

ამ შემთხვევის შემდეგ ორი წელი გავიდა. ციცოს მესამე შვილი ეყოლა, კატო. აღარ გამოჩნდა გაგუა და დამშვიდდა ციცო. ოჯახურ საქმეში ისე ჩაეფლო, საერთოდ დაივიწყა ისიც და მისი მუქარაც. როცა არ ელოდა, მაშინ დაატყდა თავს უბედურება.

სოფელში ხმა გავარდა, — გაგუამ ალექსანდრე მოკლა და შარაზე დააგდოო...

მოულოდნელი ელდისგან ხმა ჩაუწყდა ციცოს. დაჩხუბებულ ჯაშის ქალს ისე უხდებოდა თურმე ძაძები, მის სანახავად სადიდან არ მოდიოდნენ...

აასრულა გაგუამ დანაქადნები. დააქვრივა გულით საყვარელი, თვითონ კი გაქრა.

ორი თვის შემდეგ ციცომ უფროსი შვილები (5 წლის ლევანი და 3 წლის თორნიკე) დედამთილს ჩააბარა, უმცროსი, წლინახევრის კატო, დედამისთან წაიყვანა ზემოსანში. დაიბარა, — ფოთში მივალ, ბაზრობაზედ და გავერთობიო...

მერე ისევ მეხივით გავარდა ხმა — გაგუა მოუკლავთ...

ფირალის სიკვდილის შემდეგ უცებ შინ მობრუნებულ ქალზე უფიქრიათ, რაც მალევე გამართლებულა, მაგრამ არ დაუსჯიათ, რადგან მაშინდელ სამართალდამცავებს ვერა და ვერ მოუხელთებიათ კაცის მკვლელი და ხალხის გამამწარებელი გაგუა და, როგორც იქნა, დაისვენეს მისგან.

ეს ამბავი ციცო ჯაშის შვილიშვილმა, ქალბატონმა ცისცინომ (კატოს ქალიშვილმა) მიამბო, რომელიც უკვე თავად გახლავთ ბებია. იგი დღემდე ზღაპარივით იხსენებს უმშვენიერესი ბებიის თავგადასავალს — როცა დედა სოფელში ბებიასთან დამტოვებდა, დაუბარებდა ხოლმე, ყურადღება მიაქციე, არ მოიწყინოს და პიანინოზე იმეცადინოსო. მაშინ მუსიკალურ ათწლედში ვსწავლობდი და ზაფხულობით ყველაფერი ხელახლა უნდა ამეთვისებინა. გაფრენილი გოგო ვიყავი, ვინ მოგცემდა დროს... ბებიას პირობას ვუდებდი: ვიმეცადინებ, ოღონდ, თუ შენს ამბებს მომიყვები. მართლაც, საღამოობით კერიის პირას ჩამოვსხდებოდით და მიამბობდა თავის სათავგადასავლოს:

— იმ დღიდან, როცა დავქვრივდი, გულში ჩავიდე აზრი, რომ შური მეძია გაგუაზე. ვერ მოვისვენე. ვიცოდი, ვინ მქონდა, რომელიც იარაღის შოვნაში დამეხმარებოდა. ავდექი და ჩემს უმცროს ძმას, ალიოშას, შევუთვალე: იცოდე, ვერ ვიცოცხლებ, ვერც ბავშვებს გავზრდი, მანამ თუ არ ჩავაძაღლე-თქვა. არ მეგონა, ისე მალე თუ ამიბამდა მხარს. იარაღიც მოიშოვა, ცხენიც და გამოვიდა ტყეში. დამარიგა, — შენ წინ იარე მარტომ, მე შორიახლო გამოგყვები, თვარა, ერთად თუ დაგვინახა, არ გამოჩნდებაო.

მართლაც, სამ დღეში მივაკვლიე ის სულძაღლიანს. აქ რამ მოგიყვანაო, — გაკვირდა, თან თოფი ჰქონდა ჩემზე დამიზნებული. რამ და იმ სიყვარულმა, შენ რო გაქ ჩემი. მეც მინდა შენთან ყოფნა-თქვა, ვუთხარი. გაოცებულმა თოფი ძირს დააგდო, თაფლივით დატკბა. მოინდომა, ცხენიდან ჩამოსმა დააპირა და სწორედ მაშინ ვესროლე. ისე ჩაკვდა, ხმაც ვერ ამოიღო. ალიოშამ და მე ის ცხენზე დავკიდეთ და ტყის პირას დავაგდეთ...

— ბებია მაშინ 22 წლის იყო. მას მერე იგი გათხოვილა არ უცხოვრია. გაზარდა შვილები და კარგა ხანს უზრდიდა არ გადიოდა. ...

ჩემი გათხოვების შემდეგ ბებია მალევე გარდაიცვალა, ჩემმა შვილმა ვეღარ მოუსწრო. გული მწყდება, რომ მისი ახალგაზრდობის ფოტოს ვერ გავუფრთხილდით, დავკარგეთ. ეს ფოტო, რომელსაც გთავაზობთ, თბილისში გადაღებული, ფოტოზე ჩემი უფროსი ძმა რომ შეეძინა, მაშინ ჩამოვიდა ბებია. დედამ იგი ძალით წაიყვანა ფოტოატელიეში, მოხსნა თავშალი და დასვა ფოტოაპარატის წინ. მაშინ ბებია ორმოცისა არ იყო, — დაასრულა თხრობა ქალბატონმა ცისცინომ.

ისე, ყველას თავისი „სასხოვარი" აქვს (წარსულის სახით) და ციცო ჯაშის თავგადასავალმა ბებიაჩემის „გაზაფხული" გამახსენა, მაგრამ ამ ამბავს სხვა დროს გიამბობთ.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ჩვენ გვწერენ: რას მეტყვით?..

„ყოველთვის ვკითხულობ ქალთა გვერდს. რედაქციის მინაწერმა — გამოგვეხმაურეთ და გაგვიზიარეთ თქვენი აზრიო, — გამაბედვინა ჩემი ამბავიც მომეთხრო თქვენთვის.

ვარ ორმოცი წლის, ქმარშვილიანი. სამსახურში სერიოზულ ქალად მთვლიან. ოჯახშიც პატივს მცემენ...

მაგრამ არავინ იცის, რა ხდება ჩემს გულში. ნათქვამია: ქაღალდი არ წითლდებაო და ამიტომაც გწერთ წერილს, თანაც თქვენი კომენტარი მაინტერესებს. რას მირჩევთ? შეიძლება თქვათ, რომ ქარაფშუტა ვარ, მაგრამ მე მაინც მინდა ბოლომდე დავიცალო თქვენთან.

შემიყვარდა ჩემზე ბევრად უმცროსი მამაკაცი. ის ოცდაათი წლისაა, მაგრამ იმდენად დამოუკიდებელი და ვაჟკაცურია, რომ ასაკობრივი სხვაობა არც იგრძნობა.

უსიყვარულოდ გავთხოვდი. შემეძინა შვილი და აგერ უკვე 14 წელია ჩემი შვილის თვალებით ვუმზერ სამყაროს. ერთ მშვენიერ დღეს, როცა „იმის" თვალებს შევეფეთე, ყველაფერი ამოტრიალდა სამყაროში და უკვე საკუთარი თვალებით ვიყურები. თითქოს 18 წლის გოგო ვიყო, ყველაფერი მიმზიდველი გახდა ჩემთვის. ვგრძნობ, რომ ისიც არ არის გულგრილი ჩემდამი. დღე და ღამე მასზე ვფიქრობ, სულ მისი სახე მიდგას წინ. ალბათ დამცინებთ, რა დროს ამხელა ქალის სიყვარულიაო, მაგრამ სერიოზულად მაინტერესებს: ნუთუ სიყვარულმა იცის ასაკი? ყოველი შეხვედრა მასთან უდიდეს სიხარულს მანიჭებს. იმ დღეს აღფრთოვანებული დავდივარ, მიყვარს ყველა და ყველაფერი, მაგრამ როცა რამდენიმე ხანს ვერ ვნახავ, უიმედობა მიპყრობს...

ჩვენ შორის ჩვეულებრივი, მეგობრული ურთიერთობაა, მეტი არაფერი. ვიცი, არ შეიძლება ამ სიყვარულს გაგრძელება ჰქონდეს, მაგრამ მე მაინც ბედნიერი ვარ, რომ „ის" არსებობს და თურმე მეც მქონია უნარი და ნიჭი სიყვარულისა...

ძალიან მაინტერესებს თქვენი აზრი, რას მეტყვით?..

პატივისცემით — იდუმალი ქალი".

# სამკაულის ანბანა



ექსტრავაგანტური და მსხვილი სამკაული უფრო ახალგაზრდა ქალებს უხდებათ. ასაკოვანები უნდა ერიდონ ფართო საყელოებს, სამაჯურებს და დიდი ზომის კულონებს.

გრძელ კისერს მოკლე და მომრგვალებული, ყელზე მომდგარი ძეწკვი უხდება, მოკლე კისერს — გრძელი, ლავიწის ძვალს 5 სმ-ით მაინც უნდა სცდებოდეს.

ბეჭდებთან დაკავშირებით ყველაფერი პირიქითაა: რაც უფრო ახალგაზრდაა ქალი, მით უფრო წვრილი და თხელი უნდა იყოს ბეჭედი. გრძელ, თლილ თითებს ყველანაირი ბეჭედი უხდება, ბუთქუნა და მოკლე თითებს — ვერტიკალურად ჩასმული თვალი ან ასიმეტრიული დიზაინი მოუხდება.

# საპროტესტო აქციები მეძავების წინააღმდეგ

**არ გაგიკვირდეთ, თუ თბილისში სულ მალე საპროტესტო აქციები დაიწყოს მოთხოვნით: „აილაგმოს ქუჩის მეძავთა თარეში დედაქალაქის ტერიტორიაზე!" „მოგვეცეს გაჩერებებზე ტრანსპორტის მოლოდინში მშვიდად დგომის უფლება!" და ა.შ. დარწმუნებული ვარ, თუ ასეთი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, მეძავთა წინააღმდეგ საპროტესტო აქციები შეიარაღებულ თავდასხმებში გადაიზრდება და „შხამიანი სოკოების" გადაშენებით თუ არა, მათ „გამოქვაბულებში" შეხიზვნით მაინც დამთავრდება... და ვივლით მერე მშვიდად და წყნარად თბილისის ქუჩებში, რომელთაც იმედია, ამ ზამთარს მაინც არ ჩააბნელებენ...**

**არადა, არაფერს ვაზვიადებ. საგზაო პოლიციის თანამშრომლები არაერთხელ შესწრებიან ქალების ჩხუბს. ამ დროს თურმე კარგა ხანს ვერ არკვევენ, ვინ ვის ეჩხუბება, მეძავი — მეძავს, თუ მეძავი — უდანაშაულო ქალს. ამიტომაც გულზე ხელდაკრეფილნი დგანან და გულდასმით აკვირდებიან მოვლენების მსვლელობას. თუ ეჭვი შეეპარებათ, რომ „პრასტიტუტკა" უდანაშაულო მსხვერპლს ესხმის თავს, მხოლოდ მაშინ ერევიან საქმეში და ამასობაში ზემოთ ნახსენები მსხვერპლი უკვე საშინლად დაბეგვილ-დათეთქვილია.**

**ამჯერად, მათთან საუბარს გთავაზობთ, ვინც მეძავთა წინააღმდეგ საპროტესტო აქციების განხორციელებას აპირებს.**

**ანი (29 წლის):** — ბულაჩაურის ქუჩაზე სტუმრად ვიყავი ახლობლებთან. მეუღლემ დამირეკა — პეკინზე დამხვდი, მანქანით გამოგივლი და შინ ერთად წავიდეთო. საღამოს 10 საათი იქნებოდა. დათქმულ დროზე ქუჩაში გამოვედი. მეუღლეს შეაგვიანდა — რაღაც პრობლემების გამო შეყოვნებულა ოფისში. ვიდექი ჩემთვის ჩაფიქრებული და ყურადღება არც მანქანებისთვის მიმიქცევია, რომლებიც რატომღაც ანელებდნენ სვლას და მერე სწრაფად მიქროდნენ, და არც ვინმესთვის... უცებ წინ



ამესვეტა ორი ვულგარული ქალი და ღრეჭით მეკითხებიან — შენ ახალი ხარ, ლამაზო? ვერ გავიგე, რას მეკითხებოდნენ, ან ვინ იყვნენ. რა გნებავთ-მეთქი. — აქედან წაეთრიე, კაცებს ნუ გვართმევ, თორემ თავს გაგიხეთქავთო. ვილაცაში გეშლებით-მეთქი და დავაპირე გავცლოდი, რომ ერთი პიჯაკის საყელოში მწვდა და... მერე არ მახსოვს, რა მოხდა, საშინლად მცემეს. რომ არა ჩემი მეუღლის და მისი მეგობრის გამოჩენა, ალბათ მომკლავდნენ. არავინ მომეშველა, გესმით? იცით, რატომ? რახან ღამით ქუჩაში ვიდექი, თურმე მეც კახპა ვეგონე ყველას. გავგიჟდები, თუ ამ გარყვნილი ქალებისგან არ გაასუფთავებენ ქუჩებს, საერთაშორისო სასამართლოს და ადამიანის უფლებების დამცველებს მივმართავ. საშინლად შეურაცხყოფილი ვარ.

**ნატა (52 წლის):** — პატარა გოგონა რომ კონკურენტი ეგონოთ მაგ მიწადასაყრელ მეძავებს, კიდევ ჰო, მესმის, მაგრამ მე რას მერჩოდნენ, არ ვიცი. ორი წლის წინანდელ ამბავს გიყვებით — ფილარმონიასთან ვიდექი. ყრუმუნჯი ბოზების ტერიტორია ყოფილა იქ. ვერ აგიწერთ, რა დღე გადამხდა. ისე, მეც კარგად დავთეთქვე ერთი. მერე მგონი, ერთ ცნობილ ქალბატონზე თავდასხმის გამო აუკრძალავთ მათთვის იმ ადგილზე დგომა. იმასაც ამბობენ, ვახტანგ რჩეულიშვილის ნათესავს დაესხნენ თავს და ვახოს და მაიას ერთი ამბავი აუტეხავთ — ეგ ბოზები მოაშორეთ ვერასო. კიდევ კარგი, თორემ შებინდდებოდა თუ არა, ქალაქის პრესტიჟულ ადგილზე საშინელი სანახაობა იწყებოდა და თანაც იქ გავლაც კი საშიში იყო. მოაშორონ ეს ხალხი ქალაქს, შერეკონ სადმე, არ შეიძლება?

**ლია (42 წლის):** — თბილისელი მეძავების გადამკიდეს ნერვები მაქვს დაწყვეტილი. გვიან მიწევს სამსახურიდან გამოსვლა. ასაკის მიუხედავად, ახალგაზრდული გარეგნობა მაქვს და ჩაცმაც ახალგაზრდული მიყვარს. როგორც ჩანს, ამ ოხერ კაცებს იმ საძაგელ ქალებში ვერევი რატომღაც, შემიჩერებენ მანქანას და ღიმილით მეპატიჟებიან ჯანდაბაში. მეც ვოხრავ და ვკვნესი, თან ვილანძღები — წადით, მომშორდით, თქვენი ლანდი არ დავინახო, ვინ გთხოვათ გაჩერება-მეთქი. იცით, რა მაოცებს? როგორ ნადირობენ სოლიდური მამაკაცები კახპებზე. რამდენი ცნობილი კაცი მინახავს მაგათთან მანქანებით „გაშეშებული"... უამრავჯერ დავრჩენილვარ სახტად.

**ნინა (38 წლის):** — სლავური გარეგნობის ქალს ღამით ქუჩაში რომ მხედავენ ეს გიჟი კაცები, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ემართებათ! იცოცხლე, ვარ მაგათ ლანძღვა-გინებაში. ვენდისპანსერში ვმუშაობ და სულ ვიცი, რომელი ბედოვლათი რას წარმოადგენს. უნდა ნახოთ ერთი, რა უტიფრები არიან, როგორც მეძავს, ისე რომ მოგადგებიან და როგორ თავმოკატუნებულები მოგვაკითხავენ სამსახურში თავისი გაჭირვების გადამკიდე. არ შეიძლება ასეთი გამოფენა მეძავებისა, როგორც ჩვენთან არის და არც მათი უკონტროლო თარეში. წარმოდგენაც კი არ გაქვთ, რამდენი წესიერი ოჯახის ქალია გამწარებული მაგათი წყალობით დასნებოვნებული ქმრებისაგან.

***ეკა ლომიძე***

# დიასახლისთათვის: აჯიკა-სანებელი

*მასალად საჭიროა:* 5 კგ პომიდორი, 3 კგ ბულგარული წიწაკა, 1 კგ წითელი ცხარე წიწაკა, 200 ან 300 გ ნიორი. ნახევარი ლ ძმარი, მარილი — გემოვნებით.

*მომზადების წესი:* ორივე ჯიშის წიწაკას გამოვაცალოთ თესლი, გავრეცხოთ და ვაცალოთ შეშრობა, პომიდორი გავრეცხოთ და როცა წყალს შეიშრობს, გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში კანიანად, მივაყოლოთ უკვე გამშრალი წიწაკები, ნიორი. მთელი მასა გადავიტანოთ მომინანქრებულ ქვაბში, დავუმატოთ მარილი, ძმარი, კარგად ავურიოთ და ასე დავტოვოთ ერთი კვირა. დღეში 4-5-ჯერ მოვურიოთ ხის კოვზით. შემდეგ ჩავასხათ ბოთლებში და შევინახოთ (უხდება წვნიანს, ხორცს, კარტოფილს, თევზს).

# სკანვორდი ფრაგმენტებით





- ოპერის ტექსტი
- ალმოდოვარის ფილმი
- ბამბის ბადურა ქსოვილი / ექიმი
- პირველი სამეცნიერო ხარისხი
- სასმელი შაქრის ლერწმისგან
- იაპონური ცივი იარაღი
- მდინარე აღმ. ციმბირში
- აკრძალვა პირველყოფილ ხალხში
- ნაწარმოების დედააზრი
- ერთწლოვანი პარკოსანი
- ლორთქიფ. „კოლხეთის ცისკარი“ (პერსონაჟი)
- ფრანგი იმპრესიონისტი
- წმინდა მოგება კრივში
- 1/3600 საათი
- ენ, ვინ, ..., თან
- ბერიკაობის მონაწილე
- ბურთის თამაშიდან გასვლა
- გერმანელი ფილოსოფ. / ინდიელთა ნავი
- ბილიარდის სათამაშო ატრიბუტი
- გიჟი, მძვინვარე
- ქოთნის დეკორატიული ყვავილი
- ცვარი
- მონაკოს მთავარი
- ფულის გამოძალვა
- ი. ჭავჭავაძის ლექსი
- დისნეის მულტფილ. გმირი
- სცენის გასანათ. მოწყობილობა
- სადაზღვევო მოწმობა
- ხელოვნების დარგი
- იტალიელი კინორეჟ. ვიტორიო დე...
- მდინარე საქართველოში
- სიტყვათა წარმოთქმის მანერა
- ნოტი
- უნგრელი კომპოზიტორი
- ამერიკელი მსახიობი სიგურნი ...
- ქართული სამარკო კონიაკი
- თვითმფრინავის ფარეხი
- ვერდის ოპერა
- ვისიმე ნებაზე დამოუკიდებელი
- გერმანიის პრეზიდენტი 1999 წლიდან
- საესტრადო წარმოდგენა
- ბოსტნეული
- ფრანგი კინომსახიობი 1916-89
- ამერიკელი მსახიობი ... დანაუეი
- ბელინის ოპერა
- ლატვიელი მსახიობი ... არტმანე
- კვიპროსზე ზევსის დედად აღიარებული
- ჯადოსნური გორგლის „მფლობელი“
- მუსიკალური ნაწარმოების ჰანგი
- ძველი ფრანგული სიგრძის ერთეული
- ლუდის კომპონენტი
- მედუდუკეთა ანსამბლი
- შლიმანის აღმოჩენილი ქალაქი
- ფართის ერთეული
- იტალიელი საბავშვო მწერალი ... როდარი
- ჭრილობა
- ჭამის სურვილი
- გრამაფონის ხმის გადამცემი
- სატანვარჯიშო იარაღი
- ქალაქი აზერბაიჯანში
- მთავარი არტერია
- მართლმსაჯულება
- ილიუშინის თვითმფრინავი
- ბევრ ცხიმში შემწვარი კარტოფ.
- ფრანგი მომღერ. / სამწნილე კიტრი
- „12 სკამი“ პერსონაჟის სახელი







**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. სანტანა; 2. „კამასუტრა“; 3. მაჯა; 4. ნორდი; 5. საბა; 6. გამარჯობა; 7. დომინო; 8. ქანდარა; 9. ნანა; 10. მე; 11. მური; 12. ამური; 13. სიძე; 14. ძვალი; 15. სოტერო; 16. რემარკი; 17. თოვლი; 18. ივასი; 19. წონა; 20. წინამური; 21. „ნივეა“; 22. მანონი; 23. ბაკარა; 24. „რა“; 25. ეპიგონი; 26. პრიზი; 27. ალ; 28. ტრანსი; 29. ოპალი; 30. კიმი; 31. სიკიმი; 32. ვიში; 33. „ტვიში“; 34. პრიმა; 35. ბიზონი; 36. რალი; 37. პარკი; 38. რიმა; 39. იდო; 40. ავა; 41. პოლკოვნიკი; 42. აპინა; 43. პანო; 44. პიპეტი; 45. დუკა; 46. ოვალი; 47. პინა; 48. ფირალი; 49. ლორია; 50. კაოლინი; 51. შაკიკი; 52. ფორინტი; 53. ნაბლა; 54. რიო; 55. ფესკა; 56. ნუარე; 57. სი; 58. რიონი; 59. ვენა; 60. გრეი; 61. ერბო; 62. სალი; 63. ალური; 64. ურიკა; 65. რე; 66. იორლა; 67. არე; 68. სირტაკი; 69. კარდენი; 70. ეკიუ.
1. ოქტომბრის დღესასწაული გერმანიაში; 2. ვალენტინო ყველას უხდება; 3. ტესტი; 4. გიგანტომანია; 5. იოგის რბილი სარეცელი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ.**
**ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

# აირჩიე და მოიგებ!




## RENAULT
SYMBOL

„რენო-სიმბოლი" 100 ცხენის ძალით, მოიხმარს 5-7 ლიტრ საწვავს, ლურჯი ფერის ალუმინის დისკებით, დამცავი ბალიშები, კონდიციონერი, სრული ელექტროპაკეტით, განბაჟებული.

არჩევნების მხარდამჭერი პროგრამა 2003-2005
ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"

2 ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღება აუცილებელია ქვეყნისათვის. თქვენი მონაწილეობითა და აქტიურობით საქართველო მოიგებს, მოიგებს მისი თითოეული მოქალაქე. ამიტომ „დამოუკიდებელი პრესის განვითარების ჯგუფი" ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" დაფინანსებითა და ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის თანადგომით მართავს სატელეფონო ვიქტორინას.

2 ნოემბრის არჩევნებამდე ყოველი კვირის განმავლობაში პრესაში გამოქვეყნდება 6 კითხვა საარჩევნო თემებზე ოთხი სავარაუდო პასუხით. თითოეულ კითხვასა და პასუხს მინიჭებული ექნება თავისი ნომერი (1,2,3,4). ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველმა გამოქვეყნებულ შეკითხვებზე უნდა გასცეს სწორი პასუხები. ვიქტორინის მონაწილემ ექვსივე შეკითხვაზე გაცემული პასუხების ნომრებით უნდა შეადგინოს საკუთარი ექვსციფრიანი ვარიანტი. ეს ვარიანტი სატელეფონო კომპანიის კოდთან (8-05-32) ერთად წარმოადგენს სატელეფონო ნომერს, რომელზეც უნდა დარეკოს ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველმა.

*ვიქტორინაში მონაწილეობას ადასტურებს ავტომოპასუხე.*
*1 სატელეფონო ზარის ღირებულებაა 30 თეთრი.*

### მაგალითი

დასმული შეკითხვების ნომრები ⇨ 1 2 3 4 5 6

| 8 | 0 | 5 | 3 | 2 | - | - | - | - | - | - |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

⇧ სატელეფონო კომპანიის კოდი

⇧ თქვენს მიერ შერჩეული პასუხების ნომრები შესაბამის კითხვებზე

2 ნოემბრის არჩევნებამდე ყოველ კვირა საღამოს „რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში მოხდება ვიქტორინაში გამარჯვებულთა გამოვლენა ლოტოტრონის საშუალებით. ლოტოტრონში მოთავსდება ყველა იმ ვიქტორინაში მონაწილის სატელეფონო ნომერი, რომლებმაც დარეკეს სწორ ვარიანტზე. ვიქტორინის ყოველ ეტაპზე გამარჯვებულებს გადაეცემათ შემდეგი პრიზები:

1. მაცივარი
2. ტელევიზორი
3. სარეცხი მანქანა
4. მუსიკალური ცენტრი
5. მტვერსასრუტი
6. ვიდეო მაგნიტოფონი
7. წვენსაწური
8. უთო
9. ფენი
10. ყავადანი

ხოლო არჩევნების დღეს — 2 ნოემბერს იგივე წესებით ჩამოთვლილ პრიზებთან ერთად გათამაშდება სუპერ-პრიზი — ავტომობილი „რენო-სიმბოლი".

ასე რომ, 41 ამომრჩეველი, განსაკუთრებით კი ერთ-ერთი, საგანგებოდ მოგებული დარჩება. გახსოვდეთ, პრიზები გაიცემა მხოლოდ მათზე, ვინც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას — საარჩევნო დამლის წარმოდგენის პირობით.

**კითხვები ვიქტორინისათვის მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაციამ „სამართლიანი არჩევნები".**

*ვიქტორინის მესამე ეტაპის გათამაშება შედგება 30 ოქტომბერს „რუსთავი 2"-ის საღამოს პირდაპირ ეთერში. სატელეფონო ზარები მიიღება 30 ოქტომბრის 16.00 საათამდე.*

*სატელეფონო ზარები მიიღება ქალაქ თბილისის ადგილობრივი სატელეფონო ნომრებიდან და „ჯეოსელისა" და „ლაი-ლაის" აბონენტებისაგან.*

*სწორი პასუხები ყველა კითხვაზე შეგიძლიათ მიიღოთ არასამთავრობო ორგანიზაციის — „სამართლიანი არჩევნების" ტელეფონზე: 95-45-59 (ზარი უფასოა).*

ვიქტორინის მესამე ეტაპის შეკითხვები

1. რომელ საათზე იწყება კენჭისყრა?
1. 7.00 საათზე
2. 8.00 საათზე
3. 9.00 საათზე
4. 8.30 საათზე

2. რომელი საათიდან რომელ საათამდე უნდა მოგიტანონ გადასატანი საარჩევნო ყუთი?
1. 10.00 საათიდან 1500 საათამდე
2. 12.00 საათიდან 1800 საათამდე
3. 11.00 საათიდან 1900 საათამდე
4. 10.00 საათიდან 1700 საათამდე

3. რომელ საათზე მთავრდება კენჭისყრა?
1. 22.00 საათზე
2. 19.00 საათზე
3. 21.00 საათზე
4. 20.00 საათზე

4. 2 ნოემბერს რომელიდან რომელ საათამდე ისვენებს საარჩევნო კომისია?
1. 13.00 საათიდან 1400 საათამდე
2. 14.00 საათიდან 1500 საათამდე
3. 15.00 საათიდან 1600 საათამდე
4. საერთოდ არ .ისვენებს

5. ვის მაგივრად შეიძლება არჩევნებზე ხმის მიცემა?
1. მშობლების მაგივრად
2. შვილების მაგივრად
3. იმათ მაგივრად ვისაც თავისით არ შეუძლია საარჩევნო უბანზე მისვლა
4. არავის მაგივრად

6. რამდენი ბიულეტენის გაცემა ხდება 2 ნოემბრის არჩევნებზე?
1. 1
2. 3
3. 2
4. 4

## რა უნდა ვიცოდეთ არჩევნების შესახებ

გახსოვდეს, რომ 2 ნოემბერს არჩევნებზე კენჭისყრა იწყება 8.00 საათზე და მთავრდება 20.00 საათზე. მოქალაქეებს, რომლებიც ჩაწერილნი არიან გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში, საარჩევნო ყუთი უნდა მიუტანონ 11.00-დან 19.00 საათამდე.

გახსოვდეს, რომ 2 ნოემბრის არჩევნებზე საუბნო საარჩევნო კომისია იმუშავებს შეუსვენებლად.

გახსოვდეს, რომ არჩევნებზე ხმის მიცემა სხვის მაგივრად არ შეიძლება!

გახსოვდეს, რომ თითოეულ ამომრჩეველზე უნდა გაიცეს სამი ბიულეტენი და ერთი სპეციალური კონვერტი; თითოეულ მათგანზე ხელი უნდა მოაწეროს კომისიის ორმა წევრმა.

გახსოვდეს, რომ ბიულეტენების ბეჭდით დამოწმებისა და ბეჭდით დამოწმებული სპეციალური კონვერტების გაცემის შემდეგ ხდება ამომრჩევლის მარკირება, მარკირება ხდება ამომრჩევლის მარჯვენა ხელის საჩვენებელ ან ცერა თითის ფრჩხილზე.

გახსოვდეს, რომ მხოლოდ ერთ ამომრჩეველს აქვს საარჩევნო კაბინაში შესვლის უფლება!

# 2 ნოემბრის არჩევნებზე მიეხმარე საკუთარ მომავალს!!!





# რასაც აირჩევ იმას მოიმკი

*ვიქტორინის მეოთხე ეტაპის გათამაშება შედგება 2 ნოემბერს „რუსთავი 2"-ის საღამოს პირდაპირ ეთერში. სატელეფონო ზარები მიიღება 2 ნოემბრის 16.00 საათამდე.*

*სატელეფონო ზარები მიიღება ქალაქ თბილისის ადგილობრივი სატელეფონო ნომრებიდან და „ჯეოსელისა" და „ლაი-ლაის" აბონენტებისაგან.*

*სწორი პასუხები ყველა კითხვაზე შეგიძლიათ მიიღოთ არასამთავრობო ორგანიზაციის — „სამართლიანი არჩევნების" ტელეფონზე: 95-45-59 (ზარი უფასოა).*

ვიქტორინის მეოთხე ეტაპის შეკითხვები

1. სხეულის რომელ ნაწილს ხდება ამომრჩევლის მარკირება?
1. მარცხენა ხელის საჩვენებელ და ცერა თითზე
2. მარჯვენა ხელის საჩვენებელ და ცერა თითზე
3. მარჯვენა ხელის მხოლოდ საჩვენებელ თითზე
4. მარჯვენა ხელის მხოლოდ ცერა თითზე

2. რამდენმა კომისიის წევრმა უნდა მოგიწეროთ ხელი ბიულეტენზე?
1. ერთმა
2. არცერთმა
3. სამმა
4. ორმა

3. რამდენი სპეციალური კონვერტის გაცემა ხდება თითოეულ ამომრჩეველზე 2 ნოემბრის არჩევნებზე?
1. 2
2. 3
3. 1
4. არც ერთის

5. რის შემდეგ ხდება ამომრჩევლის მარკირება?
1. საარჩევნო უბანში შესვლის შემდეგ
2. საარჩევნო უბნიდან გამოსვლის შემდეგ
3. სპეციალური კონვერტის ძირითად ყუთში ჩაგდების შემდეგ
4. ბიულეტენების ბეჭდით დამოწმების და ბეჭდით დამოწმებული სპეციალური კონვერტების გაცემის შემდეგ

6. ერთდროულად რამდენ ამომრჩეველს აქვს უფლება შევიდეს საარჩევნო კაბინაში?
1. ორს
2. ერთს
3. სამს
4. რამდენიც სურს ამომრჩეველს

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს



*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ლაპარაკის დროს და ჭამის შემდეგ მიშრება პირი და ტუჩები. იქნებ მირჩიოთ, რა მიშველის, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

პირის სიმშრალის მიზეზი ლაპარაკის დროს შეიძლება იყოს ვეგეტატიური ნერვული სისტემის ჭარბი აღგზნება. ეს სიმპტომი ვითარდება შაქრიანი დიაბეტის დროს, აგრეთვე, თუ ადამიანი იღებს შარდმდენი ეფექტის მქონე პრეპარატებს, ან თუ მას აქვს ფაღარათი. აღნიშნულ შემთხვევებში პირის სიმშრალის მიზეზი ორგანიზმის გაუწყლოება გახლავთ. გირჩევთ, მიმართოთ თერაპევტს, რათა დადგინდეს, ხომ არ არის ამ, ერთი შეხედვით უბრალო სიმპტომის უკან რაიმე სერიოზული დარღვევა.

**გთხოვთ ექიმმა გაგვცეს პასუხი: იწვევს თუ არა მუცლის შებერილობას რძე ან ღომი. პროფილაქტიკის მიზნით რას გვირჩევს ექიმი?**

***ერთგული მკითხველი***

მუცლის შებერილობის მიზეზი ხშირად არის საჭმლის მომნელებელი ფერმენტების ნაკლებობა. მაგალითად, ფერმენტ ლაქტაზას ნაკლებობისას, რძის დალევის შემდეგ, შებერილობა ვითარდება, რადგან რძეში შედის ლაქტოზა, რომლის მოსანელებლად ლაქტაზა აუცილებელია. ასეთ შემთხვევაში არ დალიოთ რძე, ან მიიღეთ ლაქტაზას შემცველი ფერმენტული პრეპარატი. მუცლის შებერილობა შეიძლება იყოს სანაღვლე გზების პათოლოგიის (ქოლეცისტიტის, ნაღველ-კენჭოვანი დაავადების) დისბაქტერიოზის, ნაწლავთა სპაზმის ან სხვა მრავალგვარი დარღვევის შედეგი. საინტერესოა თქვენი ასაკი და სხვა ჩივილები. იმის მიხედვით, თუ კერძოდ, რა პათოლოგია გაქვთ, მკურნალობის კურსიც სხვადასხვაგვარი უნდა იყოს. ამიტომ უმჯობესი იქნება გასტროენტეროლოგს (კუჭ-ნაწლავის სპეციალისტს) მიაკითხოთ.

**უკვე ერთი წელია, ვარ გათხოვილი, მაგრამ ვარ ქალწული, რადგან მეშინია ქმართან სექსუალური ურთიერთობისა. როგორ დავძლიოთ შიში?**

***მკითხველი***

მხოლოდ შიში არ უნდა იყოს ასეთი მდგომარეობის მიზეზი. ალბათ საქმე გვაქვს სექსოპათოლოგიურ პროცესთან. გირჩევთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ ექიმ-სექსოპათოლოგს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორივე პარტნიორს ემუქრება ფსიქიკის დაზიანებაც.

**მაქვს მიდრეკილება თმიანობისაკენ. ხომ არ უწყობს თმის გახშირებას ეპილაცია ელექროპინცეტით და რამდენად ეფექტიანია მისი გამოყენება?**

***თქვენი მკითხველი***

ჭარბთმიანობის დროს, უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს, არის თუ არა ეს სიმპტომი ჰორმონული ცვლის დარღვევის შედეგი. თუ ქალს ჰორმონული დისბალანსი აღენიშნება, ვერც ერთი სახის ეპილაცია ვერ მოგცემთ სასურველ შედეგს. ამიტომ თუ თმიანობა გემატებათ, გირჩევთ ჩაიტაროთ ჰორმონთა გამოკვლევა.

**გთხოვთ მასწავლოთ რაიმე ეფექტური ხალხური საშუალება 64 წლის მწეველი მამაკაცისთვის ნახველის გასათხელებლად, ამოსახველებლად და ხველის შესამსუბუქებლად.**

***პატივისცემით, რ. გრძელიშვილი***

სავარაუდოა, რომ 64 წლის მწეველ მამაკაცს აქვს ქრონიკული ბრონქიტი, რომელიც შესაძლოა გართულებულიც იყოს. სასურველია, მან ჩაიტაროს სათანადო გამოკვლევა და პულმონოლოგის კონსულტაცია. რაც შეეხება ხალხურ ამოსახველებელ და ნახველის გამთხელებელ საშუალებებს: ასეთებია:

— წითელი მოცვის ვაჟინი თაფლთან ერთად (1:1) უნდა მიიღოთ ხშირ-ხშირად სუფრის კოვზით. მკურნალობის დროს უკეთესია, თუ წყლის ან ჩაის ნაცვლად მარწყვის ნახარშს მიიღებთ.

— აურიეთ თანაბარი რაოდენობით ჭვავი, შვრია, ქერი, ვარდკაჭკაჭა და გაფცქვნილი მწარე ნუში (დანაყილი). დაამზადეთ ნახარში ყავის მსგავსად და დალიეთ.

— ადუღეთ თალგამის წვენი შაქრით ან თაფლით და მიირთვით.

— თეთრი ხახვი დაჭერით და ფენა-ფენა მოაყარეთ შაქარი. დადგით 2-3სთ. გამოყოფილი წვენი სვით დღის განმავლობაში ჩაის კოვზით.

— ბოლოკი დაჭერით პატარა სამკუთხედებად, მოათავსეთ ქვაბში და დაუმატეთ შაქარი. შედგით აირღუმელში ორი საათი. გაწურეთ და ჩაასხით წვენი ბოთლში. მიიღეთ ორი ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

— თანაბარი რაოდენობით აურიეთ სტაფილოს წვენი და რძე. მიიღეთ თითო სუფრის კოვზი ექვსჯერ დღეში.

## კარაბადინი

**მინდა ჩემი გამოცდილებაც გავუზიარო მკითხველს. მქონდა ბრონქული ასთმა, რომელიც გაზაფხულობით განსაკუთრებით მიმწვავდებოდა. ვსვამდი უამრავ წამალს, თუმცა საგრძნობ შედეგს ვერ ვიღებდი. მეზობელმა მასწავლა ასეთი რამ: უნდა გამოწურო კულმუხოს ფესვების წვენი, შეურიო თანაბარი რაოდენობის თაფლთან და მიიღო თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში (თაფლის მიმართ ალერგია არ უნდა გქონდეთ). ორკვირიან მკურნალობას საუკეთესო შედეგი მოჰყვა. მას შემდეგ ასთმის შეტევა აღარ მქონია. სხვათა შორის, სხვა პრობლემებიც მქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით და ისინიც მომეხსნა. გთხოვთ გვიამბოთ, როგორ მოქმედებს კულმუხო ადამიანის ორგანიზმზე.**

***პატივისცემით, ლეილა გეგენავა***

**ექიმის კომენტარი:** კულმუხო 1-2 მეტრამდე სიმაღლის ველურად მზარდი ბალახოვანი მცენარეა. აყვავებული წააგავს მზესუმზირას. სამკურნალწამლო ნედლეულს წარმოადგენს მცენარის ფესვები და ფესვურები. აგროვებენ გვიან შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე. ცივი წყლით გარეცხვის შემდეგ ჭრიან ნაჭრებად და აშრობენ ჰაერზე. კულმუხოს უძველესი დროიდან სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ ხმარობენ ხალხურ მედიცინაში. ფართოდ გამოიყენება მეცნიერულ მედიცინაში, როგორც ამოსახველებელი და ხველების დამაწყნარებელი საშუალება, სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებების, ბრონქიტის, ტრაქეიტის, ფილტვების ტუბერკულოზის დროს. მცენარე დადებით ეფექტს იძლევა გასტროენტერიტის (კუჭ-ნაწლავის ანთების), კუჭის აშლილობის დროსაც. ფესვის ნახარშის მიღებისას ძლიერდება შარდისა და ნაღვლის გამოყოფა. კულმუხოს ფესვები რეკომენდებულია კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებათა სამკურნალოდ. გამოიყენება აგრეთვე, როგორც გარეგანი საშუალება, მალამოს სახით, კანის სხვადასხვა დაავადების (ეგზემა, მუნი) დროს. კულმუხოს ფესვების ნაყენი შემდეგნაირად მზადდება: 1ს/კ დაქუცმაცებული ნედლი ან გამხმარი მცენარე მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 1ჩ/ჭ ცხელი წყალი, დაახურეთ და ადუღეთ 15 წუთით. გაწურეთ. მიიღეთ თბილ-თბილი, თითო ს/კ 2 საათში ერთხელ.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## მკითხველი — მკითხველს

**ბოლო დროს ფეხების ქუსლებში ვგრძნობ ე.წ. „ნემსებს“. მიჭირს სიარული. იქნებ ვინმემ მირჩიოს რამე.**

***ერთგული მკითხველი***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## დღეგრძელობის საიდუმლო სიკეთეშია

თურმე სიცოცხლის გახანგრძლივება არც ისე რთულია. „მხოლოდ საჭიროა იყო კეთილი და გულისხმიერი და დღეგრძელობა გარანტირებული გექნებათ“, — დაასკვნეს ამერიკელმა მეცნიერებმა 5-წლიანი მუშაობის შემდეგ. გამოკვლევაში მონაწილეობდა 423 ხნიერი წყვილი. ცდისპირი მამაკაცის საშუალო ასაკი იყო 65 წელი, ქალისა — 60-ზე ნაკლები. მკვლევარებმა გაითვალისწინეს მათი ჯანმრთელობა, მატერიალური კეთილდღეობა, ფსიქოლოგიური განსაკუთრებულობა. საგანგებო ყურადღება ეთმობოდა იმას, თუ რა უფრო ეხერხებოდა ადამიანს — გაცემა თუ მიღება. ორივე შემთხვევაში (გაცემა და მიღება) დაკვირვების ობიექტებს აშკარად გამოეყოფოდათ ბედნიერების ჰორმონი. ასე რომ, სიკეთის გამღები და მოწყალე, გულუხვი, უშურველი ადამიანი მეტს ცოცხლობს, ვიდრე ძუნწი და გულდახურული.

***ოჯი***

## სიზარმაცის გენი

გამონათქვამი: „სიზარმაცე შენზე ადრე დაიბადა“, მეცნიერულად დამტკიცდა. ოკლენდის უნივერსიტეტის მეცნიერების აზრით, ადამიანის სიზარმაცე შეიძლება განეკუთვნოს თანდაყოლილ მავნე ჩვევებს. გამოკვლევების საფუძველზე, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ნაყოფი ცხოვრებასთან „მორგებას“ დედის მუცელშივე იწყებს. თუკი მომავალი დედა ნაკლებად მოძრავია, მაშინ ემბრიონსაც ცუდად უვითარდება მუსკულატურა და გულ-სისხლძარღვთა სისტემა. ემბრიონზე ასევე ცუდად მოქმედებს დედის უჭმელობა, დიეტა. ამ შემთხვევაში ემბრიონი აგროვებს ცხიმს, ნაკლებად მოძრაობს, ზარმაცდება და ცხოვრებაშიც ეს თვისებები უნარჩუნდება.

***ვლასტი***

## ანტისიბერე

ცნობილმა გერმანელმა კონდიტერმა ადოლფ ანდერსონმა შეძლო სიბერის პროცესთან ბრძოლა სასიამოვნო და ტკბილი გაეხადა. ადამიანს, რომელსაც ნაადრევად დაბერება არ უნდა, შეუძლია აფთიაქში შეიძინოს სპეციალური რეცეპტით დამზადებული და ექსპერტების მიერ გამოცდილი ნახევარი კგ კანფეტი. ახალი ტკბილეულის შემადგენლობაშია შავი შოკოლადი, მანგო და სხვა ინგრედიენტები. დიდი დოზით შოკოლადში არსებული ფენილეტილამონი და პოლიფენული ორგანიზმის უჯრედებს იცავს თავისუფალი რადიკალებისგან, რომელიც იწვევს ნაადრევ სიბერეს.

სეროტონინი (ბედნიერების ჰორმონი) აუმჯობესებს ადამიანის გუნება-განწყობას და იგი თავს ახლგაზრდულად გრძნობს. მანგო შეიცავს ფერმენტებს, რომლებიც ააქტიურებს მეტაბულიზმის პროცესებს. „თუკი ამ ტკბილეულს დღეში 1-2 კანფეტს, ზომიერად მივიღებთ ჩაისთან ერთად, თანაც სასიამოვნო გარემოში, ეს გავლენას იქონიებს ადამიანის წონაზე და მას 15 წლის მაინც გააახალგაზრდავებს“, — დარწმუნებულია ცნობილი მეცნიერი ველჰელმ კენტი.

***ოგონიოკი***

## დააკვირდით შვილის საქციელს და...



ამერიკელი პედიატრი მარკ აბრაჰამსი ამტკიცებს, რომ თუ პატარა იწვალებს ცხვირს თითებით, ფანქრით, პინცეტით და ა.შ., მშობელმა ამას უთუოდ უნდა მიაქციოს ყურადღება. გარდა იმისა, რომ ეს ცუდი აღზრდის შედეგია, ასეთი ბავშვების 80%-ს რაღაც აწუხებს, 11% — ერთობა, 9%-ს კი უჭირს ურთიერთობა თანატოლებთან და უფროსებთან და ნევროზი ემუქრება. „თუ ბავშვს ასეთი საქციელი შეამჩნიეთ, აშკარაა, რომ მას მშობლების ალერსი აკლია“, — გვაფრთხილებს ექიმი.

***მეგაპოლის-ექსპრესი №41***

## სექსუალურები ვართ, თუ არა



რამდენად სექსუალურია კაცობრიობა? ინტერნეტის საშუალებით სოციოლოგებმა ჩაატარეს გამოკითხვა, რომლის შედეგადაც გაირკვა, რომ საშუალოდ ადამიანი სექსით დაკავებულია წელიწადში 127-ჯერ. განსაკუთრებით აქტიურები ყოფილან აღმოსავლეთევროპელები, განსაკუთრებით კი უნგრელები (152-ჯერ წელიწადში), ბულგარელები — 151-ჯერ, რუსები — 150-ჯერ. რაც შეეხება მამაკაცებს, გამოკითხვის შედეგად დამტკიცდა, რომ ყველაზე სექსუალური მამაკაცები ჰყავთ ბრაზილიელებს, შემდეგ მოდიან ამერიკელები, ფრანგები, იტალიელები და ბოლოს ჩინელები. სექსუალურ ათეულს ასრულებენ ინგლისელები, გერმანელები და რუსები, რომლებმაც ქულების ერთნაირი რაოდენობა დააგროვეს. მანდილოსნებს შორის პირველ ადგილზე ლათინურამერიკელები არიან, შემდეგ მოდიან რუსი ქალები.

გამოკითხვის შედეგად ისიც დადგინდა, რომ მთელ მსოფლიოში სექსისგან განსაკუთრებულ სიხარულს ადამიანი იღებს 20-დან 34 წლის ასაკამდე, შემდეგ ეს შეგრძნება თანდათან ქვეითდება. ამ დროს კი, რაც უფრო ასაკში შედის ადამიანი, მით უფრო სჭირდება სექსი მის ჯანმრთელობას...

***ჯენტე***

## სიახლე თიაქრის მკურნალობაში

ალბათ ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც თიაქრის შესახებ არ სმენოდეს. ვფიქრობთ, სხვა ფაქტორებთან ერთად ამას პათოლოგიის გავრცელების დიდი სიხშირეც განაპირობებს.

თიაქრის მკურნალობა მხოლოდ ოპერაციულია. ქირურგიული ჩარევა დაავადების ლიკვიდაციას განაპირობებს.

80-იან წლებში აშშ-სა და კანადაში თიაქარპლასტიკის ახალი მეთოდიკა დაინერგა, რომლის პრინციპი დაფუძნებულია სინთეტიკური ბადით დეფექტის გამაგრებაზე.

თიაქარპლასტიკა კეთდება როგორც ღია, ასევე ლაპარასკოპიული (უსისხლო ოპერაცია) მეთოდით. ლაპარასკოპიული თიაქარპლასტიკა საქართველოში პირველად ქირურგ თენგიზ ჩართოლანის (რუსეთის ჰერნიოლოგთა საზოგადოების წევრი) ხელმძღვანელობით გაკეთდა ქ. თბილისის №1 კლინიკურ საავადმყოფოში. ამ მეთოდით ჩატარებული ოპერაციის შემდეგ რეციდივი (განმეორებითი შემთხვევა) არ დაფიქსირებულა.

***ლაპარასკოპიული თიაქრის უპირატესობანია:***

- ოპერაციული ტრამვის მინიმუმამდე დაყვანა;
- კლინიკიდან ავადმყოფი ფაქტობრივად ჩივილების გარეშე, 24 საათის განმავლობაში ეწერება;
- შრომისუნარიანობა სრულიად 5-10 დღეში აღდგება;
- ფიზიკური დატვირთვისას არანაირი შეზღუდვა არ აღინიშნება;
- აღსანიშნავია აშკარა კოსმეტიკური ეფექტი;
- თანაც ერთდროულად შესაძლებელია ორი ოპერაციის გაკეთება, დამატებითი განაკვეთის გარეშე, დამატებითი ტრამვის გარეშე — მაგ., ორმხრივი თიაქარპლასტიკა და მუცლის ღრუს რომელიმე სხვა ოპერაცია: ნაღვლის ბუშტის ამოკვეთა, გინეკოლოგიური პათოლოგია, აპენდექტომია და სხვა.

თენგიზ ჩართოლანის მიერ, კლინიკაში პარალელურად დაინერგა მუცლის წინა კედლის დიდი ზომის, გიგანტური, როგორც პირველადი ასევე პოსტოპერაციული (ოპერაციის შემდგომი) თიაქრების მკურნალობა, სინთეტიკური ბადის გამოყენებით. ბადის ფიქსირებისას გამოიყენება ბატონ თენგიზის მიერ მოწოდებული მეთოდიკა, რომელიც მუცლის კედელზე მტკიცე ფიქსაციას (გამაგრებას) განაპირობებს. აღნიშნული მეთოდიკის შესახებ მოხსენებულ იქნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ქირურგიულ ცენტრში, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ ქალებში სამედიცინო ჩვენების შემთხვევაში პარალელურად კეთდება — მუცლის წინა კედლის პლასტიკური ოპერაცია (დაკიდებული მუცელი) — კოსმეტიკური ეფექტისათვის.

თიაქარპლასტიკის დროს პლასტიკურ მასალად გამოიყენება ამერიკული, პროლინის სინთეტიკური ბადეები. სულ შესრულებულია 160 ოპერაცია, რეციდივი (განმეორებითი შემთხვევა) ან სხვა რაიმე გართულება არ დაფიქსირებულა.

მის: ქ. თბილისი, №1 კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი არამიანცი) ტერიტორიაზე — ჯანმრთელობის სახლი.
☎ 77-19-06; 77-19-07 (5სთ-მდე).
33-78-74; 899 56-13-71
®



# მითხარი, როგორ გძინავს და...

ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია მისი ძილის პოზასთან. თუ ადამიანს სძინავს მუცელზე — ე.ი. კომპლექსები აწუხებს და არცთუ კარგი მდგომარეობა აქვს სამსახურში. მარტოხელა ადამიანებს, რომლებსაც მეურვეობა სჭირდებათ, მოკუნტულებს სძინავთ. ადამიანი ძილში თუ ბალიშს არის ჩახუტებული — ახლობლების დახმარება სჭირდება და თუ საბანს იფარებს თავზე, ესე იგი პესიმისტია. მარჯვენა გვერდზე მწოლიარენი — საერთოდ არ ფიქრობენ კარიერაზე, მაგრამ სამსახურში კეთილსინდისიერად და მთელი პასუხისმგებლობით მუშაობენ. მარცხენა გვერდზე ვისაც სძინავს — შემოქმედი ნატურაა. ზურგზე სძინავთ თავისუფალ, დამოუკიდებულ ადამიანებს.

***ლიზა №37***

# ოროვანდი —„უნივერსალი“

ოდითგანვე სცემდნენ დიდ პატივს ოროვანდს (ძირხვენა, ღელელუნტა) როგორც საკვებ, ისე სამკურნალო მცენარეს. მისი ყლორტებისა და ფოთლებისგან დღესაც ამზადებენ წვნიანსა და სალათებს, შემოდგომით კი — მის ფესვებსაც იყენებენ საკვებად, რომელიც მდიდარია შაქრითა და ეთეროვანი ზეთებით. მას იყენებენ როგორც სტაფილოს, ხოლო გამხმარს, მოხალულს და დაფქულს ყავის საფქვავში, როგორც ყავას.

ახლა რაც შეეხება ოროვანდის სამკურნალო ღირსებებს:

მაღალი სიცხის დროს შუბლზე დაიფინეთ ოროვანდის ფოთლები, ფეხების შეშუპების დროს კი ფეხებზე. ოროვანდის ნაყენს უნიშნავენ თირკმლებში კენჭებისა და ნიკრისის ქარის დროს, მისი ნაყენი ბრწყინვალე შარდმდენია, მისი საფენები რეკომენდებულია ფურუნკულოზის, კანის დაავადებებისა და გამონაყრის დროს. ოროვანდის ფესვებით დამზადებული მალამო შველის ეგზემას.

გთავაზობთ ზოგიერთ რეცეპტს:

...თმის ცვენის დროს 20 გ ოროვანდის ფესვებს, 10 გ გულყვითელას, 15 გ სვიის გირჩს დაასხით 1ლ წყალი და მოხარშეთ. ამ ნახარშით დაიბანეთ თავი კვირაში 2-ჯერ.

რევმატიზმისა და სახსრებში ტკივილის დროს გაიკეთეთ ოროვანდის ფესვების, ჭინჭრის, წყლის იელის, წითელი მოცვის, ბრტყელეკალას ნახარშის აბაზანები.

...ჭრილობების დროს 75 გ დაქუცმაცებულ, ახალი ოროვანდის ფესვებს დაასხით 200 მლ მზესუმზირის ზეთი, გააჩერეთ ერთი დღე და ღამე, შემდეგ 15 წუთით ადუღეთ ნელ ცეცხლზე, გაწურეთ და მალამო წაისვით ჭრილობებზე.

***ლიზა №37***


**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**


# ჰომეოპათიით მკურნალობა

**გთხოვთ აგვიხსნათ, რაზეა დაფუძნებული ჰომეოპათიით მკურნალობის მეთოდი?**

***ზ. კვაჭაძე, თბილისი***

ჰომეოპათიური მკურნალობა ოდითგანვე დავის საგანი იყო: მას ხან იღებდნენ, ხანაც უარყოფდნენ და კრძალავდნენ. ამჟამად სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა, დღეს მსხვილ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ჰომეოპათიური პრეპარატების ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების ხერხების შესწავლა ინტენსიურად მიმდინარეობს.

ჰომეოპათიური პრეპარატები სხვადასხვა წარმოშობის ნივთიერებებით მზადდება (ცხოველური, მინერალური, მჟავები, მარილები). აუცილებელია მათი ძლიერი განზავება წყალში ან სპირტში, შემდეგ ხსნარით შაქრის ნატეხებს (ან სხვა რამეს) ჟღენთენ და წამალი მზადაა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ საშუალებების დადებით სამკურნალო ეფექტს მხოლოდ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას მიაწერენ — რწმენა, რომ ავადმყოფს წამალი უშველის, იწვევს მის გამოკეთებას. ახლახან, მეცნიერთა ერთმა ნაწილმა დაადგინა, რომ წყლის მოლეკულები ხანგრძლივი ნჯღრევის შედეგად „იმახსოვრებენ“ და ინახავენ მათში გახსნილი ნივთიერებების მოლეკულურ აგებულებას. აქედან გამომდინარე, ჰომეოპათიური საშუალებები ორგანიზმზე არა ქიმიურ, არამედ ინფორმაციულ დონეზე მოქმედებს. ეს მეთოდი ეფექტიანად გამოიყენება ახალშობილებსა და ცხოველებში, რაც, ცხადია, მის მხოლოდ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას უარყოფს.

მცდარია წარმოდგენა, თითქოს ჰომეოპათიური პრეპარატები ყველაფერს კურნავს. ჰომეოპათიის შესაძლებლობები, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მეთოდისა, შეზღუდულია და ბევრი ფაქტორით განისაზღვრება, მათ შორის პაციენტის ინდივიდუალური თავისებურებებით, ფიზიკური და ფსიქიკური მონაცემებით. ჰომეოპათიის მთავარი ამოცანაა კონკრეტული ორგანიზმის დახმარება, რათა ის შემდეგ თვითონვე მოერიოს თავის სატკივარს.

## ჰომეოპათიური პრეპარატები



ისეთ პრეპარატებს, რომლებსაც ორგანიზმის ზოგადგამამაგრებელი მოქმედება ახასიათებს, გვერდითი და უკუეფექტები არ აღენიშნება. ისინი არც ალერგიას იწვევენ. მათი ხმარება სხვა წამლებთან ერთადაც შეიძლება. დამოუკიდებლად გამოიყენება ფურუნკულოზის, ჰაიმორიტის სამკურნალოდ, ხოლო სხვა წამლებთან ერთად — სტენოკარდიის, პნევმონიის დროს. თირკმლებში არსებული კენჭების ულტრაბგერითი დაშლის შემდეგ ექიმი-ჰომეოპათი სპეციალური პრეპარატებით ცვლის შარდის თვისებებს, რათა პაციენტს თავიდან აიცილოს კენჭების ხელმეორედ წარმოქმნის საშიშროება.

ჰომეოპათიური მკურნალობის კიდევ ერთი საინტერესო და გასათვალისწინებელი თვისებაა დასაწყისში დაავადების სიმპტომების გამწვავება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ პრეპარატი სწორად არის შერჩეული და ადამიანის ორგანიზმმა პათოლოგიას ბრძოლა გამოუცხადა. იდეალურად მორგებული ჰომეოპათიური პრეპარატები ორგანიზმის მუშაობას აწესრიგებს.

თუკი ბრონქული ასთმა გაქვთ და მიღებული საშუალებების შემდეგ შეტევები შეგიწყდათ და გამონაყარი განგივითარდათ, ეს კარგად შერჩეულ მკურნალობაზე მეტყველებს, მაგრამ თუკი თავის ტკივილი დაგჩემდათ, პრეპარატი არასწორადაა დანიშნული და მისი შეცვლა აუცილებელია. ჰომეოპათიური საშუალებები სხვადასხვა ფორმით გამოდის: ტრადიციული წვეთებისა და აბების სახით, ამპულებში — კუნთსა და ვენაში საინიექციოდ.

***მაია მუხიგული***

# მოვეხვიოთ ერთმანეთს!..



არც დავფიქრებულვართ ალბათ ძველთაგან ადამიანები მწუხარებისა და სიხარულის დროს ერთმანეთს რატომ ეხვევიან, გულში იკრავენ, თავზე ხელს უსვამენ, აქებენ და ა.შ. ექიმი-ფსიქოლოგების აზრით, თურმე შეხებით გრძნობების გამოხატვას სამკურნალო მნიშვნელობა აქვს. შეხების ორგანოები ჩასახისთანავე, ადრეულ სტადიაში ვითარდება. მათ ფუნქციას ასრულებს კანის მთელ ზედაპირზე განლაგებული მილიონი ტაქტილური რეცეპტორი. ისინი რეაგირებენ ჩვენს სხეულზე ნებისმიერი შეხებისას. მათი უმეტესობა თავმოყრილია ხელისგულებსა და თითების ბალიშებზე.

ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ მხედველობასა და სმენას, შეხებას. ოჯახში სრული ჰარმონიისთვის მის თითოეულ წევრს სჭირდება დღეში არანაკლებ 8-ჯერ ჩახუტება, თავზე ხელის გადასმა და ა.შ. განსაკუთრებით ეს სჭირდებათ ბავშვებს. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ადრეულ ასაკში მოფერების დეფიციტი ბავშვს ხდის აგრესიულს, სევდიანს, მარტოსულს, უფრთხობს ძილს. არანაკლებ საჭიროებენ მოზარდები მეგობრულ მოფერებას, შექებას, რაც მათ ცხოვრებაში წარმატების საწინდარია. მოფერების ნაკლებობას განსაკუთრებით მწვავედ განიცდიან მოხუცები. ვერავითარი სატელეფონო ზარი ვერ ცვლის ახლობლების თბილ და ნაზ მოფერებას.

**დასავლეთი: ჰაგოთერაპია** ჰაგოთერაპია გულისხმობს დადებითი ემოციების დროს კანზე შეხებასა და ხელის ნაზ გადასმას. ადამიანი, ინტუიციით, თავად მიანიშნებს იმ ზონებს, რომლებზეც ხელის გადასმა მოუხსნის ნერვულ და შინაგან დაძაბულობას. ხშირად ეს არის: ზურგი, კისერი, მხრები. ამ დროს ხელების ყველა მოძრაობა უნდა მიემართებოდეს გულისკენ. ეს მარტივი მეთოდი ეხმარება ადამიანს, ადვილად გაუმკლავდეს კონფლიქტურ სიტუაციას, სტრესებს, უძლიერებს სულსა და სხეულს. ამერიკელი ექიმების მტკიცებით ჰაგოთერაპიას შეუძლია არა მარტო შეამციროს ფობიური ახირებულობანი, არამედ განკურნოს კიდეც.

**აღმოსავლეთი: შიაცუ.** აღმოსავლური მედიცინის პოსტულატების თანახმად, კანი არა მარტო შეხების ორგანოა, არამედ მასზე განლაგებულია ის აქტიური წერტილები, რომლებიც ენერგეტიკული მერიდიანების საწყისის საფუძველია და აკავშირებს მათ შინაგან ორგანოებს. ყველაზე მეტად ასეთი წერტილები თავმოყრილია ხელის თითებზე. იაპონურ შიაცუს სამკურნალო სისტემაში სწორედ მასაჟსა და ხელის თითების დასრესას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. მაგალითად, ცერა თითის მასაჟი აუმჯობესებს თავის ტვინის მოქმედებას, საჩვენებლის — კუჭის, შუათითის — ნაწლავების, უსახელოსი — ღვიძლის, ნეკის — გულისა.

სასარგებლო რჩევები:

— ხშირად მოჰკიდეთ ხელი ხელზე ახლობლებს, შვილებს, მშობლებს;

— შექებისას ბავშვს თავზე გადაუსვით ხელი;

— თუ თქვენი მეუღლე გაბრაზებულია, გაუკეთეთ მსუბუქი მასაჟი თავზე, თმის ძირებში;

— თუ თავს ცუდად და მარტოსულად გრძნობთ, მიეფერეთ კატას ან ძაღლს;

— აღელვებისას ხელში აიღეთ რბილი სათამაშო;

— თუ თავს უქეიფოდ გრძნობთ, დაიზილეთ ხელის გულები ან გაიკეთეთ მასაჟი ფეხის ტერფებზე, სადაც თავმოყრილია რეფლექსოგენური ზონები;

—სულიერი წონასწორობის აღსადგენად ჩამარცვლეთ კრიალოსანი ან ხელში ათამაშეთ ცი-გუს ბურთულები.

***ლიზა №26***


**რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.**



**მრავალი წლის განმავლობაში ამ დაავადებებს დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდებით: მანუალური თერაპია, სამკურნალო მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა, ტრენაჟორები.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე
ალმაშენებლის 90/84 სად, სართ.
ტელ: 95-47-67; 899-26-51-08

მკურნალი

**თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის**

**კლინიკური მედიცინის ცენტრი გთავაზობთ:**

- **დიაგნოსტიკურ განყოფილებაში პედიატრის, ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, ალერგოლოგის, ქირურგის, ტრავმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, დერმატოლოგის, ექიმ კოსმეტოლოგის (აგრეთვე ეპილაცია) მომსახურებას, ფიბროგასტროსკოპიულ, ულტრასონოგრაფიულ, რენტგენოლოგიურ (მამოგრაფიის ჩათვლით), კლინიკურ, იმუნოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს;**
- **ქალთა კონსულტაციას, რეპროდუქტოლოგიურ კაბინეტს, მომავალი მშობლების სკოლას;**
- **სამეანო განყოფილებას;**
- **ახალშობილთა განყოფილებას;**
- **გინეკოლოგიურ განყოფილებას;**
- **თავისა და კისრის განყოფილებას (თვალის სნეულებანი, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ენდოკრინული და სისხლძარღვთა ქირურგია);**
- **ქირურგიულ-ორთოპედიულ განყოფილებას (ტრავმატოლოგია, ორთოპედია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, უროლოგია, ენდოსკოპიური ქირურგია – ლაპარასკოპია);**
- **სტომატოლოგიურ განყოფილებას თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული მომსახურებით;**
- **რეაბილიტაციის სამსახურს(ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟოთერაპია).**

კლინიკაში პაციენტებისათვის შექმნილია საუკეთესო ოჯახური პირობები (ინდივიდუალური პალატები და საშობიარო ბლოკები აბაზანებით, აუზი, გათბობა, ცხელი წყალი, ტელევიზორი სატელიტური პროგრამებით, ტელეფონი, კვება) და მაღალი ხარისხის სამედიცინო სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით.

**ვემსახურებით ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა.**
**მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით.**
**მადლობას გიხდით ნდობისთვის.**

*მის: ცოტნე დადიანის №255*
*(ყოფ. I სამშობიარო სახლი)*
☎ 66-73-70 71 72 73 74



**NEW! გლუკოზამინი**

**გლუკოზამინის ეფექტურობას განაპირობებენ მასში შემავალი ნატურალური კომპონენტები, რომლებიც რეკომენდირებულია სახსრების დაავადებების დროს, ხოლო ამ კომპონენტების ერთ ფორმულაში გარკვეული თანაფარდობით თავმოყრამ თავის მხრივ განაპირობა გლუკოზამინის არნახული შედეგები.**




სახსრების დაავადებების ყველა სხვა პრეპარატებისაგან განსხვავებით გლუკოზამინში შემავალი მცენარეული ბოჭკოები არ აღიზიანებს კუჭნაწლავს და არ არის საშიში ჰიპერტონიკებისათვის, აქედან გამომდინარე მისი მიღება შეიძლება ხანგრძლივად.

ვინაიდან გლუკოზამინი განეკუთვნება ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატების ჯგუფს, იგი ახდენს ზოგად გამაჯანსაღებელ ზემოქმედებას მთელს ორგანიზმზე.

- *საგრძნობლად ამცირებს ტკივილებს დაავადებულ სახსრებში და აუმჯობესებს მათ მოძრაობას.*
- *ამცირებს სახსრების ანთებას და მის თანმხლებ პროცესუალურ სიმპტომებს.*
- *ხელს უწყობს სახსრების ხრტილოვანი ნაწილის აღდგენას.*

**გლუკოზამინი — რთული პრობლემების იოლი გადაწყვეტა.**

ვრცელი ინფორმაცია შეგიძლიათ იკითხოთ გაზეთ "ჯორჯიან ტაიმს"-ში – "ნუტრიმენტ ჰაუსი"-ს გვერდზე.

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
ყოველდღე, კვირის გარდა
www.shopge.com

**აშშ**

## ქალბატონმა ტუტვაილერმა მსოფლიოს აშშ უნდა შეაყვაროს

ვაშინგტონი ძალიან შეშფოთებულია. მსოფლიოში მომრავლდნენ ადამიანები, რომელთაც არ უყვართ ამერიკის შეერთებული შტატები. სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანამდებობა (იგი პასუხს აგებს უცხოეთში აშშ-ის იმიჯის ფორმირებაზე) ერთხანს ვაკანტური იყო, ახლა ამ პოსტზე ჯორჯ ბუშმა დანიშნა მაროკოში ამერიკის ელჩი, ბუშების ოჯახის მეგობარი ქალბატონი მარგარეტ ტუტვაილერი. ერაყის ომის დამთავრებისთანავე ტუტვაილერი ბაღდადში გაგზავნეს, იგი კვლავაც ელჩი იყო, მაგრამ პარალელურად უნდა უზრუნველეყო ქვეყნის ახალი ადმინისტრაციის იმიჯი. ცოტა ხნის წინ მარგარეტი ვაშინგტონში გამოიძახეს, რადგან სახელმწიფო დეპარტამენტიდან სკანდალით გაუშვეს სახალხო დიპლომატიის დარგში სახელმწიფო მდივნის მოადგილე შარლოტა ბარსი, რომელმაც ვერაფერი იღონა ქვეყნის იმიჯის გასაუმჯობესებლად. ცხადი გახდა, რომ ამერიკის მიმართ მტრული განწყობილება მსოფლიოში იზრდება და საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება. ძნელი სათქმელია, შეძლებს ქალბატონი ტუტვაილერი ამ მისიის შესრულებას თუ არა.



***კომერსანტი №190***

**გერმანია**

## ნატოს დანაშაულს გერმანელები გამოისყიდიან

ბონის სასამართლოში დაიწყო სერბეთის ქალაქ ვარვარინის მცხოვრებთა სარჩელის განხილვა. ისინი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლებისაგან კომპენსაციის სახით 1 მლნ ევროს ითხოვენ. 1999 წელს ნატოს სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ ქალაქის დაბომბვას 10 ადამიანი შეეწირა, 16 დაიჭრა. ის, რომ დაღუპულთა ნათესავებმა სასამართლოში შეიტანეს სარჩელი, საკვირველი არ არის. არც ის უკვირს ვინმეს, თუ რატომ უჩივიან კონკრეტულად გერმანიას დაღუპულთა ოჯახები. მართალია, გერმანიის სამხედრო საჰაერო ძალები დაბომბვაში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ მომჩივანთა აზრით, ის, როგორც ნატოს წევრი, პასუხისმგებელია ალიანსის ჯარების მოქმედებაზე. გარდა ამისა, მათ გერმანიის კანონმდებლობის ლიბერალურობის იმედიც აქვთ. ცნობილია, რომ გერმანელებს კვლავ აწუხებთ ომთან დაკავშირებული კომპლექსები, საზოგადოებრივი აზრიც აშკარად მომჩივანთა მხარეზეა. გერმანია, რასაკვირველია, არ აპირებს ხელიდან გაუშვას შესაძლებლობა — დაანახვოს მსოფლიოს თავისი კეთილგანწყობა.

***ნიუ ზუიქი***

# ხოდორკოვსკი დააპატიმრეს



წამყვანი რუსული ნავთობკომპანიის თავკაცი მიხაილ ხოდორკოვსკი 25 ოქტომბერს, მოსკოვის დროით დილის 5 საათზე დააპატიმრეს თვითმფრინავში, რომელიც ნიჟნი ნოვგოროდიდან ირკუტსკში მიფრინავდა და ნოვოსიბირსკში გაჩერდა საწვავის შესავსებად. უშიშროების ფედერალურ სამსახურს მისთვის არანაირი ბრალდება არ წაუყენებია. კომპანიის პრესმდივნის თქმით, ხოდორკოვსკი ამჟამად მოსკოვში იმყოფება. გენპროკურატურის გამომძიებლები შეეცადნენ, იგი ადვოკატების გარეშე დაეკითხათ.

„ხოდორკოვსკი ადრე გამოიძახეს დასაკითხად, მაგრამ არც გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის მიზეზი დაუსახელებია; ამიტომ გამომძიებლებმა გამოიტანეს დადგენილება მის იძულებით მოსაყვანად და დღეს ეს დადგენილება აღასრულეს“, — განაცხადეს ბი-ბი-სის გენპროკურატურაში, თუმცა არ დაუზუსტებიათ — ხოდორკოვსკი გამოძახებული იყო როგორც ეჭვმიტანილი თუ მოწმე.

როგორ მოხდა დაპატიმრება?! ხოდორკოვსკის თვითმფრინავი ტუ-134 ნოვოსიბირსკის აეროპორტის ყველაზე შორეულ სადგომზე მიიყვანეს, იქ ერთი მხრიდან სხვა თვითმფრინავი დაუყენეს, მეორედან — სატვირთო ავტომანქანები. სალონში ისხდნენ ხოდორკოვსკი, მისი ორი თანაშემწე და ორი მცველი. მათ იარაღი ფრენის დროს პილოტებს ჩააბარეს. პილოტები თვითმფრინავიდან აეროპორტის თანამშრომლებთან ტექნიკური საკითხების განსახილველად ჩავიდნენ, თვითმფრინავში 3 კაცი ავიდა, ხოდორკოვსკის გამოუცხადეს, — ჩვენ აეროპორტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები ვართო და სალონის დათვალიერების ნება ითხოვეს. მათ უარი მიიღეს. ამასობაში თვითმფრინავს ორი მუქმინებიანი ავტობუსი მიადგა. ერთი ტრაპთან გაჩერდა, მეორე — თვითმფრინავის კუდთან. შეიარაღებული ადამიანები თვითმფრინავში ავიდნენ, პირველი სალონის კარი შეანგრიეს და ყვირილით შეცვივდნენ: „უშიშროების ფედერალური სამსახური!.. ხელები მაღლა!.. არ გაინძრეთ... წარმოადგინეთ საბუთები!.. იარაღი იატაკზე დააწყვეთ, თორემ ვისვრით!“ თვითმფრინავს გარს შემოერტყნენ ჯავშანჟილეტიანი, შეიარაღებული ადამიანები. სალონში ერთ-ერთმა ხოდორკოვსკის უთხრა, — „წამოგვყევით“. ხოდორკოვსკიმ მიუგო, — კარგი, წავიდეთ. მათ თვითმფრინავი დატოვეს და აეროპორტის შენობისკენ გაემართნენ. თვითმფრინავი მთელი საათის განმავლობაში ბლოკირებული იყო. ყველა, ვინც იქ დარჩა, სტიუარდესების ჩათვლით, აიძულეს სავარძლებში მსხდარიყვნენ. თუ ვინმე უნებურად გაინძრეოდა, აფრთხილებდნენ, — ვისვრითო! ერთი საათის შემდეგ ძალოვანებმა დატოვეს თვითმფრინავი.

მულტიმილიარდერ ხოდორკოვსკის კომპანიას ივლისიდან თვალს არ აშორებს რუსეთის პროკურატურა. მის დაპატიმრებას კარგა ხანია ელოდნენ, თუმცა იმასაც ფიქრობდნენ, რომ „იუკოსისა“ და ხელისუფლების დაპირისპირება შესაძლოა არც დამთავრებულიყო კომპანიის თავკაცის დაჭერით. ერთი კვირის წინ რუსეთის გენპროკურატურამ კომპანია „იუკოსი-მოსკოვის“ პრეზიდენტი ვ. შახნოვსკი ერთი მილიონი დოლარი ბეგარის გადაუხდელობაში დაადანაშაულა. ივლისიდან დაპატიმრებულია „იუკოსის“ თანამფლობელი პ. ლებედევი და კომპანიის უშიშროების სამსახურის თანამშრომელი ალ. პიჩუგინი. კომპანიის ერთ-ერთმა თანამფლობელმა ლ. ნევზლინმა ისრაელში ყოფნისას ქვეყნის ხელისუფლებას მოქალაქეობა სთხოვა.

ხოდორკოვსკის არაერთხელ განუცხადებია, რომ მის კომპანიაზე „შეტევა“ პოლიტიკური ხასიათისაა და ხელისუფლების, მაგრამ არა პირადად პრეზიდენტ პუტინის, მიერ არის წამოწყებული. თავად ვლ. პუტინი, ისევე როგორც რუს მილიარდერებთან ხელისუფლების წინა კონფლიქტების დროს, აცხადებს, — აღმასრულებელ ხელისუფლებას პროკურატურის ქმედებასთან არაფერი აკავშირებსო.

***ბი-ბი-სი***

# აზერბაიჯანის ბიზნესელიტას არაფერი ემუქრება

დღეს აზერბაიჯანში არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ნავთობი და მასთან დაკავშირებული ბიზნესი ალიევების ოჯახს ეკუთვნის. სწორედ ამიტომ დანიშნა 10 წლის წინ ჰეიდარ ალიევმა თავისი ერთადერთი ვაჟი ნავთობის სახელმწიფო კომპანიის ვიცე-პრეზიდენტად. ყველაფერი მემკვიდრეს უნდა დარჩეს, დასარჩენი კი არც ისე ცოტაა. აზერბაიჯანის მდიდარ ოჯახთა ნუსხა ალიევების ოჯახით და მათი კლანით იწყება. ცხადია, თავში ჰეიდარ ალიევია, მაგრამ იმას, რაც ყველასთვის კარგადაა ცნობილი, მსოფლიო სოლიდური გამოცემების რეიტინგებიდან ვერავინ შეიტყობს. განა იმიტომ, რომ ვინმეზე ნაკლები ქონება აქვთ, არამედ იმიტომ, უფროსი ალიევი გამოცდილი პოლიტიკოსი და პროფესიონალი ჩეკისტია, იგი ასაიდუმლოებს ყველაფერს, რაც კი მის პირად საქმეებსა და ქონებას ეხება. ამიტომაც ოჯახის მილიონებზე, უფრო ზუსტად, მილიარდებზე დასავლელ ჟურნალისტებს თუ დასცდებათ რამე, ან სიტყვამრავალი ოპოზიციური პრესა გამოაქვეყნებს ინფორმაციას. მაგალითად, გაზეთი „ენი მუსავათი“ 2003 წლის 17 ოქტომბრის ნომერში, ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით, წერს, — ჰეიდარ ალიევის ქონება 24 მლრდ დოლარადაა შეფასებული, ილჰამისა — 11 მილიარდად, ჰეიდარის ქალიშვილი — სევილი კი 13 მლრდ დოლარის მფლობელია. სხვათა შორის, ლონდონში აზერბაიჯანის საელჩოს შენობა ოჯახს ეკუთვნის, იგი სახელმწიფოსთვის აქვთ მიქირავებული. შენობა ალიევის ქალიშვილის, სევილისაა, ქვეყნის ელჩი დიდ ბრიტანეთში წლების განმავლობაში მისი ქმარი — მაჰმუდ მამედყულიევი იყო. იგი რამდენიმე წლის წინ გრაფი გახდა. აზერბაიჯანის სახელმწიფო ტელევიზიამ, რომელიც ყველაფერს აჩვენებს, რაც კი არის დაკავშირებული ჰეიდარ ალიევთან და მის ნათესავებთან, გრაფის ტიტულის მინიჭების ცერემონიაც უჩვენა. როცა თითი დაუქნიეს, ასეთი არადემოკრატიული კადრები არ უნდა გაგეშვათო, ფირი სასწრაფოდ არქივში შეინახეს.

***ნიუს.რუ***

## მოკლედ

**საფრანგეთსა** და **ლიბიას** შორის მოლაპარაკება, 1989 წელს ლიბიელთა მიერ ჩამოგდებული ავიალაინერის დაღუპული მგზავრების ოჯახებისთვის დამატებითი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით, ჩაიშალა. მართალია, პრინციპული შეთანხმება ამის თაობაზე 10 სექტემბერს დაიდო, მაგრამ მასში გასაცემი თანხა მითითებული არ იყო. თანხა უნდა დაედგინათ ლიბიის საქველმოქმედო ფონდისა და დაღუპულთა ოჯახების ასოციაციის წევრებს, მაგრამ ეს არ მოხერხდა. საფრანგეთის პრეზიდენტის აზრით, პირობის შეუსრულებლობა დაძაბავს ორი ქვეყნის ურთიერთობას.

**იაპონია** მზად არის 2,7 მლნ დოლარი გადაუხადოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროიდან ჩინეთში დარჩენილი ქიმიური ნივთიერებებით მოიწამლნენ. წელს, იანჯიმაოს პროვინციაში, მშენებლებმა იპოვეს იაპონიის ჯარის მიერ დატოვებული მომწამლავი გაზის 5 ცისტერნა. ერთი მუშა დაიღუპა, 42 დაშავდა. ჩინეთმა მაშინვე მოსთხოვა იაპონიას კომპენსაცია და ქიმიური იარაღის გაუვნებლობა, რომელიც ჩინეთის ტერიტორიაზე დარჩა.

**სარაევოში** გარდაიცვალა ბოსნიელ მუსლიმანთა ყოფილი ლიდერი ალია იზეტბეგოვიჩი. იგი ფრანიო თუჯმანსა და სლობოდან მილოშევიჩთან ერთად პასუხს აგებდა 1992-95 წლებში ბოსნიის სისხლისმღვრელი ომების გაჩაღებისთვის. 1990 წელს ალია იზეტბეგოვიჩი ბოსნია-ჰერცეგოვინის პრეზიდიუმის თავმჯდომარე იყო, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო პოსტი ვადამდე 2 წლით ადრე დატოვა.

**ერაყის** მმართველი საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, მუვაფაკ რუბაიმ ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას“ ეკრანზე მსოფლიოს №1 ტერორისტის გამოჩენასთან დაკავშირებით თქვა, — ჩვენ ვთხოვთ უსამა ბინ ლადენს, თავი დაგვანებოს, ნუ ჩაერევა ერაყის საქმეებში. იგი ერაყელებს ამერიკელთა წინააღმდეგ აქეზებს. ჩვენ გვინდა, რომ ოკუპაცია რაც შეიძლება მალე დამთავრდეს, ტერორიზმისკენ მოწოდება საოკუპაციო ჯარებს აქ დარჩენის საბაბს აძლევს.

**თურქეთის** პრემიერ-მინისტრ რეჯებ ერდოგანის თქმით, — რაკი ერაყელებს არ სურთ თავიანთ ქვეყანაში უცხოელ სამხედროთა ყოფნა, თურქეთი თავს შეიკავებს თავისი ჯარის ნაწილების იქ გაგზავნაზე. რეჯებ ერდოგანის ნათქვამი ქურთთა დემოკრატიული პარტიის ლიდერმა მასუდ ბარზანიმაც მოიწონა და დასძინა, — ტყუილია, თითქოს ერაყელი ქურთები ქვეყნის ჩრდილოეთში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას აპირებენ, ჩვენ ერთიანი, ფედერაციული ერაყის მომხრეები ვართო.

**ვენესუელის** პრეზიდენტი უგო ჩავესი დაუფარავად ემუქრება ყველას, ვინც მონაწილეობას მიიღებს საპრეზიდენტო პოსტიდან მის გადაყენებასთან დაკავშირებულ რეფერენდუმში. უგო ჩავესმა საქვეყნოდ განაცხადა — ვინც ხელს მოაწერს ჩემი გადადგომის პეტიციას, სამუდამოდ შავ სიაში დარჩებაო. პრეზიდენტის გადასაყენებლად ელექტორატის 20%-ია საჭირო, ე.ი. 2,4 მლნ ადამიანის ხელმოწერა.

**თურქმენეთის** პრეზიდენტს საფარმურატ ნიაზოვს მორიგი წოდება მიანიჭეს. თურქეთის საპარლამენტო ასამბლეამ მას „უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის“ ტიტული უბოძა. ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს თურქეთის ცხოვრებაში. იგი 1976 წელს შეიქმნა და მასში ახლანდელი თუ ყოფილი პარლამენტარები არიან გაერთიანებულნი, სულ 2 700 კაცი.

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

# ელექტროენერგიის არასტაბილური მიწოდება ასეულათასობით ლარის ზარალს აყენებს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას ოქტომბერში 70 წელი შეუსრულდა. 1993 წლიდან საწარმოს მუშაობა არ შეუწყვეტია, თუმცა 90-იან წლებში, ენერგეტიკული კრიზისის პირობებში, ქარხანა მხოლოდ 20-25 პროცენტი დატვირთვით მუშაობდა. ეს საკმარისი არ იყო ქარხნის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის. ასეთ რთულ ვითარებაში ალბათ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, სოლიდური, ეკონომიკურად და ფინანსურად ძლიერი, უცხოური კომპანიის მოძიება და აქციების პირდაპირი მიყიდვა იყო. ასეთი ინვესტორი ავსტრიული DCM DECOmetal International Trading GmbH აღმოჩნდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთადერთი ქარხანაა, რომელიც ნომინალურ ანუ რეალურ ფასად გაიყიდა. აქამდე ამის პრეცედენტი არ ყოფილა. როგორც წესი, ესა თუ ის საწარმო ნომინალური ფასის 20-25 პროცენტად იყიდება.

ფეროს საქმიანობა მისი ღუმლების მდგომარეობაზეა დამოკიდებული. წარმატებული საქმიანობისთვის აუცილებელია, საამქროები უწყვეტად მუშაობდნენ, რაც დამოკიდებულია ელექტროენერგიის მუდმივად მიწოდებაზე. დღეს მწყობრში მხოლოდ ექვსი ღუმელია, თუმცა, მიუხედავად არასრული ექსპლუატაციისა, ფეროს ქარხნის შემოსავალი ყოველთვიურად 2 მილიონ დოლარს შეადგენს, ანუ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა — შეიძლება ითქვას, დამოკიდებულია ქარხნის ფუნქციონირებაზე.

გთავაზობთ ინტერვიუს ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან — ბატონ **დავით შალიკაშვილთან**:

— *რამდენად მნიშვნელოვანია ქარხნის ფუნქციონირება ქვეყნის ეკონომიკისთვის?*

— ძალზე მნიშვნელოვანია. ამ ტიპის ქარხანა დღესდღეობით ერთადერთია საქართველოში. მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ პროდუქციის 100% გადის ექსპორტზე, აქედან გამომდინარე, ქვეყანაში შემოედინება ვალუტა, რაც ხელს უწყობს ლარის სიმყარეს და ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობას. სამწუხაროდ, ქვეყნის კანონმდებლობამ ფეროს ქარხანა გააიგივა კვების მრეწველობის ტიპის მომუშავე საწარმოებთან, რაც ყოვლად დაუშვებელია. მაშინ, როდესაც საქართველოში იწარმოება ვთქვათ ლუდი, მისი მომხმარებელი არის საქართველოს მოსახლეობა. ამ დროს ფულის ერთეული ტრიალებს ქვეყანაში. ლუდი არ მიდის ექსპორტზე და აქედან გამომდინარე, ქვეყანაში არ შემოედინება მყარი ვალუტა. ეს ეხება სხვა საწარმოებსაც. ქართული პროდუქციიდან მხოლოდ ღვინო გადის ექსპორტზე, მაგრამ ისიც უმნიშვნელო რაოდენობით. ამ ფონზე ფეროს გადამამუშავებელი ქარხნის წარმოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ქარხნის ყოველთვიური შემოსავალი 2 მლნ დოლარს აღწევს. ეს თანხა ტრიალებს ქვეყნის შიგნით.

დღესდღეობით სახელმწიფოს აქვს ქარხნის ვალი, რომელიც შეადგენს 5 მილიონ დოლარს (დღგ-ს თანხა). თუ ამ თანხამ განიცადა შემდგომი ესკალაცია, ეს თავისთავად გამოიწვევს ქარხნის გაკოტრებას. შეეცადეთ წარმოიდგინოთ რა კატასტროფის ტოლფასია ეს ფაქტი ისედაც გაღატაკებული ქვეყნის ეკონომიკისთვის!

— *რა სახის პრობლემებს აწყდება ქარხანა დღეს?*

— ყველაზე დიდ პრობლემას დღეს ქარხნისათვის წარმოადგენს ელექტროენერგიის შეფერხებით მიწოდება. დენის უწყვეტი მიწოდების პირობა თავიდანვე იყო ჩადებული ავსტრიულ ფირმასთან დადებულ ხელშეკრულებაში. თუმცა დღესდღეობით ეს პუნქტი ვერ სრულდება ასი პროცენტით. ყოველი უშუქო დღე ქარხანას და აქედან გამომდინარე, ქვეყანას ასეულათასობით ლარის ზარალს აყენებს. როგორც საავადმყოფოები და ტრანსპორტი წარმოადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს და მათი ელექტროენერგიით მომარაგება პირველხარისხოვანია, ასევე ფეროს ქარხანა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის სიცოცხლისათვის აუცილებელ ობიექტს და მისი უწყვეტი დენით მომარაგება არ უნდა გახდეს სალაპარაკო თემა.

დადის ასეთი ჭორები, რომ ქარხანას არ მიეწოდება დენი ელექტროენერგიის საფასურის არგადახდის გამო. მოგახსენებთ, რომ ეს წმინდა წყლის ცილისწამებაა. ჩვენ გვაქვს ყველა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, ქარხანას არ აქვს ელექტროენერგიის დავალიანება. უფრო მეტიც, 1998 წელს ჩვენ მიერ გადახდილი თანხა შეადგენდა მთლიანად საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარებისათვის გადახდილი თანხის 28 პროცენტს! ხოლო ჩვენ მიერ მოხმარებული ელექტროენერგია შეადგენდა საქართველოში მთლიანად მოხმარებული ელექტროენერგიის 2 პროცენტს. თვითონ შეადარეთ ეს ციფრები.

— *რა როლი ეკისრება ჭიათურმანგანუმის მადანს ქარხნის წარმოების პროცესში?*

— რა თქმა უნდა უმნიშვნელოვანესი. თუ ჩვენ გარანტირებული არ ვიქნებით, რომ ჭიათურა გარკვეული რაოდენობის მადანს მოგვაწოდებს, მაშინ იძულებულნი გავხდებით მივმართოთ უცხოელ პარტნიორებს, რაც თაისთავად არამომგებიანია თავად ჭიათურისათვის. ჩვენ ჭიათურის მადნეულის სტაბილური მყიდველები ვართ, ამიტომ ფასიც სტაბილური უნდა გვქონდეს. ჩვენ რომ არა, ასევე მოუწესრიგებელი იქნებოდა მუშების სახელფასო დავალიანებები. ხელფასი მათ აქამდე 1-2 წლის დაგვიანებით ეძლეოდათ, ახლა 1 თვეც კი არ უგვიანდებათ. ძალზე მნიშვნელოვანია ზესტაფონისა და ჭიათურის, როგორც ერთი მთლიანი საწარმოო ორგანიზმის არსებობა, რათა არ დაზარალდეს თვითონ წარმოების პროცესი.

— *დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ზესტაფონის ქარხანა, ისევე როგორც ბევრი სხვა ბიზნესი, შევარდნაძის კლანს ეკუთვნის. რა კომენტარს გაუკეთებდით ამ ფაქტს?*

— უკვე დავიღალეთ იმის მტკიცებით, რომ ეს ასე არ არის. შევარდნაძეს არანაირი შეხება არ აქვს ქარხანასთან. ქარხნის მესვეურების ვინაობა აბსოლუტურად გამჭვირვალეა. ჭორი იმის შესახებ, რომ ავსტრიელების უკან შევარდნაძე დგას, სასაცილოა. DECOmetal-ი 1846 წელს დაარსდა. როგორც მოგეხსენებათ, შევარდნაძე იმ დროს ქვეყნის პრეზიდენტი არ იყო! ეს ყველაფერი კეთდება ჩვენი დისკრედიტაციის მიზნით. პრეზიდენტის რომ იყოს ქარხანა, თქვენი აზრით, ამდენი პრობლემა შეგვექმნებოდა? შევარდნაძეს ის შეხება აქვს ჩვენთან, რამდენადაც ქვეყნის პირველი პირი უნდა ეხებოდეს ქვეყანაში ასეთ მძლავრი საწარმოს მუშაობა — არმუშაობის პრობლემებს.

— *დაბოლოს, რა კეთდება ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად?*

ჩვენ მჭიდრო კავშირი გვაქვს ეკოლოგიის სამინისტროსთან და მკაცრად ვასრულებთ მათ ყველა მითითებას. ამ მხრივ ვერავინ შეგვედავება. იაპონელი სპეციალისტების მიერ დაყენებული გაზგამწმენდი მოწყობილობები ყველა საამქროში წესრიგშია და მომავალში კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

R

# „მთავარი ის კი არ არის, ვინ და როგორ მისცემს ხმას... არამედ ის, ვინ და როგორ დაითვლის ამ ხმებს“

## რას ფიქრობდა სტალინი არჩევნებზე



**არჩევითობის პრინციპი იმ შემთხვევაში კარგავს აზრს, თუ სახელმწიფოში არ მოქმედებს მტკიცე დემოკრატიული მექანიზმი საზოგადოების მხრიდან ამ არჩევნების ჩატარებისა და კონტროლირებისათვის. ამ მექანიზმის უქონლობის შემთხვევაში ხელისუფლება ყოველთვის შეეცდება თავად აკონტროლოს არჩევნები და ათასგვარი ხრიკი გამოიგონოს, რათა პოლიტიკურ ოპონენტებს არ მისცეს ხელისუფლების რომელიმე რგოლში პოზიციების გამაგრების საშუალება. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა წინა საპარლამენტო არჩევნებმა.**

**რას მისცემს ეს არჩევნები მრავალათასიან ამომრჩეველს, რომლებიც მორჩილად ელოდებიან ვინ, როდის და როგორ დაითვლის მათ ხმებს?**

**აი, ხელისუფლებას კი მისცა ძვირფასი დრო მანევრირებისთვის...**

**ხმების დათვლასთან დაკავშირებით, უპრიანი იქნება გავიხსენოთ 20-იან წლებში საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროს მდივნისა და სტალინის თანაშემწის, ბორის ბაჟანოვის მოგონება.**

1923 წლის შემოდგომისთვის კომუნისტურ პარტიაში ოპოზიცია (რატომღაც ტროცკისტულად წოდებული, ე.წ. პირველი ოპოზიცია) ჩამოყალიბდა.

ნოემბრის შუა რიცხვებში პოლიტბიურომ გადაწყვიტა გაემართა პარტიული დისკუსია და ენერგიული კამპანიის მეშვეობით გაენადგურებინა ტროცკიც და ოპოზიციაც. დაიწყო განთქმული „ცალმხრივი დისკუსია“. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა ძალას გაუკეთა მობილიზება ტროცკისა და ოპოზიციის წინააღმდეგ და პრესაში თუ გამოსვლებში (პირველად პარტორგანიზაციებში) ყველა ცოდვაში ისინი დაადანაშაულა.

თავის მხრივ, ტროცკიმ და ოპოზიციამ ცკ-ის წინააღმდეგ ბრალდებებით საფაბრიკო-საქარხნო და უმაღლესი სასწავლებლების პარტორგანიზაციების უჯრედების კრებებზე დაიწყეს გამოსვლები.

დისკუსიამ მძაფრი ხასიათი მიიღო. დაიწყო ხმების მიცემა — ცალკე ცკ-ის და ცალკე ტროცკისა და ოპოზიციის მხარდასაჭერად.

დეკემბრის შუა რიცხვებში ბაჟანოვი მორიდებით ცდილობს აცნობოს პოლიტბიუროს, რომ პარტორგანიზაციების დიდი უმრავლესობა ცკ-ის მხარეზე არ არის. ბაჟანოვი კონსტატაციას უკეთებს იმ ფაქტს, რომ თვით ცკ-ის დიდ უჯრედში უმრავლესობა ცკ-ის წინააღმდეგ აძლევს ხმას.

იგი მოსკოვის პარტკომის მდივნის ზელენსკისგან მოითხოვს ინფორმაციას კენჭისყრის შედეგების შესახებ მოსკოვის ორგანიზაციებში და... კატასტროფის ტოლფას ინფორმაციას ღებულობს — ცკ-მა დაკარგა უმრავლესობა დედაქალაქის ორგანიზაციაში, რომელიც ქვეყნის მთავარ რგოლს წარმოადგენს. მას ბაძავენ რაიონული თუ საოლქო პარტორგანიზაციები. სამეულის (კამენევი, ზინოვიევი, სტალინი) სხდომაზე ბაჟანოვმა ზელენსკის რაპორტი წარადგინა. სამეულისთვის ეს მოულოდნელი დარტყმა აღმოჩნდა. ზინოვიევი წარმოთქვამს გრძელ ტირადას — ბევრს ლაპარაკობს „ეპოქის ფილოსოფიაზე“. შემდეგ სიტყვას კამენევი იღებს, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იმას აქცევს, რომ პოლიტიკური პროცესები ქვეყანაში მხოლოდ პარტიის მეშვეობით შეიძლება იქნას გამოხატული, რომ ოპოზიცია კომუნიზმისადმი მტრულად განწყობილი კლასების — გამდიდრებული გლეხობის, კერძო მესაკუთრეების და ინტელიგენციის ძალას წარმოადგენს, და დასძენს — აუცილებელია, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის საკითხის ლენინურ გადაწყვეტას დავუბრუნდეთო(?!).

სანამ საუბარი ასეთ სიმაღლეებს ეხებოდა, სტალინი ჩუმად იჯდა და ჩიბუხს ეწეოდა. საზოგადოდ, მისი აზრი ზინოვიევს და კამენევს ნაკლებად აინტერესებდათ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ — პოლიტიკური სტრატეგიის საკითხებში სტალინის აზრი ღირებული ვერ იქნებოდა.

მაგრამ კამენევი ძალზე ტაქტიანი და ზრდილობიანი ადამიანი გახლდათ და ამიტომაც ჰკითხა: „ამხანაგო სტალინ, თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?“ „კერძოდ, რომელ საკითხზე?“ — დააზუსტა სტალინმა (მართლაც, იმ სხდომაზე ბევრი სხვა საკითხიც იხილებოდა). კამენევი შეეცადა სტალინის „დონემდე“ დასულიყო: „აი... როგორ მოვიპოვოთ უმრავლესობა პარტიაში“. „იცით, ამხანაგებო, რას ვფიქრობ ამ საკითხზე? მიმაჩნია, რომ სულაც არ არის მთავარი ის, თუ ვინ და როგორ მისცემს პარტიაში ხმას, ყველაზე მნიშვნელოვანია — ვინ და როგორ დაითვლის ამ ხმებს“, — ამბობს სტალინი.

კამენევიც კი, რომელსაც უკვე კარგად უნდა ცნობოდა სტალინი, უხერხულობისგან ახველებს.

მეორე დღეს სტალინმა კაბინეტში გამოიძახა თავისი სამდივნოს ერთ-ერთი თანამშრომელი, ნაზარეტიანი და მასთან დიდხანს თათბირობდა. ნაზარეტიანი კაბინეტიდან ძალზე აფორიაქებული გამოვიდა, მაგრამ... ის დამჯერი, კანონმორჩილი ადამიანი გახლდათ.

იმავე დღეს ორგბიუროს გადაწყვეტილებით, ნაზარეტიანი „პრავდაში“ პარტიული განყოფილების გამგედ ინიშნება. „პრავდაში“ იბეჭდება პარტიული ორგანიზაციების კრებების ოქმები და კენჭისყრის შედეგები, განსაკუთრებით, მოსკოვისა. ნაზარეტიანის სამუშაო ძალზე მარტივია: ვთქვათ, ამა და ამ პირველადი ორგანიზაციის უჯრედის კრებაზე გამართულ კენჭისყრაში ცკ-ს ხმა მისცა 300-მა ადამიანმა, წინააღმდეგი იყო — 600. ნაზარეტიანი ასწორებს: ცკ-ის მომხრე — 600, წინააღმდეგი — 300. ეს ასეც იბეჭდებოდა „პრავდაში“ და ასე ხდებოდა ყველა ორგანიზაციასთან მიმართებაში. რა თქმა უნდა, კონკრეტული პარტუჯრედი, როდესაც წაიკითხავდა თავისი ორგანიზაციის კენჭისყრის გაყალბებულ შედეგებს, მაშინვე რეკავდა „პრავდაში“, პარტიული ცხოვრების განყოფილებაში და აპროტესტებდა. ნაზარეტიანი ზრდილობიანად პასუხობდა, ჰპირდებოდა, დაუყოვნებლივ გადავამოწმებო და, გადაამოწმებდა კიდეც: — თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით, მოგვივიდა შეცდომა, ტიპოგრაფიაში აერიათ. იცით, ისინი ძალზედ გადატვირთულნი არიან, „პრავდის“ რედაქცია ბოდიშს გიხდით, ჩვენ დავბეჭდავთ შესწორებასო.

ცალ-ცალკე ყველა პარტუჯრედი ფიქრობდა, ეს ერთეული შემთხვევააო და ვერ ხვდებოდა, რომ ტოტალური გაყალბების ჯერ არნახულ და არგაგონილ მეთოდს შეეჩეხა.

თანდათან იქმნებოდა სურათი, რომ ცკ ყველა მიმართულებით იგებს, პროვინცია კი სიფრთხილეს იჩენს და მოსკოვის ანუ ცკ-ის გეზს მიჰყვება.

მაგრამ ნაზარეტიანი ძალზე აკურატული ადამიანი იყო. ის არა მარტო ასწორებდა ორგანიზაციებში კენჭისყრის რეზულტატებს, არამედ სტალინს, ვითარება რომ ობიექტურად შეეფასებინა, სისტემატურად უგზავნიდა ცნობებს, როგორც კენჭისყრის რეალურ შედეგებზე, ასევე იმის თაობაზე, თუ როგორ ასწორებდა მათ „პრავდა“. მეხლისი ამ ცნობებს სტალინს აწვდიდა. მაგრამ სტალინის სამდივნოსათვის მოულოდნელად, მათ შორის აღმოჩნდა ფარული ტროცკისტი — იუჟაკი. ცნობები ჩვეულებრივ, მეხლისის მაგიდაზე ეყარა. იუჟაკმა სასწრაფოდ ტროცკისთან აფრინა ისინი...

პოლიტბიუროს სხდომაზე ტროცკი სკანდალს აწყობს. ყველასთვის ნათელი ხდება, რომ ნაზარეტიანი სტალინის მითითებებს ასრულებს. პოლიტბიუროს წევრები და პირველ რიგში, სტალინი, „იზიარებენ“ ტროცკის სამართლიან აღშფოთებას. სტალინი პირობას დებს, რომ დაუყოვნებლივ ჩატარდება გამოძიება. გამოძიება ერთი კვირა გრძელდება, მაგრამ მის დამთავრებამდე უკვე „ყველაფერი“ დამთავრებულია. საჭირო რეზულტატი მიღწეულია. მანქანამ დაიწყო უკუსვლა. უმრავლესობა გადმოდის ცკ-ის მხარეზე. ოპოზიცია მარცხდება. სტალინი პოლიტბიუროს მოახსენებს: გამოძიებამ ნაზარეტიანის პირადი დანაშაული დაადგინაო. იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა „პრავდის“ პარტიული განყოფილებიდანაც და სტალინის სამდივნოდანაც. ნაზარეტიანი იგზავნება პროვინციაში. ის ურალის სამხარეო კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნება. ბუნებრივია, სტალინთან ის აღარასოდეს დაბრუნდება. 1937 წელს კი კანონმორჩილ ნაზარეტიანს სტალინის განკარგულებით დახვრეტენ(!)...

*სტალინს ერთი კვირა დასჭირდა გამოძიების ჩასატარებლად და გამოძიების დამთავრებამდე „ყველაფერი“ დამთავრდა. ჩვენს ცესკო-ს რამდენიმე კვირა სჭირდება ბიულეტენების გადასათვლელად და ვაითუ, მის დამთავრებამდე „მთავარი დასამთავრებელი“ ჩვენთანაც დამთავრდეს!..*

***გიორგი გოგიაშვილი***

## შეხვედრა წარსულთან

(დასაწყისი იხ. გვ. 20)

[illegible]



[illegible]

## ვანის აღმოჩენამ ქრონოლოგიური ხარვეზი შეავსო



[illegible]

[illegible] **sulxan xara-baZe** [illegible]

[illegible]

**P.S.** [illegible]

*[illegible]*




შპს „გეოკორი“ აწარმოებს **ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად**

მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118

ტ: 33-26-75; 38-24-02

ამერიკული კომპანია **“Euro Pak International Inc.”**

გთავაზობთ კომპიუტერული ტექნიკის ფართო არჩევანს მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლებისგან **IBM, DELL, COMPAQ, HP, TOSHIBA, SONY**, როგორც ახალს ასევე მეორადი მოხმარების, საცალო და საბითუმო ფასებში. ფასები სომხეთში საწყობებიდან: **Intel Pentium I 37$**-დან, **Intel Pentium II 102$**-დან, **Intel Pentium III 200$**-დან. აგრეთვე **15” და 17”** მონიტორების **45$**-დან და ნოუთბუქების **390$**-დან. სრულყოფილი საგარანტიო და სერვისული მომსახურება უზრუნველყოფილი იქნება.

ჩვენი წარმომადგენლობებია:

საქართველოში: ტელ: 22 78 59, 899 74 50 65

სომხეთში: ტელ: (3741) 52 92 30, ფაქსი: (3741) 52 92 30

E-mail: optsales@gig.am

URL: http://www.gig.am


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 25 ოქტომბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,0925 |
| ევრო | 2,4664 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,5462 |
| რუსული რუბლი | 0,0699 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,4129 |


**ასლგადამღები აპარატები**

1. იჯარა - ლიზინგი უნივერსიტეტებს, ორგანიზაციებს, ოფისებს
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი — თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით — ტექნიკური მომსახურება და სერვისი

**ქსეროასლები**

შავ-თეთრი წითელი ლურჯი 2-დან 5 თეთრამდე ტირაჟის, ფერის და ქაღალდის მიხედვით

**ფერადი ქსეროასლები** კომპიუტერიდან ბეჭდვის შესაძლებლობით

აკინძვა, ლამინირება

პლაკატების, ბუკლეტების, ეტიკეტების, ლოგოების და მოსაწვევი ბარათების **მხატვრულ-დიზაინერული და კომპიუტერული გაფორმება**

შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“ LIBCO Company LTD

თბილისი, დ. აღმაშენებლის №99/1, მოზარდ-მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქ-დან, ტელ/ფაქსი: 96-32-89

„[illegible]“ ფირმის **მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები ძალიან იაფად**

ფერები: თეთრი, წაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.

**ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია**

მის: წერეთლის 141 ა. „დიდუბის“ გვერდით

☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

**იყიდება ავტოგასამართი სადგური**



3000მ² მიწის ფართობით დავით აღმაშენებლის მე-14 კმ-ზე.

☎ 899 55 43 17, 899 17 55 30

## (ჟ1)მატიანე

# საუკუნის წინ ხუმრობდნენ

* * *

უკე ეფმფვშ-ოშშდთბ კწქუდთფს სწეფ ფკ შნწთბ ნგკე ფლდვფბ ჭფდშფტ გნმფკვფ ღუშაშ ვფ ქჩშფკგდფვ ვკწშთ პფეფკუიფყ თეგქფკთ კწქ ვფშტფრფმვფბ სფთ ვფუცუმწვფ ჩწდქუ თშჩფკგდშეყ პგდგჩმშ ქფთზშტჭუდშ ფკფაუკთ ფკფ რჭწპფმვფბ წჯწტვ ლშ თეგქკუით ლფკპფვ ვფრჩმუვკწვფყ

— იფეწტწბ დჩშტშ ვფ ვკწშთ პფეფკუიფ ლფკპშფბ — გეჩკფ უკეჩუდ ფქ ეფმფვშთმშდთ ქწგკფმქფბ — ქფპკფქ ფკს შთ შღტუიფ კწქ თმშდჭუვ ფკ შჭკგტწეწყ ეგ თმშდუით სწეფწვუტშ ქფშტს ფკფ ვფგეწმუე კფბ თგდ ღუშათშ ვფ ვკწთ პფეფკუიფთშ პფრადფტპუე ელმუტშ ღწტუიფბ თშლმვშდშთ თუქკუპ პშტუიფთ ვფპშცნუიუტწყ

— თუ ვფდწსმშდწბ — თელმფ ეგკქუ ზფთგჩფვ ქჩშფკგდქფ ეფმფვშ-თმშდქფბ — სწსჩფდშ მფკ ვფ თგდ ფკფ ქუნგკუიფ-კფჰ კწსფ ქწმლმვუიშბ კფპფთ პფმშპწტუიბ ქფპშტწტ კფქვუტშს გტვფეწ1

)შმუკშფ(ბ 3—:.ბ №..I

* * *

უკეჩუდ ქუაუ უკულდუ შშ-თ იფკჭფნჭუ კფპფს ქგცგლშ ფცგჩუივფბ მუკ უტფჩფ ვფ ქჩდუიდუიშ ვფშიფკფპ უკეშ ტფჩუებ უთ კფ ქფლმთწჰ

უკექფ თელმფ ჭშკჭშვფფწბ ქუწკუქ — ფკფბ ემფდშფწბ ქუთფქუქ — ეფპშშთ ლიშდთფ რპფმთწყ

— ფიფბ კფ პშეჩკფებ — ზიფკჭფნჭუ ვფშლკფ ჩუდშ ვფ ნგკეფტ ქშშეფტფ9 — ფლუვფტ ფლფქვშთ კწქ თცწკუ ფქიფმშ მუკ ქწპშეფტშფებ ღმუნტშთ ფქიფმშ კწპწკ გტვფ თუქფენწიშტწეწ1

)შმუკშფ(ბ №..Iბ №ჰჩ წეჩთფიფეშბ 3—№№

# ცხოვრებისეული კურიოზები

## რა არ ხდება იტალიურ ეზოში...

ჩემი მეგობარი ამირან ჯიმშელეიშვილი საავადმყოფოდან გამოეწერა, ახალმოსული იყო შინ, აივანზე იდგა და სიგარეტს აბოლებ-და (იტალიურ ეზოში ცხოვრობს). ამ დროს მისმა ახლო მეზობელმა მინდიამ თავჩაღუნულ-მა სწრაფი ნაბიჯით ჩაუქროლა ისე, რომ არც მისალმებია. ამირანმა იფიქრა, ალბათ, სასწრაფო საქმეზე მიდის სადღაც და რაზე შევაყოვნოო.

ერთი საათის შემდეგ მინდია ისევ სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა ეზოში.

— სად გარბოდი ამ დილითო? — ეკითხ-ება ამირანი.

— ე, ძმაო, შენ აქა ხარ? — მე კიდევ შენ სანახავად საავადმყოფოში ვიყავი, კიდეც არა ვთქვი, სად წავიდა-მეთქი?! — გაიკვირვა მინ-დიამ.

***ვანო გელაშვილი, თბილისი***





## ყოჩაღი ჯარისკაცი

ჩემი სოფლელი ბიჭი ზაზა ჯარიდან ჩამოვ-იდა. იმ ღამით მაგრად იქეიფეს. დილით ნაბახ-უსევზე გაიღვიძა, პირი ცივი წყლით დაიბანა და მამას გასძახა:

— პაშლი მამი, ნა ვენახო!..

მამა არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა:

— ნიეტ, სინოკ, ტამ ტალახო!..

***შალვა, თბილისი***

## მრგვალი მაგიდა

კარგა ხნის წინანდელ არჩევნებზე გიამბობთ. ხმის მიცემის დღეა და მივდივართ ყველანი საარჩევნო უბანში. მეზობელი მყავს ერთი, იეზიდი ახალგაზრდა ქალი — დიანა. მიდის ისიც. გზად მეზობელი ქალები შეხვდნენ და ურჩიეს, „მრგვალ მაგიდას“ მიეცი ხმაო.

მივიდა დიანა საარჩევნო უბანში. შეაღო კარი, შეიხედა... მაგიდასთან სხედან კომისიის წევრები და ფუსფუსებენ. ახლა მეორე ოთახის კარი შეაღო, იქაც იგივე სიტუაციაა, მესამე ოთახშიც ფუსფუსია. გაოცებულია დიანა, — ვა, სად წავიდა? მეორედაც რომ შემოიარა ყველა ოთახი და მაგიდა და მესამე „წრეზეც“ რომ დააპირა წასვლა, კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ჰკითხა, — რას ეძებთ, ქალბა-ტონო?



— რგვალი მაგიდა უნდა რა!.. — უპასუხა დიანამ.

— მობრძანდით, აქ არისო.

— მე, აქ რგვალი მაგიდას ვერა ვხედამ, სულ ოთხკუთხედებია!..

იქ ამბავი ატყდა, მგონი სიცილ-ისგან მაგიდებს კუთხეები ჩამოაჭრეს.

***გი-ბრო, გლდანი***

## მაინც არ ახცდა...

ქუთაისელ ავტოინსპექტორს, ჯანო გეგელიას დიდი და პატარა იცნობდა, როგორც შოფრების „სისხლისმსმელს“.

არც ნაცნობი იცოდა და არც ნათესავი, ყველას ერთნაირადართმევდა ფულსა და უმწარებდა სიცოცხლეს. ბოროტი ენები იმასაც ამბობდნენ, რომ ჯანოს, რომელიღაც მძღოლისათვის (მეტი რომ არ ჰქონდა), ორმოცდაათთეთრიანიც გამოურთმევიაო.

ამიტომ იყო მთელი „სამძღოლეთი“ რომ აგინებდა და დაერქვა ასე „დედანაგინე-ბი“... მოკლედ, შერჩა ეს „კლიჩკა“ და მისი ნამდვილი სახელი და გვარი დაავიწყდათ კიდეც.

ერთხელაც, ჯანო სამსახურში წასასვლელად ემზადება. დედა ეზოში ჩამოჰყვა:

— ჯანო, შვილო, დღეს მაინც ნურავის შეაგინებინებ ჩემს თავს, რაცხა გლახა სიზმარი ვნახე და არ ამიხდეს...

— რა უნდა აგიხდეს, ქალო! — გადაირია ჯანო და მოტოციკლს მოაფრინდა.

— გამარჯობათ, — თავაზიანად მიესალმა პირველივე წეს-რიგის დამრღვევ მძღოლს, რომელმაც გაოცებისა-გან ორჯერ ზედიზედ დააცემინა. მერე კი ჯიბისკენ წაიღო ხელი.



— არაა საჭირო, რის საბუთები, რის ფული. წადი, თავისუფალი ხარ... კეთილ მგზავრობას გისურვებ! — სულ დადნა ჯანო.

— ფული? — ისევ გაიქაჩა მძღო-ლი.

— ფული არაა მთავარი!

— შენ აგაშენა ღმერთმა. ინსპექ-ტორი კი არა, ბაჯაღლო ოქრო ყო-ფილხარ... ნამდვილი კაცური კაცი... აბა ჯანო გეგელიაა კაცი? იმისი დედა, იმისი!..

***მურმან მერკვილიშვილი, თბილისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტები



ჭიჭიკია გააჩერა ავტოინსპექტორმა.

— მანქანის ტარება არ იცი, მოწმობა უნდა ჩამოგ-ართვაო.

— მაშინ წამოი ჩემთან სახლში, წეილე პიანინო — დაკვრა მაინც არ ვიცი, წეილე უთო — არც უთოობა ვიცი, წეილე სარეცხი მანქანა — არც რეცხვა ვიცი... რა შობი, მოდიხარ?

ინსპექტორმა ცივად დაუბრუნა მოწ-მობა — მანქანის ტარება ცოტა მაინც იციო.

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***



სვანი რუსეთშია სამუშაოდ. შინ ფეხმძიმე ცოლი დატოვა. ურეკავენ და ეუბნებიან, გოგო გეყოლაო. მერე კი ეკითხებიან, როდის ჩამოხვა-ლო?

სვანი პასუხობს:

— ბიჭი რომ მეყოლება, მაშინ!..

***ნინიკო, თბილისი***



სვანმა ზარი გაუშვა ნომერზე „სექსი ტელეფონით“, — იქნებ გადმომირეკონო.

***ზაზა ჩიქოვანი, აბაშის რაიონ-ნი, სოფელი ნაესაკოვო***



სვანი ეკითხება უცნობს:

— მითხარი ერთი, რომელი საათია?

— თორმეტის ნახევარია!

— აუ, უკვე ექვსი საათია?!

***თემურ ტუღუში, ლანჩხუთი***

## მილოცვა



**თამუნა კაციაშვილს!**

ვულოცავთ 14 წლის იუბილეს! ვუსურვებთ ლამაზსა და კეთილ მომავალს თავის მეგობრებსა და ახლობლებთან ერთად. ასრულებოდეს ყველა სურვილი, რაც კი გულში აქვს. თამუნა! გისურვებთ დიდ წარმატებებს!

*თემურ კაციაშვილი, ნინო წითურაული*

## მადლობა

ულრმეს მადლობას ვუხდით მშვენიერ ქალბატონებს – შპს „ჯეოსელის" საბონენტო განყოფილების მენეჯერს **მარიკა ლორიას**, საბურთალოს სერვისცენტრის თანამშრომლებს – **ეკა ფაჯიშვილს** და **ირინა ჩარკვიანს** გამოჩენილი კეთილი ნებისა და გულისხმიერებისთვის.

*პატივისცემით, ვაჟა გოჩაშვილი*

## ბინები

სასწრაფოდ! იყიდება 40 კვმ მიწის ნაკვეთი, პროექტით და მშენებლობის ნებართვით, დიღმის მასივის მე-5 კვარტალში, ხევანთან, გზის პირას. ტ: 899-94-11-94

იყიდება საგურამოდან 1 კმ-ში ახალაშენებული ევროდიზაინის სახლი (ს/ფართი – 350კვმ), შიდატერასული 4 სართულით, 4 საძინებლით, თითოეული თავისი აბაზანა-ტუალეტით, ეზო 1200კვმ, კაპიტალური შემოღობვით, დეკორატიული ბაღით, მუდმივი დენით, ცივი და ცხელი წყლით, ბ/აირით, შიდა აუზით. ტ: 899 94-11-94

იყიდება წავკისში შესანიშნავი, არქიტექტურული წესის დაცვით ნაგები სახლი დიდი ეზოთი, საუკეთესო ადგილას. ტელ: 22-66-96

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 37-86-15; 893 33-18-86

18-დან 25 წლამდე გოგონებს გთავაზობთ სამუშაოს და სწავლას გერმანიაში, ოჯახებში, აუ-პაირის პროგრამით, 1-წლიანი ოფიციალური ხელშეკრულებით. ბინა, კვება, დაზღვევა უფასოა. ანაზღაურება – 205 ევრო. პროგრამა ყველასთვის ხელმისაწვდომია. იჩქარეთ! გვყავს გერმანული ოჯახები. მის: შარტავას №7 (შრომის სასახლე), მე-15 სართ, ოთახი №1505. ტელ: 590-590; 38-08-78; 38-76-52

კომპანიას ოფისში სათანამშრომლოდ ესაჭიროება უმაღლესი განათლების, რუსულის მცოდნე ადამიანები. სამუშაო კონტრაქტითაა, ანაზღაურება – მაღალი, მზარდი – $100-200. საუკეთესო თანამშრომლებს ფირმა საშუალებას აძლევს გაემგზავრონ და ითანამშრომლონ სხვადასხვა ქვეყანასთან. მიმდინარეობს შერჩევა. ტელ: 93-38-46; 893 94-61-17. მარიამი

გვჭირდება კომპიუტერის მცოდნე გამოცდილი პროვიზორი. ტელ: 98-88-82

## ვეძებ სამუშაოს

გამოცდილი ბუღალტერი, საერთაშორისო ბუღალტერიის, კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების (ორის-ბუღალტერია, ინფობუღალტერი) მცოდნე. ვიმუშავებ ბუღალტრად (შეიძლება შეთავსებაც). მაქვს ჩემი კომპიუტერი საბუღალტრო პროგრამით. ტელ: 899 78-24-96

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია: 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, IX კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები"! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: გაგარინის ქ. №10, მე-2 სად, ბინა №17. ტელ: 38-77-58; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველივე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

„ახალგაზრდა დამცველთა ასოციაცია" გთავაზობთ: 1. უფასო იურიდიულ კონსულტაციებს; 2. ყველა სახის ფირმის რეგისტრაციას; 3. წარმომადგენლობას ყველა ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო დავის საქმეებზე; თქვენი ინტერესების დაცვას; 4. საადვოკატო მომსახურებას სისხლის სამართლის საქმეებზე. მის: მარჯანიშვილის ქ. №5. მე-2 სართ. ოთახი №11. ტელ: 91-11-94; 899 10-93-97 ; 893 34-31-33; 893 21-42-64

## მკურნალობა

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოღის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

პირველად საქართველოში! გთავაზობთ მკურნალობას აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით: დეპრესია, უძილობა, ნევროზი, კლიმაქსი, ჰიპერტონია, ინსულტი, სახსრები, ვარიკოზი, სისხლძარღვთა შევიწროება, შიშები, აგრესია, აკვიატება, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, სქესობრივი პრობლემები, კანის დაავადებები, ჰაიმორიტი, ბრონქიტი. ტელ. 99-75-90; 899 22-63-90

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, საშწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. მკურნალობა გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 20-19-66

მაქსიმალურად გარანტირებული უსწრაფესი შედეგებით!!! ვმკურნალობ ნერვის ანთებას, რადიკულიტს, პლექსიტს, ოსტეოქონდროზს, დისკოზს (დისკის ამოვარდნა), მარილების დაგროვებას, პოდაგრას, რევმატიზმს, კუნთებისა და მყესების ტკივილს, ხელ-ფეხის დაბუჟებას. გასინჯვა-კონსულტაციები უფასოა. მიღება – წინასწარი ჩაწერით. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან", ც. დადიანის №87), კაბ. №11, 11-15 სთ. ტ: 61-02-97; 39-39-97; 899 57-16-99. ექიმი ალექსიშვილი

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით ლიცენზირებულ სამედიცინო ცენტრში, მაღალი შედეგებით. მის. ვაჟა-ფშაველას 16, მე-13 სართ (ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღვანელი ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-15 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

ქართული ფლორის მცენარეებით და აპითერაპიის პროდუქტებით გთავაზობთ მთლიანი ორგანიზმის კომპლექსურ მკურნალობას. აქვე ტარდება მთლიანი ორგანიზმის უზუსტესი კომპიუტერული დიაგნოსტიკა. მიღება წინასწარი ჩაწერით. მის: ალმაშენებლის №109 (ეზოში, მარცხნივ, ნაცრისფერგისოსებიანი ოფისი), I სართ. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტელ: 94-19-84; 96-35-92 (სამს); 899-74-23-69

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, კიფოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, უძილობა, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. მის: მ. „გურამიშვილი", ძმები გრიშაშვილების №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დავი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

შეგასწავლით ბუღალტრულ აღრიცხვას საერთაშორისო სტანდარტებით. საგადასახადო და სამეწარმეო კანონმდებლობას. კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამებს „ორის ბუღალტერია", „ინფო ბუღალტერი", კურსდამთავრებულებს ერთი წლის მანძილზე გაეწევათ პრაქტიკული დახმარება. ფასი ჯგუფში 70 დოლარი. ინდივიდუალურად – $250. ტ: 33-30-88; 899 78-24-96

კოსმეტიკის შესწავლა, დაჩქარებული მეთოდით. შეისწავლება: სახის კანის დეფექტები, გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, ნიღბები, კრემები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), რძეები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. ვინც ჩაეწერება 1-ელ ნოემბრამდე, გადასახადი შეუმცირდება 30%-ით. მის: ნაძალადევი, დადიანის 26 (მ. „ვაგზლის მოედანი"). ტ. 66-53-56, 69-09-19; 893 33-09-66

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

მაღალკვალიფიციური ლექტორი მოამზადებს ინგლისურში აბიტურიენტებს, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61; 899 53-10-08

გამოცდილი სპეციალისტი, მეცნიერებათა კანდიდატი, აბიტურიენტებს მოამზადებს ისტორიაში შეღავათიანი პირობებით. ტელ. 22-78-56

ვარ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ტელ: 39-43-55; 39-54-45

სიახლე!!! გაიხსნა კომპიუტერის შეკეთებისა და მოდერნიზაციის სპეციალიზებული 3-თვიანი კურსი, რომლის დამთავრების შემდეგ გენიჭებათ სისტემატური ადმინისტრატორის კვალიფიკაცია („სისტემშიკი"), სათანადო ლიცენზირებული სერტიფიკატით (განათლების სამინისტროს). მიმდინარეობს ჯგუფების შერჩევა. ტელ: 893 230-240; 76-40-69; 766-025

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი", 12-16 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

ძველ ლეიბებს, საბნებს, მაკულატურის სახით. 50 კგ-ზე მეტის შემთხვევაში მოგემსახურებით ჩვენი ტრანსპორტით. ტელ: 893 20-81-01; 33-40-48

## იყიდება

ხეხილის ნამყენი ნერგები, უწამლო ვაზები, ვარდები, კვიპაროსი, კედარი, ფიჭვი, ცაცხვი, ტირიფი, ტუია, ლუგუსტრუმი, იუკა, როზმარინი, იასამანი. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი. მის: სანერგეს მეურნეობის დასახლება (თბილისის ზღვასთან). ტელ: 69-97-05; 899 16-93-15

სასწრაფოდ! ნამდვილი „დუბლიონკა", კაპიუშონით, ღია კრემისფერი, 44-46 ზომა, 166 მ სიმაღლის ქალისთვის. ტელ: 37-48-14 (საღამოს)

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19სთ); 93-46-74 (20სთ-ის შემდეგ); 899-27-38-99

## სხვადასხვა

მშობელთა საყურადღებოდ! ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრმა „ცისარტყელამ" განაახლა მუშაობა და გთავაზობთ ნებისმიერი სადღესასწაულო ზეიმის უზრუნველყოფას თქვენთვის და თქვენი პატარებისთვის. უფროსებს აქ ელის კომფორტი, ხარისხი, გემოვნება... ბავშვების ბედნიერ განწყობას კი უზრუნველყოფს თოჯინების თეატრი, მხიარული ჯამბაზები, კარაოკე და რა თქმა უნდა, ინტერიერი – 21-ე საუკუნის ორიგინალური დიზაინით. ჩვენი ახალი მისამართია: კოსტავას ქ. №75. ტელ: 37-26-83

საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარის შ. მალაშხიას საქმიანობა ჩვენთვის ზნეობრივად მიუღებელია. 1999 წლის ნოემბრიდან ფაქტობრივად გავწყვიტეთ მასთან კავშირი. ამჯერად ოფიციალურად ვემიჯნებით ზემოთ აღნიშნულ პარტიას.

*ლ. კუხალეიშვილი, მ. სოხაძე, ბ. ბერულავა... სულ 346 ხელმოწერა*


# რათა ცხოვრება სიხარულად გექცეთ ! ! !

პირველი ხარისხის სიმსუქნე იწვევს შურს, მეორე – ღიმილს, მესამე– დაცინვას, ხოლო მეოთხე – სინანულს. მსუქანი ადამიანები ყველგან არიან, მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ სრულ და მითუმეტეს მსუქან ხალხს



საკმაოდ მძიმე ყოფა აქვთ, როგორც პირდაპირი ასევე, გადატანითი მნიშვნელობით. ჭარბი წონა ხომ მრავალი დაავადების საწინდარია.

ვინაიდან ჭარბი წონის წარმოქმნის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არასწორი კვება, ამიტომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კალორიების შემცირება.

ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ გასახდომად არ არის საკმარისი მხოლოდ საკვებით მიღებული ენერგიის შემცირება, არამედ საჭიროა მისი ხარჯვის ზრდა – ანუ ფიზიკური დატვირთვა. «ყველაზე მარტივი და ეფექტური ფორმა კი გახლავთ ჩვენი დროის სიახლე – გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **Abtronic Pro.**

**Abtronic Pro** საქართველოში სიახლეა, ევროპასა და ამერიკაში კი სრული ბუმია. ბუმია ქამარზე, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანების ცხოვრების მეგზურად იქცა.

აბტრონიკის უამრავი ღირსებებიდან გაგაცნობთ სულ რამდენიმეს:



- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.

ძვირად ღირებულ დარბაზებში სიარული მიუწვდომელია თქვენთვის? – მოირგეთ
არა გაქვთ დრო ვარჯიშისათვის? – მოირგეთ
გეზარებათ ვარჯიში? – მოირგეთ

**Abtronic Pro!**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან დაგვიკვეთეთ ინტერნეტ მაღაზიაში: **www.shopge.com.**

ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.




### ოლეგ ქორაიას მონატრება



ძმაო ოლეგ, 15 ოქტომბერს ერთი წელი სრულდება, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ.

თურმე არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი. ნეტავ იცოდე, როგორ ძალიან გვენატრები. რა ხანმოკლე ყოფილა ეს წუთისოფელი შენთვის. ამ მოკლე დროში რამდენი სიკეთე, სიყვარული და კაცობა დათესე ირგვლივ. 24 ოქტომბერს 47 წელი შეგისრულდებოდა. გილოცავთ შეუსრულებელ დაბადების დღეს. უშენობა უსაშველო ტკივილია. ვნატრობ იმ ბედნიერ დღეებს, როდესაც ერთად ვიზრდებოდით. ყოველი დღის გათენება უშენოდ, ახალი სიკვდილის ტოლფასია.

დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი და ქეთო, სიძე რამინი, დისშვილები მალხაზი და ელისო*

### თამრიკო გოჯიაშვილის ხსოვნას!



თამრო, მესამედ მოვიდა შემოდგომა უშენოდ და შენი დაბადების დღე. 25 ოქტომბერს 33-ე წელს შენს მარადიულ სასუფეველში მოგილოცავთ და ქვაზე გაცოცხლებულ შენს თვალებს მოვეფერებით.

გვაკლიხარ, თამრიკო და ტკივილამდე გვენატრები. მადლობა იმ დიდი სიყვარულისთვის, რომელიც შენი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მოგვანიჭე. შენ უკვდავი ხარ ჩვენთვის, მხოლოდ ღმერთმა ინება შენი ლამაზი სპეტაკი სულის ხილვა ზეციურ სასუფეველში. გწამდეს, თამრიკო, შენი საფლავი ჩვენი გულია.

*შენი ნაზი, ქრისტინა და ნინო*

### ვატო ჩიხრაძის მონატრება



ჩვენო საყვარელო ვატუკა! თვალცრემლიანნი, უზომო ტკივილით სავსენი პირველად შევხვდით შენს დაბადების დღეს. ძალიან ძნელი ყოფილა საყვარელი ადამიანის გარეშე მისი დაბადების დღის აღნიშვნა. ახლა თბილისში [illegible]

[illegible]

*[illegible] და შენი გოგონები*

### ნანა მუშურდიანი-მაზანაშვილის ხსოვნას!



ჩემო ნანა, [illegible] — 29 ოქტომბერს. [illegible]

[illegible] ბადების დღეს უშენოდ, ტკივილითა და მწუხარებით აღვნიშნავთ. ამოვალთ საფლავზე და ლამაზ ყვავილებს მოგიტანთ, მოვლენ შენი ობოლი შვილები — ლაშა და გიორგი — შენი ტყუპი ბიჭი, ნანატრი ქალიშვილი — ლენიკო, შენეული სიმშვენე რომ დაჰყვება თან.

რა ძნელია, ნანა, უშენობა, რა ძნელია შენი შვილებისათვის უდედობა, თანაც ისეთი, თვალწინ რომ მოუკლეს მხეცურად ყაჩაღებმა და მკვლელებმა შვილებსა და მეუღლეს შენი თავი. ჯერ სიკვდილი, ჩემო ნანა და შემდეგ — ასეთი... გაუსაძლისი ტკივილია ჩვენთვის უშენობა, ყაჩაღებმა და მკვლელებმა გამოგასალმეს სიცოცხლეს და ჩვენ კი გაგვიმწარეს სიცოცხლე. უშენობა გვტკივა, ჩემო ნანა. გაუსაძლისია ეს ტკივილი, ისე კი, მიდის ცხოვრება თავისი გზით...

ვიდრე პირში სული მიდგას, ჩვენს შვილებს, ჩემო ნანა, არაფერი მოაკლდებათ. განა საკმარისი არ არის ის, რომ შენ აღარ ჰყავხარ შენს შვილებს? ჩვენ ყველანი ღმერთს ვთხოვთ, შენი შვილები კარგები, კეთილები გაიზარდონ. საამისოდ ყველაფერს ვაკეთებთ. ჩემს გულში, ჩემო ნანა, შენს სახელს დავიწყება არ უწერია — არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი. დამიტოვე უდიდესი სევდა და პასუხისმგებლობა შვილების წინაშე. გპირდები, პირნათელი ვიქნები შენით დალოცვილ ბავშვებთან. მჯერა, ჩემი მონატრება და სიყვარული, შენს სახელზე დანთებული ყოველი სანთელი გზას გაგინათებს სასუფეველში; მჯერა, შენი ლამაზი სული, უდროოდ წასული ამქვეყნიდან, მარადიული და უკვდავი იქნება.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩემო ნანა!

*შენით დამწუხრებული მეუღლე გიორგი მაზანაშვილი*

### ლუდუკი ჟვანიას გახსენება



40 ტკივილიანი დღე გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი, ბაბუ! ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები. ალალმართალი იყავი, თბილი, კეთილი... დააკლდა ოჯახს შენი გამრჯე მარჯვენა.

ჩვენ ყოველთვის ვილოცებთ შენი ლამაზი სულისათვის.

*შვილიშვილები*

### ნინა ალექსანდრეს ასული ქიზიყურაშვილის ხსოვნას!



ჩვენო უსაყვარლესო, ლამაზო, სულით და ხორცით საყვარელო დედა და ბებია! უკვე 40 დღე გავიდა. სულ თვალწინ გვიდგას შენი თვალები, როგორ გვეხვეწებოდი, — სიკვდილი არ მინდა, მინდა, თქვენ გიყუროთო. ყველაფერი ვიღონეთ, რომ გაგვეხანგრძლივებინა შენთვის სიცოცხლე, მაგრამ მეტი ველარ შევძელით. ყველას ბოდიშს რომ გვიხდიდი, — გაგაწვალეთო, ყველას დალოცვაში იყავი. შენს მონატრებაში უნდა გავლიოთ დარჩენილი წუთისოფელი. ძალიან გვაკლიხარ და უსაზღვროდ გვენატრები. შენი საყვარელი პატარა ვახტანგი (ვატო) დადის და გეძებს, — გაალვიძეთ ნინა ბებო, მენატრებაო.

შენი სიკეთე, სისპეტაკე, სათნოება მისაბაძი იქნება ყველა ჩვენთაგანისათვის. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი ლამაზი სულისათვის, რათა ნათელი გედგას სამუდამო სასუფეველში.

*ამალია, ვახუშტი, ნინო, ნიკოლოზი, ნანა, სოფიო, პატარა ვახტანგი (ვატო) ქიზიყურაშვილები*

### თეიმურაზ ხუნწკაის ხსოვნას!



ჩვენო თემიკო, ჩვენო საყვარელო და საამაყო ვაჟკაცო! ორმოცი სევდისა და მონატრების დღე გავიდა, რაც ჩაქრა შენი ლამაზი სიცოცხლე. მძიმეა უშენობა. ახლაც არ გვჯერა, რომ აღარასოდეს შემოიტან ჩვენს ოჯახში სიცოცხლეს და სიხარულს. შენი სიცოცხლე გრძელდება შენს ნანატრ გოგონაში. მარიამი ყველგან დაგეძებს და ეფერება შენს სურათებს. მუდამ ვილოცებთ, რომ შენი სული ღვთის სასუფეველში იმყოფებოდეს.

*შენი ოჯახი*

### ჯულხა ქილაძის გახსენება



ჯულხა, ძალიან მენატრები, რადგან ვერავინ და ვერაფერი ავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც უშენობითაა გამოწვეული. გაუსაძლისია სიმარტოვის ის გზა, რომელზეც შენ გარეშე აღმოვჩნდი. ძალიან მიჭირს უშენოდ, შენ ხომ ჩემთვის დიდი მეგობარი იყავი, ჩვენი მცირე ცხოვრების მანძილზე, ნათელში იყავი, ჩემო ჯულხა. მიყვარხარ, მაკლიხარ და მენატრები.

*შენი დალი (დალალე)*

### თამაზ რუხაიას მოსაგონარი



ადამიანს, როცა ბედნიერი ხარ, არ გჯერა, რომ ეს ყველაფერი ოდესღაც დაინგრევა. ცხოვრება ხომ მოულოდნელობებითაა აღსავსე. შეუძლია ისეთი მოუშუშებელი იარა დაგიტოვოს გულში, რომ სიცოცხლის ხალისი დაგიკარგოს. ან კი როგორ უნდა გაუძლო ადამიანმა უსაყვარლესი ძმის არყოფნის ტკივილით გამოწვეულ ელდას და უსაზღვროდ გაწელილ სიცარიელეს?! საქართველოს ცაზე დატრიალებულმა ჯოჯოხეთის წისქვილის ბორბალმა იმსხვერპლა შენი ლამაზი სიცოცხლე, 1994 წლის 23 აპრილს. სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ვაჟკაცი ოზურგეთში არ დაგინდო გარეწრის ტყვიამ. ვაი, ჩვენ! ვაი, შენს დედას, თამაზ! ქვეყნად იმაზე საშინელი არაფერი ყოფილა, როცა დედას შვილი უკვდება. ალბათ, როგორც გამორჩეული, ღმერთსაც შეენანეთ ამ დამძიმებულ კაცთა სამყოფლისთვის და თავისთან მიგიხმოთ. შენი ამ ქვეყნიდან გასვლა უფლის კიდევ ერთი საოცრებაა, თორემ ტყვია როგორ მოგერია თამაზ?! ვაი, რა მოუნელებელი ხარ, მოურჩენელი, ამოუხსნელი, ამოუთქმელი, ზაფრადამცემი. ძნელია ჩვენთვის უშენობის სუსხი და მონატრების ატირებული ფიქრი. არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი. ოდნავადაც ვერ შეასუსტა მან შენი უდროო წასვლით მიყენებული ტკივილი. მუდამ ღიმილიანო, სიყვარულით და სათნოებით გულანთებულო, სულიერად და გარეგნულად ლამაზო ძმაო, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, შენ ყოველთვის ჩვენთან იქნები. შენი ლამაზი ცხოვრებით ცხოვრობ და იცხოვრებ, მანამ, სანამ ვიცხოვრებთ ჩვენ. შენი უიმედოდ მომლოდინე დამწუხრებული დედ-მამა, რომლებსაც განაჩენი პირველად შენ გამოუტანე, უღელჩატეხილი შენი მეუღლე და ძმა, სიძე და რძალი, დისშვილები, ძმისშვილები, მეგობრები და ნათესავები სუფრაზე დალოცვის ნაცვლად, მიწისქვეშეთში გილოცავთ დაბადების დღეს — 25 ოქტომბერს. ჩვენ ორივე — შენი და-ძმა ფრთებჩამოტეხილი დაგვტოვე. ოხ, რა ძნელია შენი მონატრების მოთმენა! ოხ, როგორ გვინდა და გვენატრება შენი გულში ჩაკვრა, ჩვენო ჭირისა და ლხინის გამზიარებელო, მუდამ კეთილად მოსაგონარო, საფიცარო ძმაო თამაზ!

ღმერთო, შენ შეეწიე ჩვენს ძმას, შენ იყავი მისი მფარველი, შენ დაუმკვიდრე სამუდამო სასუფეველი.

*მარად მწუხარე შენი და-ძმა — ლარისა და ოთარ (კიკო) რუხაიები*

### მიხეილ და მარგარიტა ციხელაშვილების გახსენება



ჩვენო ძვირფასებო! 14 წლის უნახავები შეხვდით ერთმანეთს და დაიმკვიდრეთ სამუდამო სასუფეველი. ყველას გვიკვირს, ან როგორ გაძელით ამდენ ხანს ურთმანეთოდ?! ჩვენ ხომ თქვენი ურთიერთობის საფუძველზე გავიზარდეთ. თქვენ გვასწავლეთ სიყვარული და ურთიერთპატივისცემა. ახლა ალბათ ბედნიერები ხართ ისევ, ახალი თანაცხოვრებით. ყველას ძალიან გვიყვარხართ, გვახსოვხართ და გვენატრებით. მსუბუქი იყოს თქვენს გულზე დაყრილი მიწა.

*თქვენი შვილები და შვილიშვილები*

### ელდარ ასკილეისკირის მონატრება



ჩვენო საფიცარო და ერთადერთო ელდარ! გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ საუკეთესოს, რაც კი იმ ქვეყნად არსებობს. დღეს 22 წლის გახდი. მეორედ ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. ოცი წლის იუბილეზე როგორი ბედნიერები ვიყავით, მთელი შენი სამეგობრო შენთან იყო, შენს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა... მაგრამ მოკლე დროში უეცრად შეიცვალა ჩვენი ბედნიერება, ტრაგიკულმა შემთხვევამ წამში გამოგვაცალა შენი თავი. დღესაც ყველასთვის თავზარდამცემია იმ საშინელი დღის მოგონება, როცა ქალაქში ხმა დაირხა, ელდარი აღარ არისო. როგორ იბრძოდნენ შენს გადასარჩენად, მაგრამ უშედეგოდ. უფალმა არ ინება შენი ამ ცოდვილ მიწაზე დატოვება და თავისთან დაგიდო ბინა...

შენი მეგობრები დღემდე ვერ აცნობიერებენ უშენობას, მოდიან შენს საფლავთან და როგორც სიცოცხლეში, ისე გესაუბრებიან, გეხუმრებიან, ხან იცინიან, ხან კი ტირიან და თვალცრემლიანები გინთებენ სანთელს. უფალს ავედრებენ შენს სულს. ელდარ, შვილო, ჩვენგან ლოცვავედრება არ მოგაკლდება, არ შეიძლება, რომ შენნაირი ახალგაზრდები უკვალოდ გაქრნენ. უფალმა ნათელში ამყოფოს შენი უმანკო სული.

*შენი მშობლები, დაიკო და ბებია*

### სოსო (ბორის) ბენდელიანის ხსოვნას!



დაბადების დღეს გილოცავთ, სოსო. პირველად მოვიდა 26 ოქტომბერი უშენოდ. გაუსაძლისია ჩვენი ყოფა, ვერ გავითავისეთ, ვერ შევეგუეთ, რომ გვერდით არ გვყავხარ.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი გარდაცვალება... უთქმელად წახვედი 7 ოქტომბერს, ცხოვრებაზე გულნატკენი და გულდაწყვეტილი.

მარადიული ცრემლი გაგვიჩინე თვალებში, დაგვიტოვე უდიდესი სევდა. ყველას უზომოდ დასწყვიტე გული, რადგან არავის ახსოვს შენი უხეში საქციელი ან სიტყვა — სათნო, ზრდილი და გულისხმიერი იყავი.

უსაშველო ტკივილს გვაყენებს შენი ხელნაწერები, რატომ ფიქრობდი ასე ნაადრევად სიკვდილზე, რა წინათგრძნობა გქონდა?!

„ვტოვებთ ქვეყანას — ღირსეულს, უღირსეულს,
ყველას თავის გზა აქვს, წავედი უსიტყვოდ
რას იზამ, ვერ შევძელ — ვიყავი უნიჭო".

ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ, სოსო, ჩვენო მოურჩენელო დარდო და ტკივილო. დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი ოჯახი და ახლობლები*

### ჯემალ ლაზაშვილის გახსენება



ბატონო ჯემალ, ჩვენ, ვინც ახლოს გიცნობდით, ვისაც თქვენი თანადგომა გვიგრძნია, ვისაც თქვენი უპრეტენზიო, თავმდაბალი, შორსმჭვრეტელი ცხოვრებისთვის თვალი უდევნებია, განსაკუთრებულ დანაკლისს განვიცდით. საოცრად აკლიხართ კაჭრეთსა და კაჭრეთელებს — არა მარტო როგორც კარგი მეგობარი, კარგი მამა და მეოჯახე, კარგი მამულიშვილი და თანასოფლელი, არამედ როგორც მფარველი და ჭირსა და ლხინში ერთგული თანამდგომი.

ბატონო ჯემალ! საზოგადოებრივი მოსამართლის ტიტული რომ ყოფილიყო, თქვენ უყოყმანოდ მოგაკუთვნებდნენ, იმდენად აწონასწორებდით სიტუაციას ავსა და კარგს შორის, მართალსა და მტყუანს შორის. სწორედ ამ არჩევნების წინ იყო საჭირო თქვენი გამჭრიახი ჭკუა, გონება და საოცარი ალღო. როგორ გეხერხებოდათ შუამდგომლობა დაპირისპირებულ ადამიანებს შორის და როგორი უხილავი, დიდი ძალა გაგაჩნდათ სიტუაციების გაკონტროლებისა, მაგრამ საწუთრომ დანდობა არ იცის. თქვენ ჩვენთან უკვე ერთი წელია, აღარა ხართ. როგორც თქვენს წვლილს ეკუთვნოდა, კაჭრეთელები ისე ვერ გამოგეთხოვეთ, მაგრამ გული ნუ დაგწყდებათ — ამ დღეებში კაჭრეთში, საუკუნის შემდეგ პირველი წირვალოცვა ჩატარდება; თქვენი პიროვნების თაყვანისმცემლები ვთხოვთ მოძღვარს, ბარძიმზე მოგიხსენიოთ სხვა ღვაწლმოსილ კაჭრეთელებთან ერთად.

ღმერთმა ნათელში გამყოფოთ და თქვენი დანატოვარი ლამაზი ოჯახი დიდხანს გიცოცხლოთ.

*კაჭრეთის ინტელიგენცია*

### თემურ ჩაგელიშვილის მონატრება



ორი წელი შესრულდა ჩვენი განშორების შემდეგ, ნატვრად ქცეულო, ძვირფასო თემო! ორი ტკივილიანი წელია შენი იმიერში გადასახლებისა, სადაც შენს ძმებთან — შოთასთან და თამაზთან, რძალთან — ლამარასთან და საყვარელ სიძესთან — ცაცოსთან დაიდე ბინა.

საშინელი და გაუსაძლისია უშენოდ ყოფნა. ყველაფერმა აზრი დაკარგა ჩემთვის, ვერ ვუშველე ამ ტკივილიან მონატრებას. ვაი, რომ ცრემლების, სანთლების, ლოცვისა და ყვავილების გარდა ვერაფერს გიძღვნი.

თემო! შენ სიკეთით და სიყვარულით გამორჩეული კაცი იყავი და იმედი მაქვს, იმ საუფლოსაც დაამშვენებ, სადაც წახვედი.

ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული უფალმა.

*შენი მოსიყვარულე მეუღლე ლეილა*

### გოგუცა ფოჩხუა-გახოკიას გახსენება



ჩვენო საყვარელო, დედასავით მოამაგე დაო და დეიდავ! ერთი წელი გავიდა შენი ამ ქვეყნიდან მოულოდნელად წასვლის დღიდან. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. შენი დაკარგვით, მწარე მოგონება დაგვიტოვე. შენი სიკეთე, სისპეტაკე და სათნოება მისაბაძი იქნება ყველა ჩვენგანისთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი და ბუბულო, დისშვილები — მადონა, გელა, გივა ჯოჯუები*

### ზური ჩხაიძის გახსენება



ჩვენო საყვარელო ზური! 28 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. ამ დღეს 55 წელი შეგისრულდებოდა. ძალიან ძნელია წარსულ დროში საუბარი, ისეთ გულთბილ და მოსიყვარულე ადამიანზე, როგორიც შენ იყავი. შენ ამშვიდებდი შენს საძმოს, ამიტომაც არ გივიწყებენ ისინი; შენ ამშვენებდი შენს ოჯახს, — ჩვენ ხომ ნამდვილად ტკბილი და თბილი ოჯახი გვქონდა, რაც შენი დიდი დამსახურება იყო. კაცურად იცხოვრე ამ ქვეყანაზე და კარგი კაცის სახელიც დატოვე, რითიც შენი გარდაცვალებით დამწუხრებულნი, თავს ვინუგეშებთ და ვამაყობთ. სულით ხორცამდე მოყვასისადმი დახარჯული მადლით და პატიოსნებით წარდექი უფლის წინაშე. გამორჩეული კაცი იყავი ყველაფრით და უფალმაც გამოგარჩია. მაშინ შეწყდა შენი გულისცემა, როცა ყველაზე მეტად გინდოდა სიცოცხლე, შენ ხომ შვილები და შვილიშვილები სიცოცხლეს გერჩივნა. სალომე და თიკო ხშირად გიხსენებენ, მათთვის ხომ ტკბილი და მოსიყვარულე ბაბუა იყავი. ანის კი, რომელიც შენი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ მოევლინა ქვეყანას, ვიდეოფირებით და სურათებით გავაცნობთ შენს თავს.

დარჩენილი ჩვენი დღეები, უშენოდ ულაზათოდ გრძელდება. გულში დიდი ტკივილი და ჭრილობა დაგვიტოვე. ვერაფრით ვინუგეშებთ თავს — ეს შეუძლებელია. ხსნას მხოლოდ ლოცვასა და უფლის რწმენაში ვეძებთ. დავიჯერეთ, რომ ამქვეყნად მართლაც წუთიერ სტუმრებად ვართ მოვლენილნი, მარადიული სამყოფელი კი მანდ გველოდება. ყოველი წამი გვაახლოებს შენთან შეხვედრას, რომელსაც აღარ ექნება დასასრული და ეს იქნება მარადისობა.

### სოსო მეგრელიძის გახსენება



ჩემო უბედურო შვილო სოსო, გავიდა საშინელი, ტკივილიანი წელი, ამ ქვეყნიდან შენი უდროოდ წასვლისა. ძნელია ილაპარაკო საოცრად გულთბილ ადამიანზე, ისეთზე, როგორიც შენ იყავი: გაჭირვებულის შემბრალე, დამხმარე და გვერდში მდგომი, რაც ოჯახური ტრადიციების გაგრძელება იყო.

ხანმოკლე ყოფილა შენთვის წუთისოფელი, სადაც კაცურად იცხოვრე და კარგი კაცის სახელიც დატოვე. დაგრჩა ხუთი წლის შვილი — საშა მეგრელიძე, რომელსაც უმალავენ შენს სიკვდილს დაეუბნებიან, ღმერთმა წაიყვანა შენი მამიკოო. ის ნატრობს, — ოდესმე, ცოტა ხნით მაინც გამოუშვას მამიკო ღმერთმაო.

შვილო სოსო, დაგვიტოვე დამძიმებული გული, ცრემლიანი თვალები და უნუგეშობა. ყველას სიცოცხლე გრძელდება, მხოლოდ შენი დედის ცხოვრება გაიყინა იმ აუტანლად მოსაგონებელ 8 ოქტომბერს. ლამაზი იყავი და სულიც ლამაზი გქონდა. ღმერთსაც ხომ რჩეულები უყვარს. მენატრები უზომოდ და ველოდები იმ ბედნიერ წუთს, შენთან რომ მოვალ. მშვიდად იძინე, ჩემო კეთილო ბიჭო. ღმერთს ვთხოვ, შენგან დანთებულმა სიკეთის ლამპარმა შენს შვილს გაუნათოს ცხოვრების გზა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*დედა — ჟუჟუნა ჩიტაიშვილი-მეგრელიძისა*

### შალვას (შაკოს) გახსენება



30 ოქტომბერს ოჯახის ტრაგედიის დღეა. შენს მონატრებაში გაილია გაუსაძლისი ტანჯვისა და წამების ტკივილიანი 10 წელი. ყოველი დღის გათენება უშენოდ ახალი სიკვდილია შენი გაუბედურებული დედ-მამისთვის, ერთადერთი დისა და შენი უსაყვარლესი დისშვილისთვის. გაუსაძლისია, ბებო, ჩემი ტანჯული ყოფა უშენოდ. როგორ მაკლიხარ და მენატრები. შენ ხომ თან გაიყოლე ჩვენი სიხარული და იმედი. შენი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ყველას განურჩევლად გვერდში ედექი. ჩემო საამაყოვ, უსაშველო ტკივილი დაუტოვე ყველას — შენს ნათესავებს, მეგობრებს და ვისაც კი იცნობდი, ყველას ლამაზ მოგონებად დარჩი. ღმერთს ვთხოვ, ნათელში მიმყოფოს შენი სპეტაკი სული. შენს სახელზე დანთებულმა სანთელმა და ლოცვამ გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში, მე კი, ჩემო ბებო, პატიებას გთხოვ, რომ უშენოდ ვაგრძელებ ამ ტანჯულ სიცოცხლეს.

*ბებო ნათელა და ბიძა დათუნა*

## ნეკროლოგი

ტრაგიკულად დაიღუპა საზღვარგარეთის პოლიტიკურ ემიგრანტთა „კულტურული საზოგადოება — საქართველო ევროპის" წევრი **დავით კაპანაძე**.



ბატონი დავითი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეთაგანია 1987 წლიდან. იგი იყო სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი, საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ნდობით აღჭურვილი პირი.

ბატონი დავითი ერთ-ერთი ორგანიზატორი და საგაფიცვო კომიტეტის წევრი იყო 1988 წლის შემოდგომაზე გამართულ ქართველ წვევამდელთა უდიდესი გაფიცვებისა, საბჭოთა დამპყრობელ არმიაში სამსახურის წინააღმდეგ; იგი იყო აგრეთვე 1989 წლის 9 აპრილის თბილისის მოვლენათა და საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიულ-დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნების ორგანიზატორთაგანი, ქართული საფეხბურთო გაერთიანების დამფუძნებელი კონგრესისა და ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების ინიციატორთაგანი, საქართველოს საფეხბურთო გაერთიანების პრეზიდიუმის წევრი, გაზეთ „ქართული ფეხბურთის" (1990წ.) ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქტორის მოადგილე, საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის ეროვნული აღორძინების კავშირის დემოგრაფიულ და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (1990წ.), საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების კომისიის მრჩეველი ეკონომისტი (1990 წლის ბოლოდან 1992 წლამდე), გაზეთ „ფორუმის" დამაარსებელთაგანი (1994წ.)

ბატონი დავითი განსწავლული, ერუდირებული, გულანთებული პატრიოტი იყო, რასაც ყოველთვის თავისი საქმიანობით ამტკიცებდა. იგი გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით, კეთილსინდისიერებით, თავდადებით და ერთგულებით. მისთვის ყოველი საქმე — პოლიტიკური დავალება იქნებოდა თუ მოსახლეობისთვის სოციალური პრობლემების მოგვარება, ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო. იგი იყო ინიციატივიანი, აქტიური და გამოირჩეოდა ორატორული და ორგანიზაციული ნიჭით, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომით, რაც უადვილებდა სირთულეების გადალახვას. ამასთანავე, ბატონი დავითი მუდმივად ცდილობდა შეუმჩნევლად შეესრულებინა სამსახურებრივი და საზოგადოებრივი საქმეები. მის ცხოვრებასა და საქმიანობაში ყოველთვის გამოსჭვიოდა სამშობლოსა და თავისი ერის უსაზღვრო, უანგარო სიყვარული და თავდადება. ამიტომაც სარგებლობდა მეგობრებსა და თანამებრძოლებში განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით. ყოველივე აღნიშნულის გამო, იგი ეროვნული მოძრაობის ლიდერების — ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას უდიდეს პატივისცემით სარგებლობდა. ამიტომაც იყო მუდამ ეროვნული მოძრაობის წინა ხაზზე და ასრულებდა მნიშვნელოვან დავალებებს.

რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ხელახალი დაპყრობის, ანუ დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების იარაღით დამხობის შემდეგ (1992 წლის იანვარი), საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მისი სულისჩამდგმელის ბატონ ზვიად გამსახურდიასა და კანონიერი ხელისუფლების ერთგულების გამო, ბატონი დავით კაპანაძე განიცდიდა დევნა-შევიწროებას ე. შევარდნაძის რეჟიმის მიერ. იგი რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული, ხშირად ნაცემი და ნაწამები. დევნა-შევიწროებას განიცდიდნენ, აგრეთვე, მისი ოჯახის წევრები. ამის გამო იძულებულნი გახდნენ, სამშობლოდან უცხოეთში (გერმანიაში) გადახვეწილიყვნენ. იგი საშინლად განიცდიდა ემიგრაციაში ცხოვრებას და, ალბათ, ეს იყო მისი ტრაგიკულად დაღუპვის მიზეზი.

დავით კაპანაძის — როგორც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის, კანონიერებისა და თავისუფლებისთვის თავდაუზოგავი, უანგარო მებრძოლის, სამშობლოს მოსიყვარულისა და მისთვის თავდადებული პიროვნების ხსოვნა მარად დარჩება თავისუფალი ქვეყნისთვის მებრძოლი ყოველი ადამიანის გულში.

შექმნილია ბატონი დავით კაპანაძის სამშობლოში გადმოსვენების ფონდი.

*საზღვარგარეთის პოლიტიკურ ემიგრანტთა „კულტურული საზოგადოება — საქართველო ევროპა" და მეგობართა ჯგუფი*

შვილები: რომან, ვოვა გოცირიძეები; დედა რიმა; დები: მანანა, ნანა ჩაგელიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლიანა გოცირიძე**

*პანაშვიდი:* 26, 27 ოქტომბერს, 19 საათზე;
*დაკრძალვა:* 28 ოქტომბერს, 15 საათზე.
*მისამართი:* თბილისი, ნაძალადევის რ-ნი, ცინცაძის ქ. №7

უახლოესი მეგობრები: მზია გულისაშვილი, გუგუნი იმედაშვილი, ჯულიეტა სიგუა, ციალა ცინცაძე, მზია ჩხეიძე გულისტკივილით იუწყებიან

**ჯენიკო მუსერიძის გარდაცვალებას**

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს და ახლობლებს.

ნანა, ზაზა ილურიძეები მწუხარებით იუწყებიან ქალბატონი

**ჯენიკო მუსერიძის**

გარდაცვალებას.

აბაშის რაიონის ნაესაკოვოს საშუალო სკოლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თამრიკო ბოლქვაძეს, მამის

**ნოდარ ბოლქვაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბესო ტოგონიძის უახლოესი მეგობრები მწუხარებას გამოთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს, დედის

**ეკატერინე ჩხაიძის**

გარდაცვალების გამო.

# პანტელეიმონ მკურნალის სასწაული...



— გული ცარიელი მქონდა და მექანიკურად ვიხდიდი ყველა მოვალეობას, არც ლოცვები ვიცოდი და კითხვის დროსაც გულისყურს ვერ ვუდებდი, ვერ ვისმენდი, წირვა-ლოცვაზეც ვერასოდეს ვრჩებოდი ბოლომდე. შვილებმა მაჯობეს, ძალიან ეკლესიურები არიან. სულ მიქადაგებდნენ, მასწავლიდნენ, მაგრამ ვერაფერს ვუხერხებდი თავს, — გვიამბობს ქალბატონი თამარი, — დაახლოებით ხუთი წლის წინ კი ნამდვილი სასწაული მიჩვენა უფალმა. ჩემმა ქალიშვილმა შინ მინიატურული ხატების კომპლექტი მოიტანა და ერთ დღესაც, მოცალეობის ჟამს, დასათვალიერებლად გადმოვიღე, თითოეულ ხატს გულდაგულ და დაჟინებით ვაკვირდებოდი, რაღაცნაირი განწყობა დამეუფლა, თითქოს ძალიან სასურველი და უკეთილშობილესი „ადამიანების“ გარემოცვაში აღმოვჩნდი... ცოტა ხანში ხატები გვერდზე გადავდე და ტახტზე წამოვწექი. დამესიზმრა-მეთქი, ვერ ვიტყვი, ეს ნამდვილი ღვთიური ხილვა იყო: ცოტა ხნის წინ ხატებზე ნანახი წმინდანები გაცოცხლებულიყვნენ და თითქოს მეფური წვეულება გაემართათ. სუფრა არსად ჩანდა, ერთრიგად იდგნენ, მათ ადამიანები ეახლებოდნენ, ყველას ეფერებოდნენ, ამშვიდებდნენ და თითქოს რაღაცას ეუბნებოდნენ...

მეც მივყევი სხვებს და ყველა წმინდანს ვემთხვიე ხელზე. მათ შორის ერთ-ერთმა მითხრა: — ამ დღეებში აუცილებლად მოდი ჩემთან ტაძარში და დანარჩენს იქ გეტყვიო!..

ისე გამეღვიძა, ვერ მოვასწარი მეკითხა, — ვინ ხარ და რომელ ტაძარში მიხმობ-მეთქი. შინაგანი ხმის კარნახით გადმოვიღე ისევ ხატები და გადავათვალიერე, ვიცანი „ის“ — ზედ ეწერა: „მკურნალი პანტელეიმონი“.

შემრცხვა და ხილვაზე კრინტი არ დამიძრავს. საღამოს ჩემს ქალიშვილს ვკითხე, — წმინდა პანტელეიმონის ტაძარი თუ გაგიგია-მეთქი. როგორ არა, თბილისშიაო, — მითხრა. ჩვენ რაიონში ვცხოვრობთ.

ჩემდა სამარცხვინოდ, 52 წლის ასაკში მოუნათლავი ვიყავი და მიუხედავად შვილების თხოვნისა, არც ვჩქარობდი. თუ გინდათ მოვინათლო, იმ ტაძარში უნდა ამიყვანოთ-მეთქი, — არ ვიცი რამ მათქმევინა. ისე გაუხარდა ჩემს შვილს, რომ არაფერი უკითხავს, მხოლოდ ეს მითხრა — რაღა მაინცდამაინც ეს ტაძარი აიკვიატეო!

ნათლია შევარჩიეთ და პირველსავე შაბათ-კვირას თბილისში ჩამოვედით. სამწუხაროდ, სიმართლე არც მოძღვარს გავუმხილე, მით უმეტეს, რომ ნათლობისას მოხდა სასწაული: წამით გონება დამებინდა, მხოლოდ პანტელეიმონის ხატს ვხედავდი და „გავიგონე“: — სასწრაფოდ ექიმთან მიდი, ჯანმრთელობა უნდა გაჩუქო და რწმენა დაგიბრუნოო!..

ჯანმრთელობას არასოდეს ვუჩიოდი, მაგრამ იმდენად ვიყავი გაოგნებული მომხდარით, უკვე მექანიკურად ვემორჩილებოდი სასწაულის ძალას. შვილს ვუთხარი: — არ შეგეშინდეს, ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ სამედიცინო გამოკვლევა უნდა ჩავიტარო-მეთქი.

გამაქანეს საუკეთესო კვლევით ცენტრში და გაგიჟდა ექიმი: — სასწრაფოდ საოპერაციო ხარ, აქამდე სად იყავიო. არ დაიჯერა, რომ არაფერს ვგრძნობდი, არც შვილებმა დამიჯერეს...

მოკლედ, ურთულესი გინეკოლოგიური ოპერაცია გამიკეთდა, ქიმიოთერაპიის კურსიც გავიარე და ექიმსაც უკვირს — დაავადება უკვალოდ გაქრა!

მკურნალ პანტელეიმონის ტაძარში წელიწადში ორჯერ-სამჯერ მაინც მივდივარ, ვდგავარ ჩემი გადამრჩენელი წმინდანის ხატის წინ და ვგრძნობ, როგორ მავსებს სასიცოცხლო ენერგიით!..

***ინგა ჯაყელი***

ჩვენ გვწერენ

# წარსულის აჩრდილი სარბენ ბილიკზე



ამას წინათ, ერთ ოჯახში მოვხვდი სტუმრად. იქ გავიცანი ბატონი აკაკი ნოდია, უაღრესად საინტერესო ადამიანი. ბატონმა აკაკიმ სიტყვას მოაყოლა:

— თბილისის გარეუბანში ვცხოვრობდი. ყოველ დილით სავარჯიშოდ მივდიოდი. ასაკის და ავადმყოფობის გამო ექიმები სირბილის უფლებას არ მაძლევდნენ და მეც აჩქარებული ნაბიჯით გავდიოდი ერთ-ორ კილომეტრს. სულ ერთსა და იმავე გზაზე დავდიოდი, შინაც ერთსა და იმავე დროს ვბრუნდებოდი. როგორც წესი, ჩვენ, დილის ვარჯიშის მოყვარულები, ერთმანეთს ვიცნობთ. ვსაუბრობთ, ვმეგობრობთ კიდეც. იმ დღეს არავინ შემხვედრია, მაგრამ ერთი კაცი კი შევამჩნიე. ჯერ კიდევ შორიდან, პარკის სიღრმიდან გამოვიდა და ჩემკენ გამოემართა. ვერ ვიცანი, მაგრამ თვალიც ვერ მოვწყვიტე. რაღაც უცნაური მეჩვენა. უცნაურად ჩაცმული იყო — რუხი უსაყელო პერანგი და ტილოს მსგავსი ქსოვილის შარვალი ეცვა, შარვლის ტოტები ნაქსოვ წინდებში ჩაეტანებინა, ჭაღარა წვერი ჰქონდა და ცოტა კუშტი გამოხედვა... ქუდიც ეხურა და რაღაც ტომარასაც მოათრევდა. როცა მომიახლოვდა, სიგრილე ვიგრძენი სახეზე... ხომ იცით პენსიონერის ამბავი — ცნობისმოყვარეობა გიმახვილდება ასაკთან ერთად. მეც ამ კაცთან გამოლაპარაკება მოვინდომე და ამინდზე საუბრით ვცადე მისი გამოწვევა: — აგრილდა ცოტა, შეიძლება იწვიმოს-მეთქი, — ვუთხარი.

შეჩერდა და შემომხედა. პერანგზე არც ერთი ღილი არ ეკერა... შარვალიც ზონრით ჰქონდა შეკრული. შემთხვევით დავხედე ფეხებზე... გაოცებისაგან კინაღამ ენა ჩამივარდა — უცნობი წვივებამდე მიწაში იყო ჩაფლული და ისე დააბიჯებდა... თითქოს ის რომელიღაცა სხვა შრეზე მიდიოდა, მე — სხვაზე. მერეღა გავაცნობიერე, რომ მისი ჩაცმულობაც არ იყო ჩვენი დროისა და სულ ცოტა, ორი საუკუნის წინანდელი მაინც უნდა ყოფილიყო...

ოთხი დღის შემდეგ, ისევ დილით, მე და ჩემი ძველი ნაცნობი სპორტული სიარულისას ისევ იმ „სასწაულს“ გადავაწყდით. ხმა არ ამოვიღე. ვეჭვობდი, — ეგება, მარტო მე მელანდება ყველაფერი-მეთქი. ნაცნობმა რომ დამქაჩა მკლავზე, მივხვდი, ორივენი ერთ სანახაობას შევესწარით. უცნაური სტუმარი საიქიოდან (ალბათ ასე იყო), თუ გნებავთ, წარსულიდან მძიმე ნაბიჯებით მოდიოდა და, რაც მთავარია, მხოლოდ წვივებს ზემოთ იყო ხილული. ყველაზე მეტად იმან გაგვაოცა, რომ ის გვიყურებდა დაკვირვებით, თითქოს შეწუხებული სახით... ვინ იცის, ისიც შეშინებული იყო, რომ მის ცხოვრებაში ორი სხვანაირი კაცი გამოჩნდა... არ ვიცი, მართლა ასე იყო თუ არა, მაგრამ მომეჩვენა, თვალმოუშორებლად მისჩერებოდა ჩემს სათვალეს. ძლივს მივიტანე ფეხები შინამდე...

ის ჩემი მეგობარი იმ დღის მერე სავარჯიშოდ აღარც გამოსულა. მე ისევ დავდივარ, მაგრამ იმ წარსულის აჩრდილს აღარ შევხვედრივარ.. ვნანობ, რომ ვერ ავალაპარაკე, ვინ იცის, რა საინტერესო ამბების მოყოლა შეეძლო, — ბატონმა აკაკიმ თხრობა დაასრულა და სევდიანად შემოგვხედა...

***ვერიკო ლაბაძე***
***თბილისი***

## „საზალღო–სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — გ); 2) — ბ); 3) — ა); 4) — გ); 5) — დ); 6) — დ); 7) — ა).

**II.** 1-ლი და მე-6 ნიჟარები

**III.** ნიანგი

**IV.** კომბოსტო





# სოფი ლორენს ქალიშვილი ჰყოლია!



ამერიკელი ქალბატონის, ვინმე მარიას ნათქვამმა დიდი სკანდალი გამოიწვია ევროპაში — მე ცნობილი მსახიობების — სოფი ლორენისა და მარჩელო მასტროიანის უკანონო შვილი გახლავართ, განაცხადა მან. ქალბატონი გვარს არ ამხელს. იფიცება — კინოვარსკვლავს არც ფულს ვთხოვ და არც ნათესაობის დამტკიცებას ვეცდები დნმ-ის მეშვეობითო, მაგრამ...

მარიამ მხოლოდ შარშან გაიგო, რომ ის ნაშვილები იყო. ქალი გააოგნა დედობილ-მამობილის ნაამბობმა — შენი ნამდვილი მშობლები ლეგენდარული კინოვარსკვლავები არიანო.

თურმე ეს მოხდა 1963 წელს, ნეაპოლში, როცა სოფი ლორენსა და მარჩელო მასტროიანის იღებდნენ ფილმში „გუშინ, დღეს, ხვალ“. სოფი მაშინ 28 წლისა იყო და ცნობილი კინოპროდიუსერის კარლო პონტის ცოლი გახლდათ. სწორედ მეუღლე ურჩევდა მას საუკეთესო ფილმებს, ისეთებს, რომელზეც მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა... გადაღებების პერიოდში სოფი მიხვდა, რომ ფეხმძიმედ იყო. ცხადია, მსახიობს ხელს არ აძლევდა ასეთი ქმრის დაკარგვა.

თუ სოფი ლორენის ბიოგრაფიულ მონაცემებს დავუჯერებთ, ფილმის გადაღებისას მას 4 თვის მუცელი მოეშალა, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი სულ სხვაგვარად ყოფილა: სოფის მაინც გაუჩენია ბავშვი. ეს იყო გოგონა, რომელიც მსახიობს არ სჭირდებოდა და საიდუმლო აგენტის მეშვეობით მიუშვილებია ერთ-ერთი საუკეთესო ამერიკული ოჯახისთვის.

ახლა რეპორტიორები ცდილობენ, სოფი ლორენს ათქმევინონ რაიმე ქალიშვილის გამოჩენასთან დაკავშირებით, მაგრამ მსახიობი კატეგორიულად აცხადებს უარს სიტუაციის კომენტირებაზე. შესაძლოა, ის ეცდება, ჩაფარცხოს სკანდალი, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს მის რეპუტაციაზე.

ამისთვის ალბათ სოფიმ უნდა დარეკოს ამერიკაში, მარიასთან და უთხრას: — აპატიე, შვილო, შენს ცოდვილ დედას შეცდომა...

***ოჯი***

# ლაბრადორმა პატრონი სიკვდილისგან იხსნა



კოლორადოელ ბრუს ეშვორტს მხოლოდ ინვალიდის ეტლით შეეძლო მოძრაობა. ერთხელ, აბაზანიდან გამოსვლისას, იგი ეტლიდან გადმოვარდა. მისი ძაღლი, ლიბი (იგი გაწვრთნილი იყო ინვალიდთა დამხმარედ) მივარდა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა იატაკზე მოფართხალე პატრონს. შემდეგ ეცა რადიოტელეფონს, რათა ეშვორტს სასწრაფო დახმარება გამოეძახებინა, მაგრამ დამუხტული ელემენტები დაცლილიყო. რა უნდა ექნა? ბრუსს ისიც არ შეეძლო, რომ სავარძლის სახელურს მისწვდომოდა. ეშვორტმა ხელი ჩაიქნია, — ნამდვილად წამებით სიკვდილი მიწერიაო. ლიბი ცდილობდა, ყურადღება არ მოეკლო პატრონისათვის: ლოკავდა, ეფერებოდა, დახტოდა, ართობდა, დახოხავდა თათებით იატაკზე მის ირგვლივ.

ეშვორტი გადაარჩინა მანქანის მძღოლმა, რომელსაც იგი კლინიკაში მიჰყავდა ხოლმე. მძღოლმა კაკუნზე მხოლოდ ძაღლის ყეფა და კარის ფხაჭუნი გაიგონა. გამოიძახა სასწრაფო დახმარება. გააღეს კარი. ექვსი დღის მშიერ-მწყურვალი ეშვორტი იატაკზე უგონოდ ეგდო.

გონს მოსულმა ეშვორტმა თქვა, — ლიბი წუთითაც არ მომცილებია. ის რომ არა, ახლა ცოცხალი არ ვიქნებოდიო.

***ნიუზუიქი***

# ვირი ფუფუნების საგანი არ არის




სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთის პროვინციის ტრანსპორტის სამინისტრომ გადაწყვიტა, თავის სფეროში წესრიგი დაამყაროს — ვირი აქ საგზაო მოძრაობის სრულფასოვანი წევრია, ამიტომ მისი „ტექნიკური მდგომარეობა“ და პატრონი ისევე უნდა შემოწმდეს, როგორც ავტომობილები და მისი მძღოლები.

მალე ახალი კანონი ძალაში შევა და პოლიციელი მოძრაობის წესების დამრღვევ ვირის პატრონს დააჯარიმებს — მეტიც, ვირსაც ჩამოართმევს, თუ „ყროყინა ტრანსპორტი“ სავალი გზის მონაკვეთს „დააბინძურებს“. გარდა ამისა, ვირმა „საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს“ წინასწარ, ყროყინით უნდა ამცნოს, რომ მოდის, გაჩერებას ან ნაბიჯის აჩქარებას აპირებს“.

***ოკნა №39***

# რას ერჩოდნენ ცხვარს



ახლახან გამოვლინდნენ 2003 წლის ანტინობელის პრემიის ლაურეატები, რომლებმაც ყველაზე უსარგებლო და აბსურდული სამეცნიერო ნამუშევრები წარმოადგინეს.

არავინ იცის, ვის აინტერესებს გარეულ იხვებში ჰომოსექსუალური ნეკროფილიის გამოვლინებანი და რა სარგებლობა მოაქვს კაცობრიობისათვის ამ საგნის ცოდნას. თუმცა ამის მცოდნე კაცი მაინც არსებობს მსოფლიოში — ეს არის როტერდამის საბუნებისმეტყველო მუზეუმის თანამშრომელი კიის მოლიკერი, რომელიც ანტინობელიანტი გახდა.

მეცნიერმა დააფიქსირა შემთხვევა, როცა მკვდარ ველურ იხვთან 75 წუთის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა შეწყვილებას მეორე მამალი იხვი. ეტყობა, იმდენად შთამბეჭდავი სანახაობა იყო, რომ მეცნიერს მისი აღწერის სურვილი გაუჩნდა.

პრემია გადაეცა იაპონელ მეცნიერსაც, რომელმაც თავისი მეცნიერული ნიჭი ერთი ბრინჯაოს ქანდაკების კვლევას შეალია. თურმე ნუ იტყვი, ამ ქანდაკებას მტრედები არ ეკარებიან, მაშინ როცა სხვები „დამშვენებულები“ არიან. სამწუხაროდ, მეცნიერის ჰიპოთეზის დადასტურება თუ უარყოფა მხოლოდ მტრედებს შეუძლიათ, მაგრამ ისინი დუმან.

უყურადღებოდ არ დარჩენილა არც ავსტრალიელ მეცნიერთა თამამი ექსპერიმენტი — ძალის ზემოქმედების გამოსაკვლევად მათ ცხვარი გამოიყენეს და მეცნიერთა თქმით, სხვადასხვა ზედაპირზე სულ თავი არტყმევინეს. სამწუხაროდ, უცნობია, შერჩა თუ არა სული ცდის საბრალო მონაწილეს. ვიმედოვნებთ, რომ ცოცხალ-მკვდარი მაინცაა. გაუგებარია, რისთვის სჭირდება მეცნიერებას ასეთი საშინელი და უაზრო მსხვერპლი?

ამერიკელ ჯონ ტრინკაუსს ანტინობელის პრემია იმისთვის ერგო, რომ ზედმიწევნით გამოიკვლია მის ქალაქში რამდენ მოზარდს ახურავს კეპი შებრუნებულად. უცნაურია, რომ აზრად არ მოსვლია იმის აღრიცხვა, ვთქვათ, რამდენი ქალი არ იცვამს ბიუსტჰალტერს ან რამდენ კაცს ავიწყდება ღილების შეკვრა. სხვათა შორის, არც ეს არის იოლი საკვლევი.

***ვოკრუგ სვეტა***

# ჰილარი კლინტონს პრობლემები აქვს



აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის მეუღლე ჰილარი კლინტონი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს, დილემის წინაშე დგას — სასწრაფოდ უნდა გამოაფხიზლოს ქალიშვილი ჩელსი, რომელიც დედას ამომრჩეველს უკარგავს.

21 წლის ჩელსის სასმლის სიყვარულის გამო მშობლები არაერთხელ „გაუხარებია“ სხვადასხვა თავგადასავლით. პირობაც ბევრჯერ მიუცია — მეტს აღარ ვიზამო. ეტყობა, ექსპრეზიდენტის ქალიშვილს მიცემული სიტყვა მალე ავიწყდება და ახლახან კიდევ ერთი სკანდალი მოხდა. ამერიკული პრესა ფოტოებით აჭრელდა — ჩელსი და მისი ბოიფრენდი იენ კლაუსი აუზში შიშვლები ლაღობენ, ამასთან, პრეზიდენტის ქალიშვილს ეტყობა, რომ მთვრალია. სიტუაცია იმითაც გართულდა, რომ ინციდენტი პოპულარულ ესპანურ კურორტზე, მარბელაში მოხდა ათობით თვითმხილველის თანდასწრებით.

ამასობაში, ჰილარი კლინტონი თავგამოდებით არწმუნებს ჟურნალისტებს, საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს არ ვიყრიო. ანალიტიკოსები კი აცხადებენ, მარტო ჰილარი თუ დაამარცხებს ახლანდელ პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშსო. ასეა თუ ისე, ჰილარი დროს არ კარგავს და სასწრაფოდ შეცვალა ქალიშვილის დაცვის შემადგენლობა — ახლა ჩელსის 24 საათის განმავლობაში უდარაჯებენ და მთვრალს საზოგადოებაში გამოჩენას დაუშლიან. ამბობენ, ექსპრეზიდენტის ქალიშვილს ალკოჰოლიკების კლინიკაშიც მოუწევს მკურნალობაო. ასე რომ, თუ ჰილარი კლინტონი გადამჭრელ ზომებს არ მიმართავს, შესაძლოა პრეზიდენტობის შანსი დაკარგოს.

***დენგი***

# ფუნჩულების კურორტი



მექსიკაში, პირველად მსოფლიოში, ჭარბწონიანთათვის კურორტი გაიხსნა. სასტუმრო, სახელწოდებით „სამოთხისეული თავისუფლება“ მათთვისაა განკუთვნილი, რომლებიც სიმსუქნის გამო ჩვეულებრივ პლაჟებზე გასვლას თავს არიდებენ. ყველა მაგიდა, შეზლონგი და საწოლი სასტუმროში სტანდარტულზე დიდია და საგანგებო მასალითაა გაკეთებული.

ჭარბწონიანები გახარებულები არიან — ასეთი კურორტი სწორედ რომ დროული იყო, მით უმეტეს, რომ სტატისტიკის თანახმად, დედამიწაზე დაახლოებით მილიარდი კაცია ჭარბწონიანი.

***შტერნი***

# ინდოეთში სასიძო კაცებს იტაცებენ...

ინდოეთის მთავრობა უკვე კარგა ხანია იბრძვის ქვეყანაში შობადობის შესამცირებლად. ახლახან კიდევ ერთ ხერხს მიმართეს — უცოლო მამაკაცებს გვარიან თანხას გადაუხდიან, ოღონდ კი ცოლის შერთვა არ მოინდომონ. გარდა ამისა, უშვილო მამაკაცებს სახელმწიფო ყოველთვიურ დახმარებას, მთელი სიცოცხლის განმავლობაში უფასო სამედიცინო მომსახურებასა და სიბერეში მზრუნველობას ჰპირდება. თუ მამაკაცი სახელმწიფოსთან გარიგებას ჩაშლის, დიდი ჯარიმა და ხანგრძლივი პატიმრობა ელის.

ინდოეთის ბიჰარის შტატში, უცოლო მამაკაცები საღამოს შინიდან არ გამოდიან — ეშინიათ, რომ არ მოიტაცონ და ძალით არ დააქორწინონ. ინდოეთში ძალიან ჭირს ქალის გათხოვება, რადგან პატარძალმა მზითვად დიდი ფული და ქონება უნდა მიიტანოს ქმრის ოჯახში. ამიტომ ქალის მშობლები ხალხს ქირაობენ და შეძლებულ სასიძოებს ან სახელმწიფო სამსახურში მყოფ უცოლო მამაკაცებს ატაცებინებენ, მერე კი, ცემითა და წამებით აიძულებენ, შერთონ თავიანთი ქალიშვილები.

ამ შტატში უკვე რამდენიმე ბანდა ეწევა ასეთ საქმიანობას და მათ კარგი შემოსავალიც აქვთ.

დაქირავებულებს ევალებათ, ქორწინების შემდეგაც თვალი ეჭიროთ სიძეზე, რომ მან საქორწინო მარწუხებიდან თავის დახსნა არ დააპიროს. ასეთი გათხოვება საპატარძლოს მშობლებს გაცილებით იაფი უჯდებათ, ვიდრე ტრადიციული ქორწილი.

***ეხო პლანეტი***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ერიხ მარია რემარკის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | თ | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ი | ს | ფ | ე | რ | თ | ა | გ | ა | მ | ა | შ | ი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | ა | ღ | უ | ი | ს | ო | | | დ | რ | ვ | ი | | ი | ა | ო | | ე | ი | ი | ზ | ლ | ი | ს | ა | | ი |

**დ.** თიხის ჭურჭელი ღვინისა და წყლისათვის; **ა.** სამცხის მმართველთა ტიტული; **ი.** ზაფხულის საძოვარი მთაში; **ს.** რაიმე მოქმედებისათვის ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **ვ.** ქალის პირბადე; **ე.** რა ერქვა ჩე გევარას; **ნ.** ინგლისელი ფიზიკოსი; **ე.** ვულკანი სიცილიაზე; **თ.** რა ერქვა ლაფერაძის პერსონაჟს ფილმში „ღვინის ქურდები“; **პ.** ლომების ოჯახი; **ა.** თვითმფრინავის სადგომი; **ლ.** რა მდინარე ჩამოედინება ცხინვალსა და გორში; **ი.** ფაშიზმის სამშობლო; **ტ.** შავგვრემანი ადამიანი; **რ.** კამეჩის ან ხარის ტყავისგან დამზადებული დიდი ტიკი; **ი.** იაპონური მხატვრობა — ყვავილების, ფოთლებისა და ტოტებისაგან გამოსახულების შექმნა; **ს.** ავთვისებიანი სიმსივნე; **ფ.** ქალაქი სამეგრელოში; **ე.** ძველი ბერძენი მეიგავე; **რ.** ბრინჯაოს ძველი სახელწოდება; **თ.** სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი; **ა.** ქართული წარმართული კერპი; **გ.** ჩრდილოეთ ამერიკაში გავრცელებული უზარმაზარი დათვი; **ა.** „შოთა, ილია, ..., ვაჟა და გალაკტიონი“ ჩაწერეთ გამოტოვებული სახელი; **მ.** ფრანგი მხატვარი, რომელზეც პიკასო ამბობდა, რომ მის ნახატებში არ არის აგრესია; **ა.** ფეთქებადი ნივთიერება; **შ.** ინდუიზმის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება; **ი.** სუფთა გამარჯვება ძიუდოში.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**კ.** კიმონო; **ვ.** ვაზარი; **ი.** ინერცია; **რ.** როსინი; **ი.** იშხანი; **ს.** სტიმული; **პ.** პავლე; **ა.** ასთმა; **ლ.** ლიანა; **ი.** იმერეთი; **ტ.** ტანძია; **რ.** როიალი; **ა.** აფთარი; **შ.** შეგირდი; **ე.** ეშვი; **ნ.** ნოე; **ი.** იასონი; **გ.** გლაზგო; **ა.** ალუდა; **ზ.** ზებრა; **ე.** ებრაელი; **თ.** თხემი; **ი.** იობი; **ა.** ალალი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **მზე სხივთა ენით გვესაუბრება..**

# «იარაღასხმული» ქვეყნები

**— რომელი ქვეყნის მოსახლეობაა ყველაზე „იარაღასხმული“, ანუ 100 სულ მოსახლეზე რამდენი იარაღი მოდის?**

***მიშა დობორჯგინიძე***

კითხვაზე უპასუხებს **ირაკლი ალადაშვილი,** „კვირის პალიტრის“ სამხედრო ექსპერტი.



— გაეროს მიერ 2002 წლის ჩათვლით გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მსოფლიოში ყველაზე შეიარაღებული მოსახლეობა ამერიკას ჰყოლია. აშშ-ში 276 მლნ ერთეულამდე ცეცხლსასროლი იარაღი აქვს ხელზე მოსახლეობას, რაც ნიშნავს, რომ აშშ-ის თითოეულ მოქალაქეზე (ჩვილი ბავშვების ჩათვლით) თითო პისტოლეტი ან შაშხანა მოდის. ამერიკას მოსდევს ევროკავშირი. ევროპელებს ხელზე მხოლოდ 67 მლნ ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი აქვთ, ანუ ყოველ 100 კაცზე 17 ცალი. აქვე აღვნიშნავ, რომ მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, იარაღის ყველაზე დიდი ექსპორტიორი ევროკავშირია. იარაღის ბიზნესს მსოფლიოს 100 ქვეყნის 1.134 კერძო ფირმა ეწევა. გაეროს მონაცემებით, მსოფლიოში დღეისათვის 639 მლნ ერთეული ცეცხლსასროლი იარაღია, რომლის კატეგორიაშიც შედის პისტოლეტი, შაშხანა, ავტომატი, ტყვიამფრქვევი. ამ უზარმაზარი არსენალის 59% მოსახლეობაშია კანონიერი გზით. დანარჩენში კი იგულისხმება როგორც უკანონო იარაღი, ასევე არმიისა და პოლიციის შეარაღებაში არსებული.

*დავინტერესდით საქართველოში ოფიციალურ რეგისტრაციაში მყოფი ცეცხლსასროლი იარაღის რაოდენობით და ამ კითხვით საქართველოს შსს-ს სანებართვო სამსახურის უფროსს* **მერაბ როხვაძეს** *დავუკავშირდით, რომლის თქმითაც, საქართველოში რეგისტრირებულია დაახლოებით 100 ათასი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, აქედან 55% გლუვლულიანი სანადირო თოფია, ხოლო 45% — სამოქალაქო (ხრახნიანი ლულით) პისტოლეტი და რევოლვერი. ამ პროცენტულ მაჩვენებელში შედის ასევე გაზისა და საფანტის იარაღი.*

# სიტყვათა კონა

**დეკანოზი** — 1. ქართული ქრისტიანული ეკლესიის უფროსი მღვდელი; 2. საქართველოს მთიანეთის ზოგ კუთხეში ძველად — ხატის მსახური.

**დეკეული** — ფური ერთიდან ორსამ წლამდე. პირველი ხბოს მოგებამდე.

**დელგმა** — კოკისპირული წვიმა, თავსხმა.

**დერგი** — დიდი ქილა ქვევრის მოყვანილობისა.

**დერციკი** (ძვ.) — იგივეა, რაც თერძი.

**დიბა** (სპ.) (ძვ.) — იგივეა, რაც ფარჩა.

**დიკა** — საზაფხულო ხორბალი, გავრცელებულია საქართველოს მთიანეთში.

**დილაბინდი** — გათენების დრო (როდესაც ჯერ კიდევ ბნელა).

**დილიჟანსი** — (ფრ.) მრავალადგილიანი დახურული ეტლი მგზავრების გადასაყვანად.

**დინდგელი** — სკის შავი ცვილი.

**დიპლიპიტო** — საკრავი; შედგება ერთმანეთზე გადაბმული ორი სხვადასხვა ზომის თიხის ქილისგან, რომლებსაც პირზე ტყავი აქვს გადაკრული; უკრავენ ორი მომსხო ჩხირით.

**დიფთონგი** (ბერძნ.) (ლინგ.) — ორი ხმოვნის შეერთებით წარმოქმნილი ერთი მარცვალი.

**დიხაშხო** — უნაყოფო, მწირი მიწა.

**დო** — შედღვებილი მაწვნისაგან კარაქის მოხდის შემდეგ დარჩენილი მომჟავო სითხე (დოს შეჭამანდი).

# მსოფლიოს ყველაზე გრძელი მდინარე

**— ვიცოდი, რომ მსოფლიოში ყველაზე გრძელი მდინარე ნილოსი იყო, თუმცა ამას წინათ, ჩავები კამათში და... ჩემი მოწინააღმდეგე მიმტკიცებდა, რომ ნილოსზე გრძელი ამაზონია. იქნებ გვიპასუხოთ, რომელი მდინარეა მსოფლიოში ყველაზე გრძელი?**

***დიტო მანჯავიძე***



— მსოფლიოში ყველაზე გრძელი მდინარეები ნილოსი და ამაზონია. პირველი აფრიკაში მდებარეობს, მეორე კი სამხრეთ ამერიკაში.

მდინარე ნილოსი სათავეს ბურუნდიში იღებს და ხმელთაშუა ზღვაში ჩაედინება. მისი სიგრძე 6.670 კმ-ს შეადგენდა. მდინარე ნასერმა, რომელიც ასუანის კაშხლის აგების შემდეგ წარმოიშვა, მდინარის კალაპოტის დიდი ნაწილი შთანთქა და რამდენიმე კილომეტრი „მოჰპარა“ ნილოსს.

ამაზონი სათავეს პერუში იღებს. რამდენიმე მცირე შენაკადი ერთმანეთს ერთვის და იქცევა მდინარე აპურიმად, რომელიც შემდგომში, თავისთავად კიდევ გადადის მდინარეებში: ენი, ტამბო, უკაილი. სწორედ იმ ნაწილიდან, სადაც უკაილი და მარანიონი ერთმანეთს ერთვიან, მდინარე იღებს სახელწოდებას ამაზონი. ამაზონს რამდენიმე შენაკადი აქვს, ამიტომაც შეუძლებელია ვისაუბროთ მის ზუსტ სიგრძეზე. თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ მდინარის სიგრძე მისი ყველაზე გრძელი შენაკადის სათავიდან შესართავამდე შეადგენს დაახლოებით 6.750 კმ-ს.

მსოფლიოს ყველაზე მოკლე მდინარეები კი — როუ-რივერი და დი-რივერი აშშ-ში მდებარეობენ, პირველი შტატ მონტანაში, მეორე კი — ლინკოლნ სიტიში, არიზონის შტატში. როუ-რივერი მდ. მისურიში ჩაედინება, დი-რივერი კი მდ. დევილზ-ლეიკის კალაპოტს აკავშირებს წყნარ ოკეანესთან.

# ჰოლივუდის ძვირად ღირებული ფილმები

**— გასული საუკუნის 30-40-იან წლებში ამერიკული ფილმი „ქარწაღებულნი“ ძალზე პოპულარული იყო და როგორც წერდნენ, ძალზე ძვირად ღირებულიც. ახლა რა ხდება ჰოლივუდში, რომელი ფილმების გადაღებაზე დაიხარჯა ყველაზე მეტი თანხები?**

***ნანა ლომაია***

| ფილმის დასახელება | გადაღების წელი | ბიუჯეტი მლნ $ |
|---|---|---|
| 1. „ქარწაღებულნი“ | 1939 | 3,9 |
| 2. „ვიდრე ხვალ?“ | 1951 | 7,0 |
| 3. „ომი და მშვიდობა“ | 1956 | 6,0 |
| 4. „ბენ-გური“ | 1959 | 15,0 |
| 5. „სპარტაკი“ | 1960 | 12,0 |
| 6. „ლოურენს არაბი“ | 1962 | 12,0 |
| 7. „კლეოპატრა“ | 1963 | 44,0 |
| 8. „მამაცი გული“ | 1995 | 72,0 |
| 9. „გლადიატორი“ | 2000 | 103,0 |
| 10. „პატრიოტი“ | 2000 | 110,0 |

ჰოლივუდში პირველ ძვირად ღირებულ ფილმად აღიარებულია „ქარწაღებულნი“. გასული საუკუნის 30-იანი წლებისათვის მისი ბიუჯეტი სენსაციური იყო. თუმცა მოგვიანებით ფილმების გადასაღებად საჭირო თანხები კატასტროფულად მატულობდა და „ქარწაღებულნის“ მაშინდელი 3,9 მილიონი დოლარი ახლა ყველაზე მცირებიუჯეტიან ფილმსაც არ ეყოფა.

# «საუნდის» სოლისტის გაცურება არც ისე ადვილია...

**— მაინტერესებს რამდენი წლისაა ჯგუფ „საუნდის“ სოლისტი თემო ხვიბლიანი, სად სწავლობს და რომელ ფაკულტეტზე, თუ ჰყავს შეყვარებული, რა გეგმები აქვს მომავალში, როგორ მოხვდა შოუბიზნესში და სხვა.**

***თეა კუპრეიშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **თემო ხვიბლიანი,** ჯგუფი „საუნდის“ სოლისტი.



— ვარ 21 წლის. ვსწავლობ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, მე-3 კურსზე. სპეციალობით — „ფინანსები და საბანკო საქმე“. პროფესიის მიუხედავად, შოუბიზნესში ვაპირებ საკუთარი ძალების რეალიზებას. ბავშვობიდან ვმღერი და ამაში ოჯახი ყოველთვის ხელს მიწყობდა. ადრეულ ასაკში სპორტითაც გახლდით გატაცებული, თითოეული წარმატებისას (ანუ გამარჯვების შემთხვევაში) დედა ჩემთვის მუსიკალურ ინსტრუმენტს ყიდულობდა, რაც შემდეგში ჩემთვის დიდი სტიმული გახდა. დავამთავრე მუსიკალური შვიდწლედი და გადავწყვიტე გავმხდარიყავი მომღერალი. მოგვიანებით რუსთავში მე და ჩემმა მეგობრებმა ჩამოვაყალიბეთ ჯგუფი, 2001 წელს გაჩნდა იდეა შეგვექმნა ახალი ჯგუფი „საუნდის“ სახელწოდებით, მაგრამ უკვე სულ სხვა შემადგენლობით. მიუხედავად იმისა, რომ არ ვაპირებ ეკონომიკური ფაკულტეტის დასრულებას (გადავდივარ სხვა ფაკულტეტზე), ამ ფაკულტეტის მადლიერი ვარ, რადგანაც ელემენტარული საფინანსო ცოდნა მაინც მომცა. მართალია ჯგუფის საფინანსო საკითხებს მარტო მე არ ვწყვეტ, მაგრამ ხშირად ვაკონტროლებ... კარგი გაგებით რომ ვთქვა, ამ მხრივ ვერავინ მომატყუებს. შეყვარებული არ მყავს, გულახდილად რომ ვთქვა, არც მყოლია. ადრეულ ასაკში გატაცებებს არ შეიძლება სიყვარული უწოდო. ისე კი ამ ეტაპზე ცოლის მოყვანა ნაადრევად მეჩვენება, ალბათ 2-3 წელიწადში ამაზე ფიქრი უკვე დროული იქნება. თუმცა წინასწარ რაიმეს თქმა გამიჭირდება. მამაკაცმა სჯობს ოჯახი იმ დროს შექმნას, როდესაც დამოუკიდებლად დგას ფეხზე. თანაც უახლოეს მომავალში ძალიან ბევრი გეგმა მაქვს განსახორციელებელი, როგორც ჯგუფთან და მუსიკალურ კარიერასთან დაკავშირებით, ასევე სწავლასა და ფინანსურ საკითხებში.

# რა ღირს ტყიბულის ქვანახშირი?..

**— დავიჯეროთ ტყიბულის ქვანახშირი შეშაზე ძვირია? რატომ არ შეიძლება ქვანახშირის გამოყენება საქართველოს სოფლებში, ამით ხომ ტყე გადარჩება? ტყიბულელ მეშახტეებს კი ექნებათ სამუშაო.**

***გიორგი ერქომაიშვილი***

კითხვაზე უპასუხებს სააქციო საზოგადოება „ტყიბულის“ გენერალური დირექტორი **ავთანდილ ბოჭორიშვილი.**



— ტყიბული-შაორის საბადოდან ქვანახშირის მოპოვებას საუკუნენახევარზე მეტი ხნის ისტორია აქვს. მთელი ამ ხნის განმავლობაში საბადოდან მოპოვებულია 60 მილიონი ტონა ქვანახშირი. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს ეკონომიკაში 4,5 მილიონი ტონა ქვანახშირი მოიხმარებოდა, საიდანაც 3,0 მილიონი ტონა საქართველოში მოიპოვებოდა (1,5 მლნ ტონა ტყიბულში, ამდენივე ტყვარჩელსა და ახალციხეში), ხოლო დანარჩენი რუსეთიდან, უკრაინიდან და ყაზახეთიდან შემოჰქონდათ. ამჟამად ქვანახშირს აღარა ჰყავს მსხვილი და სტაბილური მომხმარებელი. ამის შედეგად კი მისი მრეწველობა კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. არადა, ტყიბული-შაორის საბადოზე ქვანახშირის მარაგები 330 მილიონ ტონას შეადგენს, საიდანაც 140 მლნ ტონა სამრეწველო მარაგია. ამასთან, ქვანახშირი არის ის ერთადერთი დაძიებული ენერგომატარებელი, რომლის სერიოზული მარაგი გააჩნია საქართველოს და მისი ფართოდ გამოყენება ენერგეტიკაში ქვეყანას მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებდა არსებული ენერგოკრიზისით გამოწვეულ სიძნელეებს.

ერთი ტონა ქვანახშირის სარეალიზაციო საბაზრო ფასი 50-60 ლარია. ტყიბულის ქვანახშირის თბოუნარიანობა შეადგენს 4000-4200 კ/კალორიას. თბოელექტროსადგურებში 1კვტ/სთ ელექტროენერგიის მისაღებად საჭიროა 500 გრამი ქვანახშირი. თბოუნარიანობის მიხედვით 1 ტონა ქვანახშირი შეესაბამება დაახლოებით 3 კუბურ მეტრ შეშას, 0,5 ტონა მაზუთს და 0,45 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს.

# ვინ იღებს სტიპენდიას?!

**— ვარ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის საბიუჯეტო სექტორის მე-4 კურსის სტუდენტი. როგორც წესი, წარჩინებულ სტუდენტებს მიეცემათ სახელმწიფო სტიპენდია. აღნიშნულ საკითხზე მივმართე დეკანატს. „ამიხსნეს“, რომ სტიპენდია მიეცემა მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ ფასიან სექტორზე(!). იქნებ თქვენ მაინც გამცეთ სწორი პასუხი...**

***სტუდენტი***

ამ კითხვით მივმართეთ თსუ საფინანსო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსს **გივი ჩადუნელს.**



— ზუგდიდის ფილიალს, ისევე როგორც უნივერსიტეტის სხვა ფილიალებს, სტიპენდიების თანხას ვურიცხავთ ჩვენ. ვინაიდან სტიპენდიები ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება, შეუძლებელია იგი მიეცეს ფასიანი სექტორის სტუდენტებს. ფასიანი სექტორის სტუდენტი თავად იხდის სწავლის გადასახადს და მათზე საერთოდაც არ ვრცელდება რაიმე შეღავათი. უნივერსიტეტის ფილიალები, სამწუხაროდ ვერ იღებენ იმ დაფინანსებას, რომელიც საკმარისი იქნებოდა ყველა ფრიადოსანი სტუდენტის სტიპენდიისათვის. აქვე დავძენდით, რომ თსუ ფრიადოსანი სტუდენტების დაახლოებით 20% საერთოდ სტიპენდიის გარეშეა დარჩენილი ბიუჯეტიდან მცირე დაფინანსების გამო.

აღნიშნული კითხვით მივმართეთ ასევე უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორს **ვახტანგ კვარაცხელიას.**

— შეუძლებელია მსგავსი აბსურდი ეთქვათ სტუდენტისთვის დეკანატში. მართლაც, ბიუჯეტის დაფინანსება ზუგდიდის ფილიალის ყველა ფრიადოსან სტუდენტს არ ჰყოფნის. გვყავს 200 ფრიადოსნამდე. როგორ გავანაწილოთ მათზე 5.680 ლარი (2003 წლის წლიური დაფინანსება)? შესაბამისად, გადავწყვიტეთ თითოეული ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობის თითო სტუდენტისათვის მაინც მიგვეცა ნორმალური თანხა. საერთოდ, ფრიადოსნისათვის სტიპენდია დადგენილია 17 ლარის ოდენობით. ამიტომ უსახსრობის გამო ამჟამად სტიპენდიას მხოლოდ 36 სტუდენტი იღებს, თანაც გაცილებით ნაკლები ოდენობით — 12 ლარს. ამ სტუდენტების სია ყოველ სემესტრში იცვლება, ზოგიც მუდმივად ღებულობს სტიპენდიას (ეს უკვე იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ძლიერია სტიპენდიანტი). საერთოდ კი ამ საკითხს აგვარებს დეკანატი და სტუდკავშირი. სწორედ მათი ერთობლივი წარდგენით ღებულობს ესა თუ ის ფრიადოსანი სტიპენდიას.

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

CMYK

# არის პირველი ლელო



ბორჯღალოსნები სამხრეთაფრიკელებს ვაჟკაცურად შეებნენ

## ქართველები ურუგვაისთან საომრად ემზადებიან

საქართველოს რაგბისტთა ნაკრებმა ავსტრალიაში მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე მესამე მატჩი გამართა. ჩვენი მეტოქე ამჯერად სამხრეთაფრიკელთა ნაკრები გახლდათ. მატჩი „ოზი სტეიდიუმზე“ გაიმართა სიდნეიში.

ამ გუნდების შერკინება ორიოდე წლის წინ თბილისში „ლოკომოტივზე“ შედგა. მაშინ ჩვენმა სტუმრებმა იმარჯვეს, თუმცა, ყველასთვის მოულოდნელად, სხვაობა მხოლოდ 14 ქულა იყო.

მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ საქართველოს ნაკრების ფრანგმა თავკაცმა კლოდ სორელმა გადაწყვიტა, რომ მნიშვნელოვნად გადაეხალისებინა ჩვენი ნაკრების შემადგენლობა და სათადარიგო მოთამაშეებისთვის მიეცა თავის გამოჩენის შანსი. როგორც მატჩის მიმდინარეობამ ცხადყო, სორელის ამგვარი გადაწყვეტილება გამართლებული გახლდათ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენმა ნაკრებმა უკეთ ითამაშა, ვიდრე ინგლისისა და სამოას ნაკრებებთან. იყო ბრძოლა და თავდადება, იყო პირველი გატანილი ლელო, რომლის ავტორია დავით დადუნაშვილი.

საქართველოს ნაკრებმა რამდენიმე საკმაოდ კარგი შეტევა განახორციელა და რაც ყველაზე მთავარია, გულშემატკივართა მხარდაჭერა დაიმსახურა.

ჩვენი მკითხველი საქმის კურსშია, რომ ქალაქ პერტიში, სადაც პირველი ორი თამაში გამართა საქართველოს ნაკრებმა, ბორჯღალოსანთა მხარდამჭერ გულშემატკივართა კლუბიც შეიქმნა. მართალია, ანალოგიური კლუბი არ არსებობს სიდნეიში, მაგრამ სწორედ ჩვენი გუნდის კარგი თამაში გახლდათ იმის წინაპირობა, რომ ტრიბუნებიდან მთელი მატჩის განმავლობაში საქართველოს ნაკრების მხარდამჭერი შეძახილები გაისმოდა.

საბოლოოდ, ჩვენი ნაკრები დამარცხდა ანგარიშით 19:46, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ბუკმეიკერები სამხრეთაფრიკელთა გამარჯვებას 65 ქულით ვარაუდობდნენ.

აქვე გვინდა ერთი საკმაოდ საინტერესო დეტალი გაგაცნოთ: თბილისში სტუმრობისას რუმინეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტს ოქტავიანუ მორავიუს შევხვდით, რომელმაც გვითხრა, რომ რუმინეთის ნაკრებს მხოლოდ ერთი სპონსორიდან აქვს შემოსავალი მილიონი დოლარი წელიწადში. ჩვენი ნაკრების ფინანსური უზრუნველყოფის ამბავი საქართველოში ყველასთვის ცნობილია — ჩვენი მორაგბეებისთვის ნებისმიერ მატჩზე გამგზავრება თითქმის ყოველთვის პრობლემებთანაა დაკავშირებული. ასეთი ვითარების მიუხედავად, თავად განსაჯეთ, როგორ ითამაშეს პირველი სამი მატჩი მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებმა გუნდებმა:

რუმინეთმა სამი თამაშიდან სამივე წააგო — ბურთების შეფარდება 28-185.

საქართველოს ნაკრებსაც სამი თამაშიდან სამი წაგება აქვს, ბურთების შეფარდება — 34-176.

დასკვნა მკითხველისთვის მიგვინდვია...

რაგბი სპორტის ისეთი სახეობაა, სადაც სათამაშო კლასში განსხვავების აღმოფხვრას დრო უნდა, თანაც აქ სენსაციები ნაკლებად ხდება.

მომდევნო მატჩი საქართველოს ნაკრებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება. სამშაბათს, თბილისის დროით 12:30 საათზე ჩვენი ნაკრები ურუგვაის შეერკინება. გამარჯვების შემთხვევაში ბორჯღალოსნები მსოფლიო რაგბის კლასიფიკაციაში მე-13 — მე-16 ადგილებზე განაცხადებენ პრეტენზიას. ეს კი არცთუ ურიგო შედეგია დებიუტანტისთვის.

# კაცებმა ქალებს გაასწრეს...

ბულგარეთში, ქალაქ პლოვდივში დასრულდა ევროპის გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში. საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა მოჭადრაკე კაცებმა, რომელთაც მესამე ადგილი დაიკავეს. პირველ ადგილზე რუსეთის ნაკრებია, მეორეზე კი ისრაელის გუნდი.

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე შემდეგი შემადგენლობით გამოდიოდა: ზურაბ აზმაიფარაშვილი, ბაადურ ჯობავა, გიორგი ყაჭეიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი და მიხეილ მჭედლიშვილი.

გარდა გუნდური წარმატებისა, ქართველმა მოჭადრაკეებმა პირად ჩათვლაშიც მოიპოვეს მედლები. მესამე დაფაზე გიორგი ყაჭეიშვილს საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა — მან მცირე ოქროს მედალი მოიგო, მეოთხე დაფაზე ვერცხლი ერგო მერაბ გაგუნაშვილს.

სამწუხაროდ, წარუმატებლად გამოვიდნენ ქართველი ქალები, რომლებიც მათთვის უჩვეულო მეთორმეტე ადგილს დასჯერდნენ.

პირად ჩათვლაში მაია ლომინეიშვილმა ვერცხლის მედალი მოიგო.

# ლუდი და ფეხბურთი დაძმობილდნენ, გაუდგნენ გზასა...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და კომპანია „ყაზბეგს“ შორის ორწლიანი ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც კომპანია „ყაზბეგი“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორი ხდება.

ხელშეკრულებაში ნათქვამია ისიც, რომ თუკი საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა 2006 წლის გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური, ხელშეკრულება გაგრძელდება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას თქმით, არაერთმა უცხოურმა კომპანიამ გამოთქვა სურვილი გამხდარიყო საქართველოს ნაკრების სპონსორი, სფფ-მ მათ ქართული კომპანია არჩია.

როგორც მერაბ ჟორდანიამ განაცხადა, კომპანია „ყაზბეგთან“ დადებული ხელშეკრულების ფინანსური დეტალები ორივე მხარის სურვილის შესაბამისად, კონფიდენციალურია და საჯაროდ არ გამოქვეყნდება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ის თანხა, რომელიც სფფ-ს ჰქონდა გამოყოფილი საქართველოს ნაკრებში უცხოელი სპეციალისტის მოწვევისთვის, კომპანია „ყაზბეგთან“ დადებული ხელშეკრულების შემდეგ, უფრო სოლიდური გახდა.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელის სავარაუდო კანდიდატურები მერაბ ჟორდანიას არ დაუკონკრეტებია, თუმცა, განაცხადა, რომ ის სპეციალისტი, რომელსაც სფფ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრის შემდეგ, კერძოდ, 5 დეკემბრის შემდეგ დანიშნავს, ყველასთვის მისაღები იქნება.

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას — 5 დეკემბრამდე ერთ თვეზე ცოტა მეტი რჩება...

***გვერდი მოამზადა გიგა ხორსელმა***

# აშვეთიამ ტოლდოს გაუტანა

## ჩემპიონთა ლიგა. პირველი ეტაპი. III ტური

ჩემპიონთა ლიგის მესამე ტური დიდი სენსაციებით აღინიშნა: ამ მხრივ რეკორდი დაამყარა „ბ“ ჯგუფმა, სადაც ორივე მატჩი მოულოდნელი შედეგით დასრულდა: კიევში ადგილობრივმა „დინამომ“ სძლია ლონდონის „არსენალს“, ხოლო მოსკოვში მიხო აშვეთიას „ლოკომოტივმა“ მილანის „ინტერს“ — 3:0. მოულოდნელი იყო აგრეთვე კახა კალაძის გარეშე დარჩენილი „მილანის“ მარცხი საკუთარ მოედანზე ნაკლებამბიციურ „ბრიუგესთან“ — 0:1.

მოსკოვის „ლოკომოტივთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩამდე ორი დღით ადრე იტალიის „ინტერი“ მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. გაათავისუფლეს არგენტინელი სპეციალისტი, 47 წლის ჰექტორ რაულ კუპერი.

კუპერმა „ინტერი“ 2001 წელს ჩაიბარა, მას შემდეგ, რაც მან „ვალენსიაში“ წარამატებას მიაღწია იმ ფეხბურთელებით, რომლებიც ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტდნენ. „ინტერის“ მესვეურებს სწორედ კუპერი მიაჩნდათ ერთადერთ მწვრთნელად, რომელიც გუნდს სათანადო სიმაღლეებს დაუბრუნებდა. „ინტერის“ ტიფოზების მოთმინების ფიალა მას შემდეგ აივსო, რაც მათმა დაუძინებელმა მტერმა „მილანმა“ ჩემპიონთა ლიგა მოიგო და ამ წარმატებას მიაღწია არა გადამთიელის, არამედ იტალიელი კარლო ანჩელოტის ხელმძღვანელობით.

„ბრეშასთან“ ფრედ დასრულებული მატჩი კი გულშემატკივართა მხრიდან აღქმული იქნა, როგორც აპოთეოზი „ინტერის“ უძლურებისა.

ერთი სიტყვით, მოსკოვურ მატჩს „ინტერი“ დიდი პრობლემებით შეხვდა.

მოსკოვის „ლოკომოტივი“, სადაც ჩვენებური მიხეილ აშვეთიაა ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, ფსიქოლოგიურად მომგებიან სიტუაციაში აღმოჩნდა. „ინტერთან“ წაგებისთვის მას არავინ უსაყვედურებდა, მოგებისთვის კი...

და მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. თამაშის მეორე წუთზე ლოსკოვის მიერ გატანილმა სწრაფმა გოლმა აჩვენა, რომ სენსაცია მზადდებოდა. პირველი ტაიმის განმავლობაში „ინტერმა“ რამდენიმე კარგი შეტევა განახორციელა, თუმცა, „ლოკომოტივი“ კარგად იდგა დაცვაში.

მეორე ტაიმში კი თამაშის 50-ე წუთზე მიხეილ აშვეთიამ შეძლო ახლო მანძილიდან გოლის გატანა და შეიძლება ითქვას, ამ გოლის წყალობით გარდატეხა შეიტანა თამაშში. ექვსიოდე წუთის შემდეგ კი რკინიგზელებმა კიდევ ერთი გოლი გაიტანეს, რითაც „გაანადგურეს“ „ინტერი“.

**მიხეილ აშვეთია:** — უბედნიერესი კაცი ვარ. დიდხანს არ მჯეროდა, რომ ტოლდოს კარში ბურთი გავიტანე. ისეთი ბუნდოვანი სიტუაცია იყო, რომ ის საგოლე მომენტი მეხსიერებაში მხოლოდ მაშინ აღვიდგინე, როცა თამაშის ვიდეოჩანაწერი ვნახე. მოსაგებად კი ვიყავით განწყობილნი, მაგრამ ასეთი დიდი ანგარიშით თუ შევძლებდით მოგებას, არ ველოდით. მიხარია, რომ ჩემი წვლილიც არის ამ დიდ გამარჯვებაში. მეორე გოლმა ფაქტობრივად გატეხა „ინტერი“. სამი გოლი გაუტანო იტალიელებს, რომელთა დაცვითი სტილი საყოველთაოდაა ცნობილი, არაა პატარა საქმე...

ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურის მატჩებიდან დიდ ინტერესს იწვევდა შოტლანდიაში გლაზგოს „რეინჯერსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შერკინება.

ეს მატჩი მართლაც რომ წარმატებით ითამაშეს ჩვენებურებმა. შოთა არველაძეს რამდენიმე სახიფათო მომენტი ჰქონდა. ასევე კარგად ჩაატარა თამაში ზურა ხიზანიშვილმა, რომელმაც თავის ფრთაზე ფეხის განძრევის საშუალება არ მისცა მანჩესტერელთა უელსელ ვარსკვლავს, გიგზს. ამ უკანასკნელს მაშინ მიეცა ასპარეზი, როცა მაკლიშმა ზურა მოედნიდან გაიყვანა.

თამაში მანჩესტერელებმა გარი ნევილის სწრაფი გოლის წყალობით მოიგეს 1:0. მიუხედავად ასეთი შედეგისა, „რეინჯერსი“ ინარჩუნებს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს,



ეს-ეს არის აშვეთიამ „ინტერს“ გაუტანა

ამისთვის მას ბოლო ტურში შტუტგარტში გამარჯვება სჭირდება, მანამდე კი ორი მატჩია — ჯერ მანჩესტერში, შემდეგ კი გლაზგოში „პანათინაიკოსთან“.

**ზურა ხიზანიშვილი:** — ჩემს საფეხბურთო პრაქტიკაში არაერთი ცნობილი ფეხბურთელის წინააღმდეგ მითამაშია. მათ რიგებში ყველაზე გამორჩეულად აქამდე დელ პიეროს ვთვლიდი, „მანჩესტერთან“ თამაშის შემდეგ კი ვფიქრობ, რომ გიგზი სულ სხვა დონეა. მან თავისი უძლიერესი თვისებები გამოავლინა. სამწუხაროდ, გოლი სულელურად გავუშვით. თუმცა, გულს არ გავიტეხ, წინ კიდევ არის მატჩები, თანაც „მანჩესტერთან“ გაშვებული ბურთი ჭკუის სასწავლებელი იქნება...

მადრიდის „რეალისაგან“ გულშემატკივრები „ცრვენა ზვეზდას“ განადგურებას ელოდნენ, თუმცა „სამეფო კლუბმა“ ფიგუს გატანილი ერთადერთი გოლი იკმარა. სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია „ანდერლეხტის“ მიერ „სელტიკის“ დამარცხება, საინტერესო ის არის, რომ ბელგიელები 25-ე წუთიდან ათი კაცით თამაშობდნენ.

| | | | |
|---|---|---|---|
| **A ჯგუფი** | | | |
| ლიონი | — | ბაიერნი | 1:1 |
| ანდერლეხტი | — | სელტიკი | 1:0 |
| **B ჯგუფი** | | | |
| ლოკომოტივი | — | ინტერი | 3:0 |
| დინამო | — | არსენალი | 2:1 |
| **C ჯგუფი** | | | |
| დეპორტივო | — | მონაკო | 1:0 |
| აეკი | — | ეინდჰოვენი | 0:1 |
| **D ჯგუფი** | | | |
| იუვენტუსი | — | სოსიედადი | 4:2 |
| გალათასარაი | — | ოლიმპიაკოსი | 1:0 |
| **E ჯგუფი** | | | |
| შტუტგარტი | — | პანათინაიკოსი | 2:0 |
| რეინჯერსი | — | მანჩესტერი | 0:1 |
| **F ჯგუფი** | | | |
| რეალი | — | პარტიზანი | 1:0 |
| მარსელი | — | პორტუ | 2:3 |
| **G ჯგუფი** | | | |
| ჩელსი | — | ლაციო | 2:1 |
| სპარტა | — | ბეშიქთაში | 2:1 |
| **H ჯგუფი** | | | |
| აიაქსი | — | სელტა | 1:0 |
| მილანი | — | ბრიუგე | 0:1 |

# სტეფანია „პორტლენდში“



ვლადიმერ სტეფანიამ NBA-ს „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გასულ სეზონში ვოვა სტეფანიამ, რომელმაც პირველმა გაუჭრა გზა NBA-საკენ ქართულ კალათბურთს, არცთუ წარმატებული სეზონი ჩაატარა „მაიამის“ შემადგენლობაში. მიუხედავად ამისა, NBA-ს გუნდების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ჩვენებურის პოტენციური შესაძლებლობები.

მას შემდეგ, რაც „პორტლენდი“ ცნობილმა ლიტველმა კალათბურთელმა არვიდას საბონისმა დატოვა, გუნდი ცენტრის გარეშე დარჩა. „პორტლენდმა“ არჩევანი ქართველ კალათბურთელზე გააკეთა.

გუნდში ჩვენებურს NBA-ს ცნობილი ვარსკვლავის, დევიდ დევისის შემცვლელად მოიაზრებენ. ვოვა სტეფანიას ახალ გუნდში საბონისის თერთმეტნომრიანი მაისური გადასცეს.

C M Y K

## №42 (368) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 593 მკითხველი გამოეხმაურა. 12 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 202-მა ქალმა და 379-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ყველაზე მეტად ვინ (რა) უნდა იყოს 2 ნოემბრის არჩევნებში დემოკრატიულობისა და ობიექტურობის გარანტი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველმა ეს მისია საარჩევნო კანონს დააკისრა. რესპონდენტთა 31%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით. საშუალო ქულით **6,51** „საარჩევნო კანონი“ პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე ცენტრალური საარჩევნო კომისიაა, საშუალო ქულაა 6,45. უნდა აღინიშნოს, რომ აქ ჩამოთვლილთა შორის ყველაზე ნაკლები რაოდენობის მინიმალური ქულით (2,1%) სწორედ „ცესკო“ შეფასდა. მაქსიმალური — 9 ქულა ცესკოს მკითხველთა 20%-მა მიაკუთვნა.

ჩვენი მკითხველების აზრით, არჩევნების სამართლიანობის ერთ-ერთი სერიოზული გარანტი თავად ამომრჩეველიცაა. „ამომრჩევლები“ მესამე ადგილზეა, საშუალო ქულაა 5,37.

როგორც ვხედავთ, სულ მცირე განსხვავება დაფიქსირდა ამომრჩევლებსა და ეუთოს დამკვირვებლებს შორის. რაც იმის ნიშანია, რომ ორივე მათგანს თანაბარი ხარისხის დატვირთვა ენიჭება არჩევნების ობიექტურად ჩატარებაში.

ყველაზე მცირე რაოდენობის მაქსიმალური ქულა „არასამთავრობო ორგანიზაციებმა“ დაიმსახურა. მკითხველთა 1,6%-მა მიაკუთვნა 9 ქულა.

რესპონდენტთა აზრით, პოლიცია ყველაზე ნაკლებად შეიძლება იდგეს არჩევნების დემოკრატიულობის სადარაჯოზე. მათი აზრით, თუ საარჩევნო კანონმა და ცესკომ ვერ უზრუნველყვეს სამართლიანი არჩევნები, მასმედია და არასამთავრობოები ვერაფერს გახდებიან.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი რეიტინგი არ დაემთხვა. არც მიახლოებული ვარიანტი დაფიქსირებულა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯეკ-პოტია და მომავალი რეიტინგის საპრიზო ფონდი **200** ლარი იქნება.

წარმატებებს გისურვებთ!

## №43 (369) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

~~100~~ 200 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგსა* და **მკითხველის პრემიაში.**

**№43 (369) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 29 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 30 ოქტომბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №43 (369) — იუმორის გრძნობა

**თქვენი აზრით, რომელ პოლიტიკოსს აქვს იუმორის გრძნობა ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№43(369) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | პოლიტიკოსი | ქულა |
| --- | --- | --- |
| 1 | მიხეილ სააკაშვილი | |
| 2 | ვახტანგ რჩეულიშვილი | |
| 3 | ედუარდ შევარდნაძე | |
| 4 | შალვა ნათელაშვილი | |
| 5 | ელენე თევდორაძე | |
| 6 | კობა დავითაშვილი | |
| 7 | ლევან გაჩეჩილაძე | |
| 8 | ზურაბ ტყემალაძე | |
| 9 | ზურაბ ჟვანია | |

*მკითხველის რეიტინგი*

**თქვენი აზრით, რომელი მოვლენა იყო ყველაზე სკანდალური წინასაარჩევნო პერიოდში?**

✓ ____________________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

## *მკითხველის რეიტინგის შედეგები*

როგორც ქვემოთ მოცემულ რეიტინგებზე ჩანს, ივლისის თვეში გაერთიანებული დემოკრატების პროცენტული მაჩვენებელი იმაზე მცირე იყო, რაც დღეს სახელისუფლებო ბლოკმა დაიმსახურა. ორიგინალურები არ ვიქნებით, თუ გავიმეორებთ, რომ მათი რეიტინგის ზრდა ნინო ბურჯანაძის ფაქტორითაა განპირობებული. თუმცა, ის ფაქტი, რომ ქალბატონი ნინო დემოკრატების სახეა, ჟვანიას პრაქტიკულ ჭკუასა და მოხერხებულობაზე მეტყველებს. ამდენად, ბლოკის რეიტინგის ზრდაში მასაც არანაკლები წვლილი მიუძღვის.

სექტემბრის თვეში ნაციონალური მოძრაობის „მცირედი ჩავარდნა“ თვის ბოლოს ბოლნისის ინციდენტმა „ამოქაჩა“, ბათუმურმა „ვოიაჟმა“ კი საბოლოოდ „დააგვირგვინა“. როგორც ჩანს, ნაციონალებს კარგად აქვთ დაცდილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხმაურიანი სვლები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში პარტიის ცნობილი სახეების დაზარალებით მთავრდება. მსხვერპლისა და ჩაგრულის მიმართ კი საზოგადოების თანაგრძნობა საგრძნობლად იზრდება.

„ნათელაშვილისა და კომპანიის“ რეიტინგი კი, მისი სოციალური აქცენტების გამო, როგორც ვხედავთ, სტაბილურად მაღალია.

რაც შეეხება აღორძინებას, მათ რეიტინგს უკუპროპორციული დამოკიდებულება აქვს ნაციონალების რეიტინგთან.

არჩევნებამდე ერთი კვირა გვაშორებს. მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება და ასევე ელვისებურ გავლენას ახდენს მოსახლეობის განწყობასა და რეიტინგებზე. რა იქნება „ხვალ“, ამას მომავალი ერთი კვირა გვიჩვენებს.

## ახლა რომ საარჩევნო ურნასთან იდგეთ, რომელ პარტიას (ბლოკს) მისცემდით ხმას?

**ოქტომბერი**

| | | |
| --- | --- | --- |
| 1. | ლეიბორისტული პარტია | 31.9 % |
| 2. | ნაციონალური მოძრაობა | 22.6 % |
| 3. | ბლოკი ბურჯანაძე-დემოკრატები | 17.3 % |
| 4. | ახალი მემარჯვენეები | 5.4 % |
| 5. | მრეწველები | 5.2 % |
| 6. | ბლოკი «ახალი საქართველოსთვის» | 4.8 % |
| 7. | ბლოკი «ერთობა» | 3.0 % |
| 8. | აღორძინება | 0.6 % |
| | არც ერთი | 6.0 % |
| | მიჭირს პასუხი/ჯერ არ გადამიწყვეტია | 2.2 % |

*მკითხველის რეიტინგში 496-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა*

**სექტემბერი**

| | | |
| --- | --- | --- |
| 1. | ლეიბორისტული პარტია | 32.3% |
| 2. | ნაციონალური მოძრაობა | 19.4% |
| 3. | ბლოკი ბურჯანაძე-დემოკრატები | 16.4% |
| 4. | ახალი მემარჯვენეები | 6.4% |
| 5. | მრეწველები | 6.2% |
| 6. | აღორძინება | 2.6% |
| 7. | ბლოკი „ერთობა“ | 1.1% |
| 8. | ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“ | 0.9% |
| | არც ერთი | 10.1% |
| | მიჭირს პასუხი | 0.7% |

**ივლისი**

| | | |
| --- | --- | --- |
| 1. | ლეიბორისტული პარტია | 29.3% |
| 2. | ნაციონალური მოძრაობა | 20.2% |
| 3. | ახალი მემარჯვენეები | 7.2% |
| 4. | მრეწველები | 4.8% |
| 5-6. | აღორძინება | 4.4% |
| 5-6. | გაერთიანებული დემოკრატები | 4.4% |
| | არც ერთი | 13.6% |
| | მიჭირს პასუხი | 2.2% |

## · ფოტოპალიტრა · ფოტოანტიკვარი ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი __________

ქალაქი (რაიონი) __________



*მიხეილ სააკაშვილი, აკაკი ასათიანი*

**„ფოტოანტიკვარში“ ერთგვარი რეკორდია. ასეთი „ერთსულოვანი“ შეცდომა რესპონდენტებს ჯერ არ დაუშვიათ. „კარლსონი“ თბილისური სახურავებიდან“ მკითხველთა 53%-ისათვის სააკაშვილთან ასოცირდება. ეს ასოციაცია იმდენად მყარია და არგუმენტირებული, რომ ნაციონალური მოძრაობის ლიდერის ზომა-წონა სულაც არ უშლის ხელს.**

**რესპონდენტთა 13%-მა ამ პატარა ბიჭუნაში ერთ დროს მართლაც სახურავის ტელებინადარი სერგი გვარჯალაძე „შეიცნო“.**



**დასახელდნენ ასევე, ვანო ზოდელავა, მიხეილ მაჭავარიანი...**

**რესპონდენტთა 20%-მა კი ზუსტად ამოიცნო თბილისური სახურავებისა და ლიფტების „მოამაგეთა“ ერთ-ერთი წარმომადგენელი...**

**დიახ, თქვენ წინაშეა კობა დავითაშვილის ბავშვობის ფოტო.**

*ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი*



კობა დავითაშვილი, ოთხი წლის

## ფოტოგანწყობა



— ყვავილი თუ მუზარადი? — ყვავილი...

## მრავალმხრივი ნიჭი და მუდმივი მისწრაფება



ამერიკის კინოინსტიტუტმა პრესტიჟული პრემიით დააჯილდოვა ცნობილი ვარსკვლავი მერილ სტრიპი კინოხელოვნების განვითარებაში დიდი ღვაწლისთვის. „ამ ქალბატონზე სავსებით სამართლიანად შეიძლება ითქვას შეუდარებელიაო“ — ამბობს კინოინსტიტუტის სამეურნეო საბჭოს ხელმძღვანელი ჰოვარდ სტინგერი. ზემოთ აღნიშნულ პრემიას კინოინსტიტუტი უკვე 32-ედ გადასცემს დამსახურებულ კინომოღვაწეს. მისი ლაურეატები არიან: ელიზაბეტ ტეილორი, დასტინ ჰოფმანი, ტომ ჰენკსი, მარტინ სკორსეზე, რობერტ დე ნირო და სხვები. ქალბატონ მერილს ეს საპატიო ჯილდო გადაეცემა 2004 წლის 4 ივნისს საზეიმო ცერემონიაზე, სპეციალურად ასეთი ღონისძიებებისთვის აგებულ თეატრ „კოდაკის“ ულამაზეს დარბაზში.

* * *

პატრონი ლაპარაკს ასწავლის გალიაში გამომწყვდეულ თუთიყუშს.

— გაიმეორე ჩემთან ერთად: „მე შემიძლია სიარული...“

— მე შემიძლია სიარული.

— „მე შემიძლია ლაპარაკი..“



— მე შემიძლია ლაპარაკი, — იმეორებს თუთიყუში.

— „მე შემიძლია ფრენა...“

— ტყუი! — აიფოფრა თუთიყუში.

**26/X ● ახალი მთვარე**

**მაგნიტური დღეებია:**

**28/X 17-დან 19 საათამდე**

**2/XI 16-დან 18 საათამდე**

## წინა ნომრის სკანვორდის პასუხები





**თარაზულად:** 1. თანამედროვეობის უდიდესი სოპრანო, ბელკანტოს ოსტატი 4. ფრანგ მეფეთა რეზიდენცია, უდიდესი საპარკო ანსამბლი ფრანგული კლასიციზმის სტილში 6. კურორტი ბულგარეთში 7. ეშმის ქვა; 8. „ფორმულა-1“-ის ტრასა სან-მარინოში; 9. ადამისა და ევას სასეირნო ბაღი; 10. მგალობელი ჩიტი; 13. ფაშისტ გერმანელთა სამხედრო დაზვერვა; 16. კლასიკური ბალეტის ფიგურა; 18. რომის პროვინცია თანამედროვე უნგრეთის, იუგოსლავიისა და ავსტრიის ტერიტორიაზე; 19. რაინდთა შეჯიბრებები; 20. გერმანელი ეგვიპტოლოგისა და მწერლის გეორგ ებერის ისტორიული რომანი; 22. ე. გაბაშვილი — „.... გადაიჩეხა“; 23. მართლმადიდებელი ეკლესიის კოლეგიალური ორგანო; 25. ზღვისპირა ქარი; 27. ავსტრალიაში: ისეთი მდინარე ან ნაკადული, რომელიც პერიოდულად შრება; 28. მამათა დიდი მონასტერი; 29. თავმოკაუჭებული ლითონის ან ხის ღერო; 30. სუპერკონტინენტი; 31. ვალტერ სკოტის რომანი.

**შვეულად:** 1. ქალაქი კეთილი იმედის კონცხის მახლობლად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პარლამენტის რეზიდენცია; 2. ორფეოსის მეუღლე; 3. ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელი 13 წლიდან; 4. ყველაზე პატარა სახელმწიფო მსოფლიოში; 5. თურქეთის უდიდესი ქალაქი ადგილობრივი წარმოთქმით; 11. ნატიფად, მოდაზე ჩაცმული მამაკაცი; 12. რეიგანის მეუღლე; 14. შვეიცარიის დედაქალაქი; 15. კახი კავსაძის პერსონაჟი მოკლემეტრაჟიან ფილმში „ღვინის ქურდები“; 16. ფაშისტ გერმანელთა ფრთოსანი რაკეტა; 17. ბასკთა ტერორისტული ორგანიზაცია; 21. ისლანდიის მთავარი ქალაქი; 22. მაკარის როლის შემსრულებელი კომედიაში „ქეთო და კოტე“; 24. თავისუფალი ფორმის მცირე ინსტრუმენტული პიესა; 25. ვირგილიუსის პოეტური კრებული; 26. ვისიმე ხმის ზუსტი მიბაძვა, მიმსგავსება.

**შეადგინა რამაზ ალანიამ**




## ლეო ცოლს ირთავს!



ძალიან მალე კიდევ ერთი ჰოლივუდელი ვარსკვლავი იქორწინებს, ლეონარდო დი კაპრიო მალე ჯვარს დაიწერს. მან, როგორც იქნა, ცოლობაზე დაითანხმა თავისი დიდი ხნის მეგობარი — ბრაზილიელი მოდელი ჟიზელ ბიუნდჰენი. 3 წელი ელოდა თანხმობას ლეო. როგორც ჩანს, ჟიზელმა დაიჯერა ცნობილი ლოველასის დანაპირები, რომ სხვა ქალებისკენ აღარც კი გაიხედავს. თუმცა, საკმაოდ ძნელია ამის დაჯერება, ლეოს ხომ ამ თვალსაზრისით მდიდარი წარსული აქვს. ადრინდელ სატრფოებს შორის ფიგურირებდნენ მოდელები ამბერ ვალეტა, ევა ჰერციგოვა, მსახიობები — ალისია სილვერსტოუნი, ჯულიეტ ლუისი. ლეოს მიაწერენ აგრეთვე რომანებს დემი მურთან, გვინეტ პელტროუსთან, ვირჯინია ლედუაიენთან და მადონასთანაც კი.

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## 43 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

**სიტყვა და საქმე**

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№43 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 30 ოქტომბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54

**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი ©518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

შავი ყვითელი ლურჯი წითელი